644
1987/2

ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეგრ.

# სოფელი

74
11-12

11

1987

70

ეროვნული ბიბლიოთეკა

13463

# სარკე

364

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

11

ნოემბერი

1987

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


## დიდი ოქტომბერი — 70

3. მიხეილ ჯინჭველაშვილი — დიდი ოქტომბერის სოციალისტური რევოლუცია და მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა

## პოეზია და პროზა

10. ენვერ ნიჟარაძე — ლექსები
13. ნანა თარგამაძე — ლექსები
15. გოდერძი ჩოხელი — მგელი. რომანი. დასასრული
69. ლია რუსიაშვილი — ორეული.
71. გიორგი კაკანაძე — უშვა
75. თოთია გიგაური — ლექსები
76. თეიმურაზ ძურადოვანიძე — ...მფუძ ჩემდა ხარ. რომანი. დასაწყისი.
92. კობა შავდია — ლექსები
94. ბეჭინა ბინდაძე — ლექსები
95. ხულიკო დიასამიძე — ლექსები
96. ზერა როგავაძე — ლექსებში
97. მთვარისა კერესელიძე — ლექსები

## დიდი ოქტომბერი — 70

98. გურამ გვეტაძეთითელი — „დრო და გმირი". გაგრძელება

## გარდამავნა დროის მოთხოვნაა

122. ოფია ფოსელიანი — მდინარე — ნამდინარევში

## ნარკვევი

142. მეირონ ხერგიანი — ვისზე გორისაც ხარ...

## წერილები

148. ვალერიან ტარტარაშვილი — რუსეთთან საინგილოს შეერთების ისტორიიდან

## ხელოვნება

153. შალვა დავითაშვილი — ძისი სიცოცხლის არსი

## გამოსათხოვარი

157. თამაზ ბაძაღუა

159. ქრონიკა



მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გიული ალხაზიშვილი
თეიმურ ბეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გიული გეგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფლა კანდელაკი
ზოთა ნიშნიანიძე
გურამ უანჯიკიძე
ზორის ფიცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატბერაშვილი

ანთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფარეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბაადრი ჭოხოელიძე
მაკა ჯოხაძე

მისეილ ჯინჭველაშვილი

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ღირსშესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს. „შვიდი ათწლეულის წინათ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის მზადების შესახებ", — მოხდა სამამული და მსოფლიო ისტორიის გარდამტეხი მოვლენა. რუსეთის მუშათა კლასმა, მშრომელებმა, რომლებსაც ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, უდიდესი რევოლუცია მოახდინეს. რევოლუციამ, რომელიც სოციალიზმისაკენ კაცობრიობის შემობრუნებას ნიშნავდა, ყველას აუწყა მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაბადება, დასაბამი მისცა პრინციპულად ახალ, სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებას". დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივ მნიშვნელობის მოვლენებს შორის. მან მსოფლიო ისტორიაში დაიწყო ძირეული მობრუნება ძველი სამყაროდან, ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ, დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების ერას. იგი მეოცე საუკუნის მთავარი მოვლენაა. ისტორიაში არც ერთ მოვლენას არ ჰქონია ასე დიდი გავლენა მთელი კაცობრიობის ბედზე, როგორიც ოქტომბრის რევოლუციას. დღეს მსოფლიოში არ არის პოლიტიკის, ეკონომიკის, იდეოლოგიის ან საერთაშორისო ურთიერთობის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დიდი ოქტომბრის ბეჭედი არ ეხვია. 1917 წლის ოქტომბერში ხათავე დაედო თანამედროვე მსოფლიო რევოლუციურ პროცესს, რომლის მიმდინარეობის შეჩერება უკვე არ შეუძლია არავითარ ძალას. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, — ვკითხულობთ სკკპ პროგრამაში, — ბაზდა მსოფლიო ისტორიის ბაღდადმეხი მოვლენა. მან ბანსაზღვრა მსოფლიო განვითარების ბანერაღური მიმართულება და ძირითადი ტენდენციები, დასაბამი მისცა შეუქცევად პროცესს — კაპიტალიზმის შეცვლას ახალი, კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით" (სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ. 1986 წ. გვ. 193).

●

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია, პირველად დაასკვნეს, რომ საზოგადოებრივი კლასები და კლასთა ბრძოლა დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან, რასაც უეჭველობამდე მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურამდე და უკლასო კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე. ეს უდიდესი რევოლუციური გადატრიალება იყო კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში.

კაპიტალიზმის განვითარების ახალი ეპოქის პირობებში, იმპერიალიზმის პირობებში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი სოციალისტური რევოლუცია დღის წესრიგში დადგა. მოიკრიბში შემოკმედებითად გაბავთაო 3. ი. ლენინმა აღმოაჩინა რა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი. 3. ი. ლენინმა, მიმდინარე მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობისა თავდაპირველად ერთ. ცალკე ალებულ. კაპიტალისტურ ქვეყანაში. XX საუკუნის დამდეგს რუსეთი წარმოადგენდა ევროპუ სუსტ ოგონლ იმპერიალიზმის სისტემაში და ყველა პირი ნიჩა აღმდგენის ბაკვანიო ბუპკეტ. იგი გაბდა საეოოაშოოისო რევოლუციის მოძოკანის ცენტრი. ამასთან ერთად. რუსეთში შეიქმნა ხელსაო პირობები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის: რუსეთის მეშთა კლასი მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურ და ორგანიზებულ კლასს წარმოადგენდა; მას ხათავეში ედგა დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი მაკსისტული პარტია — ბოლშევიკების პარტია, რომელიც შეიარაღებული იყო მოწინავე რევოლუციური თეორიით.

900-იანი წლების დასაწყისში რუსეთში სწრაფად მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია. პროლეტარიატი აწუობდა მძლავრ რევოლუციურ გამოსვლებს. მუშათა კლასის რევოლუციური გამოსვლის მაუწყებელი იყო მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. 1905—1907 წლების რევოლუცია ვეშმარიტად სახალხო რევოლუცია იყო. მან ამოძრავა რუსეთის არა მარტო ყველა კლასი, არაერედ. აგრეთვე. მათი პარტიები. 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მან უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა. ამ ბრძოლებში შეძენილმა გამოცდილებამ გააძდიდრა კლასობრივი ბრძოლის თეორია და ტაქტიკა. დაფარა ეშმრამელი ხალხს 1917 წლის თებერვალში დაემბო საძულველი ცარიზმი. ხოლო ოქტომბერში მოსკაო ბურჟუაზიის ბატონობა. 3. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1905 წლის „გენერალური რეპეტიციაო" რომ ყოა. 1917 წლის ოკტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

3. ი. ლენინმა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ, 1915 წელს დაამტკიცა, რომ ამ ომს უნდა მოჰყოლოდა დიდი რევოლუციური ქარიშხალი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ცხოვრებამ დაამტკიცა ლენინის მეცნიერული წინასწარმეტყველება. 1917 წლის თებერვალში რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განახორციელა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და დაამხო მეფის თვითმპყრობელობა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში დამყარდა ორხელისუფლებიანობა: ერთი დროებითი ბურჟუაზიული მოკავშირის სახით და მეორე — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით, რომელიც წარმოადგენდა „ფუშათა ლენინის და გლეხების რევოლუციურ დიქტატურას. ბურჟუაზიულ მოკავშირეს ეთანხმებოდა ბოლშევიკების პარტიის ნაწილი, ეს ეს ეს

ნიზაციებმა. პეტროგრადი და სხვა კალაქებში ივნისი შუშაობა გაჭიანურ მზრომელთა ფაროთი მასების მიმხრობისა და დროებითი მთავრობის ანტიპროლეტარული პოლიტიკის მხილებისათვის. ბოლშევიკების პარტიამ ორიენტაცია აიღო რევოლუციის შემდგომ განვითარებაზე. გადაჭარბი დაგმო დროებითი მთავრობის პოლიტიკა და უნდობლობა გამოუცხადა მას.

3. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლის შესახებ და ტაქტიკა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიმართ ერთხელოვნად მოიწონა და მიიღო რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციამ, რომელმაც აიღო მტკიცე კურსი სოციალისტური რევოლუციის მშვიდობიანი გზით განხორციელებისათვის. კონფერენციის გადაწყვეტილება ეკუთვნოდოდა ლენინის მოძღვრებას ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ უდიდები მუშაობა გაწია მასებში მომავალი რევოლუციის გამარჯვებისათვის. მაგრამ 1917 წლის ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციათ დახვრეტა რევოლუციის განვითარების გარდატების მომენტი გახდა — ორიენტიუფლებიანობა დამთავრდა ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ხოლო საბჭოები ეხერულ-მენშევიკური ხელმძღვანელობით გადაიქცნენ კონტრრევოლუციურ დროებითი მთავრობის დასამტკიცებ, მისი ნებაყოფლობილობლივ აღმასრულებლად ამრიგად, დამთავრდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. ბოლ. გამარჯვებისათვის არსებობდა ხელოვანი ერთადერთი გზა — შეიარაღებული აჯანყება.

3. ი. ლენინმა თავის სტატიებში, რომლებიც ივლისის ამბების შედეგად დაწერა, მოგვცა ზუსტი და ამომწურავი მითითებანი რევოლუციის განვითარების ახალ პერიოდში ბოლშევიკური ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხზე. „ხაქმის ეს არსი იმაში მდგომარეობს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ძალაუფლების მშვიდობიანად აღება ახლა უკვე აღარ შეიძლება" (თხზ. ტ. 25, გვ. 218). ახეთ პირობებში ვ. ი. ლენინის მოთხოვნით ბოლშევიკებმა დროებით მოახსენეს ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", რადგან საბჭოებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ეხერები და მენშევიკები, აღარ შეეძლოთ, ხალხის ხელისუფლების ორგანოები ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, განმარტავდა ვ. ი. ლენინი, რომ ბოლშევიკების პარტია უარს ამბობდა საბჭოებში მუშაობაზე. საჭიროა გამდა, ბურჟუაზიის ძალადობამ დაპირისპირებოდა რევოლუციური ძალა, პარტიას გამოემუშავებინა ახალი ვითარების შესაბამისი ტაქტიკა. ეს დიდი ამოცანა შეასრულა ბოლშევიკური პარტიის VI კონფერენციამ.

შეცვლილი პირობების შესაბამისად ახალი ტაქტიკის შემუშავებისათვის მოწვეული იქნა რსდმპ (ბ) VI კონფერენცია. იგი მუშაობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში — კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიერ ბოლშევიკების გამშვავებული დევნის გამო. კონფერენციას, რომელსაც ვ. ი. ლენინი ვერ დაესწრო, ხელმძღვანელობდნენ ი. ბ. სტალინი, ი. ბ. ზვერდლოვი, ს. ვ. ორჯონიკიძე და სხვ. ვ. ი. ლენინი არჩეული იქნა კონფერენციის საპატიო თავმჯდომარედ, იელილისა და კონფერენციის მუშაობის დღეებში ვ. ი. ლენინმა დაწერა თეზისები „პოლიტიკური მდგომარეობა", ბროშურა „ლოზუნგებისათვის". სტატიები: „კონსტიტუციური ილუზიების შესახებ", „ბინასაქანაზმის დასაწყისი" და „რევოლუციის გაკვეთილები", რომლებმაც ყრილობის პოლიტიკური პლატფორმა შეადგინეს. მათში მოცემული იყო რევოლუციის მთელი მიმდინარეობის, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი, დასაბუთებული იყო პარტიის ტაქტიკა. ვ. ი. ლენინის გენიალური მითითებები ხაფუძველად დაედო პარტიის VI ყრილობის მუშაობას და დადგენილებებს. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ახლა, როდესაც მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციის ხელში გადაეცოდა, მუშაობა კლასს ძალაუფლების აღება შეუძლია მხოლოდ შეიარაღებული გზით. აჯანყების გზით. „შეიარაღებული აჯანყების მიზანი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება იყოს მხოლოდ ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, რომელსაც მხარს დაუჭერს უდარიბესი ლეგლობა, ჩვენი პარტიის პროგრამის განსახორციელებლად" (ტ. 25, გვ. 207). რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდადგა შეტაკებათა და ავეთქებათა პერიოდი. ეს იყო ბურჟუაზიის ძალაუფლების ძალადგენებით დამხობის გეზი, სოციალისტური რევოლუციისათვის პარტიის ბრძოლის ლენინური ხაზი, რომლის წინააღმდეგ ყრილობაზე გამოვიდა ტროცკისტების ჯგუფი, ყრილობამ ამბილი და უკუაგდო მათი მტრული შეხედულებები.

VI ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში ამომწურავი შეფასება მისცა მიმდინარე მომენტს, კლასობრივ ძალთა იმ დაჯგუფებას, რომელიც შეიქმნა ივლისის ამბების შემდეგ. ყრილობამ, რომელიც ისტორიაში შეეჯა, რეგორც შეიარაღებული აჯანყების მომზადების ყრილობა, ყველა თავისი გადაწყვეტილება მიუძღვნა მთავარ მიზანს — მოემზადებინა პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა შეიარაღებული აჯანყებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ბოლშევიკების პარტია, რომელსაც ხათავეში ედგა ვ. ი. ლენინი, მასებს ამზადებდა იმი-

ხათვის, რათა მხოლოდ ძალით, შეიარაღებული აჯანყების გზით დაემხოთ ბურჟუაზიული მთავრობა და დიქტატურინაათ პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ვ. ი. ლენინი, ბოლშევიკები ამასთანავე გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ იარაღით დაუყოვნებლივ გამოსვლა მედგარი იქნებოდა, რადგან არ იყო ყველა პირობა რევოლუციის გამარჯვებისათვის, აჯანყებისის სამხედრო-ორგანიზებულ და ტექნიკურად მომზადებას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ამიტომ ბოლშევიკების პარტიამ უდიდები პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გაუწია შეიარაღებული აჯანყების ყოველმხრივ მომზადებისათვის, მშრომელთა ფართო მასების დარწმუნებისათვის, რომ კაპიტალიზმის დამხობა შეიძლებოდა მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით. ბოლშევიკების გაფლენა კოლოსალურად იზრდებოდა არა მარტო მუშათა კლასში, არამედ არმიაში; ჯარისკაცები უარს აცხადებდნენ იმპერიალისტურ ომზე. რევოლუციური აღმავლობა მოედო სოფლებსაც. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს მხარეზეა კლასის, რევოლუციის ავანგარდის, ხალხის ავანგარდის უმრავლესობა, რომელსაც უნარი შეუწევს გაიყოლოოს მასები“ (თხზ. ტ. 26 გვ. 8), იქმნებოდა ყველა ობიექტური პირობა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის და გამარჯვებისათვის.

1917 წლის აგვისტოს დასასრულსა და სექტემბრის დასაწყისში ქვეყნის გადამწყვეტ ცენტრებში საბჭოების შემადგენლობა ძირეულად შეიცვალა: ისინი ბოლშევიკური გახდნენ. ამიტომ პარტიამ დღის წესრიგში კვლავ დაიყენა ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, რაც მოასწავებდა შეიარაღებული აჯანყების გაძლიერებას ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

შეეშინალი ვითარების გამო ბოლშევიკების პარტია შეუდგა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციას. ახეთ რთულ პერიოდში ვ. ი. ლენინი ამუშავებს შეიარაღებული აჯანყების საკითხებს. თავის ნაწარმოებებში — „ბოლშევიკებმა ხელში უნდა აიღონ ძალაუფლება“, „მარქსიზმი და აჯანყება“, „კრიზისი მომწიფდა“, „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ხელისუფლებას“, „გარეშენ რჩევანი“ და სხვებში, — ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა რა მარქსიზმა და ენგელსის მოძღვრება აჯანყებაზე, როგორც ხელოვნებაზე, ბოლშევიკების პარტია, მუშათა კლასი შეიარაღა მწყობრი თეორიითა აჯანყების მოამზადებისა და გატარების შესახებ. ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა დებულება იმის შესახებ, რომ შეიარაღებული აჯანყება არის პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული სახე, რომელიც განსაკუთრებულ კანონებს ემორჩილება. „აჯანყებას რომ წარმატება ჰქონდეს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იგი უნდა ეკრდნობოდეს არა შეთქმულებას, არა მარტო პარტიას, არამედ მოწინავე კლასს. ეს ერთი. აჯანყება უნდა ეკრდნობოდეს ხალხის რევოლუციურ აღმავლობას. ეს მეორე. აჯანყება უნდა ეკრდნობოდეს ისეთ ბარაბანტის პუნქტს მზარდი რევოლუციის ისტორიაში, როცა ხალხის მოწინავე რიგების აჭეტორობა ზაღრესად დიდია, როცა უაღრესად ძლიერია მერყეობა მტრების რიგებში და რევოლუციის სუსტი, ოარეოფული, გაუბედავი მეგობრების რიგებში. ეს მესამე, რაკი ეს პირობები არსებობს, აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი, დამოკიდებულებაზე უარის თქმა ნიშნავს უღალატო მარქსიზმს, უღალატო რევოლუციას“ (თხზ. ტ. 26, გვ. 6).

აჯანყების წარმოებისათვის, როგორც ვ. ი. ლენინი გვაწავლიდა, უნდა ვიმოქმედოთ უდიდესი გაბედულებით და უეჭველად. ყოველი მიზეზის გარეშე შეტევაზე გადავიდეთ, თავდაცვა სიცდილია შეიარაღებული აჯანყებისათვის, არასოდეს არ ეთამაშოთ აჯანყებას; ხოლო თუ დაიწყეთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბოლოამდე უნდა მიხვიდეთ. ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა შეირაღებული აჯანყების მომზადებისა და ჩატარების კონკრეტული გეგმა. 110 დღის იადაკვეშეთის პერიოდში მან დაწერა 60-ზე მეტი სტატია და წერილი, რომლებშიც პარტია ხახელმძღვანელო მითითებებს იღებდა. ვ. ი. ლენინის წერილები რევოლუციის შესახებ განხილული იქნა ცენტრალურ კომიტეტში 1917 წლის 15 სექტემბერს, გადაწყდა, რომ ისინი გეგზავნათან განსახილველად ყველაზე მნიშვნელოვან ორგანიზაციებში. ბოლშევიკების პარტია, ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მითითებათა მიხედვით შეუდგნენ აჯანყების პრაქტიკულ მომზადებას.

1917 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში რევოლუციის განვითარება თავის გადამწყვეტ სტადიაში შეივიდა. დღის წესრიგში დადგა შეიარაღებული აჯანყების საკითხი. პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1917 წლის 7 ოქტომბრის ვ. ი. ლენინი ფინეთიდან არალეგალურად ჩამოვიდა პეტროგრადში. 1917 წლის 10 და 16 ოქტომბრის შედგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომებზე ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება, უაღლოს დღეებში დაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება. სხდომაზე შეიარაღებული აჯანყების ლენინური რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბოლოოდ ზინოვიევი და კამენევი. ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს მუშათა კლასს არა აქვს უნარი, განახორციელოს სოციალისტური რევოლუცია, ეს იყო სოციალიზმის ხაქმის დალატი. ტროცკი ხაბჭოების II ყრილობამდე მოითხოვდა აჯანყების გადადებას. ცენტრალურმა კომიტეტმა საკადრისი პასუხი გასცა კამე-

ტულანტებს. ცენტრალურ კომიტეტში განცდილი მარცხის შემდეგ ზნინოვიევმა და კამენევმა გაუგზავნეს გამცემლობა ჩაიდინეს: 18 ოქტომბერს მეზუნეკოვი გაზეთ „ნოვაია ჟიზნში" გამოაქვეყნეს ინტერვიუ იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები აზრადაც არ აყენებენ, როგორც ცენტრალურ კომიტეტის, ასევე ადგილობრივ ცენტრალურ კომიტეტის საიდუმლო გადაწყვეტილება აჯანყების მოწყობის შესახებ. ვ. ი. ლენინმა — „წერილში ბოლშევიკური პარტიის წევრებისადმი" და „წერილში რსდმპ ცენტრალური კომიტეტისადმი:" სამარცხვინო ბოძზე გააკრა ზინოვიევი და კამენევი, როგორც შტრაიკბრეხერები, რევოლუციის გამცემლები და მოითხოვა პარტიის რიგებიდან მათი გარიცხვა. ვ. ი. ლენინის ეს წერილები განიხილა ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადა კამენევსა და ზინოვიევს. მათ ალერძალთ პარტიის სახელით ყოველგვარი ხელარა გამოსვლა.

მიუხედავად ამ მძიმე ღალატისა, ვ. ი. ლენინი მტკიცედ იყო დარწმუნებული გამარჯვებაში. პარტიამ შეძლო, სოციალისტური რევოლუციის სახრძოლველად დაერაზმა ხალხის უზარმაზარი მასები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აჯანყების მოწყობისათვის დაგზავნა თავისი რწმენებიანები დონასაში, ურალში, ეროშტაკადში და სხვა ფიფმნიშვნელოვან ადგილებში. აჯანყების მოწყობის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, რომელიც მოითხოვდა, რომ აჯანყება აუცილებლად დაეწყოთ სამშაბათს II ეტაპის მოწვევამდე, რაც დახასიათი იყო 25 ოქტომბრისათვის. ვ. ი. ლენინი ცენტრალური კომიტეტის წევრებს 24 ოქტომბერს წერდა, რომ არავითარ შემოხვევაში არ დხუტოვონ ხელისუფლება ქერენსკისა და კომპანიას 25 ოქტომბრამდე. უეჭველად დღეს საღამოს, ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე. „ისტორია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაეგარკვათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაკარგონ. შეიძლება, ყველაფერი დაკარგონ" (თხზ. ტ. 26, გვ. 270). ვ. ი. ლენინი მოითხოვს თანახმად აჯანყება დაიწყო 24 ოქტომბერს სამშაბათის II ეტაპის გახსნამდე. ვ. ი. ლენინი 24 ოქტომბერს გვიან საღამოს მივიდა სმოლნნში და ხელში აიღო აჯანყების ხელმძღვანელობა. 25 ოქტომბრის დილით დროებითი მთავრობა დამბრალი იქნა. იმავე დღეს, დილის 10 საათზე, სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოუშვა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული მიმართვა „რუსეთის მოკალაქეებისადმი", რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დროებითი მთავრობა დამხობილია და სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სამშაბათ ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში. დამხობილი მთავრობის ხელში მხოლოდ ზამორის სასახლე დარჩა. ვ. ი. ლენინმა განკარგულება გასცა, იერიშით აეღოთ ბუფერუაზიული მთავრობის უკანასკნელი ბუნკერი. 25 ოქტომბერს ღამით ზამორის სასახლე დაეცა. კერენსკიმ თავს უშველა, ამერიკის ხელჩაჩის მანქანით გაიქცა. დროებითი მთავრობის წევრები, — მინისტრები, რომელიც ზამორის სასახლეში იმყოფებოდნენ, დაპატიმრებელი იქნენ. აჯანყებამ გიმარჯვა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე — 1917 წლის 25 ოქტომბერს საღამოს 10 საათსა და 45 წუთზე სმოლნნში გაიხსნა საბჭოების II ყრილობა, რომელშაც მთელ მსოფლიოს ამცნო რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რომ მუშებმა და უფარიბესმა გლეხებმა დაამხეს ბურჟუაზიის დიქტატურა და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა. საბჭოების II ყრილობამ მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ. ყრილობა წინადადებას აძლევდა მეომარ ქვეყნებს, დაუყოვნებლივ გამართულიყო მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის დადების შესახებ. იმავე ღამეს ყრილობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, რომლის მიხედვით მიწის მემამულეობა საკუთრება უქმდებოდა და მთელი მიწა გადადიოდა მშრომელი გლეხების ხელში. 26 ოქტომბერს ყრილობაზე შეიქმნა პირველი ხალხთა მთავრობა, — ხალხო კომისართა საბჭო, რომელშიც მთლიანად ბოლშევიკები შედიოდნენ. საბჭოსსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვ. ი. ულიანოვ-ლენინი.

პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სოციალისტურმა რევოლუციამ ტრიუმფალურად იწყო განვითარება მთელ ქვეყანაში. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე შედგრები მოკლე ხანში დამყარდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მას მეთაურობდა რუსეთის მუშათა კლასი, რომელმაც ყველა სხვა კლასზე აღრე შექმნა თავისი მარქსისტული პარტია. რევოლუციის გამარჯვების გადამწყვეტი პირობა ის იყო, რომ ხალხის მასებს მეთაურობდა ბოლშევიკების ნაცადი, მებრძოლი, რევოლუციური პარტია, რომელმაც შეძლო, გაეერთიანებინა და ერთიანი მიზნისაკენ — იმპერიალიზმის დასამხობად წარეგმართა ყველა ხელადასხვა რევოლუციური მოძრაობანი: საერთო-სახალხო მოძრაობა ზავისათვის და გლეხთა ბრძოლა მიწისათვის, რუსეთის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, და საზოგადოების წმაკვანი ძალის — პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან დასახა იმ ძირეული პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებიც მსოფლიო ისტორიის წარსული განვითარების მთელმა მსვლელობამ დაგვანა: საზოგადოების მომავლის, სოციალური პროგრესის ხასიათის, ომისა და ზავის, მსოფლიო ცივილიზაციის ბედის პრობლემები. ოქტომბრის რევოლუციამ გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება: დაადასტურა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია კაპიტალიზმის მსხვრევისა და სოციალიზმის დამკვიდრების გარდუვალობის შესახებ,; რევოლუციისა და ახალი საზოგადოების შენებლობისაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის ავანგარდული როლის შესახებ; პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მისი როლის შესახებ; ხალგების შესახებ, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა და ხალხის ნამდვილი ბატონობის, სოციალისტური დემოკრატიის ორგანოებია; მუშათა კლასის — სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი ძალის — ხელმძღვანელობით გლეხობასთან და მშრომელთა სხვა ფენებთან მისი კავშირის შესახებ; ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ; ეროვნული საკითხის გადაჭრის შესახებ; მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და კულტურული რევოლუციის განხორციელების შესახებ.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო და სამყოთა სოციალისტური სახელმწიფო, სადაც კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის განუხრელი გატარებით მოისპო მრავგრელთა კლასები, დამყარდა ადამიანთა ყოველმხრივი თანასწორობა და ნამდვილი თავისუფლება, მოიხსნა ეროვნული ჩაგვრა, გათავისუფლდნენ ჩაგრული ერები და ეროვნებები, შეიქმნა ერებისა და ეროვნებათა ერთიანი ძმური ოჯახი — სსრ კავშირი, რომელიც ახლა ოქტომბრის იდეების საფუძველზე წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. აი, ამაში მდგომარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, აგრეთვე, ის არის, რომ მისი გამარჯვების შედეგად კაპიტალიზმი უკვე აღარ არის ერთიანი, ყოვლისმომცველი სისტემა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო ძირეული გადატრიალება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, არამედ მთელი კაცობრიობის განვითარებაში. მის შედეგად უდიდესი გარდაქმნები მოხდა ჩვენს პლანეტაზე. ახასიათებდა რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალიზმისა და მისი კვალის მოსპობა, კომუნისტური წყობილების საფუძველთა შემოდება შედგენს მსოფლიო ისტორიის ახლახან დაწყებული ახალი ეპოქის შინაარსს". (თხზ. ტ. 31, გვ. 478). ეს სტატეგია დაიწერა 1920 წელს. ოქტომბრიანმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ლენინური წინასწარგანჭვრეტა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური ბანაკი. 70 წლის წინათ სოციალიზმს დედამიწის ტერიტორიის 16 პროცენტი ეკავა, რომლის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 7,8 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად სოციალისტურ სამყაროს ჩვენი პლანეტის ტერიტორიის 26 პროცენტი უკავია და მისი მოსახლეობა პლანეტის მოსახლეობის 35 პროცენტს შეადგენს. დიდმა ოქტომბერმა მძლავრი რევოლუციური იმპულსი მისცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ყველა რაზმს, დასახა კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გაშლის ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. ეროვნულ გამათავისუფლებელ რევოლუციათა ქარიშხალმა წალეკა კოლონიური სისტემა. 70-ზე მეტი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა ყოფილ კოლონიურ იმპერიათა ნანგრევებზე. კიდევ უფრო მძლავრი და ფართო გახდა კომუნისტური მოძრაობა. ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში მთელ მსოფლიოში იყო 400 ათასი კომუნისტი. ამჟამად 93 ქვეყანაში მოქმედებს კომუნისტური და მუშათა პარტიები, ხოლო მათი წევრების რიცხვი 80 მილიონზე მეტია. ეს მბრძოველი პარტიები, მოიცავენ რა დედამიწის ტერიტორიის მესამედს, ყველაზე თანმიმდევრულად იცავენ მშრომელთა მასების, თავიანთი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს და დემოკრატიის სოციალიზმისა და შშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამ სათავე დაუდო ისეთი საზოგადოების არსებობას, რომლისთვისაც პრინციპულად უცხოა ომები. მშვიდობისათვის, ომების თავიდან აცილებისათვის ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება გახდა. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი პარტია და სახელმწიფო თანმიმდევრულად ატარებს მშვიდობისმოყვარეულ პოლიტიკას, მისი განხორციელებისათვის ბრძოლას ახმარს ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ავტორიტეტს. მთელ საერთაშორისო გავლენას. ამას გვიჩვენებს დიდი ოქტომბრის იდეები.

შვიდი ათეული წლის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა მთელი პლანეტის სახე, შეიქმნა და განმტკიცდა სოციალისტური ქვეყნების მომძე ხალხების მსოფლიო თანამეგობრობა, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკის წამყვანი ფაქტორი გახდა. დიდი ოქტომბრით დაწყებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოავიხუფლებელი რევოლუციები, — აღნიშნა ამბ. მ. ხ. გორბაჩოვმა პარტიის XXVII ყრილობაზე. — განსაზღვრავენ XX საუკუნის ბერსახეს. ჩვენი დროის პროგრესს ხამრთლიანად აიგიენენენ სოციალიზმთან. მსოფლიო სოციალიზმი — ეს არის ძმადავრი ხალრთაშორისო წარმოებაკმნი, რომელიც ეურდნობა დიდად განვითარებულ ეკონომიკას. სოციალურ მეცნიერულ ბაზას, საიმდო ხამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს. ეს არის კაცობრიობის მესამედზე მეტი, ათობით ქვეყანა და ხალხი, რომლებიც ადამიანისა და ხაზოგადოების იმტელექტუალურ და ზნეობრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივი გაფფრჩქვნის გზას ადგანან. ერთი სიტყვით, მსოფლიო სოციალიზმი ძმძავრ მორალურ და მატერიალურ ძალად გადაიქცა და გვიჩვენა, რა შესაძლებლობანი ისახება თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე. ოქტომბრის რევოლუციამ ხამყაროს რევოლუციური განვითარების გზა დასახა, რაც მას მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

70 წლის მანძილზე დიდი ოქტომბრის ხამშობლომ — სსრ კავშირმა ხაუკუნეთა ტოლი გზა განვლო. ჩვენი ქვეყანა პირველია, სადაც სოციალიზმი პრაქტიკულად განხორციელდა. ოქტომბრის გამარჯვებამ დაამკვიდრა ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ისტორიულად უმაგალითო ხაფუძვლები: მშრომელთა ძალაფლება — პოლიტიკაში, წარმოების ხაშუალებათა ხაზოგადოებრივი ხაკუთრება — ეკონომიკაში, კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება — ადამიანთა ურთიერთობაში. ეს რევოლუციური გარდაქმნები ჩვენი ხაზოგადოების თავი და თავია, მისი ძლიერების უშრეტი წყაროა. ეს მოგვცა დიდმა ოქტომბერმა.

ოქტომბრის რევოლუციამ, სოციალიზმმა ჩვენს ხამშობლოს თავიდან აიცილა ბევრი სენი და უბედურება, რომლებიც დღემდე ხიცოცხლეს უწამლავენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხებს. ჩვენში მშრომელი ადამიანები სოციალური უშიშროების პირობებში ხვალინდელი დღის რწმენით ცხოვრობენ. სწორედ ამისათვის მოხდა ოქტომბრის გადატრიალება, ამისათვის არხებობს სოციალიზმი.

70 წლის მანძილზე, სოციალიზმის მშენებლობის დროს, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა ძმძავრ ინდუსტრიულ ხახელმწიფოდ, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი აქვს. მიღწეულია მასების განათლებისა და კულტურის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე, ამალლდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ეს არის დიადი ოქტომბრის შედეგები. ამაშია ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მშრომელ ადამიანს მიანიჭა რეალური უფლებები და თავისუფლება, დაამკვიდრა ცხოვრების დემოკრატიული ფორმა. ახლა არის ყველა წანამძღვარი დემოკრატიისა და ხალხის ინიციატივის მაქსიმალური განვიხორციელებისათვის. დიდმა ოქტომბერმა ხაფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ ხაკითხის გადაწყვეტას. დამკვიდრდა ხალხთა თანასწორობა და მათი ძმური ურთიერთობა. შეიქმნა ერთიანი ხაბჭოთა ხალხი. სსრ კავშირის ხალხებს აერთიანებთ სოციალისტური ინტერნაციონალიზმი და ხაბჭოთა პატრიოტიზმი. ეს მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ. ამაშია მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

XXXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებათა მიზანია, დაეჩქარონ ჩვენს ეკონომიკურ-სოციალური განვითარება, ხაბჭოთა ეკონომიკა ავიყვანონ მსოფლიოში ეფექტიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმაღლეს დონეზე. ამით გაფართოვდება ის ბაზა, რომლის ხაფუძველზე გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა და ყოველმხრივ განვითარდება ხაზოგადოების ყველა წევრი, სრულიად დაკმაყოფილდება ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ჩვენი ქვეყანა რევოლუციური ნაბიჯით მიიწევს წინ. ყველგან და ყველაფერში მოძრაობს, ძიებს, განახლების აღმოსფერო სუფეთს. ქვეყანაში გაჩაღებული გარდაქმნა, რომელიც თავიანი არსით რევოლუციურია, აჩქარებს სოციალისტური ხაზოგადოების პროგრესს. ჩვენი ქვეყანა ღირსეულად განაგრძობს ოქტომბრის რევოლუციურ ხაქმეს.

ოქტომბრის დროშა მშვიდობისა და ადამშენებლობის დროშაა. ოქტომბერი ხამყაროს რევოლუციურად გარდაქმნის ჩაუქრობელი შუქურაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ენვერ ნიჟარაძე

### ანტონიო გაუდი ი კორნეტი — მარტოხელა გენიოსი

ანტონიო გაუდი ი კორნეტი,
არქიტექტურის ჯადოქარი,
მარტოხელა გენიოსი
და მეამბოხე,
დიდი დონ- კიხოტ ლამანჩელის
სისხლი და ხორცი,
აუჯანყდა ერთ მშვენიერ დღეს
არქიტექტურულ მოდას დროისას.
სწორი ხაზის და სწორი ფორმის
გეომეტრიას,
გველეშაპივით რომ ჩაყლაპა
ბაროკოს სტილი.
მას ეყო ნიჭიც, სითამამეც
და ვეჟაცობაც,
მოძალადისთვის ხელთათმანი
ესროლა მტკიცედ.
და თიხისაგან გამოძერწილ
უცხო ფორმებით,
სირთულის გამო
ქაღალდზე რომ ვერ გადაჰქონდა,
გამოიწვია საუკუნე დუელში მარტომ.
მეტად უცნაურ, ელვასავით
დაკლაკნილ ხაზებს,
როგორც წყალს ჭიდან,
ისე ხაპავდა,
ხაპავდა, მაგრამ არ ელეოდა
ფანტასტიური აზრი და ხილვა,
მრუდე ხაზები,
ელიფსები
და ოვალები
ერთმანეთში გადადიოდნენ,
როგორც ჯუნგლებში ინლართებიან
ლიანის მსხვილი ღეროები,
ანდა რვაფეხას საცეცები
ძალზედ მოქნილი და დაღვარჭნილი.
მაშინ, როდესაც სწორხაზოვან
გეომეტრიას
დაკომპლექსებულს სიდიადის
მტანჯველ მანიით,
მთლად მიავიწყდა ადამიანი
თავისი ფიქრით და საწუხარით,
სიმყუდროვისაკენ, სითბოსკენ
ლტოლვით,
გაუდიმ ჰიმნი უგალობა
ადამიანებს.
მათი ცხოვრების სილამაზეს
და ჰარმონიას.
ანტონიო გაუდი ი კორნეტი,
არქიტექტურის დიდი პოეტი,
რკინა-ბეტონის ყრუ და გულქვა
საუკუნეში,
მოწამეობრივ თავგანწირვით
და დაჟინებით
ერკინებოდა ტრაფარეტს
და ერთფეროვნებას.
იმისი რითმა,
მეტაფორა
და ეპითეტი,
ქვა, ხე,
მინა და ცემენტი იყო.
ამათგან ქმნიდა თავის შედევრებს.
იგი გასული საუკუნის
დამლევს შეუდგა
წმინდა ოჯახის ტაძრის შენებას.
საქმეს იმდენად განსაცვიფრებელს,
რომ ორმოცდაორ წელიწადში,
სიკვდილის დღემდე,
ერთი ფასადი მოასწრო ძლივსღა,
დიახ, საგრადა ფამილია
შედევრია და
უცნაურობის ღიესასწაული.
აქ მინდა, წუთით გადავუხვიო
და აღუვლინო ქებათაქება
ყველას, ვინც მუხთალ წუთისოფელში
ფარას ცხვარივით კი არ გაჰყვა
უკან, არამედ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინ აღუდგა ძალმომრეობას,
და ერთადერთი, გატკეპნილი
სავალის გვერდით
თანამოძმეებს სხვა გზაც უჩვენა.

1982 წელს, ივნისის თვეში,
ორმოცდახუთ გრადუს სიცხეში,
ბარსელონაში,
როცა გაუდის ტაძრის წინ ვიდექ,
გაოგნებული ეფიქრობდი ჩემთვის:
რომ შეიძლება, ადამიანმა
მისი სიცოცხლის მთავარი საქმე
არ მიიყვანოს ზოგჯერ ბოლომდე.
თუ იგი ისე დადია,
ვით ესპანელი ჯადოქარი.
და მის ნაფიქრალ, ნაფერებ და
ნალოლიავებ
საქმეს ახალი ჯადოქრები
გააგრძელებენ.

## კაცი და ქალი

წვიმს, ხუთი დღეა, ზღვაზე ზედიზედ;
უამინდობამ დადალა თვალი,
სანაპიროზე ერთმანეთისკენ
მიაბიჯებენ კაცი და ქალი.

გაბრდღვიალებულ ზურმუხტს და
მარჯანს
თითქოს სისველით შეცვლიათ ფერი,
ძეხორციელი ირგვლივ სხვა არ ჩანს,
ქარი ცრემლიან სიმღერას მღერის.

წყალში ჩახერგილ ბეტონის ლოდებს
ასკდება მკერდზე ზვირთების ღვარი,
ახლა გრიგალებს ახარებთ ოდენ
მთელ ცისქვეშეთში წვიმა და ქარი.

ჰა, შეიყარნენ პირისპირ, ლამის
გულების მძაფრი მოესმათ ძგერა,
და ქუში სივრცე თითქოსდა წამით
აანთო ქალის ელვარე მზერამ.

— რა ამინდია, ა? — კაცმა მყისვე
ახლობელივით გაანდო დარდი,
— ცუდი, — თქვა ქალმა და თვალებს
ცისფერს
ჩამოაფარა წამწამთა ჩადრი.

— მე წვიმა მთრგუნავს და მამღვრევს
ნავსად,
მზე კი ღვთაებრივ სიმშვიდით მათრობს,
— მეც მზეს დავეძებ, არ შიყვარს
თავსხმა,
ოღონდ ღელვას და ფორიაქს ვნატრობ.

კაცის ხმა თითქოს გააპო ბზარმა:
— ძალიან მწყინს, რომ ვერ ვივლით
ერთად,
— რას იზამ, — ქალმა მიუგო წყნარად
და გაჰყვნენ ისევ ზღვის ნაპირს კენტად.

სველ სილას ორი დაჩნდა კვალი,
შორი გზა ედოთ ჯერ კიდევ მზემდე,
დაშორდნენ ერთურთს კაცი და ქალი
და შე არ ვიცი, რა მოხდა შემდეგ.

მაგრამ მე მჯერა, ნაღვლიან ცაზე
მზე აღმოხდება და შეცვლის წვიმებს
და უსათუოდ, ამხელა გზაზე
დაემგზავრება ორთავეს ვინმე.

მარტო ვერცერთი ვერაფერს შეძლებს,
თუ თბილი ხელი არ იგრძნო ხელმა,
მით უფრო, ქვეყნად რამდენი ეძებს
მზეს, სიმშვიდეს და ვნებათაღელვას.

## ამაოდ ვუცდიით

ამაოდ ვუცდით
დღეს ტიტანებს,
ჩვენი შეშლილი
დრო, სამწუხაროდ,
დაავადდა
თითქოს სკლეროზით.

უკვე წავიდნენ,
რა ხანია,
დანტეც,შექსპირიც,
თვითონ გოეთეც,
რუსთაველიც
და ჰომეროსიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამარადისო
    სავანეში
    აზრთა ქაოსი
ვერაფერს აკლებს
    დიად სულებს
    ერთად მყოფელთა.

მხოლოდ იქ სუფევს
    ჰარმონია,
    რადგან ფაუსტი
იქ ვერასოდეს
    ვერ თანხმდება
    მეფისტოფელთან.

## ვაშლის ყვავილობა

ვაშლის წარმტაცმა ყვავილობამ
კვლავ მომაგონა
ძველთაძველი ჩემი სოფელი,
თეთრი ქედების უნაგირები
და ჩანჩქერების მბზინავი ვერცხლი.
სვანური კოშკია გვერდით
მომცრო, ფერადი ბაღი
და ბაღში კორდზე გაჭიმული
ძველი ჰამაკი.
მე იმ ჰამაკში ვირწეოდი
ხოლმე ნებივრად
და რტოებს შორის
გაელვებულ მზეს გავყურებდი.
ჩემს წინ კი, ახლოს,
ისე, როგორც მთაში სჩვევია,
ნაგვიანევად ყვავილობდა
პატარა ვაშლი,
ის არც თუ უხვად მსხმოიარობდა.
მწიფე ნაყოფსაც
ოდნავ მჟავე დაჰკრავდა გემო.
მაგრამ, ო, ნუთუ
დედამიწაზე
სადმე სხვა ჯიშის ხეც
ყვავილობს ისე ლამაზად,
როგორც ლატალში
იპენტებოდა
როსმე ნახევრად ველური და
ჯუჯა ვაშლის ხე.

## საღამო

სადღაც შიმწუხრის რეკავენ ზარებს.
გარეთ სულ უფრო უმატა თოვას.
თოვლში ჩაეფლო და ჩაქრა მთვარე
და ფიფქებს ფრთებით სიმშვიდე
    მოაქვთ.

მეძახის სუფთა ფურცელი — ჩქარა.
ქაში დაუდგა ხილვებთან ლაცავს,
ბუხარში კუნძი შიშინებს წყნარად
და საცეცხლური ივსება ნაცრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზვილი

კარგია, როცა იღვიძებს დილით
ზვილი,
პატარა, კარდისფერი ზვილი.
და თუმცა ღამით გამიტეხა ძილი,
ახლა ისეთი წყნარია,
ისეთი ჩრდილი.

საუზმეს მიირთმევს ბოთლით.

აგვისტოსავით სავსე ვარ სითბოთი,
ის ნორჩია, როგორც მარტი,
აქვს ორმატი,
როგორც ყოლოს,
ბოლოს და ბოლოს,
როგორ გაჩნდა ასეთი სრულყოფილი!?

ორი ხელი აქვს — თოლიასავით თეთრი
და ფრთხილი,
თითებზე — ვენეციური შუშის ეთი
პაწია ფრჩხილი,
ორი მძივივით თვალი, ყურები —
ზღვის ნიჟარებივით დიდი,
კბილების ნაცვლად ორი მჭრელი
ალმასი აქვს,

ახლა ისეთი ღამაზია,
ისეთი მშვენიერი

დილით პატარა ზვილი
თბილია, როგორც ახალი პური,
უმანკოა, როგორც ცვარი ციური,
უმწეო, როგორც აშვებული ტივი,
თვით სამყაროსავით რთულია და
მარტივი.

გაათავა. მომაწოდა ბოთლი.

აგვისტოსავით სავსე ვარ სითბოთი.
იგი თავნებაა, როგორც მარტი,
აქვს ორმატი,
როგორც ყოლოს,
ბოლოს და ბოლოს,
ის უარყოფა ჩემი.
მან დამაკოწყა ყველაფერი.
ალარც კერპია ჩემთვის, ალარც
საფიცარი,
ალარც წიგნია ჩემთვის, ალარც ძილი.

მაინც როგორ გაჩნდა ასეთი საოცარი,
ასეთი ტკბილი?!

●

თქვენს გვერდით რომ ვარ —
მეუფლება
ისეთი კღემა,
რომ სუნთქვა ჩემი — გაფითრებული
ტუჩებზე კვდება.
ძძიმე ფარდებში იმალება
ქარის აჩრდილი.
ხე ფანჯარასთან დგას მუდარით
ტოტებგაწვდილი.
ყველგან მომყვება ულმობელი,
ვით ბედისწერა,
მკაცრ წინაპართა პორტრეტების
დაღლილი მზერა...
იცით, რატომ ვარ თქვენთან ასე
გაუბედავი —

მე ვნახე, როგორ ჩამოილრჩო
თქვენს ბაღში თავი
ცისფერ შიხაკზე ანგელოსმა,
როდესაც დილით
იხილა, თურმე ლაფით ჭქონდა
ფრთები მოსვრილი...
დიახ, მეც თქვენთან — მეუფლება
ისეთი კღემა,
რომ სუნთქვა ჩემი — გაფითრებულ
ტუჩებზე კვდება
და მეჩვენება, რომ სიტყვები
უფასურდება
და თქვენს მახლობლად არსებობის
არ მაქვს უფლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წერაა თუ ბედი?

ჭიშკარი გაიღო.
არავინ შემოდის.
თუ ეშინია
ფეხის შემოდგმის?
მობრძანდი, ეს სახლი
შენიც იქნება,
აქ გელის ნანატრი
სითბო და დიდება.

მთვარე ჭრება და
ღამე ინთება.
იშლება სიბნელე
უგრძელეს თითებად.
ჭიშკარი ქანაობს,
გზა ფეხქვეშ ეგება...
წერაა იქნება,
ბედია ეგება?!

## სიმარტოვე

როცა სახლიდან ხმაური გადის
და მარტო ვრჩები,
გარეთ მიფრენენ ჩიტებივით
ოთახის ხმები.

თბილი სიმშვიდე და სიმყუდროვე
დგება ბუნაგის
და სიმარტოვე მაშინ, როგორც
კატა მსუნაგი,
მომეპარება, დამყნოსავს და
დამადებს თითებს,
მერე, მთქნარებით, ჩემს საწოლში
მოიკალათებს.

## ერთ ცხოვრებას რომ გაუგო

ხელისფათურით მოვძებნი ასანთს,
სანთელს ავანთებ, ჩირაღდანს არა.
ერთი ცხოვრების გასანათებლად
ერთი სანთელიც სავსებით კმარა.
ბილიკს გავყვები, ბალახს უთიბველს.
ბილიკს გავყვები, დიდ შარას არა,
ერთი ცხოვრების გასათელავად
ერთი ბილიკიც სავსებით კმარა.

სიხარულის წვეთს დავეწაფები,
ხოლო თასებით მორთმეულს — არა,
ერთი ცხოვრების გასახარებლად
პატარა წვეთიც სავსებით კმარა
ტკივილის კუზსაც არაფრად ჩავთვლი,
მე უფრო დიდმა ტანჯვამ მომხარა,
ერთ ცხოვრებას რომ გაუგო რამე,
ერთი ტკივილი არაფრით კმარა.

## და უკვე ვიცი

ჯერ არ ავსულვარ გორაკზე, ზევით,
და უკვე ვიცი, იქით... ველია,
ვერხვი დამხვდება ტოტების რხევით
და ყვავილებიც წითლად მელიან.

ვერხვს იქით ტბაა ლურჯი და ცივი,
შიგ თევზის ტანი ვერცხლივით ელავს
და ჩვენს შეხვედრას უცხო კაცივით
ცის სიშორიდან შესცქერის ძერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჩოხელი

# მგელი

## რომანი

ერთ კვირას შორიახლო უტრიალებდნენ ბალღები დაკრილ ძაღლს. შორიდან პურს უყრიდნენ, ის ჯერ უყეფდა, მერე თანდათან მიეჩვია და კუდის ქნევას მოჰყვა.

წამოდგომაც შეძლო და ხანხალით აედევნა ბალღებს.

მთელი სოფელი უვლიდა.

ყველას ეცოდებოდა.

რომ გამორჩა, ღამის დარაჯად ჩაუდგა სოფელს.

ლადუკი აითვალწუნა. იმან კიკიდევ დააპირა თოფის სროლა, მაგრამ ჯღუნამ უთხრა წყენით:

— შენ ისიც გეყოს, ცხენი რომ შეჭამეს მგლებმა.

გაიარა ზამთარმა.

დადგა გაზაფხული.

მოუსვენრობა დაეტყო ძაღლს.

ახლა ის ყოველდღე ერთსა და იმავე გორზე იყო ჩამოსკუპებული და გაჰყურებდა საზამთრო საძოვრებისაკენ მიმავალ გზას.

ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე ცხვრის ფარა გადმოსასვლელზე და ძაღლი გარბოდა იმათ შესახვედრად.

ღამღამობით ისევ სოფელს ყარაულობდა.

დღისით ისევ გორიდან გაჰყურებდა გადმოსასვლელს.

ერთ დღეს ლუკა და სამი-ოთხი ბიჭი ხბოებს აძოვებდნენ სოფლის განაპირას.

ნისლიანი, ცრიატი დღე იდგა.

უცებ ხბოები დაფრთხნენ.

ხევის მხრიდან წამოექნია მგელი და ლუკას ხბოს ყელში გაება.

გორიდან ძაღლი დაეშვა ყეფით და ეცა მგელს.

მგელმა ხბოს თავი ანება და შეება ძაღლს.

ტოტებზე დგებოდნენ.

წინა ფეხებს ერთურთში ხლართავდნენ და თავდაყირა გადადიოდნენ.

მგელმა რეგორღაც მოახერხა და მთელ სიგრძეზე გამოუფატრა ძაღლს მუცელი.

ამასობაში სოფლიდან მორბინა მეორე ძაღლმა და ახლა ის ეცა მგელს.

მგელი ციბრუტივით ტრიალებდა.

მუცელგამოფატრულ ძაღლს ნაწლავები მიწაზე დასთრევდა, მაგრამ მაინც ეხმარებოდა მეორე ძაღლს მგლის დახრჩობაში, კბილებით ყელში ჩაჰფრენოდა მგელს და ახრიალებდა, არ უშვებდა.

ბოლოს უსულოდ დაეცა მგელი.

ძაღლმა მიწაზე გაითრია ნაწლავები და იმ ამოჩრმებულ გორისაკენ წალასლასდა.

სწორედ ამ დროს ჩამოიარა ცხვრის ფარამ. ერთი მწყემსი ძაღლს დააკვირდა და გაიკვირვა:

— ე, ჩემი ძაღლი!

ძაღლი ჯერ ვერ ხედავდა, ეტყობა, ტკივილმა დაუკარგა მხედველობა.

— ე, ღინჯო, მოდი აქ! — დაუძახა მწყემსმა.

ძაღლმა პატრონის ხმა გაიგო და

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 8, 9, 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამოლასლასდა, მიწაზე გამოითრია ნაწლავები.

— ე, რა დაგემართა, შე ტიალო?

— მგელმა გამოფატრა, — უთხრა მწყემსს ლუკამ.

ძაღლი მოვიდა და უნდოდა, პატრონს ფეხზე აჰკვროდა, მაგრამ იმან გადმობრუნებულ სისხლიან ნაწლავებს რომ შეხედა, ფეხი წაჰკრა:

— გაიწი იქით, ე მაგიტო დარჩი აქა, რო მგლების ლუკმა გამხდარიყავი, მე შენი!

ძაღლმა დაიწკმუტუნა.

ფარა წავიდა.

წავიდა მწყემსიც.

ძაღლი ერთხანს კი მიჰყვებოდა მოშორებით ცხვრის ფარას, თან ნაწლავებს მიითრევდა ქვებზე, მერე სიარული ვეღარ შეძლო და დაეცა.

იმ დღიდან სჯერა ძაღლების ერთგულებისა ლუკას და ახლაც იმედმოცემული მიჰყვება თევდორეს ძაღლს. გრძნობს, როგორ მოუთმენლად ელოდება თევდორე მათ დაბრუნებას. ალბათ, გულმა უგრძნო, რომ შეიძლება ისევ მგლებს გადაჰყროდა გზაზე ლუკა და აუშვა ძაღლი, რომელიც იმწუთას მიხვდა პატრონის გუმანს, თანხმობის ნიშნად კუდი გააქნია და აედევნა ლუკას ნაკვალევს. თევდორეს შეიძლება აღარც კი უფიქრია, რომ ლუკა უკან მობრუნდებოდა, იქნება მიხვდა კიდევაც, რომ შიშმა გააქცია აქედან. გული კი დასწყდა, რომ არ ენდნენ, მაგრამ მაინც შეეცოდა ბიჭი, ცოტა ხანს ფანჯრიდან გაჰყურებდა ლუკას ნაკვალევს, მერე დერეფანში გამოვიდა, ძაღლი აუშვა, ნაკვალევთან მიიყვანა და ანიშნა, გაჰყევი, მგლებმა არსად შეჭამონ გზაზეო.

„თუ ძაღლიც მოჯადოებულია?“

არა, არა! ძაღლს იმდენად სწამს ადამიანი, რომ არ შეიძლება მასზე ასეთი ფიქრი, ის კი არა, იმის პატრონზეც აღარ შეიძლება ასე დაუნდობელი და ეჭვიანი ფიქრი.

„ვაითუ?“

ძაღლი ისე ერთგულად მიაღევებს მკერდით თოვლს, ისევ გადაეყრება ლუკას ეჭვები გულიდან. ისევ გაახსენდება წუხანდელი მგლების რკალი და თევდორესადმი მადლიერების გრძნობით აივსება. ხალისიანად მიჰყვება ძაღლს უკან და უხარია, რომ დაბრუნდა თევდორესთან.

წყურვილი იგრძნო.

თოვლი აიღო და პირში ჩაიყარა.

თოვლს რა გემო უნდა ჰქონდეს, მაგრამ ახლა ლუკას თოვლიც ეგემრიელა.

აღმართს მიჰყვებოდნენ ზემოთ.

მგლები უკვე აღარ ჩანდნენ და ძაღლიც აღარ უყეფდა მათ.

ცოტაც აიარეს და მიადგნენ თევდორეს სახლს.

სახლის აქეთ გამოეგება თევდორე.

— მოხვედი, ლუკავ? — ისე ალალად ჰკითხა, თითქოს თვალს არ უჯერებდა, რომ ლუკა მართლა დაბრუნდა.

— მე კი მეგონა, სულ გამექეცი.

— არა, თენება რომ დაიწყო და აღარ თოვდა, ვიფიქრე, კარიდან რომ გავიდე, ძაღლი დაიწყებს ყეფას და ძია თევდორეს გაეღვიძება-მეთქი. — იცრუა ლუკამ.

— აბა, ესეთ დროს გზაზე შედგომა ვის გაუგია, ლუკავ, არ იცი, როგორი საზოვეებია? ძაღლიღა გამოგაყოლე, მე, რატომღაც, ვერ ვგრძნობდი ამ დილით თავს კარგად, მოტეხილი ჯანიღა მაქვს გარეთ წაწწალითა და ყინულებში გდებით. დილას აქეთია, თქვენ გზას გამოვყურებ; დაილოცოს წმინდა სამება, რომ ხიფათს არას გადაეყარე, წამო, წამო, ცეცხლი დავანთოთ, თანაც მოგშიოდა, — თევდორემ ლუკას მხარზე წამოარტყა ხელი და წინ გაიძღოლა.

— სად დაგწია? — ჰკითხა თევდორემ.

— სოფლის აქეთ რომ გორი ჩამოსდგამს, იმას ვუახლოვდებოდი, გავიხედე და, მგლები არ არიან ზედ ჩამწკრივებულნი! ისხდნენ და მელოდებოდნენ. აღარ წავსულვარ, თოვლში ჩავჯე-

ენ. ეტყობა, ძაღლს ხელავდნენ და ვერ გაბედეს ჩამკენ წამოსვლა.

— მიგრძნობდა გული, განა არა, ალბათი ვგრძნობდი, სადღაც ახლოს დაწყნარებენენ. მაგალ სიახლოვეს ყოველთვის მიგრძნობს გული. ის კი არა, ხალაში ვეღარ ვჩერდები, გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, აეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე. ერთხელ ქალაქში ვიყავი, კინაღამ გადავირე, სოფელში ცოტა ხალია და ისე არ იგრძნობა, ქალაქი სავსეა მგლებით. სადაც კი წავსულვარ, მთელ ქვეყანაზე მგლის სუნი ტრიალებს. მე ხო მარტო მგლობა მჭოლდა მოსჯილი და იმათ, ვისაც კაცის სანდა მოსჯილი და ამათ, ვისაც კაცის ხალიში ეაღრში უშვებდნენ, ზოგს რა ჰქონდა დავალებული და ზოგს რა. აი, ეგეთი მგლები დაწყნარებენ და ნადირობენ. შენ რო კეთილ საქმეს აკეთებ, ლუკავ, ეს მგლები იმდენს. ეცდებიან, ისე გაძვრებ-გამოძვრებიან რო, შენ კეთილ საქმეს ავად მოაჩვენებენ ხალხს თავისნაირ მგლებს. შენზე დაგეშავენ და სისხლს გამოგწოვენ. თვითონ მგლის სული უდგაფ და კარგს ვერაფერს აკეთებენ, აბა, მგლისაგან როგორ გამოვა ადამიანური. შენი კი შურთ, შურთ და თანაც დავალებული აქვთ, ყელი გამოღიდრონ კეთილ საქმეს. ამისთვის იშვილებენ ყველანაირ კანონს და გაჰყმუიან: — „ამიტომ და ამიტომ, ამას და ამას, მიესჯოს ესა და ეს!“ ხალხი ცხვარია, ლუკავ. როგორც კი მგლის სუნს იკრავს, ფრთხება, მიდ უმეტეს, თუ სინათლე არსაიდან ჩანს და სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე. წამო, წამო, ცეცხლი დავანთოთ, ლუკავ, სუ დასველებულხარ.

თევდორემ ცეცხლი ანთო.

ლუკა ღუმელს მიეფიცხა.

თევდორემ ისევ გამოიტანა შიგნითა ოთახიდან სამფები ტაბლა, რომელზეც ყველი, პური და თაფლიანი ხის ჯამი იდო.

— ერთხელ, შავ შუაღამეში, ფარას დავესხით, ლუკავ, — წამოიწყო თევდორემ და თვითონაც ცეცხლს მიეფიცხა. — ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. დავეცეით თუ არა, დაფრთხა ფარა. ფარეხს ერთი მხრიდან დიდი უფსკრული ჰქონდა. ერთმა ცხვარმა რომ ისკუპა იმ უფსკრულში, დანარჩენებიც სულ იმას მიჰყვნენ უკან. მწყემსები წინ გადაეღობნენ, ყვიროდნენ, აქეთ ერეკებოდნენ, მაგრამ არა, ერთი რომ გადახტა, უკლებლივ გადაჰყვა ყველა. ჩვენ გალმა მთაზე ავცავოდით და აქედან კარგა ხანს გამოვყურებდით ამ საცოდაობას. მეორე დღეს, ღამის უფსკრული იყო ამოვსებული, იმდენი ცხვარი იყო შიგ ჩაჩეხილი. უზარმაზარი თოვლის ზვავი გეგონებოდა. მწყემსები იდგნენ უფსკრულის თავზე, ჯოხებს დაჰყრდნობოდნენ და საცოდავად გადაჰყურებდნენ გადაჩეხილ ფარას.

ზოგიერთ მგელს ისიც კი აქვს დავალებული, რაც შეიძლება მეტი ქმრიანი ქალები აცდინოს. ესეთები მოდებულნი არიან ქალაქსა და სოფელს, ამრავლებენ თავის ჯიშს, მძუნაობენ და რაყნიან ქვეყანას. ასეთი მგელი მივა, აეგლისება რომელიმე ქალს, იმის გარშემო დაიწყებს წანწალს და თვალებშიც ენების წყალს ჩაიყენებს. ამათ ქმრიანი ქალების შეცდენის სხვადასხვანაირი მეთოდები აქვთ: ქრთამი, სამსახური, ფული და, ვინ იცის, რა ხერხს არ ხმარობენ, ამძუენებული ქალები სუნზე გრძნობენ ასეთ მგლებს და მიჰყვებიან იმათ ნებაა-სურვილს, ენებამორეულნი ძრს უგორდებიან და იმათ მგლურ ყმუილს აყოლებენ თავიანთ კრუსუნს. ამაგან იბადებიან ნაბუშარი მგლები, ხოლო ქალი, რომელმაც მგელთან უღალატა ქმარს, მოაწოვებს თუ არა შვილს ძუძუს, ამით მგლებს უწევს სამსახურს, მგლებს ამრავლებს ქვეყანაზე. დორანისხევლებს დანგრეული და უნამუსო ოჯახები უფრო ხელს აძლევენ, ვიდრე მტკიცე და ხმაშეწყობილი. ნამუსახდილ ოჯახში უფრო დაიბადება და გაიზრდება მომავალი მგელი. ასე მტკიც-

---

**გოდერძი ჩოხელი**

**მ გ ე ლ ი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და მრავლდება მგლების საზოგადოება.

თან არც გული მინდა გაგიტეხო, ლუკავ, მაგრამ რაც ჩემი თვალით მინახავს და ალღოთი მივხვედრივარ, იმას გეუბნები.

მგლებთან ხმაშეწყობილი ქალები დორაისხევშიც მოჰყავდათ ხოლმე მბრძანებლებისათვის. იყო დრო, როცა ერთმა დორაისხეველმა თითქმის ხელში ჩაიგდო მთელი დორაისხევის ძალაუფლება და თავისი მგლური საქმეებით მოგვაოხრებინა მთელი ქვეყანა. იმისი ნება-სურვილით ინგრეოდა ათასობით ოჯახი. დაწანწალებდნენ მგლები და, სადაც კი ქალი მოეწონებოდათ, დორაისხევში მიჰყავდათ თავიანთი მბრძანებლის ენების დასაცხრობად. ხალხს ღამღამობით ძილი აღარ ეკარებოდა მგლების შიშით. დორაისხევში გახშირდა სამსჯავროები და დამსმენს დამსმენზე გვიმტვინავენ ჯოგში. ახლა უკვე თითოეული ჩვენთაგანი თავისი ტყაევის გადარჩენაზე ფიქრობდა და თუ აქამდე შესაძლებელი იყო წინამძღოლზე თავდასხმა, ახლა ასეთი რამის გულში გაგლებაზეც კი გვაკანკალებდა. ოვიეთინ დორაისხეველ მბრძანებლებს ეშინოდათ ერთიმეორის.

მაშინდელი შიში დღესაც გამომყვა, ლუკავ. ხო უკვე ადამიანი ვარ, მაგრამ ხანდახან ის დრო გამახსენდება და შეკერთები ხოლმე.

ეეხ, რამდენი ცოდვა ჩამიდენია მეც, ხანდახან ისეთი რამ გამახსენდება, ცხრო

დაუკლეს გოგიას. იმოდენა ცხვრის პატრონი კაცი იყო და უსამისკრავოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

მერე კულაკობაც დაიძახეს და რამდენიმე კაცი დადიოდა სოფელ-სოფელ. თუ ვისმე ორი ქვაბი ჰქონდა, ერთს არ-თმევდნენ. ზოგმა მოასწრო და სარჩო ტყეებში გადამალა. მოენეები ჰყავდათ, იმათ უკლებლივ იცოდნენ, სახლში ვის რა ჰქონდა.

როდის ეს ამბავი იყო და, მაშინ გადამალული მატყლი, ხუთი წლის წინ-ღა იპოვეს ხიზანიანთ.

ეგენიც მცხოვრებელი ხალხი იყო.

მაგათი ცხვარ-ძროხაც მიწას უმძიმდა.

კულაკობა რომ ჩამოვარდა, მაშინ ღამ-ღამობით თურმე ტყეში გაჰქონდათ მატყლი და იქ მალავდნენ.

კულაკობამ რომ ჩაიარა, მოიკითხეს.

ვეღარ ნახეს მატყლიანი ტომრები იმ სამალავში.

ჯერ ჩუმად ეძებეს.

მერე თანდათან გამოაშკარავეს.

ხან ვიზე ჰქონდათ ეკვი, ხან ვიზე.

მერე მიავიწყდათ კიდეც.

ბევრი ისეთი კაციც წავიდა ამ ქვეყნიდან, ვისაც იმ მატყლის მოპარვა ჰბრალდებოდა.

ხუთი წლის წინ ერთი თეთრი დათვი გამოესია საქონელს. შენ, ალბათ, გეხსომება კიდეც, ლუკაკ, ხალხს უკვირდა, თეთრი დათვი აქ საიდან გადმოიხვეწო, აბა, აქ რა უნდოდა თეთრ დათვს, მაგრამ ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ხიზანიანთ მატყლში თეთრად გამოპრანჭული დათვი იყო.

უთვალთვალეს იმ დათვს.

გაიგეს, სადაც ჰქონდათ ბუნაგი და შესასვლელში დაუგეს დიდი ხაფანგები.

გაეგბ.

საზარლად აღრიალდა.

ხეობას აყრუებდა იმისი ხმა.

დათვის მოკვლა ხო აკრძალულია და ხაფანგი იმიტომ დაუგეს, თოფის სროლა ვერავინ გაბედა. დაჭერილ დათვს მისცვივდნენ კეტებით და, რომ ურტყამდნენ, მატყლის კორიანტელი დადგა.

გაოცდა ხალხი.

იმათ წინ ახლა მურა დათვი იყო ხაფანგში გაბმული.

შეატყობინეს მთავრობას, დათვი დავიჭირეთ და, თუ ნებას მოგვცემთ, მოვკლავთ, თუ არა და, როგორმე წაიყვანეთო.

მოვიდა მილიცია.

გამოიკითხა, ვინ დაუგო დათვს ხაფანგი.

გაარკვიეს.

წაიყვანეს: დათვიც და ისინიც, ვინც ხაფანგი დაადგ.

ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი, ვერ ხვდებოდნენ, საიდან ჰქონდა დათვს ამდენი მატყლი.

ვიღაცამ გაბედა და შეძვრა იმ დათვის სოროში.

იქიდან გაოცებული გამოვიდა.

მთელი ხიზანიანთ მატყლი დათვის სოროში იყო დაფენილი. დათვს რამდენიმე ოთახი ჰქონდა და ყველა მათგანში მატყლი იყო დაფენილი.

მარტო მატყლი კი არა: ქვაბები, ვერცხლის უნაგირი, გარმონი, რამდენიმე ჭრელი ფარდაგი, ახლა უკვე კირკილისაგან შეშმული და ჩამორღვეული. ხიზანიანთ ელისომ იცნო მისი მოქსოვილი ფარდაგი, გაშალა მიწაზე და ხმით ატირდა:

— ა, ტიალო დროებაო:

ჩვენ ნაშრომზე დათვი გაალაღე,

ჩვენ ჯან-სიყმე ჩამოგვიშალე,

ა, ტიალო დროებაო,

აი, და-და-და-და, წუთისოფელოოო!

ახლა თავის ნაქონი გარმონი რომ გამოუტანეს სოროდან ელისოს, იმაზე მორთო ტირილი. დაიჭირა გარმონი, ვითომ იმის ხმაზე უნდოდა დატირება, გადაიკიდა მხარზე ღვედი, გასწია და ერთი კი დაიბზმუკუნა გარმონმა, გაიწელა და შუაზე გაწყდა:

— ა, შენც მოგიკვდა პატრონი! — შორს მოისროლა ნაგლეჯები ელისომ.

გაშლილ ფარდაგზე ირემი იყო ამო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარგული. ირემი რქებით მგელს ეჩხუბებოდა. მგელს წითელი ხახა დაეღო, წინა ფეხი მაღლა ჰქონდა აშვერილი. კირკილას სწორედ ეს ადგილი შეეჭამა, სადაც. წესით, ირმის თავი უნდა ყოფილიყო გამოსახული და იმ ადგილზე გაჩვენილი იყო ფარდაგი. ირემი უთავოდ იყო დარჩენილი ხახადაღებული მგლის წინ. ფარდაგის თავში თეთრად იყო ამოქარგული: „მოვქარგე ელისომ!"

— აი, ის დღე დაიწოს, როცა შენ მოგქარგე აი! — ახლა ფარდაგს მიაწყევლა ელისომ.

— კაცო, რა ვუყოთ ამ ქვაბებს და ვერცხლის უნაგირს? — იკითხა ვიღაცამ.

—როგორ თუ რა ვუყოთ, ვისიც არის, იმან წაიღოს.

— წაიღოს კია, მაგრამ, რო გაგვიგონ?

— ვინ?

— რა ვიცი, აბა, რო სადმე გაიგონ?

— კაცო, ვინ უნდა გაიგოს, რაღა დროს ეგ ამბავია, იმის მერე მთელი ცხოვრება არის წასული.

— არა, თუ ძმა ხარ, მე მაგას ხელს არ მოვკიდებ, როცა მჭირდებოდა, მაშინ მაკლდა და ეხლა რაღა თავში ვიხლი მაგ ჯამურულ ქვაბებს, — თქვა ხიზანიანთ ღასილამ.

— უნაგირი, უნაგირი ხო ვერცხლისა, გაყიდი მაინც.

—არა, ვინც მაგ უნაგირზე ჯდებოდა, ცოცხალი აღარ არის, მკვდარს მე როგორ გავუყიდო უნაგირი, არ მინდა, მაკლდეს ეგაც. — ყველაფერზე უარი თქვა ვასილამ.

მარტო ელისომ ამოარჩია დათვის სოროსთან დაგროვილ იმოდენა სარჩოსამადებელში ერთი წვრილი ვერცხლის ქამარი, ოქროთი დაფერილი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი, წელზე შემოირტყა და თქვა:

— დედაჩემის ნაქონია, თავს მოვიკლავ და ამას კი აღარავის დავანებებ.

— აჰა, მატყლი თბილია და იმიტომ შეზიდა სოროში, ე ქვაბები და უნაგირი რაღად უნდოდა?! — უკვირდა დათვის საქციელი ხალხს.

— კაცო, თქვენ ხომ არ შაზიდეთ აქ და დათვმა მერე გაიკეთა შიგნით ბუნაგი? — ეჭვი შეეპარათ ზოგიერთებს და ჰკითხეს ხიზანიანთ ვასილას.

— არა, დედ-მამის სულს გეფიცებით, ქვევით ტყეში გვქონდა დამალული, დათვის სოროში რატომღა შევზიდავდით, განა ჭკოგამოლეულებიც ვიყავით.

— ვინ იცის, რამდენი დათვი გაიზარდა თქვენს მატყლში.

— ხო, აბა, ეს პირველი კი არ იქნება, რამდენი ხანია მას მერე, ალბათ, ამის პაპისპაპის ხელი ერევა ამ საქმეში, — თქვა ვასილამ.

— ქვაბებს რაღაზე მალავდით, ამეებს ვინღა წაგართმევდათ?!

— ეხლა ეგრე იძახი და, აბა, ზოგი მაშინ გეთქო. არ იცი, რა დრო იყო? ორი ქვაბი რომ გქონიყო ოჯახში, კულაკს გეძახოდნენ და გართმევდენ, — იძახდა ვასილაი.

მარტო ქვაბებს კი არა, ზოგს კოვზებსაც კი ართმევდნენ, ისეთი დრო იყო. ისეთი ხალხი იყო იმ სოფელ-სოფელ მოსიარულე რაზმში მოხვედრილი, რომელთაც მარტო რამე წასაღები ენახათ და აღარ გეკითხებოდნენ, ვინ იყავი და რა იყავი. ხომ გითხარი, მამაჩემი წმინდა კაცი იყო და პირველად ჩვენ მოგვადგნენ.

მაშინ სიმინდის ფქვილი არ იშოვებოდა და სწორედ იმ დღეებში მოიტანა მამამ შორიდან.

დედაჩემი სიმინდის ფაფას ადუღებდა.

ბალღები მოუთმენლად ველოდით, როდის გადმოგვიღებდნენ ქვაბიდან ყვითელ ფაფას. მერე თუ შიგ თითო კოვზ ერბოსაც ჩაგვირევდნენ, ამაზე უკეთესი საჭმელი აღარ არსებობდა ჩვენთვის.

წინასწარ ჩვენ-ჩვენი კოვზები მოვიმარჯვეთ და ასე ველოდებოდით, როდის გადმოსდგამდნენ ცეცხლიდან ქვაბს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოდიახ, მოდიან! — დაიძახა ვილაცამ სოფელში.

რამდენიმე კაცმა ჩამოიარა. ზოგიერთს ვიცნობდი კიდეც. გადასამალი რა გვქონდა. წყნარად დაველოდეთ, როდის ჩამოვლიდნენ ჩვენს კარებზე.

— აბა, აღწერაზე ვართ, რა გაქვთ ზედმეტი? — ჰკითხა მამას იმათ წინამძღოლმა და პასუხს აღარ დაელოდნენ, დაათვალიერეს ჩვენი აკლა-დიდება.

ზედმეტი არაფერი გვქონდა, მაგრამ იმათ, ეტყობა, მაინც ეგეცოათ ჩვენი ქონება და რაღაც-რაღაცები აპკიდეს ცხენებს.

— ქვაბი? — ჰკითხა ერთ-ერთმა ხელქვეითმა უფროსს.

— რომელი ქვაბი? — დაიბნა უფროსი.

— აი, ეს ქვაბი, სპილენძისაა, არ წაიღოთ? — ცეცხლზე შემოკიდებულ ფაფიან ქვაბზე მიუღერა თითი.

— ჰოო, ძეორე ქვაბი აქვთ?

— კი. აგე კუთხეში უყუდიათ მეორე. სჯობია, ის დავუგდოთ, ეს უფრო მდიდრულია და ამათ არ ეკადრებათ ასე მდიდრულ ქვაბში ამზადონ ნაირ-ნაირი საჭმელები.

— ჰოო, სპილენძი თუა, ჩამოხსენით, — ბრძანა უფროსმა, რომელსაც პრიალა მაუზერი ეკიდა წელზე.

ხელქვეითნი ეცნენ, ფაფიანი ქვაბი ჩამოხსნეს და თან წაიღეს.

ქვაბის საკიდელს შუაში ჯოხი გაუყარეს, აქეთ-იქიდან ასწიეს და ორლობე ისე ჩაიარეს, ჯერ კიდევ დუღდა შიგნით ფაფა. ორთქლი ასდიოდა.

მამაჩვენი დაიბნა.

ჩვენ კოვზები გვეპირა ხელში და მამას მივჩერებოდით. დედამ რომ ასეთ ყოფაში დაგვინახა, ვეღარ მოითმინა და ტირილი წასკდა.

— მოგიკვდეთ თქვენ დედა, შვილებო, აი! — შემოგვტიროდა და ჩიქილის ტოტით იშმოალებდა ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლებს.

მამა არასოდეს აღელდებოდა. ახლაც მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. წყნარად მოგვართვა კოვზები. სახლის ბანზე გადადგა და იმათ, ვინც ქვაბი წაიღო, გადასძახა:

— კოვზები დაგავიწყდათ, ხალხო. კოვზები!

— გვაქვს, გვაქვს! — შემოსძახეს იმათ და იქედან აჩვენეს კოვზები.

მაშინ ასე იყო, ვინც რას მოასწრებდა. ტყეში მალავდა, რასაც ვერ მოასწრებდნენ, მიჰქონდათ.

გამსის ეკლესია ხომ იცი?

— კი, როგორ არ ვიცი.

მაშინ იმ ეკლესიაში სწირავდა მღვდელი. შაბათ-კვირას მთელი ხეობა გამსისაკენ დაიძრებოდა და ხალხის ტევა არ იყო ეკლესიაში.

მღვდელი აქაური კაცი იყო, თადეოზი ერქვა სახელად.

ნათელი სახე ჰქონდა.

თეირი თმა-წვერი ტალღა-ტალღა ეფინა შავ ანაფორაზე.

ხალხმა რომ ტყეში ქვაბებისა და მატლის გადამალვა დაიწყო, ამ თადეოზმაც მოჰკიდა ეკლესიის განძს ხელი და სადღაც გადამალა.

შეწყდა წირვა.

ეკლესიის ეზოს შამბი მოეძალა.

სწორედ იმ ხანებში კომკავშირი დაიძახეს და რაზმებად გავერთიანდით. დავდიოდით სოფელ-სოფელ და ეკლესიებიდან განძი გამოგვქონდა.

დიდხანს ვეძებდით თადეოზს, მაგრამ ვერსად მივაგენით. ბოლოს ისევ იმის ბიჭი მოგვეხმარა ამ საქმეში.

ბიჭს ქორა ერქვა.

ქორა გამსიველი მოვიდა ჩვენთან და რაზმში ჩარიცხეა გვთხოვა.

— მღვდლებისა და მოღალატეების შვილებს ჩვენ რიგებში არა ვღებულობთ, — უარით გაისტუმრა თადეოზის ბიჭი რაზმის ხელმძღვანელმა.

ქორა დაფიქრებული წავიდა.

მეორე დღეს ის-ის იყო, დავალების შესასრულებლად ვაპირებდით წასვლას. რომ სოფელში ერთი ჩოჩქოლი ატყდა.

გავიხედეთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორას მამამისისთვის თმა-წვერი გაეკრიჭა, გადამალული განძეულობა ზედ გადაეკიდნა და ასე სოფელ-სოფელ მოჰყავდა ყელზე საბელშებმული.

— გაგიწყრა მამაზეციერის მადლი! — სწყევლიდა შვილს თადეოზი, მაგრამ ამაოდ.

უკან ხალხი მოსდევდა ჩოჩქოლით, მაგრამ აშკარად მღვდლის გამოქომაგებას ყველა ერიდებოდა.

ქორამ თადეოზი ჩვენამდე მოიყვანა, საბელი ღობეზე გამოაბა, განძი ჩამოხსნა და მერე გაუშვა.

— მოგეკითხება! — ერთი ეს თქვა თმაწვერგაკრეჭილმა მღვდელმა და წალასლასდა ღონეგამოცლილი.

ქორა იმ დღესვე მივიღეთ რაზმში და ისე გამოიჩინა თავი, სულ მალე დაწინაურდა.

მღვდელი კი იმ დღის მერე სადღაც გადაიკარგა.

აღარც ცოცხალი უნახავს ვინმეს და აღარც მკვდარი.

იმის მერე ჩაიარა ბევრმა წყალმა და ჩემი მგლად ყოფნის დროს წავაწყდით მფრინავი ბერების მთაზე თადეოზს. პირველად ვერც ვიცანი. აღარც კი მახსოვდა, როდისმე თუ არსებობდა თადეოზი.

ეს იმ ღამით იყო, მთაზე მიმავალ დონატას რომ წამოვეწიეთ და მერე ცაზე ამოგორებულმა გავსილმა მთვარემ რომ დაგვაფრთხო. კუდები ამოვიძუეთ და მივიმალეთ დეკიანებში.

აი, მაშინ, დეკისქვეშ რომ ვემალებოდი მთვარეს, დავინახე ნანგრევებში მოლასლასე თეთრწვერა მოხუცი.

ეტყობა, სხვა მგლებმაც დაინახეს, ჩუმ-ჩუმად წავუყმუვლეთ ერთიმეორეს.

მაშინ, დეკის ქვეშ მიმალულს გამახსენდა, ის დღე, ქორა გამსვეველმა, საბლით რომ მოგვაყენა მამა და ღობეზე გამოაბა.

ახლა ძლივს ვიცანი თადეოზი.

დაბერებულიყო.

ძლივღა დადიოდა.

ანაფორაზე ისევ ეფინა თეთრი თმა-წვერი.

უკვე ყველას დავიწყებული ჰყავდა, აღარავინ იცოდა მისი არსებობა. ეტყობა, აქ იმიტომ წამოვიდა, რომ ეს მთა წმინდა ადგილად ითვლებოდა და ხალხს გამოერიდა.

ან იქნებ იცოდა ვინმემ კიდეც მისი სამყოფელი და საჭმელიც ამოჰქონდა მისთვის ჩუმ-ჩუმად.

— იქნებ დონატამ იცოდა? — თქვა ლუკამ.

— არ ვიცი, შეიძლება დონატამაც იცოდა, — მიუგო თევდორემ. — მაშინ ამაზე არ მიფიქრია, ვუყურებდი ნანგრევებში მთვარის შუქით განათებულ მოხუცს და ის დღე მახსენდებოდა.

მოხუცს წიგნი ეჭირა და შიგ, ეტყობა, ლოცვებს კითხულობდა.

დეკიანში ავად დაიღრინა ჯალაბამ. თადეოზისაკენ გაიწია. წინამძღოლმა არ დართო ნება.

მთვარემ კი უფრო ამოანათა.

ერთხელ, ქორა მგელის წინამძღოლობის დროს, ისევ დავწალიკდით ბერების მთისაკენ მიმავალ სერზე.

ქორას დორაისხევიდან ბრძანება ჰქონდა, მღვდელზე თავდასხმისა და მუხლჩაუხრელად მივძუნძულებდით.

მშივრებიც ვიყავით.

მზე ჩადიოდა.

მოხუცი მღვდელი ნანგრევების ქვემოთ დაგვიხვდა წყაროზე ჩამოსული.

გავწექით დეკიანებში.

გავხოხდით.

იქით-აქეთიდან წამოვეპარეთ და წრეში მოვაქციეთ.

ან რა წრის შეკვრა უნდოდა, ძლივს დადიოდა.

წამოვდექით.

აიხედა.

შეცბა.

პირჯვარი გადაიწერა.

თითო ნაბიჯით წავიწიეთ წინ.

ისევ გადაიწერა პირჯვარი.

ისევ წავიწიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე კიდევ.

მერე უფრო ახლოს მივედით.

იმან უბიდან წიგნი ამოიღო, გადაშალა და ხმამაღლა გვიკითხავდა რაღაცას.

გვშეოდა.

არ გვესმოდა მღვდლის არც ერთი სიტყვა.

ადგილიდან ისკუპა ქორამ და მოწყვეტით დაიტანა მოხუცი.

ერთი ეს მახსოვს, ქორას კლანჭებში მოქცეულმა თადეოზმა რომ დაიხრიალა ყელში:

— მოგეკითხება.

მართლა მოეკითხა ქორას და განა მარტო ეს, მერე დღეს იმაზე უფრო დიდი ცოდვა ჩავიდინეთ. შიშშილობა რომ ჩამოვარდა, შენ, ალბათ, აღარც გახსოვს, მაშინ პატარა იქნებოდი.

— მახსოვს, პირველ კლასში ვიყავი, იმ შემოდგომაზე ჩემ კლასელ ბიჭს დედა შეუპამა მგელმა, — თქვა ლუკამ.

— მთაში ხო არა, თივას ზიდავდა ის ქალი.

— ხო, მგონი, ბუნდოვნად მახსოვს.

— ჰო, ქორას წინამძღოლობით ჩავიდინეთ ეგ ცოდვა. ახლა რომ მახსენდება, რატომღაც იმასაც წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ წამოვიდა სახლიდან ის ორი პატარა ბიჭი, დედისათვის რომ მიეტანათ მთაში პური.

ობლები იყვნენ.

მამა არ ჰყავდათ.

დედა დღე-ღამეს ასწორებდა მუშაობით, რომ შიმშილისათვის გამოეტანა თავისი ობლები.

მაშინ ყველას უჭირდა.

მგლებსაც გვშეოდა.

ხენა-თესვაც მოშლილი იყო და ფქვილი არ იშოვებოდა.

შემოდგომა იყო.

პატარა ბიჭების დედა მთაში მუშაობდა. ტვირთით თივა გამოჰქონდა სოფელში და საზამთროდ ამზადებდა.

დაღლილს სოფელში ჩასვლა უჭირდა.

სოფლამდე გრძელი დაღმართი ეფინა ჩასასვლელი.

ქალი ღამეს თივაში ათენებდა.

დილაუთენია ისევ ტვირთს მოიკიდებდა და საგულებელში აგულებდა.

ალბათ, პატარა ბიჭების დარდიც ჰქონდა. წამოსვლისას რამდენიმე გამხმარი პურის კვერი დაუტოვა ვარცლში.

ერთი ბიჭი სკოლაში დადიოდა, მეორე არა.

— მეორე პატარა იყო, — თქვა ლუკამ.

— ხო, მერე მეც ვნახე, უფრო პატარა იყო.

— ბიჭებს პაპა ჰყავდათ კიდევ, — თქვა ლუკამ.

— პაპა, ალბათ, უკვე მოხუცი იქნებოდა და, როგორც ხშირად გაჭირვებაში ჩავარდნილ მოხუცებს სჩვევიათ, ყველაფერს უკრძალავდა ბიჭებს. თვითონ ბევრ საჭმელს აღარ სთხოვდა გადაბერებული სხეული, ბიჭებს კი შიოდათ და პაპა თითო ნაჭერ პურს დილით აძღევდა, თითო ნაჭერს კი საღამოთი, ძროხებსა და ხბორებს რომ დაბინავებდნენ ბოსელში, იმის მერე.

ხანდახან თხელ საჭამანდსაც გაუცხელებდა ხოლმე მოხუცი. პატარა ბიჭებს ცხელი საჭმელი სიამოვნებდათ და, თუ პაპის თვალს აიცდენდნენ, მეორედაც დაისხამდნენ ჯამში.

მიუხედა პაპა და ბევრი რომ არ ეჭამათ და გამოეზოგნათ, მწარე წიწაკა ჩაეჩრა საჭამანდს.

პირი დაეთუთქათ ბიჭებს.

გამხმარ პურს მაინც ეს სჯობდა.

ღამღამობით ციოდა და დედისაგან ვარცლში დანატოვარი გამხმარი პურის კვერები იყინებოდა და ქვასავით ხდებოდა.

შემოდგომა იყო.

ღამღამობით ციოდა.

ქალი თივაში იძინებდა ღამით, დღისით მუშაობდა.

ბიჭებმა იფიქრეს, დედას პური აღარ ექნებაო, ვარცლიდან აიღეს ერთი კვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი და აუყვნენ მთისაკენ მიმავალ აღმართს.

ციოდა.

ბიჭებს ხელები ეყინებოდათ და ხან ერთს მიჰქონდა გულზე მიხუტებული პური, ხან მეორეს.

ჩვენ თხილიანებში ვიყავით ჩამალულნი და იქედან გავყურებდით.

ქორაის წინამძღოლობის დრო იყო იმ დღეს.

ბიჭები აღმართს მოუყვებოდნენ და თან პურს იკრავდნენ გულზე.

უცებ ერთ-ერთ მათგანს, მე მგონი, პატარას, ეტყობა, ისე შესცივდა ხელებზე, პური ხელიდან გაუვარდა და დაუგორდა.

ბიჭები თავპირისმტვრევით გამოედევნენ დაგორებულ პურის კვერს, რომელიც ბურთივით ხტოდა ჰაერში და ისე ჩაეხეთქა გაყინულ ხევში, ნამცეცი არ გავარდნია.

ბიჭებმა ხევში ჩაირბინეს, პური აიღეს და ისევ დედისაკენ მიმავალ გზას ჰაყვნენ აღმა. ახლა უკვე დიდ ბიჭს ჭქონდა ჩახუტებული პური. პატარა დარცხვენილი მიჰყვებოდა შორიახლო.

ციოდა.

მგლები თხილიანში ვისხედით და კბილებს ვაკაწკაწებდით.

ბიჭები ზემოთ მიდიოდნენ.

ჩვენ კარგა ქვემოთ დავრჩით.

აღარ გაგვიხედია ზემოთ.

მარტო მაშინ გადავხედეთ ერთურთს, როცა ტირილით დაეშვნენ თივების საგულებიდან ბიჭები ქვემოთ.

ამჯერად პური აღარ დაჰგორებიათ.

წინა ღამით თივაში მძინარე ქალზე თავდასხმა ბრძანა ქორამ. წინააღმდეგობა არავის გაგვიწევია. ყველას გამოვლილი გვქონდა დორაის ხევში მწარე გაკვეთილი და ჩვენ-ჩვენ ტყავს ვუფრთხილებდით.

ახლაც ყურებში მიდგას იმ პატარა ბიჭების გამწარებული ტირილი.

ახლა ცხადად ვხედავ, როგორ გულზე მიხუტებული მიჰქონდათ დედისათვის პური.

მერე გარბოდნენ.

გარბოდნენ სოფლისაკენ.

ჯერ კარგად არ იცოდნენ, რა იყო დედის სიკვდილი.

ციოდა.

დაღებული ხახებიდან თბილი ორთქლი ამოგვდიოდა.

მერე ქორამ მბრძანებლურად აგვიქნია თათი და ავიშალენით.

დაწალიკებულნი ავყევით ტყის პირს.

ციოდა.

— საცოდავი ბიჭები, ალბათ, რამდენჯერ შიოდათ მერე.

—მაშინ ყველას შიოდა, — თქვა ლუკამ. — ერთხელ მასწავლებელმა კუთხეში დამაყენა და ისე მშიოდა, წავიქეცი. მერე ის მასწავლებელი დასაჯეს იმის გულისთვის, ბავშვი ავად ყოფილა და შენ კიდევ კუთხეში დაგიყენებიაო, იმთა რა იცოდნენ, რომ ავად კი არ ვიყავი, მშიოდა.

— ის ბიჭები რაღას შერებოდნენ?

— იმათაც შიოდათ, ერთხანს დედის ძმა ჰპატრონობდა, გულადი დედის ძმა ჰყავდათ, მეზობელ სოფელში ცხოვრობდა, ჯარჯი ერქვა, ისიც დორაისხევლებმა მოჯადოვეს და იმათ გადაჰყვა.

თევდორეს სახე დაეძაბა.

რაღაცას იხსენებდა.

— ჯარჯი? გულადი? ეგ იმ ბიჭების დედიძმა იყო?

— ჰო, დედა რომ შეუუპამეს მგლებმა, იმის მერე დედიძმა ხშირად აკითხავდა ბალღებს, სახლში წაყვანაც უნდოდა იმათი, მაგრამ ბიჭებმა პაპა არ დატოვეს მარტოკა.

— პაპასაც ჩემთან წავიყვანთ, — უთხრა ჯარჯიმ.

— არა, სანამ პირში სული მიდგას, კერას ვერ მივატოვებ, ისევ ე ბალღები წაიყვანე და მიმიხედე, — თქვა ბიჭების პაპამ.

იმათ მაინც არ დატოვეს პაპა, თვითონაც მამისეულ სახლში დარჩნენ და ჯარჯის იქ მოჰქონდა მათთვის პური. ჯარჯის დედაც ცოცხალი ჰყავდა და ისიც ხშირად მოდიოდა თავის შვილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილებთან. სოფლის ბოლოს რომ გამოჩნდებოდა. ხმით მორთავდა ტირილს. ახლაც მახსოვს. ეროთელ ასე ამბობდა:

რას შვრები. ღმერთო. დალოცვილო ქვეყნად რომ მგლები გაამრავლე!.

მეტი აღარ მახსოვს. მაგრამ ეს სიტყვები. რატომღაც. არ მავიწყდება. ჯარჯი კი ხშირად სკოლაშიც მოაკითხავდა ხოლმე თავის დიშვილებს. მთელ ხეობაში გულადობით იყო განთქმული და იმის შიშით ვინ რას გაუბედავდა ბიჭებს.

— მახსოვს. ჯარჯი როგორ არ მახსოვს. — ისევ დაეძახა სახე თევდორეს. — დორაისხევში ხშირად იცვლებოდნენ მბრძანებლები და სულ დაძაბულობაში ვიყავით. ზოგი მბრძანებელი თვითონ ქვდებოდა თავისი სიკვდილით. ზოგსაც კლავდნენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ. რომ მოკვდაო. მაგრამ სამჯავროდან ხმა გამოდიოდა. ესა და ეს მბრძანებელი მოკლესო. მბრძანებლებს იქვე. დორაის კლდეში. ასაფლავებდნენ დიდი პატივით. ჩემი იქ ყოფნისას რამდენიმე მბრძანებელი გამოიცვალა და ყველა თავისებურ კანონებს გვიწესებდა. წინა მბრძანებელს უცად ვივიწყებდით და ახლის წინაშე ვკანკალებდით. დორაისხევში ვერ იტანდნენ. თუ ქვეყანაზე საღმე გულადი კაცი დაიარებოდა. იმდენს ეცდებოდნენ. ასეთ კაცს სულს გააყიდვინებდნენ და სათავეიოდ მოაქცევდნენ. ზოგს თავიდანვე იშორებდნენ გზიდან. ან მგლებს მიგვისევდნენ. ანდა რაიმე ხიფთს გადაჰყრიდნენ. ამ კანონს ყველა ახალი მბრძანებელი უცვლელად სტოვებდა დორაისხევის სამსჯავროზე.

მანამ ჯარჯის დას დავეცემოდით ღამით თივების საგულებელში. მანამდე უკვე იცოდნენ ჯარჯის გულადობის შესახებ დორაისხევში და ერთი მგლის ლეკვი მიუჩინეს.

ჯარჯი მეცხვარე იყო და გაზარდა ის მგლის ლეკვი. იმ იმედით. რომ შემდეგ იმის ცხვრის ფარას მგლებისაგან დაიცავდა მოშინაურებული მგელი.

მარტო ჯარჯი კი არა. სხვა მწყემსებიც მიეჩვევნენ მგელს და უკვე აღარავის ეშინოდა მისი. ენდობოდნენ.

ღამღამობით იქვე. ახლოს. ჯარჯის ფეხებთან წვებოდა მგელი. სხვა მწყემსები მაინც ფრთხილობდნენ. მაგრამ ჯარჯი ცარიელი გული იყო და შიში რა იყო. არ იცოდა. აკი ამიტომაც ადაწყვეტეს სამსჯავროზე დორაისხევლებმა მისი მოშორება.

ერთ ღამეს რაღაც უცხო ხმამ გამოაღვიძა ნაბადში დაძინებული ჯარჯი. ნაბდის ყური გადასწია და გამოიხედა.

ის-ის იყო ჩასძინებოდა ცეცხლის პირას.

ფარაში იმ ღამით მარტოკა იყო.

არც ძაღლები ჰყავდა.

მარტო მოშინაურებული მგელი ახლდა და იმის იმედი ჰქონდა. რომ ნადირს არ მოუშვებდა. თორემ. ალბათ. არც დაიძინებდა.

აქამდე ასეთი რამ არ გაეკეთებინა მგელს. მანამდე ყოველთვის ეიოდებოდა ცეცხლთან ახლოს მისვლას და ახლა გაუკვირდა ჯარჯის. როცა დაინახა. რომ მგელი ცეცხლის პირ იდგა. სველ ბეწვს იბერტყავდა ტანიდან და იმით ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა. გაიბერტყავდა ტანს. გაიქცეოდა. მდინარეში ჩაწვებოდა. ისევ მოირბენდა და ისევ აქრობდა წყლით ცეცხლს.

თავიდან ვერ მიხვდა. რასაც აპირებდა მგელი.

იფიქრა. ეტყობა. ცეცხლისა ეშინია და იმიტომ აქრობსო.

მერე რაღაცას მიხვდა გუმანით.

როცა მგელი გაიქცა მდინარისაკენ. წამოდგა. ნაბადი ისე შეახვია. თითქოს ისევ შიგ იწვა და თვითონ იქვე ახლოს ჩაიმალა ლოდებში.

იმდენი წყალი მოზიდა მდინარიდან მგელმა. რომ სულ ჩააქრო ცეცხლი. მერე ნაბადს ეცა და დაუწყო კბილებით ღრღნა.

ახლა კი ცხადი იყო. რაც ეწადა მგელს. ეტყობა. ცეცხლს იმიტომ აქრობდა. რომ ცეცხლისა ეშინოდა და ვერ ბედავდა ჯარჯიზე თავდასხმას. კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგა ხანს ვერც კი გაიგო, რომ ნაბადში კაცი აღარ იწვა. ღრღნიდა. აუბნიდა.

ჯარი წამოეპარა და ხეოხემალში ტარამდე ჩასცა სამღერარები ხანჯალი.

მგელი იქვე დაეცა უსულოდ.

მეორე დღეს ბინაზე მობარუნებულ მწყემსებს გაუკვირდათ, ჯარჯის თვითონვე რომ მოეკლა თავისი გაზრდილი მგელი.

ჯარჯის არც იმ ღამით, არც მას მერე არ გაჰკარებია გულში შიშის ნატამალი.

მერე იყო, იმის დასაც დავეცით საგულებელში.

ამის მერე, რაღა თქმა უნდა, მგლებს აღარ დაენდობოდა ჯარჯი და დორაისხევში ერთ მგელს, სახელად თათარას, დაეკვლა, როგორმე მოეშორებინა ჯარჯი.

ერთ ღამეს, მთვარე რომ არსად ჩანდა და უკუნეთი სიბნელე დაჰპატრონებოდა მთელ ხეობას, ჯარჯიმ აიტეხა, ჩემ დის შვილებთან უნდა წავიდე, უნდა დავხედოო.

— ამ ღამეში სად წახვალ, სადმე არ გადავარდე, ან რა წასვლისია, ეხლა ეძინებათ კიდეც. იმათ ენაცვალოს ბებო, არ შამიშინოო.

— ვერ გავძლებ, ვერ დავიძინებ, რომ არა ვნახო ამღერამ.

— კარგი, ჯარჯი, ღამეა, გზა არა ჩანს, ამათი პაპაც შაშინდება, — გადაუდგა წინ დედა.

ჯარჯიმ ენა დაიშალა.

მოახტა თავის ლურჯ ცხენს და დისშვილების სანახავად შეაჭენა შავ ღამეში.

ადიდებული მოდიოდა მდინარე.

ღამე ფონს ვერ იპოვიდა და შორი გზით მოვლა არჩია, იქ ხიდი იყო და იმ ხიდით გადავიდოდა გალმა ნაპირზე.

გარშემო არაფერი ჩანდა.

მთლიანად ცხენის ალღოს იყო მინდობილი ჯარჯი.

ცხენი ხვდებოდა, საითაც მიუწევდა მის პატრონს გული.

ნალების წკრიალი ავსებდა ღამის მდუმარებას.

ხიდთან რომ მივიდნენ, ცხენი შედგა, ვერ შებედა ხიდზე შედგომა.

ჯარჯიმ დეზი ჰკრა.

ცხენი ყალუზე დგებოდა.

ფოუტუნებდა.

ჯარჯიმ ახლა მათოხი გადაჰკრა.

მაინც ვერ შეაყენა ცხენი ხიდზე.

ჯარჯი მიხვდა, ხიდზე რაღაც საშიშროებას ხედავდა ცხენი და პირდაპირ ადევებულ მდინარეში შეაგდო.

ჯარჯისათვის არ აოსებობდა შიში და უკან დახევა.

ცხენი ცურავ-ცურვით წავიდა ნაპოისაკენ.

ხანდახან ფსკერამდე დაეშვებოდა, მაგრამ ფეხებიდან იმწუთას აკლიდა ლმს მდინარე.

ჯარჯი დაკვილილთ ამხნევებდა.

როგორც იქნა, ნაპირს მიაღწიეს და ის იყო, წინა ფეხები ნაპირზე დააბიჯა ცხენმა, რომ წინიდან მგელი დახვდა. მგელი ცხენს მკერდზე მივარდა, რომ ისევ წყალში შეეგდო. თვალებიდან ცეცხლი გამოსდიოდა და სიბნელეში მეტი რომ ვერაფერი დაინახა, ხანჯალი ატაკა იმ ცეცხლს ჯარჯიმ.

მგელმა საზარლად დაიყმუვლა და გაიქცა.

ჯარჯი ნაპირზე ამოვიდა და გზა გაგრძელა.

ორც ახლა გაჰკარებია იმის გულს შიშის ნაპერწკალი.

გავიდა ერთი წელი ამის მერე.

საზამთრო საძოვრებზე ჰყავდა ცხვარი ჯარჯის.

ზამთრის ღამით გულგამოკლული, ოჯახს მონატრებული მწყემსები ისხდნენ და ყვებოდნენ ძველ ამბებს.

ჯარჯიმაც რაღაც გაიხსენა.

მწყემსებში ერთი ცალთვალა თათარი იყო, ამათ ცხვარში შემოდგომით წამოვიდა მორიგებით.

— აის ამბავი მოყეკი, დიშვილებთან რომ მიდიოდი და მგელი რომ დაგხვდა ხიდზე, — პირდაპირ უთხრა თათარმა ჯარჯის.

— ე, შენ საიდან იცი?! — გაუკვირდა ჯარჯის.

— აი, ამ თვალს ხედავ? — გამოთხრილი თვალი აჩვენა თათარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ეს შენ რომ ხანჯალი მატაკე, მაშინდელია. ის მგელი მე ვარ, უფრო სწორად, მაშინ მგელი ვიყავი და დორაისხევიდან დავალება მქონდა, იმ ღამეს წყალში უნდა ჩამეგდე. შენ რომ ხანჯალი მატაკე, ვეღარ შევძელი. იმის მერე თავის რიგებიდან გამომაგდეს დორაისხევლებმა და მგლად გადაქცევის ნიჭიც წამართვეს.

— შენ რაღაც ზღაპრებს გვიყვები, ეს! — არ დაუჯერა ჯარჯიმ, თუმცა თვითონვე უკვირდა, დღემდე არავისთან გაეწამებია, რომ იმ ღამით მგელი დაბედა ბიდზე, სულ ღამე დავდევარ და დედაჩემი შეშინდებაო. არავისთვის უთქვამს ეს ამბავი.

ახლაც შორს დაეჭირა თათრის მონაყოლი.

ის თათარი კი იცინოდა და აქეთ-იქით ატრიალებდა ცალ თვალს.

არც ახლა გაჰკარებია ჯარჯის გულში შიში.

არც ამის მერე.

ცოლი, მგონი, არ ჰყავდა ჯერ.

— არა, არ ჰყოლია, — დაემოწმა ლუკა.

— მარტო დედა ჰყავდა.

— და და დიშვილები, პაპა რომ მოუკვდათ, თავისთან წაიყვანა სახლში ჯარჯიმ, — თქვა ლუკამ.

— ჯარჯის ერთი გოგო უყვარდა თქვენ სოფელში, ბიჭების მეზობლად ცხოვრობდა ის გოგო. მერეც ხშირად მოდიოდა ღამღამობით, დიშვილები რომ თავისთან წაიყვანა.

ერთ ღამესაც აიტეხა, უნდა წავიდეო.

დედამ იცოდა, შვილის გულში რა ცეცხლიც ენთო, მაგრამ, გზად ის ხევი უნდა გაევლო, მგელქალი რომ გადაადგო ხალხმა და წასვლა დაუშალა დედამ.

— ნუ გეშინია, დედი, იმათ დედებმა იდარდონ, ვისაც მშიშარა შვილები ჰყავს, — თქვა ჯარჯიმ და გააჭენა ცხენი.

ახლა უკვე მთვარე გადმომდგარიყო სერზე და მკრთალად დაჰფენოდა ხეობას იმის ვერცხლისფერი შუქი.

ჯარჯი მიდის და მიღიღინებს.

იმისი გული სავსეა სიყვარულით.

იმისმა გულმა არ იცის შიში.

იმის გულს ბაგაბუგი გააქვს თავის ტოლთან შეყრის მოლოდინით.

ჯარჯის სისხლი მოუსვენარია და გალობს, ჩქეფითა და ჩხრიალით დადის ძარღვებში.

ჯარჯის ლურჯა ცხენი ნიავქარს ეტოლება.

ჯარჯი გაუტეხელთა ჩამომავლობისაა.

ჯარჯიმ შიში არ იცის.

ჯარჯის დორაისხევი ეძტერება.

ჯარჯიმ არ იცის ეს.

სამსჯავროზე დაადგინეს, როგორმე სათავისოდ მოაქცეონ ჯარჯი.

დორაისხევლებს არ უყვართ ის, ვისაც არ ეშინია და თავის ნება-სურვილზე დადის.

ჯარჯიმ არ იცის შიში...

და,

უცებ თვალს მოკრავს — ხევში ცეცხლი ანთია.

სხვანაირი ფერი დაჰკრავს ამ ცეცხლს.

გაახსენდება დედის ნათქვამი. მაგრამ ჯარჯი უტეხია და არ იცის, რა არის შიში.

მთვარე ანათებს.

ფერდობზე გოგო ჩამორბის.

ჯარჯი ცხენის ლაგამს მოსწევს და აჩერებს.

გაოგნებულია გოგოს სილამაზით.

გოგოს საპატარძლო ტანსაცმელი აცვია და ისე გამორბის.

„ალბათ, ვიღაცას გამოექცა ქორწილიდან," ფიქრობს ჯარჯი. პატარძალი მასთან მოირბენს, ისეთი თვალები აქვს, ასეთი ლამაზი თვალები ჯერ არ უნახავს ვაჟს.

— შენ გახარებას, შემისვი ცხენზე, — ეუბნება პატარძალი. — არ შემისვამ? — ეკითხება მერე მუდარით.

— შეგისვამ, რატომ არ შეგისვამ, — ამბობს ჯარჯი და ცხენიდან ჩამოდის.

პატარძალი სამკაულების ყრიალით ჩამოირბენს დარჩენილ ფერდობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჯარჯი ვამარება ცხენზე შეჯდომაში.

ცხენი ფოთხება.

ადგილზე ვერ ჩერდება.

ფრუტუნებს.

— დრრრ, ჰო! — დაჰკივლებს ცხენს ჯარჯი და პატარძალს მიეხმარება, რომ უზანგში ფეხი გაუყაროს.

შეება ჯარჯი.

პატარძალს ტოფები უკახა აქვს შებრუნებული, ქუს�sლი კი წინა აქვს.

ოთაფელს შეიმჩნევენ.

უკვე ძიხვდა, ვისთანაცა აქვს საქმე. მაგრამ ჯარჯიმ შიში არ იცის, თვითონაც შემოუჯდება და წავლენ ფერდობი შეფოლებით.

დამაორობელია პატარძლის თმის სურნელი. ერუანტელივით უვლის იმისი ტანიდან გადმოღვრილი სიმხურვალე ჯარჯის.

ცალი ხელით ცხენის სადავე უჭირავს და ფროდადრო ამხნევებს დამფრთხალ ცხენს.

მთვარიან ღამეში წყრიალებენ პატარძლის საყურეები.

ეტყობა, გოგოსაც მოსწონს ვაჟი. ჩუმი ხმით ამბობს:

— როგორ მენანება!

— რატომ? — ეკითხება ჯარჯი.

— იცი, კისა ვარ?

— ვიცი, ვიცი, — მშვიდად პასუხობს ჯარჯი.

— მეოე, რატომ იარაღს არ ამოიღებ და მესვრი?

— სულ ვერ მაშინებთ, — ეუბნება ჯარჯი.

— მე მომწონხარ, თითქოს უკვე მიყვარხარ კიდეც, მაგრამ რა გიშველი, ფრთასხვეში უნდა წამომყვე, სხვა მხრივ ყველა გზა მოჭრილი გაქვს, — ამბობს პატარძალი.

— ძერე? — ეკითხება ჯარჯი.

— იქ დიდალი ხალხი დაგვხვდება, ხმა არავის გასცე, ვინც რა უნდა გითხრას, ჩუმად იყავი. სხვების ჩამოტარებული ხორცი არ აიღო, როცა მე ჩამოვატარებ, მაშინ აიღე და ძვლები იქ დაყარე, სადაც სხვები დაყრიან, — დაარიგა ქალმა.

ჯარჯის ათრობს მისი თმის სურნელება.

ჯარჯი უტეხი და გულადია.

ართობს კიდეც ასეთი ფაფერაკი.

სამსჯავრო იყო იმ ღამეს დორაის ხევში.

დიდი სამსჯავრო.

თან ახალი მბრძანებელი გვყავდა და იმის დანიშვნას ვდღესასწაულობდით.

ცეკვა-სიმღერა აყრუებდა მიდამოს.

ბრიალი გაჰკოხდა ხეობას.

პატარძალმა ჯარჯი წარუდგინა უფროსებს.

იმან ხმა არავის გასცა.

მბრძანებლებმა პატარძალს შეხედეს ეჭვის თვალით.

საპატიო ადგილას დასვეს ჯარჯი.

ისე იჯდა, წარბსაც არ ირიოდა.

თითქოს მართლა ქორწილში მჯდარიყოს.

საკლავი მოიყვანეთო! — ბრძანა მთავარმა მბრძანებელმა.

მგლები ცალკე სეფრაზე ვისხედით.

ჯარჯი ხალხში იჯდა.

გაგზავნილებმა ხარი მოიყვანეს.

თეთრი ხარი იყო.

შეგლმთვარიანი.

თავისი ხარი იცნო ჯარჯიმ. მაგრამ კრინტი არ დასძრა.

წამოაქციეს და დაკლეს ხარი.

გაატყავეს.

აქნეს ასო-ასო.

მოხარშეს.

ხოხჩებზე ამოიღეს მოხარშული ხორცი და ჩამოატარეს პატარძლებმა.

რაღა თქმა უნდა, ჯარჯისაც შესთავაზეს.

იმ პატარძალმა, შორიდან თვალი უყო. სხვის ტაბლიდან ხორცი არ აიღოო.

როცა იმისი ჯერი მიდგა და ჩამოიარა, იმის ტაბლიდან აიღო ჯარჯიმ ერთი ბეჭი.

შეჭამა.

ძვლებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ.

ჯარჯიმ იმ ქვის ძირ ამოდო ძვალი. სადაც თვითონ იჯდა.

დამთავრდა სმა-ჭამა.

ელაპარაკებიან ჯარჯის, ის ხმას არ იღებს.

მოაგროვეს ძვლები.

ბეჭი დააკლდათ.

ეძებეს.

ვერ იპოვეს.

ჯარჯი ადგილიდან არ დაძრულა.

სიპი ქვა მიათვალეს ძვლების სათვალეზე.

წამოაკრეს სახრე და წამოხტა თეთრი ხარი.

— წაიყვანეთ და იქვე დააბით! — ბრძანა მბრძანებელმა.

— ესეც წაიყვანე, დაშლის დროა! — უბრძანეს იმ პატარძალს, ვინც მოიყვანა ჯარჯი.

პატარძალმა გამოაცალა.

დამშვიდობებისას დაარიგა:

— ორად ორა თქვა, რაც აქ ნახე, თორემ იმწუთში მოკვდები.

შეაღრჩიალა საყურეები და გაქრა.

იმ ღამეს ალარ წასულა თავის საყვარელთან ჯარჯი, ან რაღას წაიდოდა. სადაცაა თენება უნდა დაწყებულიყო.

სახლში წამოვიდა.

იმ დღიდან ჩაუდგა დარდი ჯარჯის თვალებს.

იმ დღიდან გაესენა გული იმ უცნაური პატარძლის სიყვარულით, იმის ტანის მხურვალებას გრძნობდა, იმისი თმის სურნელება არ შორდებოდა.

სახლში როგორც მოვიდა, იმ წუთში საქონლის ბოსელში შეეკარდა.

თეთრი ხარი ბაგასთან ეწვა და იცოხნებოდა.

მოსვენება დაეკარგა ჯარჯის.

ყოველდღე უყურებდა ხარს და ვეღარ გარკვეულიყო, მართლა ეს ხარი დაკლეს იმ ღამეს დორაისხვლებმა, თუ არა.

ალარ წასულა თავისი სატრფოს სანახავად.

ახლა დღემუდამ, ძილშიც კი, ის უცნაური პატარძალი ედგა თვალწინ. შიში არც იმ ღამის მერე გაჰკარებია მის გულს და ხშირად მიდიოდა შუადღისას იმ ადგილზე, სადაც პირველად დაინახა მოვაორის შუქით განთებულ ფეერდობზე მისკენ სიცილ-ხარხარით და ალმაცერების ელრიალით ჩამომავალი.

ორსად ჩანდა ის უცნაური პატარძალ.

ჯარჯი კი ილოდა.

ილოდა სიყვარულით.

ვერავისთვის გაეგზიარა, რა ამბავი იყო მის თავს.

ლოგინად ჩავარდა.

პირველ ხანებში ხალხს ეგონა, საცოლე რომ მოსტაცეს, ამას ბლოვობდა. უკვირდათ კიდეც ჯარჯისაგან, სამგიერო ოროს გადასახდელად რომ არ შეკაზმა თავისი ლურჯი ცხენი და არ მიეკარდა საავდროდ მოღრუბლული სახით, იმის სატარძლოს გამტაცებლებს.

იწვა.

ილოდა.

— შვილო, ჯარჯი, ქვეყანაზე ქალი ხო არ დაილია, დარდი რო თავს იკლავ. — საყვედურით უთხრა დედამ.

— დაილია, დედი, დაილია, ვინც მე მიყვარს, იმნაირი ქალი სამზეოზე არ დადის, — თქვა დარდიანად ჯარჯიმ და კინაღამ გული ამოაყოლა. ისე ამოიოხრა.

— განა შენ ხელთ არ იყო, სრვები რაღად გაატანე? — ვერ მიუხვდა დედა.

ჯარჯის შეეცოდა შვილის დარდი. ფერწასული და წელში მოხრილი დედა. რომელსაც ვერ გაეგო, რა ემართებოდა მის შვილს. უნდა ყველაფერი მოუყვეს. უნდა გათავისუფლდეს იმ რაღაცისაგან, მაგრამ ახსენდება ქალის დარიგება: რაც აქ ნახე, არავისთან გააზიარო. თორემ იმ დღესვე მოკვდები.

სული ტკბილია.

ერთ დღეს ითმინა ჯარჯიმ.

მეორე დღეს ხარი დაინახა ფანჯრიდან.

ისევ აეშალა ფიქრები.

ისევ მოუნდა დედისთვის გაემხილა, რაც ნახა.

ისევ დატრიალდა იმ ქალის თმის სურნელება მის გარშემო.

ისევ შეიკავა თავი.

დაღლილა.

გაწყდა მოთმინების ძაფი.

— დედა! — დაუძახა და გვერდზე მოისვა.

მოუყვა.

თავიდან ბოლომდე მოუყვა, რაც გადახდა.

დედა გაფითრდა.

გაფითრდა ჯარჯიც.

მზე ჩაწყვერა.

მერე ჩაესვენა.

ჯარჯიც მიესვენა.

შეწყდა მაჯისცემა.

იმ წუთას დორაისხვეიდან ბრძანება გამოვიდა, რომ საძოვარზე გაშვებული თეთრი ხარი მოგვეცია წრეში და გაგვექრო.

გაგვექცა.

სოფლისაკენ დაეშვა ბღავილით.

სოფელში ის ამბავი ელოდებოდა.

დაკლეს.

ჯარჯის გასასტუმრებლად დაკლეს.

— მახსოვს! — წამოიძახა ლუკამ, — რომ გაატყავეს, თურმე ბეჭის მაგიერ სიპი ჰქონდა მარცხენა მხარში ჩამდგარი.

— ჰოო, ნამდვილად ეგრე იყო, — დაუდასტურა თევდორემ. — ბიჭები? — ჰკითხა მერე.

— ბიჭები დარჩნენ ისევ ობლად, — თქვა ლუკამ. — ახლა მოხუცი ბებიაღა ჰპატრონობდათ.

— ახლა?

— ახლა არ ვიცი, სად არიან, შეიძლება...

— არა, ეგეთები მგლების კვალზე არ შედგებიან, — თქვა თევდორემ.

უცებ ლუკა შეკრთა.

მიხვდა, რომ ამდენი ხნის მანძილზე ისე ლაპარაკობდნენ ის და თევდორე ერთი და იგივე ამბავზე, თითქოს ლუკაც იმ ჯოგში ყოფილიყოს, სადაც თევდორე იყო.

„ნუთუ დიდი ხანია, გადაბირებული ვარ?“ — გაიფიქრა ლუკამ.

არა, ცხადად გრძნობს, რომ ჯერ არავითარი ნიშანწყალი მგლობისა მის სულში არ არის. მაგრამ რას უპირებენ, დღევანდელი დღე, ან როგორი ხვეული ღამე, რომელიც ახლოვდება და სადაცაა გულში ჩაიხვევს ხეობას.

ნუთუ წუხანდელ ღამესავით უძილო უნდა იყოს ეს ღამეც.

რაც მოსასვლელია, მაინც მოვა, ვერსად გაექცევა. ფანჯრიდან კი არა, სახლის სახურავიდან რომ გაიპაროს.

გაფრინდება?

სად შეუძლია?

ადამიანმა, დიდი ხანია, დაკარგა ფრენის უნარი.

არა და, როგორ არ უნდა, ეს ღამე წუხანდელივით გაგრძელდეს. გაწყვეტილია მოთმინების ძაფი. ვეღარ გაუძლებს წუხანდებურ დუმილს, როგორც კი მარტო დარჩება და ოთახში სიბნელე ჩამოწვება, ეს სიბნელე დაახრჩობს.

რა ხდება? რას აპირებს თევდორე? ნუთუ მართლა ცოდვებს ინანიებს ლუკას წინაშე. იმიტომ უყვება თავის ამბებს, რომ შეიმსუბუქოს ჩადენილი ცოდვა, თუ წინასწარ აჩვენებს ლუკას, განგებ უყვება იმ ცხოვრებაზე, რაც მგლადმოქცევის მერე უნდა გალიოს ლუკამ.

ნუთუ აღარსად არის ღმერთი.

ან, თუ არის, რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ფრენა, უსაზღვრო გაჭირვების, ანდა სიხარულის დროს.

ანდა იქნებ იმიტომ ვეღარ ფრენენ, რომ საუკუნეების მანძილზე ჩადენილმა ცოდვებმა დაამძიმეს ადამიანი, მიწამ შეიჩვია და აღარ სწადია კაცის სულს ფრენა.

მიწამ ხომ შეჩვევა იცის.

რა ბედნიერი იქნებოდა, ახლა რომ შეეძლოს, გავიდეს გარეთ, გაშალოს ხელები და ასე ხელგაშლილი აფრინდეს. მხოლოდ ასე თუ დაიღწევს ამ მგლების წრეს თავს.

მაგრამ რა ცოდვა ეწევა მიწისაკენ.

ლუკას ხომ ჯერ ასეთი არაფერი ჩაუდენია.

იქნებ რომელიმე წინაპრის ცოდვა ამძიმებს.

იქნებ უცოდველებს უფრო ეტანება დედამიწა.

ნუთუ მართლა დაიკარგა და მგლების ლუკამდე მიატოვა მისგანვე შექმნილი კაცი შემოქმედმა.

მოქცეული ხარ მგლების რკალში.

თუ შეძლებ და ამისათვის გეყოფა რწმენა და ძალა, მიდი, გაარღვიე ეს წრე, თუ არა და, დანებდი, შენც მგლად იქეცი. შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე რა, რომ მგლად იქეცი. განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო? ქვეყანა სავსეა მგლებით. იმათია ასპარეზი, ხოლო ვინც კაცი გაჩრიდა, დაკარგულია, სადღაც იმალება. იშვიათად თუ ვინმემ იცის იმისი ადგილსამყოფელი.

იმალება დამბალებელი.

მგლებს კი წრე აქვთ შეკრული.

მიდი და გაარღვიე ეს წრე, თუ ვაჟკაცი ხარ!

თევდორე?

ნუთუ მართლა მოახერხა თევდორემ ამ წრის გარღვევა და ახლა ლუკას წინ უცოდველი ზის.

უცოდველი? არა, უცოდველი როგორ იქნება, განა იმიტომ არ მოაჯადოგეს და განა იმიტომ არ აქციეს მგლად, რომ შეეშინდათ დორაისხვლებს, მაგამისივით არ აყვავებულიყო ესეც ღრმა სიბერეში, ისე დაუბნიეს თავგზა, ისე დაუმძიმეს ნადირის ხოცვით სული, ღმერთს მასზე ხელი ააღებინეს, მერე მგლების ხროვაში უკრეს თავი და აწყნწალეს ქვეყანაზე.

ახლაც ჯერ კარგად არ იცის ლუკამ, კიდევ რა უდევს თევდორეს გულში. იქნებ ახლაც დორაისხვლების ბრძანებას ასრულებს და ტყუილად ახსენებს წმინდა სამებას.

როგორ გაიგოს ლუკამ?

ენდოს?

თუ არ ენდობა, რა ქნას?

წრეშია მოქცეული.

ირგვლივ მგლებია.

მშველელი არ ჩანს.

ვინ გაიყვანს ამ წრიდან?

ოთახში კი თბილა.

ჯერ დღეა და ცეცხლის შუქი არ კრთის კედლებზე და ჭერზე.

ღუმელი კი წუხანდელივით ფუკფუკებს.

ჩასთვლიმა ლუკას.

დაესიზმრა:

ცეცხლი უკიდია დედამიწას. ხტუნავს, ტორტმანებს.

ერთიმეორეში ირევა ხალხი.

ვერ გაიგებ, ვინ საით გარბის.

ცეცხლი ედება დედამიწას.

ტყვრება,

ტორტმანებს.

ხალხი აბღავლებულ ცხვრის ფარასავით აწყდება აქეთ-იქით. მაგრამ ყველგან ცეცხლია.

ტირილი.

კვნესა.

ხვეწნა.

მუდარა — ერთმანეთშია არეული.

ლუკაც ხალხშია, ისიც გასასველს ეძებს.

კვამლის სუნი ახრჩობს ხალხს.

კვამლმა ღრუბელივით დაფარა გარემო.

აღარაფერი აღარა ჩანს.

გადის ერთი დღე.

მეორე.

მესამე.

ლუკა ძილში გრძნობს დღეების მონაცვლეობას.

დაიქუხა.

მთელი ცის სიგრძე-სიგანეზე გაკრთა ელვა.

გაიფანტა კვამლი და გამოჩნდა:

დაკარგული ღმერთი.

შეჰბღავლა ხალხმა.

მაღლა გაჩერდა და ხალხს ჩამოსძახა:

— უცოდველნი ამოფრინდით.

ფრენით წავიდა აღმა ხალხი.

ვითომ ლუკაც მათ შორის იყო.

ვინც ფრენა ვერ შესძლო, ისევ მიწაზე დარჩა და ახლა კაცის ხმაზე კი არ შესთხოვდნენ შველას, ყმუოდნენ.

მიწას ცეცხლი ეკიდა და ჰაერში ტორტმანებდა.

ლუკა ვითომ ღმერთს ეხვეწებოდა ხალხის შველას, რომლებიც ყმუილით შეჰბღაოდნენ ცას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წადი. იპოვე ყვავილი! — მხარზე ხელი დაადო ღმერთმა და ლუკა ძირს დაეშვა.

უცებ გაფლეთძა.

თევდორე იჯდა და ულიმოდა.

— ჩამეძინა! — თქვა ლუკამ.

— დაღლილი ხარ, ცოტა დაისვენე. მე წავალ. ძროხებს წავასხამ წყალზე.

თევდორე წამოდგა და გარეთ გავიდა.

„ძროხები ჰყოლია“. — გაეხარდა ლუკას.

დერეფანში გამოვიდა.

თევდორეს ორი ძროხა და ერთი პატარა ხბო მიჰყავდა წყლისაკენ, თოვლში გაკვალულ ბილიკზე.

უკან ძაღლი მისდევდა.

სიმშვიდე იგრძნო.

„სადაც ძაღლია, ძროხები, ადამიანი და ახალმოსული თოვლი, იქ აღარ შეიძლება ავი ფიქრი“, გაუელვა ლუკას და თავისივე აღმოჩენით გახარებულს, ყვირილი მოუნდა.

ძროხები ნელა მიდიოდნენ წყაროსკენ, იმათ მშვიდად მიჰყვებოდა თევდორე და უფრო მშვიდი ნაბიჯებით ძაღლი მისდევდა უკან. მარტო პატარა ხბო ვერ ისვენებდა, დედის გარშემო დარბოდა. ახალმოსულ თოვლში ეფლობოდა.

აღარ თოვდა.

ცა მოწმენდილიყო და ის-ის იყო, მზე ჩადიოდა თოვლიანი სერების იქეთ.

ხვალ თუ აღარ ითოვებდა, ზვავებიც ჩამოზვავდებოდა და ზეგ მგზავრების მიმოსვლაც დაიწყებოდა.

ისევ გადაეწმინდა ლუკას ავი ფიქრებისაგან გუნება, როგორც ეს ცა იყო მოწმენდილი და ერთი ღრუბელიც აღარსად ჩანდა.

ლუკა სახლში შებრუნდა, უნდოდა შიგნითა ოთახის კარი შეეღო და ენახა თევდორეს საძინებელი ოთახი.

კართან მივიდა.

ხელი წაავლო.

მაგრამ ვერ გაბედა.

„არ შეხვიდე“, — თითქოს გააფრთხილა კიღაცამ.

„რომ შევიდეს?“

„არ შეხვიდე“. — ისევ გაუელვა გონებაში.

ცივად შემობრუნდა.

დაღონდა.

დაფიქრდა.

რა იყო ის ხმა, რომ აფრთხილებდა, შიგნით არ შეხვიდეო. ვითომ რა არის იქ?

მეტი აღარ შეუძლია.

მოვიდეს თევდორე და მოხდეს ბარემ, რაც მოსახდენია. თუ რამეს უპირებს, დროზე ქნას, თუ არა და, დაამთავროს მაინც თავისი ამბავი.

ასე გაგიეებაც შეიძლება.

თანაც ღამე მოდის.

დღისით უფრო ადვილია საფრთხის გადატანა.

თუნდაც სიკვდილის.

სიკვდილი?

რაა სიკვდილი? — ზოგისთვის წამი, ზოგისთვის მთელი ცხოვრება.

ზოგი დაბადებიდან გრძნობს თანდაყოლილ სიკვდილს და მანამდე აწვალებს ამის შიში, მანამ სულ-ხორცი არ გაეყრება ერთიმეორეს.

სულ-ხორცის გაყრა სიკვდილია?

მაშინ სიცოცხლე რაღაა?

ალბათ, სულ-ხორცის ერთად შეყრა.

მაგრამ ვიღაც, თუ რაღაც ხოა, კანაც სულ-ხორცი შექმნა და დაუწერა სიკვდილ-სიცოცხლე.

სიცოცხლე ჩვენთან არის და სიკვდილიც აქვეა, ის კი არა ჩანს, ცოცხლები ვერსად ვხედავთ და, ვინ იცის, მკვდარნი სულ ვეღარაფერს ხედავენ.

ლუკას შეაჟრჟოლა და გაიფიქრა:

რა დროს ფილოსოფოსობაა, როცა სადაცაა, დამთავრდება ყველაფერი. მობრუნდება თევდორე წყლიდან და ღამეც ჩამოდგება.

სიკვდილს შიში ახლავს.

მშიერი მგელივით იცის თავს წამოვარდნა და იმიტომ.

იქნებ მოახლოებულ სიკვდილს გრძნობს ლუკა და იმიტომ ეშინია ასე. გარბის და ვერ გაქცეულა. სად გაიქცე-

ეა, სიკვდილი ხომ ყოველთვის იქ არის, სადაც წერა-მწერალი მიუღერს ხელს.

ისიც მგელივითაა.

ბებერ ბერელს ჰკვავს. აღარაფერი რომ აღარ უთბობს ბებერ გულს და იმდენჯერ მოთხვრილია სისხლით, ახლა მთელი ლაშ-პირი წითელი აქვს.

ბებერმა მგელმა არ იცის შეცოდება.

სად გაექცევა ლუკა ამ მგელს, თუ წერა-მწერლისაგან ასე უწერია და იქნებ ამაღამ, შუაღამისას, ან ცოტა მერე, უფრო რომ ჩაღრმავდება ღამე, მოხდეს მოსახდენი.

იქნებ კიდევ სცადოს გაქცევა.

სანამ დღეა.

სანამ თევდორე წყაროდან მობრუნდება.

დარწმუნებული რომ იყოს, რომ ამ სახლში სიკვდილი ელოდება, გაიქცეოდა, მაგრამ ბნირად გარბიან ადამიანები იქიდან, სადაც სიკვდილი ეგულებათ და იქით კი პირიან, სადაც სინამდვილეში ელოდება ის.

დარჩეს?

თუ გაიქცეს?

უწერია?

თუ არ უწერია?

სიკვდილი თუ არა, დორაისხეველები ხომ მაინც მონათლავენ მგლად ამაღამ.

ღმერთო, სად დაიკარგე?!

ანდა თუ არ ყოფილხარ არასოდეს, ვინ გააჩინა სიკვდილ-სიცოცხლე?

სიცოცხლეს ეხეოდეთ, რასაც ჰქვია; რაშიც ვლინდება.

სიკვდილი?

ყოველივე დასრულდება ამით?

„ნეტავი რას ვფილოსოფოსობ“, — ისევ გაიფიქრა ლუკამ, — „განა ვინმე ყოფილა ამ ქვეყანაზე, ვისაც ჩამოსდგომია ღმერთი და უთქვამს, რაც არის სიკვდილი?

მოვა და გაკვლებ.

უბედურება კი ის არის, რომ არ იცის, მანამდე რა უწერია ლუკას. სიკვდილი რომ გარდაუვალია, იცის.

ყველა კაცი რომ საკუთარ სიკვდილს დაატარებს. ამას რა მიხვედრა უნდა.

როგორ მგელივით იცის ჩასაფრებულ სიკვდილმა, სადან წამოგივარდება და როდის, ვერ გიგებ.

ზოგჯერ სიტყვაშიც არის.

კაცის პირიდან ამოხტება — ერთი კაცი რომ მეორეს უღვთო სიტყვას ეტყვის. იმ სიტყვას მოსდევს თან.

გაგი დაუდგა ლუკას თვალწინ.

ლუკას წარსულიდან გადმოვიდა გაგი, ჩამოიარა სოფლის ორღობე, აგერ. დერეფანშიც მოვიდა, ლუკასა და მის ბოჩოლას მოეფერა.

მეოე წავიდა.

გაგი მაღალია, ხმელი და ძლიერი.

გაგის არავინ ეშინია.

ლუკა ხედავს, რომ გაგი ყოველთვის დაიცავს მას.

გაგი კეთილია და ყველას უყვარს.

გაგისაც უყვარს ერთი გოგო.

გოგოს მართა ჰქვია.

გაგი ცოლად მოიყვანს მართას.

ქორწილი არის ძველებური, დიდი თასებით სვამენ სვიიან ლუდს. ყველა ბანახარებულია გაგის ბედნიერებით.

დრო გადის, გაგის შვილი უნდა შეეძინოს.

იმათ სოფელი წმინდა ადგილად ითვლება და, წესის მიხედვით, მართა სოფლიდან შორა მიდის სამშობიაროდ. ჯერ არაგის დაურღვევია ეს წესი და არც მართა არღვევს, თუმცა იმ შორეულ ქოხში, რასაც აქაურები ბოსელს ეძახიან, მშობიარე ქალისათვის უკიდურესი პირობებია: ცივა, სიმარტოვეა და სადღაც მგლებიც ყმუიან. ხანდახან ბებიაქალიც არსად არის, მარტოა მშობიარე.

მამაკაცები აქ მოსვლას ერიდებიან.

ეს ადგილი შერეულ ადგილად ითვლება და, მანამ ორმოცი დღე არ გაივლის, აქ არიან ბავშვიანი ქალები, სამი დღის მანძილზე საჭმელს შორიდან აწვდიან. მერე მოსაკითხი მოაქვთ ახლობელ ქალებს. კაცები კი აქ არ მოდიან.

---

**გიდეონ ჩოხელი**
**მგელი**

ამ თოვლიან მთებივით მკაცრი წესი დაუდგენიათ აქაური ქალებისათვის მათ წინაპრებს.

უკვე მეორე კვირაა, ამ ბოსელშია მართა თავის პატარა ბიჭთან ერთად. იმათთან არის კიდევ ერთი ქალი, ანა, ესაა მართას ტოლია, იმასაც ბიჭი ჰყავს.

სოფლიდან ქალები ამოდიან ხოლმე იმათ სანახავად.

გაგის ერთი სული აქვს, როდის ნახავს თავის პატარა ბიჭს, თითქოს ხედავს კიდევ მართას მკერდზე ჩახუტებულს, როცა თვალებს ხუჭავს. გაგის მოთმინება ელევა, უნდა, მივიდეს და შორიდან მაინც დაინახოს მართა. მაგრამ სირცხვილად ითვლება კაცის ასე ამჩატება, ესეც შორეულ წინაპრებს დაუდგენიათ და ვერავინ გადადის ამ წესს.

წინ კიდევ დიდი დროა.

მოუთმენლად მოელის გაგი ცოლშვილს.

ითვლის დღეებს.

ერთხელ, ცხვრიდან რომ ბრუნდებოდა, ველარ მოითმინა და გზიდან ბოსლისაკენ გადაუხვია.

— მართა! — დაუძახა ფრთხილად.

ხმა არავინ გასცა.

— მართა! — ისევ დაიძახა გაგიმ.

კარი გაიღო და ქოხიდან ანა გამოვიდა.

ერთ წამს ორივე შეკრთა.

გაგის შერცხვა.

ანას ფარულად უყვარდა გაგი, უყვარდა თავდავიწყებით და ვერ ამყლავნებდა. გაგი ვერასოდეს ხვდებოდა ანას. იმისი თვალები მართას იქით ქალს ველარ ხედავდნენ ღა, როცა ცოლად მოიყვანა, მაშინ გადაწყვიტა ანამ, სამაგიერო რითიმე გადაეხადა მართასათვის. ეს რომ სცოდნოდა, ალბათ, თვალსაც არ მოხუჭავდა მართა. რა დაძინებდა, როცა ვგეოდით ასეთი მეტოქე ეგულებოდა. ან როგორ ანდობდა ხანდახან ბავშვს, როცა თვითონ ხევში ჩადიოდა ტანსაცმლის გასარეცხად, მაგრამ ანაც ხომ დედა იყო და ასეთ რამეს როგორ გაივლებდა გულში. იგი ასეთ დროს სიყვარულით ეფერებოდა გაგის ბიჭს, ბავშვი რაღაცით აბეზღვინებ და გაგისთან.

ახლა კი, როცა გაგი დაინახა, კინაღამ ქოხის კართან ჩაიქცა ანა. საიდანღაც ისევ მოვარდა ძველი სიყვარული და ღონე გამოაცალა ქალს.

— მართას დაუძახე, — უთხრა გაგიმ დარცხვენით.

— მართა წავიდა, — ძლივს ამოიღო ანამ ხმა.

— სად წავიდა? — გაუკვირდა გაგის.

— წავიდა, სახლში წამოვიდა, ბიჭი წამოიყვანა, — თქვა ანამ.

— უკვე?! — ისე დაიბნა სიხარულით გაგი, დაავიწყდა კიდეც, რომ ამდენი ხანია ელოდა, ეჩვენებოდა, რომ წლები გავიდა მართას წასვლის შემდეგ. გახარებული შებრუნდა და სახლისაკენ გაიქცა.

შვილი რომ ნახა, უფრო გაუორკეცდა გაგის მართას სიყვარული.

და...

ერთ დღეს,

მეზობლით გავარდა სოფელში ჭორი.

ანას ეთქვა — გაგი ბოსელში მომიყვარდა და ჩემზე ძალადობა მოინდომაო.

დაიგრიალა სოფელმა.

ახმაურდა.

აყაყანდა ხალხი.

დიდსა და პატარას ეს ამბავი ეკერა პირზე.

ასეთი რამე დღემდე არავის გაეგონა, რომ ბავშვიან ქალს ამშობიაროში მივარდნოდეს ვინმე და მასზე ძალა ეხმაროს.

დაილესნენ გაგიზე.

შეიკრიბნენ და

უკვე რომ აღარავის ახსოვდა, ისეთი გაუგონარი სასჯელი დაუდგინეს გაგის:

მ ო კ ვ ე თ ა!

მოხუცებსაც კი აღარ ახსოვდათ, როდის მოიკვეთეს ბოლო კაცი სოფლიდან. ახლა გაიხსენეს, ამ გაუგონარი ამბით შეშფოთებულმა ამოქექეს მეხსიერებიდან.

— სჯობია, სახლშიც აღარ შემოხვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დე. ბიჭი როგორმე უშენოდ გაიზრდება. ან კი რა თავში იხლის შენნაირ მამას. — შეაგება მართამ კარებში გაგის.

— მომისმინე, მართა...

— სიკვდილმა მოგისმინოს, — თქვა მართამ. მაშინ არ იცოდა, რომ მართალ უსმენდა სიკვდილი, არც ახლა იცოდა მაშინ, რომ მისი პირიდან ამოსული სიტყვებს: გაგიმ ძალადობა მოინდომა ჩემზე-ო, სიკვდილი მოაკვებოდა თან.

ეეე, ვინ რა იცის, საიდან წამოფრინდება სიკვდილი და ბებერი მგელივით დაეძგერება კაცს.

გაგი უბმოდ გავიდა სახლიდან.

ერთი თვე კლდე-ღრეებში დაწანწალებდა.

ენატრებოდა მართა.

ენატრებოდა თავისი ბიჭი.

ხანდახან სოფელს ჩაპაუურებდა და დარდით ილეოდა. თუ ვინმე შემთხვევით წაიწყდებოდა, გაგის დანახვაზე გველნაბენივით კრთებოდნენ. ზურგს შეაქცევდნენ და გარბოდნენ.

ერთხელ მთიდან მომავალ ანას გადაეყარა.

ეზაზე გადაუდგა.

შეშინდა ანა, მუხლები მოეკვეთა და ჩაიხვია.

— არ მომკლა, გაგი, შვილი დამრჩება ობლად, — შეეხვეწა ანა გაგის, მაგრამ გაგის არც უფიქრია მისი მოკვლა და უთხრა ანას:

— მე არც ძალადობა მიფიქრია შენზე და არც სიკვდილს ვაპირებ შენსას, ან კი როგორ მოგკლავ, მე ხომ უკვე მკვდარი ვარ შენგან, — თქვა გაგიმ, შეიტრიალა თოფი და გამოჭკრა სასლლეტა.

ანა დიდხანს ეხვეოდა უსულო გაგის. ეხვეწებოდა, გაცოცხლებულიყო, პატიებას სთხოვდა.

იმის მერე, აღარც ანას უცოცხლია დიდხანს.

ლოგინად ჩავარდა.

დადნა.

დღითიდღე მთვარესავით დაილია და იმ ბზას გაჰყვა იმისი სული, საითაც იავი იყო წასული.

სიკვდილი ხომ მშიერი მგელივით აოის და, არავინ იცის, საით ვის ამოუტტება.

ნეტავი როდის, სად, ან ვის ამოუტტება პირველად.

მთაში?

იქნებ მინდორში, თავის ბზაზე წყნარად მიმავალს.

ან იქნებ?...

პაპის ნათქვამი ახსენდება ლუკას ბავშვობაში ზღაპრად მონაყოლი.

— შვილო, დამიგდე ყური. ძმა რომ გეყოლება და გაიზრდები, თაც არ უნდა მოიდეს, შენ ძმა ავი არ გაუკეთო.

— რა ავი, პაპავ?

— არ ეჩხუბო.

— არ ვეჩხუბები.

არ აწყენინო.

— ის თუ მაწყენინებს?

— შენ მაინც არ აწყენინო.

— სხვებს ხომ ვეჩხუბო, პაპავ.

— არც სხვას ეჩხუბო, შვილო.

— არც სხვა და არც ჩემ ძმას?

— ხოო, შვილო, არავის.

— ძმა რომ მომიკლან, არც მაშინ ვეჩხუბო?

პაპა შეკრთა, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას, თამბაქო შეახვია გაზეთის ნახევში და გააბოლა.

— სიკვდილი რა არის, პაპავ, ჰა? — ახლა მეორე მოულოდნელი კითხვა მიახალა ლუკამ.

— რა ვიცი, შვილო, ღმერთმა დასწყევლოს!

— ღმერთი სად არის?

— ღმერთი ცაშია და ჩვენ გვიყურებს.

— რატომ გვიყურებს?

— იმიტომ, რომ არაფერი დავუშავოთ ერთიმეორეს.

— თუ დავუშავეთ?

— გაბრაზდება.

— რატომ გაბრაზდება?

— ერთმანეთს რატომ ეჩხუბებითო.

— რატომ კლავთო?

— ჰო.

— ვინ მოიგონა სიკვდილი, პაპავ, ჰა?

— კაცმა, შვილო.

— კაცი ვინ იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი დაფიქრდა, პასუხი არ გააცა შვილიშვილს, სიგარეტს ამოლებდა.

— კაენი ვინ იყო, პაპავ?

— კაენი. შვილო, სულ პირველად რომ ადამიანი გააჩინა ღმერთმა, იმისი შვილი იყო, ისიც ჩემსავით შენი პაპა იყო, ოღონდ უფრო შორეული პაპა.

— პაპისპაპის პაპისპაპა?

— ჰოო და. უფრო იმისიმის პაპა.

— იმის იმის იმის იმის?

— ჰოო.

— როგორ მოიგონა, პაპავ, კაენმა სიკვდილი?

— იმას მეორე ძმაც ჰყავდა, ორნი ძმანი იყვნენ. მეორეს აბელი ერქვა.

— ის ვისი იმისიმისიმის პაპაღა იყო პაპავ?

— ის არავისი, შვილო, ჩვენ სუყველანი კაენის შვილიშვილები ვართ.

— შენც შვილიშვილი ხარ, პაპავ?

— ხოო, შვილო.

— აბა, პაპა რო ხარ?!

— პაპა შენთვისა ვარ, შვილო, და. მე რომ პაპა მყავდა, იმისთვის შვილიშვილი ვიყავი.

— მე რომ შენი სწორი შვილიშვილი მეყოლება, მაიცა... — დაიბნა ლუკა, — მე რო პაპა ვიქნები, ხო მეყოლება შვილიშვილი, პაპავ?

— ჰოო, შვილო, გეყოლება.

— მერე?

— რა მერე?

— მერე სად წავალ, პაპავ?

მოხუცი ისევ დადუმდა, გაბოლა, მერე თქვა:

— ლუკავ, აბა ყური დამიგდე, ზღაპარს მოგიყვები.

ლუკა მუხლზე შემოუსკუპდა და გაინაბა.

— იყო ორი ძმა — დაიწყო მოხუცმა. — ერთს კაენი ერქვა, მეორეს — აბელი. იმათ, მშობლების გარდა, არავინ ჰყავდათ, არც იმათ მშობლებს ჰყავდათ მეტი ვინმე. მთელ ქვეყანაზე, ამათ გარდა, კაცაშვილი არ ჰაჭანებდა. აბელი ცხვარს მწყემსავდა, კაენი კიდე მიწასა ხნავდა. ისეთი ყანები ჰქონდა, ქარი რომ წამოუბერავდა, ზღვასავით ღელავდა. აბელსაც ბევრი ცხვარი ჰყავდა. ესენი ამიტომ ღმერთის მადლობები იყვნენ და შესაწირი მიართვეს, ერთმაც თავისი ალალი გულით, მეორემაც. ღმერთი აბელისაგან უფრო მადლიერი დარჩა, იმის შესაწირი უფრო ესიამოვნა. კაენს ეწყინა ძმის სიკეთე და ღმერთს უსაყვედურა, რატო მაგას და მე არაო.

— მაგას რაო? — ჰკითხა ლუკამ.

— მაგას რატომ ემადლიერებიო?

— ამან უფრო ალალი გულით შემოგწირაო, — უთხრა ღმერთმა. წამოვიდა კაენი. ერთი სული აქვს, ძმას რამე უხიმანოს, არ იცის კი, რა. დედ-მამისა ეშინოდა და ძმას უთხრა, წამო, მინდორში გავისეირნოთო. რა მინდორი ის იყო, უდაბნოში ცხოვრობდნენ. წაჰყვა ესეც თავის ალალ გულზე, ან რისი შიში უნდა ჰქონოდა, ჯერ არც ერთმა არ იცოდა, რა იყო სიკვდილი. ჯერ არავინ მომკვდარიყო და, აბა, საიდან ეცოდინებოდათ? ჰოდა, ეტყობა, ქვიანი ადგილიც იყო, აიღო ერთი ქვა და ძმას თავში ჩაარტყა გულმოსულმა კაენმა. გადაიქცა აბელი, აფართხალდა და მოკვდა.

კაენი ჯერ ვერ მიხვდა, რა მოუვიდა ძმას.

წამოყენება უნდოდა, ეზიდა, ასწორა, ფეხში ვერ ჩააყენა. რა არ სცადა, რა არ იღონა, არ იცოდა, რა იყო სიკვდილი, და ხან ეხვეწებოდა, ადექი, ხარ უყვიროდა. მანამდე ცხვარი კი დაეკლა შესაწირავად და საჭმელად, მაგრამ, კაცის სიკვდილი თუ შეიძლებოდა, ამას ვერ წარმოიდგენდა. აბელი ალარ ამდგარა. რაღას ადგებოდა, მოკვდა.

ბოლოს, ფეხზე რომ ვერ დააყენა, დედ-მამისა შეეშინდა კაენს და გადაწყვიტა, დაემალა ძმა.

იფიქრა, იფიქრა, ვერაფერი მოიფიქრა.

ეს რომ ამ ფიქრში იყო, ამ დროს, იმათ შორიახლო მოფრინდა ორი ყვავი. ერთმა მეორე მოკლა, მერე ფეხებით მიწა გაქექა, ამოთხრილ მიწაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვდარი ყვავი ჩაგდო და ზემოდან ისევ შიაყარა მიწა.

ეს რომ ყვინმა დაინახა, თვითონაც გაიხარა მიწა. ჩაგდო შიგ მკვდარი ძმა და მიაყარა მიწა.

აი, ესე მოიგონა ყვინმა სიკვდილი. შვილო, — უთხრა პაპამ ლუკას და ჩამკრალი სიგარეტი შორს მოისროლა.

მაშინ ზღაპარივით მოუყვა პაპა და სერიოზულად არასოდეს უფიქრია ლუკას ამაზე. სიკვდილის რიდი და შიში კი ყოველთვის ჰქონდა. როცა სოფელში ვინმე მოკვდებოდა, რაღაც ამოუცნობი მძიმე სევდა რამ დაეწვებოდა პატარა გულზე და სულს უხუთავდა.

მერე თანდათან შეამჩნია, სოფელში ყვავი რომ საოდან ასტეხდა ჩხავილს, ვინმეს სიკვდილი გაიგონებაო, ჩიოდა ბალში.

როცა ბუნება გარდაიცვლებოდა და ზამთარი უნდა დამდგარიყო, აი, მაშინაც ყვავები მორთავდნენ ჩხავილს.

ნეტავ რა იციან ყვავებმა?

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ყვავის ხმა მოესმა გარედან ლუკას.

შეკრთა.

ანგარიშმიუცემლად გამოვარდა გარეთ.

ყვავი კი ... თვალწინ იდგა სახლის შორიახლოს და ლუკას ეძახდა:

— ლუკა! ლუკა!

ლუკას კიდე ისე ჩაესმა სახლში, თითქოს ყვავი ჩხოდა:

— ყვაა! ყვაა!

— მოდი, ლუკავ, მომეშველე, — ეძახდა თვედორე.

ლუკამ თვედორესთან მიირბინა. იმას ჭრელი ძროხა ეჭირა და უყვავებდა, ეფერებოდა.

— რა დაემართა?

— ხბოს აჩენს, ლუკავ, შენ საბლით დამიჭირე, მე მივეხმარები, — თქვა თვედორემ და პალტო გაიხადა.

ძროხას დიდი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა.

მეორე ძროხაც იქვე იდგა, ბზუკუნებდა.

ძაღლიც იქვე ჩამომჯდარიყო და ყურადღებიანად ერევა ... ლუკას ადევნებდა.

მარტო პატარა ხბო ვერ ისვენებდა. ტოტდა. დარბოდა. თოვლში ეფლობოდა.

თვედორე ძროხას ეხმარებოდა ხბოს გაჩენაში.

ლუკას საბელი ეჭირა და ძროხას აკავებდა.

დაიბადა.

თოვლივით თეთრი ხბო დაიბადა.

— სახარეა, — თქვა თვედორემ და. რომ არ გაცივებულიყო, თოვლზე თავისი პალტო დაუფინა და ზედ დააწვინა.

პატარა ბოჩოლა იმ წუთში აიტანა კანკალმა.

დედამ ალოკა.

თვედორეს გაბრწყინებული სახე ჰქონდა და თოვლით იბანდა ხელებს. მერე ბოჩოლას დააკვირდა გაღიმებული.

— რა თეთრია! — თქვა ლუკამ.

— ჰო, თუ ამასაც წითელი მგელი არცა წამოვარდა თავს, — უპასუხა თვედორემ, რომელსაც ამის თქმაზე სევდა ჩაუდგა თვალებში.

წუთის წინ სიცოცხლის დაბადებას ზეიმობდნენ. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა თვედორეს, ისე იდგა, ისე უციმციმებდა სიხარულით თვალები. ახლა ის ხალათის უბეზე გამოკერებული ყვავილიც ისე უხდებოდა, წამით დააეწყდა ... ლუკას, რომ თვედორე როდისმე უბედური იყო, თითქოს ცოდვებიც ... ჩამოხსნოდა, ისე იდგა გაბრწყინებული, ახლა კი უცვ მოიწყინა და სევდა ჩაუდგა თვალებში.

— ცუდად ხომ არ გახდი, ძია თვედორე?

— არა, ლუკავ, ცოდვამ მომაკითხა განა ერთი და ორი მაქვს ჩადენილი, მაგრამ ისენი მე აღარ მეკითხებოდა, მანამდე რაც ჩამიდენია, ის უფრო მომძიმს.

— რას იზამ, ნადირი ვის არ უხოცია.

— მარტო ეგ რო იყოს, კიდევ რა უჭირს, განა ესეიგ დავისჯებოდი. ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიერთგულია სიკვდილმა, ერთხელ. რო ვეღარაფერი ვიხადირე. პატარა ხბო დაეკალი და თავიისივე დედის რძეში მოვბარშე. კი ვკმაე. მაგრამ, ვაი იმ ღამის გალენებას. მოვბუქავდი თუ არა თვალს. მამაჩემი დამიდგებოდა, შეწუხებული სახით "შემომაყურებდა გაოცებული. უცებ მეღვიძებოდა, ვბორგავდ. ძალიან ვაგალანებე, მეორე დღეს სანადიროდ წავედი და აკი იმ ამბავს არ გადავაწყდი.

ძროხას უკვე გაელოკნა ხბო.

ახლა უფთო თეთრად ქთქაფთებდა.

თევდორემ პალტოში შეახვია და ისე წაიყვანა გომურისაკენ. ძროხა ზმუკუნით გაყვა.

„ნეტა თუ გრძნობს, რომ მგელს უჭირავს მისი შვილი და იმიტომ ზმუკუნებს?" — გაიფიქრა ლუკამ.

თვითონვე შერცხვა თავისი ფიქრის.

ისე ჩახუტებული მიჰყავდა ხბო თევდორეს და უკან ადევნებული ძროხები და ძაღლიც კი, ისეთ იდილიას ქმნიდნენ, ცოდვა იყო, თევდორეზე ცუდად გეფიქრა.

ან როგორი გაბრწყინებული თვალები ჰქონდა.

ანდა როგორ ახვევდა თავის პალტოში, რომ არ შესცივნოდა ხბოს.

„მაგრამ...?"

„თანაც რომ ღამდება?"

„არა, არა, ცოდვა არის ახლა ასეთი ფიქრი..."

ლუკა გომურისაკენ წავიდა. თევდორეს უკვე ბაგაში ჩაფენილ თივაში ჩაეწვინა ხბო.

— ჯერ გათბეს, მერე მოვაწოვებ, — უთხრა ლუკას და მეორე ძროხაც დაბა.

მერე თივა შემოიტანა და ბაგაში ჩაუყარა.

ძაღლი გომურის შემოსასვლელთან იჯდა და ცალი თვალით შიგნით იყურებოდა. ეტყობა, ძალიან აინტერესებდა, რა ხდებოდა. შემოსვლით კი არ შემოდიოდა, ალბათ, თავისი ძაღლური სინდისი არ აძლევდა ამის ნებას.

დიდი ხბო თავის დედას ეწებებოდა. — ამასაც მოშიოდა. ლუკაც. ამასაც მოვაწოვოთ. — თქვა თევდორემ და პატარა ხბო ამოიყვანა ბაგიდან. დედას მიუსვა და იმანაც იმწუთში ბოლვა ძუძუ.

უცებ თევდორეს ქუდი მოეცადა და პატარა ხბოს ჩამოეცვა თავზე.

იმან გაკვირვებულმა თავი ასწია და გაიტრუნა.

ლუკამ გაიცინა.

თევდორესაც გაეღიმა, ხბოს ქუდი მოხდა და დაიტუტა.

— ჩვენ ჯოგში ერთი მგელი იყო, ფაცას ვეძახდით. — ამის მოყოლა დაიწყო თევდორემ და ბაგაზე ჩამოჯდა.

— ეხლა რომ მახსენდება, მეცინება, უფრო კი მეცოდება. რაღაც უცნო რამ ამბავი იყო იმის თავს. იმ დათვისა არ იყვეს, ხიზანიანთ რომ მოჰპარა გადამალული ქვაბები და ულაგიო. აბა, რაღ უნდოდა. ცხენს ის ვერ შეჰკაზმავდა და საჭმელს ქვაბში ვერ გაიცხელებდა, მაგრამ დათვია და ხასიათი. მოეწონა და თავის სოროში წაიღო. ფაცასაც ერთი ქუდი ჰქონდა, ყაზახური ქუდი, სადაც წავიდოდით, იქ ქუდს დაათრევდა პირით. დავისვენებდით. ისიც შეჰყოფდა ქუდში თავს. ჩამოსკუპდებოდა და იჯდა კაცივით ქუდჩამოფხატული. არ ვიცი, იქ არავინ ამბელდა თავის ვინაობას, შეიძლება. ფაცაც ჩემნაირი მგელი იყო, მიჩვეული იყო ქუდის ტარებას და იქაც ვერ იშორებდა. ხო იცი, მიჩვევამ როგორ იცი, ერთხელ რომ გაუტკბა მიწას კაცის ხორცი, იმის მერე შემოგვეჩვია და გვკმაშ. ჩვეულება ისეთი რამეა, ძნელად თუ ვინმეკა რამეს მაიშლის. შეიძლება, ფაცაც ქუდს იყო ერთ დროს მიჩვეული და მგლობაშიც ვეღარ იშორებდა. შეიძლება, ეულაც თავიდანვე მგლად დაიბადა და, იმ დათვისა არ იყოს, სადღაც იპოვა ის ქუდი, ან რომელიმე კაცის თავზე დახეული ნახა, მგზავრი, ალბათ, მგლებმა მოიქცეს რაკლმ, ერთი სიტყვით, ფაცას ყაზახური ქუდი ჰქონდა. სამსჯავროზე უშლიდნენ იმ ქუდით ჯდომას და, როცა დორაისხევში უნდა წარვმდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიყავით, ერთ ამოჩემებულ ადგილას ინახავდა ტყეში ქუდს.

საწყალი გულისა კი იყო ფაცა.

ეგეთი კეთილი მგელი მე არ მინახია: წრეში რო ვინმეს მოვიმწყვდევდით, ეს ფაცა ქუდს ჩამოიხურავდა და ისე იჯდა თავის ადგილზე, წავიწევდით, წამოიწევდა ქუდჩამოფხატული. რო მივესეოდით მსხვერპლს და ვჯიჯგნიდით, ფაცა ისევ ქუდჩამოფხატული იჯდა და გვიყურებდა.

— ქუდი არ მოგძვრეს, ქუდი, — დასცინოდნენ მგლები.

ერთი-ორჯერ კი შევამჩნიე, ასე ჩამომჯდარ ფაცას ცრემლები ჩამოსდიოდა.

ნახევარზე მეტად მშიერი დადიოდა.

გამხდარი იყო, გაძვალტყავებული.

ერთხელაც, როცა სამსჯავროდან ავიშალენით და ტყეს შევერიეთ, ფაცამ თავისი ქუდი მოძებნა. იმ ადგილს რომ მივიდა, სადაც შეინახა, ჩიტმა შეიფრთხიალა.

ფაცა შედგა.

ყურები აცქვიტა და ქუდს დააჩერდა.

არ იღებდა. ჩვენკენ იყურებოდა. მგლები წიფლებში მიძუნძულებდნენ. ფაცა იდგა და ყურებდაცქვეტილი ქუდს უყურებდა.

მივედი.

ვხედავ, ქუდში სამი ვარდისფერი კვერცხი დაუდვია ჩიტს.

ფაცამ მე შემომხედა.

მე თვალი ავარიდე.

ის შემობრუნდა და მგლებს აედევნა.

მეც იმას წავყევი.

ამის მერე ხშირად მიდიოდა, ქუდის შორიახლო ჩამოყუნცდებოდა და მალულად უთვალთვალებდა შიგ ჩაბუდებულ ჩიტს. მელიას და კვერნას ხომ არ ატარებდა ახლომარეთ.

ასე გაგრძელდა, მანამ ჩიტმა ბარტყები არ გამოჩეკა.

მერეც ასე გაგრძელდა.

ახლა უფრო ჰყარაულობდა ფაცა ჩიტის ბუდეს. ხანდახან კისერს წაიგრძელებდა და ინტერესით გადაჰყურებდა ბუჩქებიდან. ახლოა კი არ მიდიოდა.

ეტყობა, არ უნდოდა ჩიტის დაფრთხობა.

მერე ბარტყებმა ფრენა ისწავლეს.

გაფრინდებოდნენ, ისევ მოფრინდებოდნენ.

ერთხელაც, როცა გაფრინდნენ, აღარ გამოჩნდნენ.

ფაცა ცოტა ხანს კიდევ დაელოდა, მერე მივიდა, აიღო თავისი ქუდი და მონატრებულმა თავზე დაიხურა.

ასე იჯდა კარგა ხანს.

ამის მერე ისევ კბილებით დაჰქონდა.

ერთხელ, ჯალაბას წინამძღოლობისას, დამშეულები ვიყავით და ერთი მაღალი სერიდან ჩამოვყურებდით ქვეყანას.

ქვემოთ ფერდი იყო.

უფრო ქვემოთ კი დიდი უფსკრული.

სერზე ვისხედით და წინამძღოლს ბრძანებას ველოდებოდით.

ჯალაბამ აგვიარ-ჩაგვიარა ასე ჩამომსხდრებს.

გვაკვირდებოდა.

თვალს თვალში გვიყრიდა.

ფაცასთან რომ მივიდა, შედგა, ავად ავბურძგლა ბეწვი.

ფაცა უკანა ფეხებზე იჯდა და თავისი ყაზახური ქუდი ეხურა.

— რა გააჭირე საქმე! — გაუქნია ჯალაბამ ტოტი და გადაუგდო თავიდან ქუდი.

ჩვენს ქვემოთ დაქანებულ ფერდობზე დაგორდა ქუდი.

გამოედევნა ფაცა.

ქუდი მრგვალი იყო და სწრაფად მიგორავდა.

ფაცას დაღმართში სირბილი უჭირდა.

წაეტანა.

თითქოს დაიჭირა კიდეც წინა თათებით.

მაგრამ ქუდი ისევ გაუვარდა და ისევ დაგორდა.

ისევ გაედევნა ფაცა.

ქვემოთ ფერდობი თავდებოდა და კლდე იწყებოდა.

ჰაერში გაფრინდა ქუდი და ქვემოთ დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაცამ თავი ვეღარ შეიკავა და თან გადაჰყვა.

კარგა ხანს იმისი დაცემის ბანჩაბუნჩი ისმოდა უფსკრულიდან, მერე ეს ხმა ნელ-ნელა მიწყდა და, როცა უფსკრულს გადავხედეთ, ჩვენს ქვემოთ წითლად იყო ლღდე შეღებილი...

ქუდი კი უფსკრულის სიღრმეში მიფრინავდა.

გარეთ ნელ-ნელა ჩამობინდდა.

ახლა ძაღლიღა ჩანდა შემოსასვლელში.

— წამო, ლუკავ, ჩვენც დავნაყრდეთ, — წამოდგა თევდორე და ხბო ისევ ბაგაში ჩაფენილ თივაში ჩააწვინა.

სახლში შევიდნენ.

— ლუკავ, შენ ცეცხლი აანთე, სტუმარი ხო აღარა ხარ, უკვე შინაური ხარ, — უთხრა თევდორემ და ხელ-პირის დასაბანად გაბრუნდა დერეფაში

ლუკამ ცეცხლი აანთო.

— ფუკ-ფუკ-ფუკ-ფუკ, — ისევ წუხანდელივით აგუგუნდა ღუმელი, ლამპა არ ენთო და ცეცხლის შუქმა გაანათა კედლები.

ლუკა სურათებთან მივიდა.

პატარა გოგონა, ხელში ყვავილები რომ ეჭირა და ცხენებზეამხედრებულ კაცებს უწვდიდა, ახლოდან ანგელოზს ჰგავდა. ჩალისფერი კულულები ეყარა პატარა ბეჭებზე და მხრებსაც უფარავდა. სამგიეროდ, მხედრებს ეტყობოდათ მიწიერი სიxიუტე.

თევდორე შემოვიდა.

ლამპა აანთო და მერე ისიც ლუკასთან მივიდა.

— კარგი სურათია, — თქვა ლუკამ. უფრო იმიტომ, რომ ვერ იტანდა, როცა თევდორე დუმდა, ეჩვენებოდა, რომ ასეთ დროს, რაღაცას მასზე ფიქრობდა თევდორე.

— ეგ თეთრწვერა კაცი მამაჩემია, ეგ მხედრები კი ჩვენი სოფლელი ბიჭები.

— სად მიდიან?

— ომში წავიდნენ და აღარც ერთი აღარ მობრუნებულა, ჩემი ძმის გარდა, ერთადერთი ეგ გადარჩა, დანარჩენებს ეხლაც ელოდებიან. მაგრამ ეხლა ელნი აქამდე მოვიდოდნენ. ჩემი ძმაც, რა ვიცი, რა ძალამ გადაარჩინა, დაილოცოს წმიდა სამება. მამაჩემის ალი და კვალია თავით-ბოლომდე. ეხლაც ცოცხალია, ჩემზე უფროსია, ქვემოთ სოფელში ცხოვრობს. ხანდახან ეფიქრობ ხოლმე: მამაჩემს რომ დაემსგავსა. იმან უშველა-მეთქი ომში, თორემ რაღა ეგ გადარჩა! ლეგო ჰქვია. ბალღობიდანვე ისეთი გულის პატრონი იყო. სხვები რომ ჩიტებს დასდევდნენ შურდულებივით, ეგ ტირილით დასდევდა იმათ და არ ესროლოთო, ეხვეწებოდა. სუ რაღაცა ეცოდებოდა თავისი ცხოვრება, სუ იმას მიშლიდა, შეუბრალებელი ნუ ხარ, სანადროდ ნუ დადიხარო.• ბაბა, ამხელა ხეობიდან იმოდენა ხალხი წავიდა და თითქმის სუ იქ ჩაიხოცენენ, იშვიათად ვინმეღა მობრუნდა, ისინიც ზოგი დაჭრილი იყო, ზოგი ცალფეხა და ზოგიც მერე გადაჰკარგეს შორეულში, ტყვედნამყოფები ვინც იყვნენ, იმათ არ ენდობოდნენ, რატომ ჩაჰბარდითო. ჩემს ძმასაც დაუპირეს ერთი ხანობა რაღაც, მაგრამ ისევ უშველა რამანმე. თავის სიკეთემ უშველა, ბაბა, რამ უშველა. სადაც ლეგოს ნაწილი იდგა, იმის მოშორებით გველის წიწილები უნახავს ლეგოს. მე რა გამაჩერებდა, თავებს არ გავუსრესდი, მაგას არა, ხო გეუბნები, ისეთი გული აქვს, ოო!

ერთ დღეს წავიდა ლეგო, წაუღო რძე და აჭამა ი გველის წიწილებს. დაობლებულები ეგონა და ეცოდებოდა. რა ვიცი, იმათ შეცოდებას რა მამაფიქრებდა.

მეორე დღეს წავიდა.

მესამე დღეს.

ასმევეს რძეს და ისინიც მიეჩვივნენ.

ერთხელაც, რო დაუდგა რძე საჭმელად და იმათ ჩაჰყეკეს „კატილოკში“ თავები, უკანიდან სისინი მოესმა.

მოიხედა.

უზარმაზარი გველი დგას ყალუზე, წამოუწევია თავი და სისინებს.

გაქცეულა.

ერთი კვირა აღარ მიჰკარებია იმ ადგილს.

მე ან მერე რა მიმაკარებდა, მაგრამ ისევ მისულა.

უკვე იცოდა, როდის იყვნენ მარტოკები. იმის მერე თურმე ისევ უზიდავდა რძეს.

წავა — წამოვა.

წავა — წამოვა.

ერთხელაც, კიდევ რო დაუდგა რძე, ამ დროს შამოჰხვევია ის უშველებელი გველი ფეხებიდან. სადღა გაიქცევა ლეგო. დაეხვია, დაეხვია და თავი ისე გასწია იმის თავთან, თვალებში უყურებს.

გული წაუვიდა ლეგოს.

არ ვიცი, გული წამივიდა, თუ დამეძინაო, ეხლა იხსენებს-ხოლმე. გონს რომ მოვედი, თურმე ისევ ახვევია და არ უშვებს, თვალებში უყურებს.

მერე, რა ვიცი, რამდენ ხანს ჰყავდა ასე დაჭერილი, ისევ თვითონ შემოხსნია და გაუშვია.

იმ ადგილას რომ მივიდა ლეგო, საღაც იმის ნაწილი იდგა, გაოგნებულა იმაზე მეტად, ვიდრე იმ გველმა დამართა: ვერმანელები დასცემოყვნენ თავს და ერთი არ დაეტოვებინათ ცოცხალი.

ახლა იქ წასვლია ლეგოს გული.

იმი რომ დამთავრდა და შინ მოვიდა, ერთი პირობა ლეგოსაც დაუპირეს შორეულში გადაგზავნა, ეჭვი ეპარებოდათ, ან გაპარული იყო, ან გერმანელებთან ჰქონდა პირი, თორემ რაღა ეგ გადარჩა ცოცხალო, ისევ რამანმე უშველა, რაღა რამანმე, თავის გულმა და მამაჩემის ალი-ყვალობამა. ეგაც ისევე დაბერდება, შეიძლება ისე არ აყვავდეს, მაგრამ სამაოე მაინც აუყვავდება, ეგეთია, ყვავილიით უცოდველი კაცია თვითონაც.

— ის პატარა გოგო ვინღა არის?

— ჰოო, მარიამია, ლეგოს უფროსი გოგო, ომში რომ წავიდა, მაშინ მარტო ეგ ჰყავდა.

— ეხლაც ეგეთი ლამაზია?

— ალბათ.

— აღარ გინახავს?!

— ლეგო რომ წავიდა, მაგან ყვავილები მოუტანა. ლეგო, აბა, ყვავილებს ხომ არ გამოართმევდა ბაშვებს, უბრალოდ, ვერ მოიფიქრა, ომში მიდიოდა, რაღა ყვავილების გული ჰქონდა. ცოლ-შვილს სტოვებდა. არ ვიცი, ის იდარდა მარიამმა, მამამ ყვავილები რომ არ გამოართვა, უფრო იმას ვფიქრობთ, მამის დაშორება ვერ აიტანა, ისე უყვარდა, სულ ყელზე ჰყავდა მძივივით ჩამოკიდებული ლეგოს. აღარც სვამდა, აღარც ჭამდა, სუ ლეგოს გზას გაჰყურებდა, მოელოდა, დარდობდა, თვალსა და ხელს შუა გვიჭრებოდა.

აკი გაგვიქრა კიდეც.

ომიდან რომ დაბრუნდა და ეს ამბავი დახვდა, ერთი ესა თქვა ლეგომ:

— მე არ გადავრჩენილიყავი და ის დამრჩალიყო ცოცხალი, რა იქნებოდაო!

— ამის მეტი ღვთის სამდურავი სიტყვა არ დასცდენია იმის ბაგეს.

ის ყვავილები ეხლაც შენახული აქვს.

— რო მოვა, მაშინ გამომართმევს მამიკო, იძახოდა მარიამი და ინახავდა ბალიშის ქვეშ ყვავილების თაიგულს.

ის ნაწნავებიანი ქალი დედაჩემია.

ხელში რომ ბიჭი უჭირავს, ის მე ვარ — თევდორემ ლუკას შეხედა და ჰკითხა:

— მგაააეს?

— კი, ბგავთ, — ორივემ გაიცინა.

— მოდი ეხლა კი ჩვენც გავტეხოთ პური, ლუკავ. — თევდორემ ხმიადი გადატეხა, მერე თაფლის არაყი ჩამოასხა და დაილოცა.

— პურისა და წყლის გამჩენს გაუმარჯოს ქვეყანაზე.

— ამინ! — დაემოწმა ლუკა.

არაყი მოსვეს და მომშეულები მადიანად შეეკცნენ ხმიადსა და თაფლს.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ.

უხმოდ ჭამდნენ.

ლუკამ თაფლიან ჯამში მკვდარი ფუტკარი დაინახა და დაიკვირდა. თევდორემაც შენიშნა.

ორივე ფუტკარს უყურებდა.

თევდორემ ფუტკარი ამოიღო პურის ყუით, ხელზე დაიდო და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუფთა, სუბუქი ფრინველი, შორით მომტანი ვარდისა.

ჯერ ცისა მოსამსახურე, მერე ყოველი კაცისა.

მწერთათვისაც კი ასე დაუწესებია ღმერთს, ლუკავ. ზოგი ფუტკრად და ჭიანჭველად გააჩინა, ზოგი წურბელად და ზოგი ობობად. ერთნი სულ ჯაფაში არიან, მეორენი სხვის სისხლსა სწოვენ, სხვანი კი ერთთავად მახეს აგებენ. ზოგი კიდევ პატარა ციცინათელად გაუჩენია —

იწვის,

ანათებს.

თავისთვის იწვის, ცეცხლი უკიდია, არაფერს კი არა სწვავს თავის თავის მეტს, მთელ ღამეს კი ათბობს იმისი შუქი.

ასეა, ასე დაუწესებია დამბადებელს.

ყველანი იმად არიან დღემდე, რადაც გააჩინა გამჩენმა.

მერე, ვინ იცის, ზოგი მგლად ვიქცევით, ზოგი ფუტკრად, ზოგი ობობად და ზოგიც ციცინათელად, იმის და მიხედვით, თუ ვინ როგორ ვცხოვრობდით ამ ქვეყანაზე.

ლუკა ყურს უგდებდა.

ღუმელი თავის საფიქრალს ჰყვებოდა.

თევდორემ კიდევ ჩამოასხა:

— ამით დედებს გაუმარჯოს, ლუკავ, წასულებსაც და ცოცხლებსაც. საერთოდ, დედობის გრძნობას გაუმარჯოს. ყველას ხო დედა აჩენს, კაცსაც, ფუტკარსაც, ჭიანჭველასაც. შენ წარმოიდგინე, როგორი თბილია ციცინათელას დედის გული, როგორი დაღლილ-დაქანცული ფუტკრის დედის გული.

ლუკა გაოცებული უსმენდა თევდორეს.

— ერთხელ, ამასაც ისევ ჩემი მგლობისდროინდელ გიყვები, კარგად აღარ მახსოვს, რომელი იყო წინამძღოლი. ფაცა ჯერ ისევ ცოცხალი იყო, ისიც ჩვენთან ერთად იჯდა ჩამოყუნცებული და თავისი განუყრელი ქუდი ეხურა. ღილს აქეთ დათვებს ჩავყურებდით: დედა იყო, მამა და ორი პატარა ბელი. არ ვიცი, რა იყო მიზეზი, სხვა დროს ასეთი რამე არ მინახავს, მამა დათვი შესაჭმელად ეტანებოდა ბელებს, დედა დათვი გამწარებული იგერიებდა და შვილებს ეფარებოდა, რომლებიც შეშინებულნი ბღუოდნენ, ეტყობა, მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. დედას ეკვროდნენ უკანა ფეხებთან. წინა ფეხებითა და კბილებით კი მამას იგერიებდა დედა.

ღილიდან ამ სანახაობას ვეუყურებდით. არ ვიცი, ისე როგორ შეიოდა მამას, რომ შვილებისაკენ იწევდა, ასეთ რამეს მგლებთან არასოდეს შეეხვედრივარ და სხვაგანაც პირველად ვხედავდი. ეტყობა, ყველას უკვირდა, ყველა ხმის ამოუღებლად ვადევნებდით თვალს.

მამა დიდი იყო და ლონიერიც, მაგრამ დედა ისე იყო შვილებზე გადაფოფრებული, მხოლოდ კბილს თუ გაკკრავდა ან ერთს, ან მეორეს მამა, დანარჩენს საშუალებას ჯერჯერობით არ აძლევდა დედა.

ისეთი ამბავი იყო, იმ ადგილიდან შორს მიფრინავდნენ ფრინველები, მარტო ყორნები უვლიდნენ ჩვენს ზემოთ ცაში წრეს. ეტყობა, იმთაც მამა დათვის იმედი ჭქონდათ და მოთმინებით ელოდნენ ნასუფრალს.

გადავიდა შუადღე.

მზე გადაიხარა.

ჩანდა, დედა დათვს ძალა ელეოდა, ძლივსღა იგერიებდა.

სხვა დროს დათვების ჩხუბში არ ჩავერეოდით, მაგრამ ახლა რატომღაც გადავწყვიტეთ, დედა დათვს მივშველებოდით.

საომრად დავეწყვეთ და წინამძღოლის ნიშანსღა ველოდით.

დედა დათვს ძალა ელეოდა.

აიქნია წინამძღოლმა ტოტი და გაქანდით.

უცებ წრეში მოვაქციეთ მამა დათვი და დედას საშუალება მივეცით, გაქცეულიყო, გაეცლებინა შვილები. თუ ვერაფერს ვეუზამდით მამა დათვს, იმდენ ხანს მაინც დავაკავებდით, რომ დედას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშვიდობო ადგილას გაეყვანა ბელები.

ჩვენ წრეში ღრიალით დატრიალდა მამა.

დედა ცოტა ხანს სულს ითქვამდა. არ მიჰყავდა ბელები, მაგრამ სული რომ მოითქვა. იცი, რა ქნა? ჩვენკენ გამოექანა და უკანიდან ხან ერთს დაგვეცემოდა, ხან მეორეს, ცდილობდა, როგორმე ჩვენი წრე დაეშალა, რომ იქიდან გასვლა შესძლებოდა მამა დათვს.

რა თქმა უნდა, მოახერხა ეს და გაგვისწლტა მამა დათვი, წაიქშუტუნა, ქვემოთ დაეშვა და დედა დათვიც იმის კვალს გაჰყვა თავის ბელებიანად.

ცოტა ხანს ასე ვისხედით წრეში. ერთმანეთს ვუყურებდით პირდაღებულნი. მერე ისევ გორზე გადავდექით და ქვემოთ გავიხედეთ: დათვები ისევ ერთად გარბოდნენ. ეზადაეზა შეისვენებდნენ, ბელებს დაელოდებოდნენ, მერე თათებს წამოარტყამდენ უკან, აეჩქარებდნენ ამით, წინ გაუშვებდნენ, მოგვხედავდენ, კიდევ ხომ არ მოგვდევენო და ისევ გარბოდნენ.

— ხო იცი, ლუკავ, შაშვმა რა თქვა.

— რა?

— თორმეტი გალობა ვიცოდი, მიმინომ დამიჭროლა და სულ დამავიწყაო. ეგრე ვართ, მგლებმა სუყველაფერი გადაგვავიწყეს. თუ კაცი ერთხელ მგლის გზას დაადგა, ადამიანებისას ივიწყებს. ისევ იმ ჩემი მგლობისას გიყვები, კინაღამ ჩემ ძმას რომ დავეწიე სოფლის ბოლოს.

ლუკა გაინაბა.

— ზამთარი იყო, ჯერ მთვარე არ ამოსულიყო, მაგრამ ნათელი ღამე იყო. სოფელს ვუთვალთვალებდით გალმა გორიდან.

გვშიოდა.

თან ციოდა.

კბილს კბილზე ვაკაწკაწებდით.

გეგმა დავაწყვეთ: მე უნდა ავსულიყავი სოფელში, რომელიმე ძაღლს ქვეშ გავგებოდი, მელაქუცნა, კუდი მექნივნა და ხევში გამომეტყუებინა, იქ დანარჩენებიც დაგვხვდებოდნენ და მერე შევიპარეთ...

ლუკას შეაერეოლა. ახლა ისევ მოეჩვენა, რომ თვედორე რაღაც თამაშში ბამდა. თითქოს ლუკა ძაღლი იყო და თვედორე თავისი ლამაზი სიტყვებით საითკენღაც იტყუებდა, სადაც სხვა მგლები ჰყავდა ჩასაფრებული.

— ისენი ხევს აპყენენ მალულად, მე სოფლისაკენ წავედი. არ გამევლო დიდი გზა და, ვხედავ, სოფლისკენ კაცი მიდის. ხო, ის აღარ გითხარი, ჩემ სოფელს ვუთვალთვალებდით. კაცი რომ დავინახე, ჯერ მობრუნება დავაპირე, ვიფიქრე, დანარჩენებისათვისაც შემეტყობინებინა, მაგრამ ისევ გადავიფიქრე: ამასობაში შეიძლება, კაცი შორს წასულიყო და ვეღარ დავწეოდით.

თოვლში გავწექი და ხოხვით დავიწყე მიპარვა.

მანძილს თანდათან შეუმჩნევლად ვამოკლებდი.

ერთ ადგილს შედგა.

სიგარეტს მოუკიდა.

ცეცხლმა ცოტა შემაკრთო, მაგრამ დამშეული ვიყავი.

უცებ მოსწყდა ადგილს და გაიქცა სოფლისაკენ, ეტყობა, დამინახა. წამოვარდი და მეც დავდევენ.

მირბოდა და ყვიროდა, უსტვენდა.

ჯერ კიდევ კარგა გზა გვქონდა სოფლამდე დარჩენილი.

თანდათან ვუახლოვდებოდი და, რაც უფრო ახლოს მივდიოდი, მით უფრო რაღაცით ვგრძნობდი, რომ ლეგო იყო, ჩემი ძმა. რაღაცა შემაყენებდა, მაგრამ მერე ისევ წინ მიბიძგებდა. თან იმასაც ვგრძნობდი, რომ ლეგო იყო, თან იმისი უცოდველობა უფრო მახელებდა, ჩემი მხრიდან მგელი ვიყავი.

ის, რა თქმა უნდა, ამას ვერ გრძნობდა, ყვიროდა, მშველელს ეძახდა.

სოფელში ძაღლები აყეფდნენ.

ჩვენ შორის თანდათან მოკლდებოდა მანძილი და, ის იყო, უნდა დავცემოდე ნახტომიც კი გავაკეთე ამისათვის, რომ ლეგომ ღობეზე გადამასწრო, ფეხი წამოსდო და თავით ჩაეჯეკ თოვლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ლეგოს ჩექმა შემრჩა პირში და ამ დროს მეცნენ სოფლის ძაღლები. თავი ვანებე ლეგოს და იმათ წავეტანე.

ბევრნი იყვნენ.

მეტანებოდნენ.

ერთი ზედ მვარდებოდა, არ მერიდებოდა.

გაცლა ვარჩიე და ხევში დავბრუნდი.

იქ დამშეული მგლები მელოდებოდნენ და, მარტოკა რომ დამინახეს, ავად შემომიღრინეს.

ის ღამე შიმშილში და კბილების კაწკაწში გავატარეთ.

უკვე ლუკასაც აკანკალებდა, სადაც იყო.

— გავალ ერთი, ჩემ ხბოს მივხედავ, არ მოიწყინო, — წამოდგა თევდორე.

ლუკა ისევ წუხანდელ შიშს აეტანა. ახლა მას სიმარტოვე უფრო აფრთხობდა. მარტობა ფიქრის დედაა და ლუკას ფიქრიც რას არ მისწვდა, რომელ მხარეს არ წაეპოტინა. წამოდგა, უნდოდა, თევდორესთან გასულიყო გომურში, ოღონდ აქ არ დარჩენილიყო მარტო.

მაგრამ, ღმერთმა იცის, იქ რა ხდება. იქნება თევდორეს იმ ამბის მოყოლამ და იმღამინდელმა შიმშილმა ავი რამ გადაიწყვეტინა. წავალ, ხბოს მივხედავ, თქვა და გავიდა.

ნუთუ ხბოს შეჭამს?

არა! არა! თევდორე ამას არ იზამს, განა წეღან თავის პალტოში არ შეახვია, რომ თოვლზე არ გაცივებულიყო. განა მეორე ხბოც არა ყოვს? იმასაც ხომ არ დატოვებდა აქამდე.

მაგრამ იქნება ახლა იმ ამბის გახსენებამ ჩაადენინოს ეს.

ლუკა აღარ გავიდა გარეთ. თევდორეს მონაყოლს უფიქრდებოდა, ანალიზებდა და როგორღა არ ფიქრობდა, რანაირად უნდოდა ამოეგდო თავიდან ავი ფიქრი, გამოჰქცეოდა შიშს, რომელმაც ისე უცებ აავსო მთელი ოთახი, ფანჯრებიდანაც კი შიშის თვალებით შემოიყურებოდა ღამე.

დანდობაზე რომ ჩამოადგო ლაპარაკი?

ნუთუ ეს ამბავი იმის ნიშანი [illegible] მი ძმა არ დავინდე, ლუკაკ, და შენ-რას დაგინდობ, ეგვეთი თვალებით [illegible] ტყუველად მიყურებო.

ხო არც თავისი ხარი დაინდო.

ალბათ, არც ხბოს დაინდობს. დედის წინ მაინც არ შეჭამოს, თუმცა, თუ ძალრთლა მგლობამ წამოუარა, რაღას დაგიდევს, აკი თვითონ ამბობდა: სანამ მგლად მაქცევდნენ, მანამდე ერთი ასეთი ცოდვა ჩავიდინე, ხბო დაკვალი და თავის დედის რძეში მოკხარშეო.

ღმერთო!

მაგრამ რატომღა არის ახლა ასე დამშვიდებული. ნუთუ მართლა მაძის სწოლი უდგას შიგნით ოთახში და ის ამშვიდებს?

უნდა ნახოს.

უნდა შევიდეს.

ისევ გადაადგამს ლუკა ფეხს, ხელსაც წაატანს კარის სახელურს, მაგრამ ისევ ჩასძახებს რაღაც შინაგანი ხმა:

„არ შეხვიდე!“

შემობრუნდება.

უაზროდ ტრიალებს ოთახში.

შიში თვითონ მოუხრის მუხლებს და ჩამოჯდება.

როგორმე შიში უნდა მოიშოროს თავიდან.

სხვა რამაზე უნდა იფიქროს.

ვინმე უშიშარი უნდა გაიხსენოს.

და

გარსია წარმოუდგა მხსნელად .

გარსიამ ხომ შიში არ იცოდა, რა იყო და ამიტომაც არ ჰკარგავდნენ სოფელში ზოგიერთები იმედს, რომ ადრე თუ გვიან, დაბრუნდებოდა. თუმცა თავისი თვალით ნახეს სანთლის ალში, რაგორ დაიხოცა ზღვაში გგელეშაპი და გარსიაც თან ჩაიტანა, მაგრამ ის ისეთი უშიშარი და გაუტეხელი იყო, იმედს მაინც ოტოვებდა ხალხი, მართალია, ამ ამბის მერე ბევრს მიავწყდა, ხ





ლო რაც იოსებიანთ გგელეშაპის ხვრელში ჩავარდა და ხვრელი ზემოდან გადაკეტეს, — რომ შემდეგში ადარავის სცოდნოდა ეს ადგილი, ამის მერე იმეცოთად თუ ვინმეღა ახსენებდა გარსიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ალბათ, მალე სულაც დაივიწყებდნენ, ისევე როგორც ბევრი რამე დაუვიწყებიათ დღემდე, თვითონ გარსიას რომ არ შეეხსენებინა თავისი თავი. ეს ამბავი ზაფხულის დღეს მოხდა:

მთელი სოფელი სათიბზე იყო გამოსული. მზის სხივებზე ბრჭყვიალებდნენ ალესილი ცელის პირები, გარსიას ცოლიც თიბავდა. დროდადრო ბალღები შეეშველებოდნენ ხოლმე დაღლილ დედას. როცა ქალი ცელის ქნევით დაიღლებოდა და მეტი აღარ შეეძლო, ნათიბში ჩაჯდებოდა სულის მოსათქმელად. წამოცვივდებოდნენ იქვე მყოფი ბალღები და ახლა ისინი იქნევდნენ სათიბ ბალაბში ცელს.

ცხელოდა.

არაქათის გამომცლელი იყო ეს სიცხე და გარსიას ცოლ-შვილიც არაქათგაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ მაინც თიბავდნენ. ეშურებოდნენ, რომ ამინდის შეცვლამდე დავმზადებინათ თივა, თორემ, თუ წვიმები დაიწყებოდა, მიწაში ჩაალპობდა ნათიბ ბალახს.

სათიბები სოფლის თავს, ფერდობზე, იყო და ზედ შავად შეფენოდა ხალხი.

გარსია თავის სათიბებს ერთ კვირაში თიბავდა ხოლმე, მაგრამ ახლა უჭირდა იმის ცოლ-შვილს და მომხმარეც არავინ ჩანდა.

ის იყო, ერთხელ კიდევ უნდა შეესვენა ქალს ნათიბში, ბალღებიც წაეტანნენ დედის ცელს, რომ გარსიას ხმა გაისმა:

— აი, მოგიკვდათ მამა, შვილებო!

ქალი წამოხტა.

მიიხედ-მოიხედა.

ხალხმაც ყური მიუგდო ამ ხმას.

სათიბებში, პირდაპირ ცოლ-შვილისაკენ მოდიოდა გარსიას ლანდი, მოდიოდა ჩვეულებრივად, ფეხზე მდგარი. მოაბიჯებდა ისევ, როგორც გარსიამ იცოდა. ყველაფრით გარსია იყო, თითქოს ჩაცმულიც იყო ლანდი, მაგრამ თანაც უხოროო ჩანდა, ჩრდილი იყო. ოღონდ მიწაზე გართხმული კი არა, ადამიანებს რომ დაჰყვება ხოლმე, არა, ჩვეულებრივად ფეხზე იდგა, ჩვეულებრივად მოაბიჯებდა.

— მოგიკვდათ მამა, შვილებო, რა დღეში ხართ! — კიდევ თავისებურად დაილაპარაკა გარსიას ლანდმა. მივიდა, შვილებს ცელი გამოართვა, სალესი გაუსვ-გამოუსვა და დაიწყო თიბვა.

ცოლ-შვილი შეშინებული შეჰყურებდა გარსიას.

გარსია თიბავდა, თან ცოლ-შვილს რაღაცას ელაპარაკებოდა, ხალხში კარგად არ ისმოდა ეს ხმა. მთიბელებმა თიბვას თავი ანებეს და გარსიას მამულში მოგროვდნენ.

— აბა, როგორ ვინმე ხართ, ხალხო. ხო ყველანი მშვიდობითა ხართ? — მიესალმა გარსია ხალხს.

— რა გვიჭირს, ავი დღე და წუთი-სოფელი არ გვაკლია, თვითონ როგორ ხარ? — თავის მხრივ ეკითხებოდნენ და თან ეშინოდათ. აქამდე არ ენახათ ლანდისფერი კაცი. ნაბიჯს გაუბედავად დგამდნენ წინ. როცა გარსია ვინმესკენ წამოვიდოდა და ხელს გაუწვდიდა ჩამოსართმევად, გრძნობდნენ იმის ხელის სითბოს, მაგრამ მაინც შეშინებულნი იყვნენ.

— შეპირებულ პურ-მარილზე როგორა ხართ? — იცინოდა გარსია.

— პირობა პირობა არის, — თქვა ვილაცამ. თითქოს თანდათან მიეჩვევნენ კიდეც.

— სად იყავ, სად რა მოიხილე, გარსიავ? — ჰკითხა ვილაცამ.

— ქვესკნელში. ქვესკნელის ქვეყანაში ვიყავ, — თქვა გარსიამ.

— იმით იყავი?

— ჰო, იმას ჩავყეკი. აბა, მე გზა სად ვიცოდი.

— რა ნახე, რა მოიხილე?

— რო ჩავედით, კი მეტანებოდა, მაგრამ ისე დაღლილი იყო. კუდის განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, ჩაეძინა, გადმოვხტი იმის ზურგიდან და წავე ფეხით, გავერიე იმათ ქვეყანაში.

გარსია ისეთ საოცრებებს ყვებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მიიწურა დღე და ხალხმა ვერც კი გიგო, როგორ ჩამოწვა ღამე.

გარსიას, როგორც კი ქვესკნელის ჰაერი ჩაესუნთქა, ნელ-ნელა შემოსდნობია ხორცი და ძვალი და უსხეულო გამხდარა. დანარჩენი ხალხიც ასევე უსხეულო ყოფილა იქ. კარგად მიუღია გარსია, ამასაც ძალიან მოსწონებია. მაგრამ ერთ რამეში ვერ შეგუებია ქვესკნელს: სავაჟკაცო საქმეები არაფრად მიაჩნდათ და არცრა იყო საამისო. გადაუწყვეტია, ისეც აქ დაბრუნებულიყო. მაგრამ, თურმე ნებას არ აძლევდნენ: წესი არ არის, აქ ჩამოსული უკან დაბრუნებულიყოსო. ძალიან დაღონდიო. ძალიან გული შამიწუხდა. ისე რო, მეტი არ შეიძლებაო.

იქვე იმ გველეშაპია ებმა დაუწყია, იქნებ სადმე ეიპოვო, რამენაირად ზედ მოვახტე და შავალონ-შავაწუხო, თავი ისეც ზემოთ წავიყვანინოო. ვეღარ უპოვია. მთელი ქვესკნელი იმ გველეშაპივით წითელი იყოო. დღინარეები და წყაროებიც წითელი მოდებულა. ცაც წითელი ყოფილა და მიწაც, მარტო ხალხი ყოფილა შავად, ლანდიაფერი, ისეთივე, რაც გარსია იყო ახლა.

რო ვეღარ გაუძლია გარსიას, მერე კი უცდია თავი და. ისეთი რამე ვქენი, ისეთ რაღაცაზე შევჯექი, ხრიალი აქ ამოვიტანეო. რა ქნა, ან რაზე შეჯდა. არ ამბობდა, მერე ვიტყვიო.

თანდათან შეეჩვია ხალხი გარსიას.

ისიც მთელ ზაფხულს თიბავდა, სხვებთან ერთად დადიოდა სოფლის საქმეებზე. ერთი ეგ არის, არ ჭამდა, მარტო წყალს დალევდა ხოლმე ხანდახან. წყალი რომ არ დავლიო, არ შემიძლია, მზეზე გაკშრებიო.

ასე მიილია ზაფხული.

დადგა ზამთარი, მერე გაზაფხული მოვიდა, თოვლმა დნობა დაიწყო.

სოფელი მომავალი არჩევნებისათვის ემზადებოდა. კლუბში მოაწყვეს საარჩევნო უბანი და გამოაკრეს პლაკატები. ალმანახლო მცხოვრებლებ, ამ საარჩევნო უბანში უნდა მიეცათ ხმა და ესენიც ემზადებოდნენ.

არჩევნების დღისათვის კომუნისტი უნდა მოეწყოთ სკოლაში, მოწაფეები ლექსებს იზეპირებდნენ. დანიშნულ დღეს წარმომადგენელიც ელოდნენ რაიონიდან და ყველაფერი მზადდებოდა ისე, რომ არ შერცხვენილიყვნენ.

დადგა ის დღეც.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, კოფიამ ზარი ჩამოკარა და დაიწყო არჩევნები.

სოფლებიდან მოეგზავნებოდა ხალხი, რომელთაც აძლევდნენ ბარათებს და მერე ამ ბარათებს ზარზეკმით აგდებდნენ წითელ ყუთში.

უკრავდნენ დოლ-გარმონს.

საარჩევნო ყუთთან რამდენიმე კაცი იჯდა: კოფია, რაიონის წარმომადგენელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი.

არჩევნები მშვიდად, დოლ-გარმონის თანხლებით მიდიოდა. სკოლის მოწაფეები მზად იყვნენ კონცერტისათვის. ლუკას ლექსი უნდა ეთქვა და მეათასედ იმეორებდა.

ალბათ, ყველაფერი მშვიდად ჩაივლიდა იმ დღეს, გარსიას რომ არ აეტეხა ეროი ამბავი. სადაც ბარათებს აძლევდნენ, იმ ოთახში თავისი ბარათი მოითხოვა გარსიამ. რა თქმა უნდა, ასეთი ბარათი არ არსებობდა და ყუთთან მყოფი კაცებისაკენ წავიდა გარსია.

— კაცო, კოფიავ, მე რატო არ მაძლევთ ბარათს? — ჰკითხა გარსიამ კოფიას

— შენ არ გეკუთვნის, — თქვა კოფიამ.

— რატომ? ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომმ... — დაიბნა კოფია.

რაიონის წარმომადგენელი გაოცებული შეჰყურებდა ლანდს. ხან კოფიას და ხანაც ცნობისმოყვარე ხალხს. ვერაფრით გარკვეულიყო, რა ხდებოდა და, რაკი ვერ გარკვეულიყო და ხალხიც ასე სერიოზულად ისმენდა თავმჯდომარისა და ამომრჩეველის ლაპარაკს, თვითონაც ცდილობდა, სერიოზული იერი არ დაეკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ, რატომ არ მეკუთვნის? — იმეორებდა გარსია.

— იმიტომ, რომ ამოგწერეთ.

— საიდან ამომწერეთ?

— საიდან და საბჭოდან.

— მერე, სად ჩამწერეთ?

— ეგ ჩემი საქმე არ არის...

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენ აღარ გვეკუთვნი.

— შე მამაცხონებულო, თუ თქვენ აღარ გეკუთვნით, მა რატომღა მამუშავეთ ამ ზაფხულს კოლექტივის სათიბებში? შენ არ გამომიგზავნე კაცი, სათიბზე წამოვიდესო?

— მე კი არ გამოგიგზავნე და მე კი არ გამუშავე. აი, ამან გამოგიგზავნა, — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიუღერა თითი კოფიამ.

— მაშ, გადასახადი რატომღა გამომიგზავნე ხუთ სულზე, თუკი ამომწერე, უჩემოდ ხომ ოთხნი არიან ჩემ ოჯახში.

— ეგ, შეშლიათ, გავარკვევ, — თქვა კოფიამ.

— კარგი, მაშინ ერთი მაჩვენეთ, სად გიწერიათ, რომ მოვკვდი, მაჩვენეთ ერთი, სადა ვმარხივარ? ხო, აქა ვარ, არა? ხო მხედავს ხალხი, არა? ხო ვშრომობ, არა? მაშინ რატო არ მაძლევთ არჩევნების უფლებას? იქნებ არ მომწონს ის კაცი, ვისაც ირჩევთ...

— აბა, აბა! ეგე მსხვილ-მსხვილებს ნუ ლაპარაკობ! — გაბრაზდა კოფიაი და ხელი დაჰკრა მაგიდას.

— ხალხოო! — რაღაცის თქმა დააპირა გარსიამ, მაგრამ კოფია წამოხტა და უყვირა:

— ხალხს ნუ მიბუნტებ, სასწრაფოდ გამოუძახეთ მილიციას!

ახლა კი წამოხტა რაიონის წარმომადგენელი და, ის იყო, დაიძახა, რაიონთან დამაკავშირეთო, რომ ამ დროს წამოაკვლო გარსიამ საარჩევნო ყუთს ხელი და გააქცია.

— ყუთი დაადგე! — გამოედევნა კოფია.

იმას სხვებიც მიჰყვნენ.

გარსიამ სოფლის ორღობე აირბინა. სოფლის თავს მდგარ ქვითკირის ცისტერნაში შეასწრო მდევრებს, რომელთაც ცხვირწინ მიუხტა რკინის ჟანგმოდებული კარი და შიგნიდან გადაკეტა.

ხალხი გარს შემოეწყო ციხეს.

ვერავინ მოახერხა შიგნით შესვლა. ციხე მკვრივად იყო ნაგები და, თუმცა რამდენიმე კიბე მოიტანეს სოფლიდან, მაინც ვერც ერთი ვერ შესწვდა იმ ადგილს, საიდანაც შეიძლებოდა შიგნით გადასვლა.

ეძახდნენ გარსიას, დაებრუნებინა ყუთი, მაგრამ ის ხმას არ იღებდა.

დღე ილეოდა.

მოვიდა მილიციაც, მაგრამ ვერც იმათ გააწყეს ვერაფერი. რამდენჯერმე ესროლეს კიდეც კარის ხვრელებიდან შიგნით, შესაშინებლად.

საღამო ხანს ციხის თავზე გადმოდგა გარსია, თან ისე, რომ ტყვია ვერ ესროლათ, და ჩამოსძახა კოფიას.

— მაშ, ამომწერეთ, არა?

— დაებრუნე ყუთი და ჩაგწერთ ისევ, — ხერხი იხმარა კოფიამ.

— ბარათს მაძლევთ?

— ეხლავე გაგიმზადებთ.

— კარიდან შიგნით შემომიგდეთ და როცა ჩავაგდებ, მერე გაგიღებთ კარებს, თორე მერე ისევ მეტყვით, არ გეკუთვნისო.

გაუმზადეს ბარათი და კარის ჭრილიდან შიგნით შეუგდეს.

გარსია დაბლა ჩავიდა.

კარგა ხანს არ გაღებულა კარი.

მერე ისევ ციხის თავზე გადმოდგა:

— ამ ბარათს მანამდე არ ჩავაგდებ, სანამ იმ კაცს არ მაჩვენებთ, ვისაც ვირჩევთ.

— ეეე, გაგიჟდი შენ? — გაუბრაზდა კოფიაი.

— რატომ, სერიოზულად ვამბობ, ვინ არის, რა არის, იქნებ არ მოგვწონს.

— შენ თუ არ მოგწონს, სხვებს მოსწონს.

— ვინ იცნობს, ასწიეთ ხელი, — გადმოსძახა გარსიამ ხალხს.

არავის ხელი არ აუწევია, იმათ გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ვინც წელან საარჩევნო ყუთთან ისხდნენ.

— აი, ხომ ხედავ. არავინაც არ იცნობს, — ჩამოსძახა გარსიამ კოფიას.

— მე ვიცნობ და გეუბნები, ძალიან კარგი კაცია.

— შეიძლება, — თქვა გარსიამ.

— შეიძლება კი არა, კარგი კაცია.

— ალბათ, — ისევ ჩამოსძახა გარსიამ.

— მაშ, რაღა გინდა მეტი?

— ხომ უნდა ვიცნობდეთ...

— კარგ გვენდობი?!

— რა კაცია?

— მოწინავე აგრონომია თავის მეურნეობაში.

— სანამ აქ არ მოიყვანთ და არ გავიცნობ, არც კარს გაგიღებთ და არც ყუთს დაგიბრუნებთ, — თქვა გარსიამ და ციხეში ჩაიმალა.

გარეთ მყოფნი საგონებელში ჩავარდნენ.

რაღაცა ითათბირეს.

სადღაც დარეკეს.

მერე ხალხი მოაშორეს ციხეს და დინამიტები ჩაწყვეს საძირკველში.

— ეეე! ციხეს აფეთქებენ! — თქვა ვიღაცამ.

— იცოდე, აგაფეთქებთ, თუ არ გამოხვალ, — შესძახეს გარსიას.

— მანამ იმ კაცს არ მოიყვანთ, არ გამოვალ, — გამოსძახა გარსიამ.

იმათ ცოტა ხანს კიდევ აცადეს, და... აფეთქების ხმამ გააყრუა მიდამო.

კარგა ხანს გუგუნებდა ხეობა, მთები ბანს აძლევდნენ ერთურთს. მერე ნელ-ნელა ჩაწყნარდნენ.

ჩამოდგა სიმშვიდე.

იმ ადგილას, სადაც, ვინ იცის, როდიდან მოყოლებული იდგა ძველისძველი ციხე, ქვაც კი აღარსად ეგდო, მარტო მიწა იყო ღრმად ამოთხრილი.

გარსია აღარსად ჩანდა.

მართალია, ზოგს ამის მერეც ჯიუტად სწამდა, რომ გარსია ადრე თუ გვიან ისევ საიდანღაც დაბრუნდებოდა, მაგრამ აგე, უკვე რამდენი ხანია, აღარავის გახსენებია, მარტო ზოგიერთს თუ მოგონდება და ისიც თავისთვის ფიქრად წამოიერად. ლუკასაც შიშმა გაახსენა.

ამ შიშით გავსილა მთელი ოთახი.

ღამეც შიშის თვალებით იყურება სახლში ფანჯრებიდან.

გასაქცევი არსაით არის.

და...

რატომღაც ლუკას თავში გაუელვებს:

ერთხელ,

მეორედ,

არ უნდა ამაზე ფიქრი, მაგრამ ფიქრს ვინ დაიჭერს, თავისთავად მოდის, თითქოს ფიქრიც არ არის, ვიღაცის ხმაა, ვიღაც ჩაგაონებს:

„მოკალი“.

ვინ?

თევდორე?!

ლუკამ უნდა მოკლას?

ნუთუ ხსნის ერთადერთი გზა ეს არის? მაგრამ როგორ? ლუკას ხომ ჯერ ბეჭერიც არ მოუკლავს შეგნებულად. მას ხომ ამის გაფიქრებაც ზარავს, იმაზე უფრო მეტადაც კი, ვიდრე მგლად მოქცევა, ანდა მგლებისგან შეეშმა.

როგორ უნდა მოკლას თევდორე?

რით უნდა მოკლას?

ხანჯლით?

ხანჯალი ხომ ჩაჟანგებულია.

ლუკამ იცის, რომ თოფით უფრო ადვილად კლავენ, მაგრამ რა უფრო ადვილია, ის, რომ თოფის სასხლეტს გამოსწიო, თუ ის, გამოწევა რომ გადაწყვიტო.

ანდა სად არის თოფი?

იქნებ . ცელით?

კარს უკან ჩაუსაფრდება და...

არა! არა! ლუკა ამას ვერ იზამს.

მერე ხომ მთელი ცხოვრება ცოდვის წრეში უნდა იტრიალოს. სულ უნდა იწვალოს. მან ხომ ჯერ გადაწყვეტილად არ იცის, რას უპირებს თევდორე.

„დასწარი! დასწარი!“ — აქეზებს რაღაც იდუმალი ხმა. მაგრამ ვინ ჩასძახის ამას? იქნებ თევდორეს უხდის ვინმე სამაგიეროს?

თუ ლუკა თევდორეს მოკვლით თავს გადაირჩენს, მერე ხომ სულ უნდა ტა-

ნჯოს იმაზე ფიქრმა, სწორედ მოიქცა, თუ არა. იქნებ სწორედ ეს არის გზიდან გადაცდენა?

არა, ლუკამ როგორმე უნდა სძლიოს ასეთ ფიქრს.

— ლუკაა! — ისმის გარედან.

ლუკა შეკრთა.

ფიქრებიდან გამოარკვია ამ ხმამ.

— ლუკა!

თევდორეა. თევდორე იძახის. რა უნდა? იქნებ სახლიდან გატაყუებს უნდა ლუკასი. იქნებ მოიყვანა დორაისხევლები და ახლა უნდა აღსრულდეს ყველაფერი.

მერე რატომ სახლში არ შემოდის?

იქნებ ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენს იმ სახლში, სადაც მამამისის საწოლი დგას.

თუ მამის საწოლს ჰატიეს სცემს, მაშინ...

მაშინ, ალბათ, არც არავითარი კავშირი აღარა აქვს დორაისხევლებთან. — გაუნათდა გონება ლუკას და კარი გამოაღო.

— გამოდი, ლუკავ, რა დაგანახო, — გამოსძახა გომურის წინ მდგარმა თევდორემ, რომელსაც გვერდით ძაღლი ჩამოსკუპებოდა.

ლუკა მათთან მივიდა.

— შეხედე, — თქვა თევდორემ.

ლუკამ ცას შეხედა: ცა ვარსკვლავებით მოჭედილი იყო და ვარსკვლავებს შორის ბდღვრიალებდა გავსილი მთვარე.

— ხედავ? — ჰკითხა თევდორემ.

— რას? — დაბნეულად იკითხა ლუკამ.

— ვარსკვლავებს.

— კი, — უფრო დაიბნა ლუკა.

— რაც თავი მახსოვს, ამ ცას ვუყურებთ და ერთი რამ ვერ გავუგე იმ დალოცვილ ღმერთს, ამ ცაზე ასეთი სიმშვიდე და წესრიგი დაამყარა და კაცის სულს კი ვერაფერი მოუხერხა, — თქვა თევდორემ.

ძაღლიც ცას შეჰყურებდა, თითქოს ისიც ამასვე ფიქრობდა.

— ეროთ გამოცანას დაგიყენებ, ლუკავ, ბაბა, ამოიცან, რა არის: „არ მახსოვს, არ არ ვიცი“.

ლუკა ჩაფიქრდა.

თევდორე გაღიმებული უყურებდა.

— ვერა, ვერ გამოვიცან, — თქვა ლუკამ.

— დაბადება და სიკვდილი, — აუხსნა თევდორემ.

ერთხანს ორივე ჩუმად შეჰყურებდა ცას. ლუკა გამოაცოცხლა ციემა ჰაერმა და შორეულმა ვარსკვლავებმა.

— ვერც ვერასოდეს გავიხსენებთ და ვერც ვერასოდეს გავიგებთ. წამო, შევიდეთ სახლში და მივყვეთ ამ წუთისოფელს, ლუკავ. — თქვა თევდორემ და სახლისაკენ წაუძღვა ლუკას.

ლუკა საკმაოდ გამოცოცხლებულიყო და ხალისით „მიჰყვებოდა თევდორეს. ახლა მას ერთი სული ჰქონდა, როდის გაგრძელებდა თევდორე თავის ტყვეობის ამბავს. ასე ერთბაშად ეცვლებოდა ხასიათი, ხან შიში მოიცავდა, ყოველსწამლეკავი შიში, და ხანაც სურვილით აივსებოდა, გაეგო, როგორ დაღწია თევდორემ ტყვეობას თავი.

„დაღწია კი?“ გაჰკრავდა ეჭვი.

თევდორე არ ჩქარობდა.

სახლში შევიდნენ თუ არა, ლუკამ ველარ მოითმინა და დაეპირა ეკითხა, როგორ დაღწია დორაისხევლებს თავი, მაგრამ მოერიდა, ამ კითხვას არ დაეფრთხო თევდორე და ისევ შორიდან მოუარა:

— ძია თევდორე.

— რა?

— თქვენ თქვით, თადეოზმა ქორას უთხრა, მოგეკითხებაო და მოეკითხა კიდეცო, როგორ მოეკითხა?

— შვილს თუ მგელს?

— შვილსაც მოეკითხა?

— არ ვიცი.

— მგელსაც ხომ ასევე უთხრა.

— ხო, ორივეს ასე უთხრა და ჩემი თვალით ვნახე, როგორ მოეკითხა, შეიძლება შვილსაც მოეკითხა. შეიძლება

---

**გოდერძი ჩოხელი**
**მგელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ არა, მაგრამ, რაკი ჩვენ წინამძღოლს მოეკითხა, ალბათ, თადეოზის შვილსაც მოეკითხება ადრე თუ გვიან. როცა ჭორაი ჩვენს წინამძღოლად აირჩიეს, ყველაზე უფრო მაშინ გამოამეძღვნა თავი. საერთოდ ხო ასეა. წინამძღოლი ყოველთვის ჩანს და ვერ დამალავს თავა, მარტო მგლებში კი არა, ადამიანებშიც ასეა. ყველა წინამძღოლი იმით რჩება ხალხის ხსოვნაში, რაც გააკეთა თავის წინამძღოლობისას. ზოგი ავად რჩება, ზოგი კარგად, ზოგსაც, საერთოდ, ივიწყებენ. მე მოწმე ვიყავი, ერთი წინამძღოლის აიკვდილი როგორ იდღესასწაულეს ამ ხეობის დედაკაცებმა. ერთსა და ორს რომ გაეკეთებინა ეს, ალბათ, ყურადღებასაც არავინ მიაქცევდა. მაგრამ რაც რამ ხეობაში დედაკაცები იყვნენ, ყველას ერთი პირი ექნა, კლუბის შენობიდან გამოეტანათ იმ მრისხანე წინამძღოლის სურათი, ერთ მოედანზე თივით ქათმის საბუდარის მსგავსი საბუდარი გაეკეთებინათ, იმ საბუდარისაკენ მოჰქონდათ სურათი და კაკანებდნენ ქათმებივით:

— კა-კა-კა-კა-კა-კა-კა-კაა!

— მეკვერცხეე! მეკვერცხეე! — გაჰკიოდნენ ზოგნი.

მიიტანეა, საბუდარში ჩადეს სურათი. ზემოდან დაასხდნენ და ისევ აკაკანდნენ, თან ისევ გაჰკიოდნენ:

— მეკვერცხეეე! მეკვერცხეე!

კაცებს ჯერ ისევ ჰქონდათ იმ მრისხანე წინამძღოლის შიში და, ძერა რომ მიფანტ-მოფანტავს ხოლმე ქათმებს, ისე ააწიოკეს.

მაშინ ვერ გავიგე, რატომ ეძახდნენ იმ მრისხანე წინამძღოლს მეკვერცხეს, ან რატომ ისხდნენ სურათზე და რატომ კაკანებდნენ კვერცხისმდებელი ქათმებივით. კარგა ხნის მერე ვკითხე ერთ მობუც დედაბერს და იმან მითხრა:

— მეკვერცხე არ იყო, აბა, მა რა იყო? მეფე რომ იმით აცხოვრებს ქვეყანას, საბუდარზე კვერცხებს გამოეკიდება და ჩემნაირებს სახლში არაფერს გიუჩერებს, მეფე კი არა, მეკვერცხეა.

— მერე ის ხომ მეფე არ იყო.

— შენ რაც გინდა, ის დაუძახე.

— ზედ რატომღა ესხედით სურათს და რატომ კაკანებდით?

— ჩვენ ქათმები ვიყავით და საბოლოოდ რომ გამძღარიყო, ვითომ კვერცხებს ვუდებდით. — თქვა ქალმა. საკვლევი დარწმუნებულმა იმაში, რომ ის მრისხანე მბრძანებელი, ერთ დროს ქვეყანას რომ აზანზარებდა, სინამდვილეში ერთი მეკვერცხე იყო და მეტი არავინ. ასე სწამდა იმ ქალს, ასე ხედავდა იმისი თვალები და გონებაც ასე უჭერდა. სამარეშიც ასე ჩავიდა.

მე შეეეცადე, გამეძართლებინა ის წინამძღოლი და ვუთხარი:

— იმიტომ გართმევდათ, რომ შემდეგში გაჯირვება აღარ გენახათ-მეთქი.

— როცა მიჭირს, მაშინ არ უნდა წამართვა თორემ... — აღარ დაამთავრა დედაბერმა. წავიდა, გამქდა, წაკუტკუტდა.

იქნებ ქორას არც უწია თადეოზის ცოდვამ, მაგრამ წინამძღოლობის დროს კი მოუხდა ეს ამბავი:

დილიდან ვუთვალთვალებდით ცხენს. ლურჯი ცხენი იყო, მკვრივად ნაგები, შუბლზე თეთრი ნიშანი აჩნდა. დილით გამოუშვა პატრონმა სოფლიდან და ნელ-ნელა მოუყვებოდა ფერდობს აღმა, ფერდობის ზემოთ, თხილიანებში კი ჩვენ ვიყავით ჩამალულნი.

მზეზე უბრწყინავდა ცხენს გავსილი გავა.

თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი სანახავი იყო, რაც უფრო გვიახლოვდებოდა, მით უფრო გვეკარგებოდა მოთმინება. თითქმის სულ ახლოს მოვიდა, თავი მაღალ ბალახში ჰქონდა ჩამალული და სმოდა. ერთი სული გვქონდა, როდის შემოვეწყობოდით წრეზე. წინამძღოლის ნიშანს ველოდებოდით. იმ დროს ქორაი იყო წინამძღოლი. მართალია, ჯერ დღე იყო, მაგრამ, რაკი ტყის პირას იყო ცხენი, შეიძლებოდა თავდასხმა. ასეთი საკბილო ჯერ არ გვენახა. ცხენი ბევრჯერ მოგვიქცევია წრეში, ბევრისთვის კბილიც გაგვიკრავს, მაგრამ ასეთი ლამაზი ცხენი, ჯერ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვბეკედროდა. ერთხელ იყო, ჯოფნის წინამძღოლობისას, აგვისტოში მოვიდა თოვლი, ისეთი დიდი თოვლი მოვიდა, ილაღებზე გაშეშებული ცხენებია რომ, ერთი მაღალი მთის წვერზე დარჩა. ველარც პატრონები ადიოდნენ ზვავის შიშით ცხენების ჩამოსაყვანად და ვერც ცხენები ბედავდნენ მთიდან დაშვებას. ავყევით სერს და მთის წვერს შემოვეწიეთ წრეზე. დღე იყო. ხალხი ველიუურებდა ოფლებიდან. ხანდახან თოფებს ისროდნენ ჩვენ შესაშინებლად, მაგრამ სახიფათო იყო და შიშით ვერავინ ბედავდა ცხენების საშველად წამოსვლას. ცხენებმაც დაგვინახეს და ატეხეს ჭიხვინი. ჩვენ მზით გამთბარ თოვლში სიარული გვიჭირდა და ნელნელა მივიწევდით მთის წვერისაკენ. ცხენები მშველელს ეუბმობდნენ ჭიხვინით. მაგრამ მშველელი ჯერ არ ჩანდა. უკვე გამოდარებული იყო და აგვისტოს მზე ჩაჩაჩებდა ცაზე. გვიჭირდა წყლიან თოვლში სიარული.

როგორც იქნა, მივაღწიეთ მწვერვალს.

ცხენები ჭიხვინით ეძებდნენ თავქვე გასაკვეთს. მაგრამ ყველა გზა მოჭრილი გვქონდა მათთვის. უცებ ერთმა იმარჯვა და გასხლტა, გაგვექცა, იმას მიჰყვა მთელი რემა. ჩვენც ალარ დავეხანეთ და დავატეხეთ ზურგებზე. შეშინებული ცხენები ჭიხვინით დაეშვნენ სოფლებისაკენ. ფაცას თავისი ყაზახური ქუდი ჩამოეფაატა. მთის წვერზე გადმომჯდარიყო და იქიდან გადმოგვყურებდა მზეიდან. როგორ ვისხედით ცხენებზე და მივაჭენებდით თოვლში ქვემოთ. ყველანი იმას ვეცდილობდით, როგორმე არ ჩამოვვარდნილიყავით და დაგვეგსუსტებინა ცხენი. ისინი კი სოფლებისაკენ მიგეაქროლებდნენ ჭიხვინით და არ ვიცი, რითი დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. ფაცას რომ არ აეტეხა სერზე ყმუილი. ჩვენ ყური არ ვეთხოვეთ ფაცას ყმუილს, მაგრამ წინამძღოლი ჯოფნა გადმოხტა ცხენიდან და ატეხა ინანაკ საგანგაშო ყმუილი. ეს იყო ბრძანება და თანაც გამაფრთხილებელი ნიშანი. ყველამ თავი ანებეთ ცხენებს. მიწაზე ჩამოვხტით და წინამძღოლთან შეეკრიბეთ. სოფლებიდან თოფებით შეიარაღებული ხალხი მორბოდა ჩვენკენ. ძლივს მოვასწარით გაქცევა. უკანიდან მოგვაყარეს ტყვიის წვიმა. მოვკურცხლეთ, რაც კი შეგვეძლო, და მახლობელ ტყეში შევეფარეთ თავი. ფაცა ჯერ ისევ სერზე იჯდა და ქუდჩამოფხატული გადმოჰყურებდა მიდამოს. იმის გარშემო დარბოდა ერთი პატარა კეიცი, თოვლში ეფლობოდა და ვერ ბედავდა მთიდან დაშვებას. ფაცა ყურადღებასაც არ აქცევდა, ჩაფიქრებული გადმოჰყურებდა ქვეყნიერებას. როგორც იქნა, გაბედა კეიცმა და ქვემოთ დაეშვა ცხენების ნაკვალევზე. ფაცა საღამომდე იჯდა სერზე. ჩვენ ტყეში ვუცდიდით და იმ დღის მერე რატომღაც ვერიდებოდით ცხენებზე თავდასხმას. ახლა კი, ფერდობზე ჩვენკენ ძოვით მომავალმა ლურჯთვირთვილა, ლამაზმა ცხენმა ისევ აგვიშალა საღერღელი. ველოდით, როდის აიქნევდა ქორაი წინა თათს, მაგრამ იმან გვანიშნა, თქვენ აქ იყავითო, თვითონ კი გაზოდდა მაღალ ბალახში და, როცა ახლოს მივიდა ცხენთან, დაახტა ზურგზე. ცხენი გაფრთხა, მაგრამ ქორაი მაგრად ჩაებღაუჭა ფაფარში და კბილები ჩაასო. დაიჭიხვინა ცხენმა და სირბილით დაეშვა სოფლისაკენ. ქორაი, ეტყობა, ისე გააბრუა სისხლის სუნმა, ვერც კი გაიგო, სათი მიაჭენებდა ცხენი და ასე სისხლსდაფებული და ცხენის ჭინებას მინდობილი, გრიალით შეეკრა სოფლის ორღობეებში.

კარგა ხანს სოფლიდან ყვირილი, სტვენა და თოფების სროლის ხმა ისმოდა. მერე ცოტა ხნით ჩაწყნარდა ხმაური და კიდევ რომ ხანი გამოხდა, დაინახეთ, როგორ გამოვიდა სოფლიდან ხალხი. აღმა მოდიოდნენ და თოკებით ქორას მოათრევდნენ. სოფლის თავ ერთ ბებერ იფანთან შეჩერდნენ, ის ტოტზე ჩამოკიდეს ქორაი და კარგა ხანს რომ იყაყანეს, წავიდნენ.

საღამომდე ასე ვიყავით ჩამალული.

ვხედავდით, როგორ აქანავებდა ქარი ხეზე თოკით ჩამობმულ ქორას. ხის თავზე ტრიალებდნენ ყვავ-ყორნები.

ჩვენ ისევ ცოცხალი გვეგონა ქორაო და ღამეს ველოდებოდით. რომ დადამდა, კარგა ხანს კიდევ ვერ ვბედავდით ქვემოთ დაშვებას, მერე თანდათან წაეწიეთ წინ და, ახლოს რომ მივედით, ხის ძირიდან რამდენიმე მელია გაფრთხა.

ქარი ქროდა.

უსულოდ ქანაობდა ჩვენი წინამძღოლი.

გავიფანტეთ.

იმ დღის მერე აღარც გავკარებივართ იმ სოფელს.

სანამ მორიგ შეკრებას მოიწვევდნენ დორაისხეულში, უწინამძღოლოდ დავხეტიალობდით ორ-ორი, სამ-სამი და, ვინც რას გავხდებოდით, იმით ვირჩენდით თავს.

სწორედ იმ დღეებში ჩავცვივდით ორმოში მე და ორი სხვა მგელი. ერთს ღენჯა ერქვა, მეორეს — ქალობა. ქალობა ახალგაზრდა, ლამაზი მგელი იყო და იმ ხანებში ღენჯა გამიჯნურებული იყო ქალობაზე, გვერდიდან არ სცილდებოდა და, რაკი ჯანიც მოსდევდა საამისოდ, სხვასაც არავის აკარებდა ახლომარეთ. ერთი ორჯერ კი გაუბედა ქორამ, მანამ ცოცხალი იყო, ქალობას გაარშიყება, მაგრამ ქალობამ შორს დაიჭირა და ქორამ აშკარად ვეღარ გამოიყენა წინამძღოლის ძალაუფლება.

ქორა რომ ხეზე ჩამოჰკიდეს და დავიქსაქსენით, ჩვენ სამს მოგვიხდა ერთად ყოფნა. მთვარიანი ღამე იყო, ჯგუფში მივრბოდით და უცებ მიწა გამოგვეცალა ფეხქვეშ, დავტრიალდით და სამივე ერთ უშველებელ ორმოში ჩავვარდით. ფსკერზე ერთმანეთს დავეხეთქეთ და ჯერ რომ აზრზე არ ვიყავით, რა მოხდა ჩვენს თავს, წამოვხტით, გასაქცევად დაზეზებელნი. სად გაიქცევი, ორმოში ხარ; ავეძლატეთ, უკან ჩამოვცვივდით. კარგა ხანს ვწვალობდით, ბრჭყალებით ვფხოჭნიდით მიწას, ერთხელ თითქმის შუამდეც კი მივაღწიე, მაგრაძ ღონე აღარ ქონდა და ზურგით დავეხეთქე ფსკერს. თვალებიდან ნაპერწკლები წამომეცვივა, წამოვჯექი. მაღლა ავიხედე. ორმოდან უფრო საშინელი მომეჩვენა გავსილი მთვარე და კედელს ავეკარი. ღენჯა და ქალობა კარგა ხანს ცდილობდნენ, როგორმე ამობობღებულიყვნენ ორმოდან, მაგრამ გათენებისას იმათაც იმედი გადაიწყვიტეს და ცისაკენ თავაწეულები ჩაყუნტდნენ.

ვიცოდით, ასეთ ორმოებს მონადირეები თხრიდნენ ნადირის დასაპერად და ყოველთვის ვერიდებოდით. იმ ღამეს კი რატომღაც ვერ შევამჩნიეთ, ისე იყო ხის ფოთლებითა და ბალახით შენიღბული ზემოდან.

ინათა.

დასვენებულებმა კიდევ ვცადეთ ასვლა, მაგრამ ისე გვტკიოდა ბრჭყალები, რომ თავი მივანებეთ და ერთმანეთს შევხედეთ.

თვედორემ ლუკას შეხედა.

ლუკამ თვალი ვერ გაუსწორა, თავი დაბარა.

— ცოტა კიდევ რომ ინათა, ზემოდან ნაბიჯების ხმა შემოგვესმა. გავიტრუნეთ, ორმოს კედლებს ავეკარით იქით-აქეთ. ნაბიჯის ხმა თანდათან მოახლოვდა და ჩვენს თავზე შეწყდა.

ავიხედეთ.

მონადირე ჩამოგვყურებდა.

კუდები ამოვიძუეთ.

უცებ, ეტყობა, ორმოს ნაპირზე ფეხი გაუსხლტა, თავდაყირა წამოვიდა მონადირე და ჩვენს შორის ზღართანი მოადინა. თოფი არ ჰქონდა, ალბათ, ზემოთ დაუვარდა.

ისიც ისევე უცებ წამოვარდა, როგორც ჩვენ წამოვცვივდით ჩამოვარდნისას და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ სად გაიქცეოდა? მალედეე მოეგო გონს და თვალებზე ხელები აიფარა.

ჩვენ ადგილებზე ჩავყუნცდით და დავუწყეთ ყურება. ის შეშინებული თვალებით ხან ჩვენ გვიყურებდა და ერთიანად კანკალებდა, ხანაც ზემოთ იყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ამოვიდა.

ვისხედით გაუნძრევლად და ის ჩვენ შემოგვაკქერდა. ჩვენ იმას არ ვაცილებდით თვალს. მხარიღლივ თოკი ჰქონდა გადაკიდებული, ეტყობა, საჭიროების შემთხვევაში ამ თოკს მოაბამდა ხოლმე ზემოთ მდგარ რომელიმე ხეს და ჩამოვე ბოლოთი ორმოში ეშვებოდა. ახლა ვეღარ მოასწრო, რაღაცა შემთხვევამ, თუ ბედისწერამ მოწყვეტით ჩამოაგდო ჩვენთან.

მზეს ორმოშიც ჩამოიხედა.

ჩამოცხა.

ჩვენ ერთი კვირის ნაშიმშილები ვიყავით და ძლივს ვიკავებდით თავს, რომ არ ეკვემდით მონადირეს. მაგრამ რაღაცა მგლური ბუნება არ გვაძლევდა ამის ნებას, ამ შემთხვევაში. კაციც ჩვენნაირ განსაცდელში იყო ჩავარდნილი და, მართალია, შიმშილით თვალები გვქონდა ამღვრეული, მაინც არ ვეკარებოდით მონადირეს. შეიძლება შეყვარებულებს ერთმანეთის სიყვარული არ აძლევდა ასეთი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას.

მე?

მე რაღა მაკავებდა?

იქნებ ის, რომ ჩემ სულში ჯერ კიდევ ენთო ადამიანი.

არ ვიცი.

მონადირე კი ისეთი საწყალი თვალებით შემოგვყურებდა, თითქოს თვითონვე არ ამოეთხაროს ეს ორმო.

შეწყალებას გკთხოვდა იმისი მზერა.

მზე გადაიხარა.

მიიწურა ის დღე.

ჩამოღამდა.

ორმოში სიცხელე ჩამოწვა.

ჩვენ ვგრძნობდით, მონადირე ვერაფერს ხედავდა. ხეგრეთ ორმოს კედელს ეკვროდა. ჯიბიდან პატარა დანა ამოიღო და გახსნა. ეტყობა, ამით აპირებდა თავდაცვას. ალბათ, არ იცოდა, რომ ვხედავდით, თორემ დანას იმწუთში აღარ დამალავდა, როცა მთვარის პირველმა სხივმა მკრთალად გაანათა ორმო. მონადირემ სწრაფად გადამალა პატარა დანა და ისევ საცდელ-ზეციერ თვალები შემოგვაფეთა.

ორმო თანდათან გაანათა მთვარის შუქმა.

ჩვენ ჩუმად ვისხედით და შევყურებდით ერთიმეორეს. ღენჯა და ქალობა გვერდებით აჰკვროდნენ ერთურთს, ხანდახან თავებს გადახრიდნენ და წაეალერსებოდნენ ერთმანეთს, მერე, ეტყობა, ისევ გაახსენდებოდათ, სადაც ვიყავით, ისევ აიხედავდნენ ზემოთ.

მონადირე იყო შუახნის კაცი, გამხდარი, მკვეთრი ნაკვთები და წვრილი თვალები ჰქონდა.

ჩუმად ვისხედით.

უცებ ორმოში ჭრიჭინობელა ჩამოხტა და მოჰყვა ჭრიჭინს. ხტუნავდა, ეტყობა, ისიც გასასკელს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

მთელი ღამე ჭრიჭინობელას ძახილში გავლიეთ, ხანდახან წაგვთვლემდა. მაგრამ უცებ შეგკრთებოდით. მონადირესაც წასთვლიმა რამდენჯერმე.

ინათა.

ჭრიჭინობელამ მღერა შეწყვიტა.

ღილის ჰაერმა შიმშილი გაგვიძლიერა.

ისევ ჩამოდგა ორმოში მზის სხივი.

მერე მოიღრუბლა.

ელვა გაიკლაკნა.

იქუხა.

წამოვიდა კოკისპირული წვიმა.

ზემოდან თქეში მოდიოდა და ფსკერზე გროვდებოდა. მიწის გული ვერ ასწრებდა წყლის ჩანთქმას.

თანდათან ძლიერდებოდა წვიმა.

ახლა უკვე წყალში ვისხედით, მარტო თავები გვქონდა ზემოთ ამოწეული და ისე შევყურებდით ერთიმეორეს.

ჭრიჭინობელა წყლის ზედაპირზე დაცურავდა.

აღარ ჭრიჭინებდა.

როგორც უცებ მოვიდა წვიმა, ასევე უცებ გადაიღო.

მზემ ისევ გამოანათა.

წყალიც თანდათან დაიშრიტა და ისევ მშრალზე დავრჩით.

ისევ ისე შემოგვყურებდა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვშიოდა.
მიილია დღე.
კვლავ ჩამოწვა სიბნელე.
ისევ გახსნა კაცმა პატარა დანა და
მთვარე რომ ამოვიდა, დამალა.
ისევ ამღერდა ჭრიჭინობელა.
მერე ინათა
და.
კაცმა ნელ-ნელა წამოიწია, თან ჩვენ
გვიყურებდა.
ადგა.
პატარა დანით საფეხურების კეთება
დაიწყო ორმოს კედელში. საოცარია.
ამხელა ორმო ამოვთხარა და ახლაღა
გაახსენდა საეფხურების გაკეთება.
ეტყობა, თოკით ჩამოდიოდა აქამდე და
მიწაც თოკით აქერნდა ვედროებით.
დანით მიწას თხრიდა. მაინც ვერ გვე-
ნდობოდა და დროდადრო უკან იყუ-
რებდა. ჩვენ უბმოდ შევაქერდით.
თანდათან ზემოთ წავიდა.
ერთ ადგილას ფეხი დაუცურდა და
გულაღმა დაეცა ჩვენს წინ. დაბლიდან
ამოგვხედა მიწაზე გართხმულმა. სა-
ცოდავი თვალები ჰქონდა.
ძლივს წამოიწია.
წამოდგა.
ისევ აუყვა საფეხურებს.
ისევ თხრა დაიწყო.
ჩვენ მას შევყურებდით, ახლა მარტო
მისი იმედიღა გვქონდა.
რაც უფრო ზემოთ მიდიოდა მონა-
დირე, მით უფრო გახარებული თვალე-
ბით უყურებდნენ ერთურთს შეყვარ-
ებულები.
— ავა, ძელს ჩამოუშვებს და იმას
ავყვებით, — ეუბნებოდა ქალობას ღე-
ნჯა და გაფაციცებული შევყურებდით
ზემოთ.
არასოდეს დამავიწყდება ის სიხარუ-
ლი, რაც ღენჯას და ქალობას ედგათ
თვალებში, როცა კაცმა ბოლო საფეხუ-
რი გამოთხარა, ფეხი შედგა და ზემოთ
ავიდა.
ამოვისუნთქეთ.
კაცი ერთ წუთს გაქრა.
„ეტყობა, ძელისთვის წავიდა“.

გაფაციცებული ვიყურებოდით ზე-
მოთ,
ისევ გამოჩნდა კაცი.
ჩამოგვხედა.
თოფი ჩამოგვიშვირა და გვესროლა:
ერთხელ.
მეორედ.
მესამედ.
ორმოში წამლის კვამლი და სუნი
დატრიალდა.
კიდევ იქუხა.
აღარაფერი მახსოვს.
რაღაცამ ცეცხლივით გამიარა.
გონი დავკარგე.
არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე,
გონს რომ მოვედი, წამოწევა დავაპირე.
წამოვწიე თავი და ჯერ ისევ ზემოთ
ავიხედე. მონადირე აღარსად ჩანდა.
მიმოვიხედე: ჩემს გვერდით ეყარნენ
დახოცილი ღენჯა და ქალობა, წინა
თათები ერთმანეთისთვის გადაეხვიათ
და თითქოს ეძინათ.
ვერ წამოვდექი. დაჭრილი ვიყავი,
სისხლი ჯერ კიდევ მდიოდა და ღონე
მელეოდა. ისევ დავკარგე გრძნობა და
მაშინღა მოვედი გონზე, ორი კაცი ზე-
მოთ რომ მიმათრევდა თოკებით.
— მაშინვე გამეკვირდა, როგორც კი
ჩავხედე და წითელი მგელი დავინახე,
— ამბობდა ერთი. — თავი ვეღარ შე-
ვიკავე და შიგ არ ჩავკარდი!
მერე როგორ სისხლივით წითელიან?!
— ჰო, იმიტომ არ მოვკალი, ამას
ცოცხლად უფრო კარგი ფასი ექნება.
— ორმოში რომ ვიყავი, სუ იმაზე
ვკვლევდი, სად გამერტყა ტყვია, რომ
არ მომკვდარიყო.
— კიდე მაგაზე ფიქრობდი?!
— როცა მივხვდი, რომ აღარ მერჩო-
დნენ...
— ოო, რა მძიმეა.
ამომათრიეს.
შეყვარებული მგლები იქვე ეყარა.
მე პირი მჭონდა ღვედებით შეკრუ-
ლი. არ მახსოვს, როდის ამიკრეს, ეტ-
ყობა, უგრძნობლად რომ ვიყავი, მა-
შინ შემიკრეს, რომ არ მეკბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა ღენჯა გაატყავა, მეორემ — ქალობა.

ტომარაში ჩამსვეს და მერე ხურჯინის ერთ თვალში ჩადებული გადამკიდეს ცხენზე.

ცხენი ფრთხებოდა.

ფრუტუნებდა.

ტომრიდან რომ ამომსვეს, მთელი სოფელი გარს მეხვია. ჯოხებს მიჩჩხანებდნენ. აქეთ-იქიდან ქვებს მესროდნენ ბალღები.

— გაანებეთ თავი! — გაბრაზდა ის მონადირე, ვინც დამიჭირა.

რამდენიმე დღე საბძელში ვყავდი ჯაჭვით დაბმული. ოდნავ მოუშვებდა ხოლმე ჩემ პირზე შემოჭერილ ღვედებს, რომ სალაფავი შემეჭამა, მაგრამ იმასაც არ ვჭამდი.

მერე ჩამსვეს მანქანაში და ქალაქში ამომაყოფინეს თავი.

რამდენიმე ხანს ზოოპარკში ვიყავი გამომწყვდეული და მოდიოდა და მოდიოდა ჩემ სანახავად ხალხი.

იდგნენ.

მიყურებდნენ.

ერთხელ ერთ კაცთან წამიყვანეს და იმის სახლში გამომამწყვდიეს გალიაში.

ის კაცი ყოველ დილით მოდიოდა, დგებოდა ჩემს წინ და მიყურებდა, ბკვლევდა, სწავლობდა ჩემს ცცევებს.

ასე გაგრძელდა ერთ თვემდე.

ვგრძნობდი, რაღაც ძალას იღებდა ჩემგან ის კაცი.

მერე ისევ ზოოპარკში დამაბრუნეს.

სანატრელი გამიხდა ხროვაში ცხოვრება.

ერთი რამ კია საინტერესო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის თვივის ალდახი, ყელზე რომ შემაბეს დორაისხეველებმა და გამონასკვეს, თან მჭონდა და არავის შეუნიშნავს, ან ხედავდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ, ან შეუმჩნეველი იყო, სხვა ვერ ხედავდა, არ ჩანდა. მაშინ რა ვიცოდი, რომ მთელი საიდუმლო ჩემი მგლობისა, იმ გამონასკვულ ალდახში იყო.

რა არ გადამხდა, რა არ გადავიტანე.

ბოლოს დამეპატრონა ერთი პროფესორი, რომელიც დაკვირვებებს აწარმოებდა ჩემზე. არა, ნამდვილად ჯოჯოხეთი მაქვს გამოვლილი და ეს ყველაფერი იმ ცოდვებისათვის, რაც მგლად მოქცევამდე მქონდა ჩადენილი.

ბატონ პროფესორს (ასე ეძახდნენ მას) ჰყავდა თანაშემწეები, რომლებიც დამაწვენდნენ მაგიდაზე, შემკრავდნენ ღვედებით და შემიერთებდნენ დენს. ვძაგძაგებდი, ვხტოდი, მინდოდა ყმუილი ტკივილისაგან, მაგრამ პირი აკრული მქონდა.

— კარგია! — იძახდა ბატონი პროფესორი.

იყო შემთხვევა, როცა პროფესორის არ ყოფნის დროს, რამდენიმე ბიჭი შემოსულა იმ ოთახში, სადაც ჩემი გალია იდგა. შენი ტოლები იქნებოდნენ, ლუკავ. შემოვიდოდნენ, შიგნიდან ჩაკეტავდნენ კარს, იდგნენ საათობით ჩემ გალიასთან, მიყურებდნენ და ხარხარებდნენ:

— ბიჭო, ბიჭო, შეხე რა საკაიფოაა!

— აუუუუ, რა მასტიაააა!

იძახდნენ და გაუთავებლად ხარხარებდნენ. ერთხელ რაღაც ნემსი მიჩხვლიტეს და, ეეე, წავედი ცაში. ვუყურებდი იმ ბიჭებს და მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინ მგლები იდგნენ, შემომყურებდნენ და ხარხარებდნენ.

ბატონი პროფესორი კი სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— კარგიაა! ძალიან კარგიაა!

რა იყო კარგი, ვერ გვებულობდი.

ასე გაგრძელდა ერთხანს და ერთხელაც იმ პროფესორთან ერთად, ოთახში ის კაცი შემოვიდა, ერთი თვის მანძილზე ყოველდღე რომ შემოდიოდა ჩემთან სახლიდან გასვლისას.

მოვიდა, შემომხედა.

რაღაც უთხრა პროფესორს, ვერ გავიგონე.

— კი ბატონო! დიდი სიამოვნებით! — მომესმა პროფესორის ხმა. აშკარა იყო, ჩემზე ჰქონდათ საუბარი. მე მიყურებდნენ.

ღამით მანქანაში ჩამსვეს და ქალაქიდან გამომიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიშვეს.

გავიქეცი.

ძლივს მივაგენი ხროვას.

ისევ ჩავედექი წინამძღოლს კვალში და სოფლისაკენ წავყევი ძუნძულით.

როცა დორაისხევში მორიგ სამსჯავროზე წარვედექი, ის კაცი, ვინც გამომიშვა ქალაქიდან, იქ დავინახე, მე კი დილეგში ჩამაგდეს იმის გულისათვის, რომ ტყეედ ჩავვარდი და კარგა ხანს უსმენ-ეკმელი ვეგდე იქ.

დორაისხევში მბრძანებელი შეიცვალა და გამომიშვეს.

დასუსტებული გავყევი ხროვას...

ლუკას ჩასთვლიმა.

თავი ჩაკკიდა.

— ლუკა! — ხელი მოჰკიდა თევდორემ.

— ჰა? — ძილში იკითხა ლუკამ.

— გეძინება, ლუკა?

ლუკას უკვე ეძინა...

შემკრთალს გაეღვიძა. ლოგინში იწვა და თევდორე აღარსად იყო. ისის იყო თენდებოდა.

წამოჯდა.

თავი შეათვალიერა.

რა მოხდა?

როგორ ჩაეძინა?

ნეტავი ძილში ხომ არ მოაჯადოვეს? არა, ისევ ადამიანის ფორმა აქვს, ფეხებიც ლუკასია, ხელებიც, ისევ ლუკაა. მაგრამ თევდორე?

ალბათ, სძინავს.

ცოტა ხანს ლოგინიდან ადევნებდა ფანჯარაში თვალს, როგორ ნათდებოდა თანდათან.

— ლუკაა! — მოესმა შიგნიდან თევდორეს ძახილი.

ლუკამ ყური მიუგდო, ხომ არ მომეჩვენაო.

— ლუკაა! არ გაგიღვიძია, ლუკა?! — ისევ გაისმა თევდორეს ხმა.

— ხო, ძია თევდორე, გავიღვიძე, — გაეპასუხა ლუკა და ლოგინიდან წამოდგა, ასევე ტანსაცმელგაუხდელად ჩაეწვინა თევდორეს ლოგინში წუხელ.

— შემოიხედე, ლუკავ, ცოტა ხანს.

— ტავ რა უნდა თევდორეს? რაკომ თვითონ არ გამოდის, რატომ ეძახინ ედან ლუკას, შემოიხედეო.

დორაისხევლები ხომ არ არიან იქ?

მერე და, თუ არიან, განა ვერ გამოვა თევდორე და თვითონ ვერ შეიყვანს ლუკას?

— რას შვრები, ლუკავ, რატომ არ შემოდიხარ?

ლუკამ ნაბიჯი გადადგა კარისაკენ, ხელი წაავლო სახელურს, მაგრამ ღონე არ ეყო, რომ შეეღო.

„რაც მიწერია არ ამცდება“, — გაიფიქრა უცებ და მიაწვა კარს.

თევდორე ლოგინში იწვა.

— დილა მშვიდობისა, ლუკავ! — მიესალმა ის ლუკას.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ძია თევდორე.

— რო აღარ მაძლევს, ლუკავ, აღარ მიკეთებ, მაწვალებს, წასასვლელი პირი მაქვს და აღარც ვრჩები, აღარც მივდივარ.

—რა დროს წასვლაა, ძია თევდორე.

— ვეღარ ავდექი ლოგინიდან, ლუკავ, ჯანი აღარ ძოძდევს, გატეხილი ვარ, ამ ბოლო დროს სუ ავადა ვარ; დილასაც დავაპირე ადგომა, მაგრამ, აჰა, ვერა, აღარ მომყვება ასოობა. — წამოწევა დააპირა თევდორემ და ვერ წამოიწია, ისევ ლოგინს მიეწდო.

ხის საწოლი, სადაც თევდორე იწვა, კვამლისაგან იყო გაშავებული. ზედ ლამაზი ჩუქურთმები ამოეჭრა ხელოსანს. თითქოს ლუკამაც სიმშვიდე იგრძნო ამ საწოლის დანახვაზე. სკამზე ჩამოჯდა.

— ეს ლოგინიღა მიყუჩებს ტკივილებს, ლუკავ, თორემ რაც მე გადამტანია, რა ადამიანშვილის გადასატანია ის ვინ იცის, ბოლოძდე მგლოდაც კი დავრჩენილიყავ, სამივე ყინეული რომ არ ჩამომეგდო ერთი შეუმუვლებით და წინამძღოლი არ გაკეხდარიყავი. თითქმის აღარაფერი მახსოვს ადამიანისდროინდელი. წინამძღოლი რომ გაეხდი, წვიგდე მკერდი წინ და წავეყენები ხროვას სოფლისაკენ.

იმ დღეს ერთ ცხვრის ფარას ვუთ-

ვალთვალეთ. საღამოთი ბაკში შეეყარეს ცხვარი მეცხვარეებმა და ღამე რომ ჩაღრმავდა, ჭოხში შევიდნენ დასაძინებლად.

მიწაზე გავწექი და დანარჩენებმაც მე მომმაძეს.

ხოხვით მივედით ფარეხამდე.

ძაღლებმა ვერაფერი გაგვიგეს.

საჭირო იყო, ვინმე ბაკში გადამხტარიყო და იქიდან დაეფრთხო ფარა, რომ ცხვრებს თვითონ ეპოვათ გარეთ გამოსასვლელი. სიბნელეში რომ გაიფანტება ფარა, მანამ მწყემსები შეაგროვებენ, თითო მგელს თითო ცხვარი მაინც შეხვდება. ყველა მგლის ბაკში გადახტომა კი სარისკო იყო, რა იცი, ხიფათს არ სძინავს, სიფრთხილეა საჭირო. წინამძღოლი ვიყავი და გადავწყვიტე ბაკში გადაფრენა. დანარჩენები, იქვე შორიახლოს ჩაწოლილები მელოდებოდნენ.

მაღალი იყო ბაკის ღობე.

გადასახტომი მანძილი მოვზომე.

ავიწიე და გადავევლე ზემოდან ღობეს. უცებ რაღაცას გამოვედე, მარგილზე იმ მონასკვეული ბალახის ალდახით ჩამოვეკიდე, მგლად მონათვლისას რომ შემაბეს ყელზე.

ცხვარი დაფრთხა.

ძაღლებმა ყეფა ატეხეს.

მე მარგილზე ვარ ჩამოკიდებული და სუნთქვა მეკვრის, თვალთ მიბნელდება, ვიხრჩვები.

ჭოხიდან გამოცვივდნენ მეცხვარეები, ატეხეს ყვირილი.

უცებ ყელზეშებმული ალდახი გაწყდა და ცხვრის ფარაში დავეცი.

იმწუთას წამოვხტი და გაქცევა დავაპირე, მაგრამ რას გაიქცევი, მგელი აღარა ვარ, შიშველ-ტიტველი ადამიანი ვდგავარ ფარაში.

მოცვივდნენ მეცხვარეები, საცემრად შემომეხვივნენ, მაგრამ მხედავენ, შიშველი კაცი ვდგავარ.

გაოცდნენ.

მეც კარგა ხანს აზრზე ვერ მოვდიოდი.

შემიყვანეს ჭოხში, ჩამაცვეს თავისანური ტანსაცმელი.

მოვუყევი ჩემი ამბავი.

დამეძინა.

იმ ღამეს კიდე მესიზმრა მამაჩემი. ახლა უკვე გახარებული სახით მიყურებდა და მეძახდა: — ყვავილი იპოვე, შვილო, ყვავილი, თორემ არ მოგასვენებენ.

მანამდეც, მგლად ყოფნის დროსაც, რამდენჯერ მეძახდა ამას, ჩავთვლემდი თუ არა, შეწუხებული სახით წარმომიდგებოდა და: ყვავილი იპოვე, ყვავილო, მეძახდა. მგელი ვიყავი და აზრი ვეღარ გამომქონდა ამ ხილვებიდან. ცოტა ხანს მთებს შემოვირბენდი, ყვავილებს ვსუნავდი და მგონი უფრო ვთელავდი ფეხით, ეგ იყო და ეგ. ახლა კი, როცა ისევ ადამიანი გავხდი, გამღვიძა თუ არა, გამოვემშვიდობე მწყემსებს და წამოვედი. იმ დღიდან ვეძები ისეთ ყვავილს, მამაჩემი რომ აყვავდა და მერე ქარმა მიმოაბნია. კარგა დრო იყო იმის მერე გასული, ზამთარიც ბევრი გამოიარა დედამიწამ და ზაფხულიც, ვეღარსად ვნახე ის ყვავილი. ერთ დღეს კი სულ შემთხვევით წვავწყდი კალმანაზზე. სახლის ჭერხოში, შებოლილ ხებს შორს იყო გაჩხერილი ეს ერთი ცალი. ეტყობა, ქარმა შეაგდო იქ. ჩამოვიღე და გულზე დავიკერე. იმის მერეღა დამიმშვიდდა სული. აღარ მეშინოდა, თუ სადმე მგლები წამომაწყდებოდნენ, დაინახავდნენ თუ არა ამ ყვავილს, კუდამოძუებულნი გარბოდნენ. მგელკაცები თავქუდმოგლეჯილი გამირბოდნენ. ეეე, ჯანი აღარ მამდევს, ლუკავ, თორემ შემოვიკლიდი ამ ყვავილით მთელ კვეყანას. გატეხილი ვარ, გატეხილი, შენნაირი ჯიელი უნდა ასეთ საქმეს, მე რა, ეტყობა, ამ ყვავილითღა მედგა ჯერჯერობით სული, თორემ გზაზე ვდგავარ, მივემგზავრები.

თევდორე გაჩუმდა.

ლუკაც ჩუმად ათვალიერებდა ოთახს და სულში რაღაცა დიდ სიმშვიდეს გრძნობდა. უკვე გათავისუფლებულიყო მტანჯველი ეჭვებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი, ლუკავ, საკონელს თივა დაუყარე და ხბოებს მოაწოვე, — სთხოვა თევდორემ.

ლუკა გარეთ გამოვიდა.

მზე ამოდიოდა.

მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნატამალი არსად ჩანდა. ლუკამ საბძლიდან თივა აიღო და ძროხებს შეუტანა გომურში. შემოღობილიდან ხბოები გამოუშვა და ისინიც იმწუთას ეცნენ დედებს ცურებში. ლუკამ ოთახიდან ვედრო გამოიტანა. ძროხა ჩამოწველა, ცეცხლზე დაადგა და ადუღებული რძე დაალევინა თევდორეს.

მოხუცს ძალიან უხაროდა ლუკას ყურადღება, სახეზე სიამოვნების ნათელი ფერები გადასდიოდა, თვალები უბრწყინავდა.

— ერთიც არ დაიზარო, ლუკავ, ქვემოთ სოფელში ჩადი, ჩემი ძმა იკითხე და უთხარ, თევდორე ცუდად არის-თქო. თორემ სუსტდა ვგრძნობ თავს, შენ არ ჩაგაკვდე ხელში, წერამწერლისას რას გაიგებ, მომზადებული დაეხვდეთ, — მშვიდად ლაპარაკობდა თევდორე. — მგლებისა ნუღარ გეშინია. წუხელ გაყინა თოვლი და საზოვარი აღარ არის, მგზავრები დაიწყებენ მიმოსვლას. ძაღლი აუშვი და თან წაიყოლე, მაგასთან ნურაფრისა შეგეშინდება, პირველი სოფელი სადაც შეგხვდება. იქ ცხოვრობს ჩემი ძმა.

თითქოს, სიმშვიდესთან ერთად, რაღაც სხვა ძალასაც გრძნობდა ლუკა. სადღაც გამქრალიყო შიში, მიდიოდა გაყინულ თოვლზე და ძაღლი მიჰყვებოდა უკან.

მზის სხივებში ბრჭყვიალებდა თეთრი ხეობა. გზაზე მგზავრები მიმოდიოდნენ. სიცოცხლის ნიშანწყალი უბრუნდებოდა არემარეს.

ვერ კი გაიგო, როგორ გაიარა თევდორეს ძმის სახლამდე ლუკამ გზა. იმის დაძახილზე სახლიდან თევდორეზე უფრო ხნიერი კაცი გამოვიდა.

— ვინ გინდა, ძიას კაცო? — ჰკითხა ლუკას.

— ლეგო მინდა.

— ლეგო მე ვარ.

—თევდორემ გამომაგზავნა, ამომხედეო.

— ცუდად არის?

— ჰო, შეუძლოდ არის.

— ეხლავე, შვილო, წამო, სახლში შემოდი, სანამ მოვემზადები.

— არა, გარეთ დგიცდით, კარგი ამინდია.

ლეგო სახლში შებრუნდა.

ლუკამ ცხენისნებს მოჰკრა თვალი, თავის სოფლელები იცნო და იმათკენ წავიდა.

— ეე, ლუკავ, შენა ხარ?! — გაუკვირდა იმათ.

— ჰო, რა გიკვირთ.

— რა ვიცი, რამდენი ხანია დაკარგული ხარ, სოფელში აღარ ამოდიხარ, გაგიტკბა ქალაქი.

— რას იზამ, ტკბილია და, — გაიცინა ლუკამ. იმათაც გაიცინეს.

— სახლში მოდიხარ?

— არა, ჰო, ჰო, სახლში მოვდივარ, — დაიბნა ლუკა.

— წამო, ბარემ ცხენებითა ვართ, სამანქანედ. რა ვიცი, როდის გასწმენდენ თოვლს გზაზე, შენ კი ხარ დაჩვეული მანქანით სიარულს და ლოდინი მოგიწევს.

— დამელოდეთ, ეხლავე მოვალ, — უთხრა ლუკამ და ლეგოსაკენ გაიქცა.

— ძია ლეგო, მე სოფელში წავალ და თევდორეს უთხარ, მალე ამოვალთქო, ჩვენებურები მელოდებიან ცხენებით, აი, ძაღლი წაიყოლეთ, — უცებ ლუკა შეკრთა: ლეგოს ულამაზესი გოგონა ედგა გვერდით. თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გოგოს ეძებდა ლუკა.

— კაი, შვილო, ვეტყვი, — თქვა ლეგომ წყნარად და გზას დაადგა. გოგოც თან გაჰყვა.

ლუკა ცხენისნებს გაჰყვა.

— ზაფხულში არ ამოხვედი და რაღა ამ დიდთოვლიანობისას მოგინდა სოფელი? — ჰკითხა ერთმა.

— რა ვიცი, ეგრე მოხდა, — უთხრა ლუკამ და მერე თვითონ შეეკითხა:

— თქვენ საით ყოფილხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საბჭოში ვიყავით. ექიმი გამოვიძახეთ რაიონიდან, საკონლის ექიმი.

— ექიმი რად გინდათ?

— რა ვიცი, საკონელი უცოფდება ხალხს, გიჟებივით დარბიან და საჩურგელად გვეტანებიან. ამას წინეებზე ერთი კოჭლი მგელი საიდანმე შემოხვეწილა სოფელში და რასაც კი გახვდა, დაუკბენია საკონელი, ეტყობა, ცოფიანი იყო, ისეთ დღეში ვართ, აღარ ვიცით, რა ვქნათ, დედაშენსაც გაუცოფდა ძროხა. ახლოს ვეღარ ვეკარებით, გიჟებივით დარბიან. ახლა თუ ხალხსაც გადაგვედო და დავიღუპებით. რაიონში დავრეკეთ, შეგვპირდნენ, სასწრაფოდ ამოვალთო.

— ვერა ყოფილა კარგი ამბავი.

— ხო, ლუკავ, მაგიტომაც გეუბნები. რაღა ეხლა მოგინდა-მეთქი სოფელში წამოსვლა, ყოფილიყავი იქ, ჩვენ არა ვემარვართ, აქ რომ ამ დღეში ვართ?

## ს ო ფ ე ლ ი

სოფელი, სადაც ლუკა უნდა დაბადებულიყო, წმინდა ადგილად ითვლებოდა, ამიტომ მშობიარე ქალები შინიდან მიდიოდნენ და სადმე, მოშორებით, აჩენდნენ შვილებს. მართალია, ბევრი რამ შეცვლილიყო უკვე სოფელში, ბევრი ძველი წეს-ჩვეულება დავიწყებასაც მისცემოდა უკვე, მაგრამ ამ წესს ჯერ ისევ ძველებურად ინახავდნენ და როგორც კი სამშობიარო ტკივილი იგრძნო, ლელამ სახელდახელოდ გამოჭკა პატარა ფუთა და თავისი მამისახლთ სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ჯერ დაპირა, ვინმე მეზობელი ქალი გაეყოლებინა, მაგრამ იმ დროს სახლში არავინ იყო და იქნებ როგორმე შამისახლამდე მივაღწიო დაღამებამდეო. აჩქარდა.

ბინდდებოდა.

გზა ხეობას მიუყვებოდა ზემოთ, ტუსარაჭილისაკენ.

უჭირდა ლელას სიარული. ერთიორი გვიანი მგზავრიც შემოეყარა და ფეხმძიმე ქალი რომ დაინახეს, ფეხ-ვირვებულებმა ჰკითხეს:

— ხომ დაგიღამდება, რამ დაგაყენა გზაზე?!!

— არა უშავს, ჩქარა ვივლი, — მიუგო ლელამ და ფეხს აუჩქარა.

ნელ-ნელა ბინდდებოდა. მამისახლთ სოფელი კი ჯერ არ ჩანდა.

შემომგლისფერდა.

ლელამ მეტი ვეღარ შეძლო და ერთი წამოყუდებული ქლდის ქვეშ ჩაიკეცა უღონოდ.

იმ საღამოს დაიბადა ლუკა.

ქლდის თავზე არწივი ჩამომჯდარიყო და ჰყეფდა.

ლელას არწივის ყეფა რაღაცნაირი სიმხნევით ავსებდა და შიშს უფრთხობდა. მაღე მთვარეც გადმოდგა და გაანათა ქლდის ქვეშ ყველაფერი: ლელას ლუკა ჩიქილაში გაეხვია და აწოვებდა. სიჩუმე იყო, მარტო არწივი ჰყეფდა ქლდის თავზე მთელ ღამეს და თითქოს დედა-შვილს ჰყარაულობდა. ფილაუთენია კი ისე მამისახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა ლელა და ორმოცი დღე დაჰყო მშობლებთან, ამის მერე კი უკვე უფლება ჰქონდა, მეუღლის სოფელში დაბრუნებულიყო და წამოვიდა.

მამა აღარ ახსოვს ლუკას. ჯერ კიდევ აკვანში წოლილა, როცა მამა სანადაროდ წასულა და, ეტყობა, მიუვალ მყინვარებში გადაიჩეხა, აღარ დაბრუნებულა უკან.

ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად მიაკვლიეს. ამაოდ ჩასძახოდნენ მყინვარებში მონადირეები:

— გუჯიაა! გუჯიაა!

გუჯია არსად ჩანდა, მყინვარების საკუთრება გამხდარიყო საბოლოოდ.

ასე იყო, როცა ვინმე კარგი მონადირე უგზო-უკვლოდ იკარგებოდა და ხალხს არ უნდოდა მისი სიკვდილის დაჯერება, ათასნაირ ამბებსა თხზავდნენ, ათასნაირ ამბებს იგონებდნენ და სოფელში ისე ყვებოდნენ, ნელ-ნელა იჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა ხალხი. ასე იქმნებოდა მონადირეებზე ლეგენდები, ზღაპრები.

გუჯიაზეც დაიწყო ხალხმა ლაპარაკი და იქამდის მივიდნენ, ერთი დედაკაცი შვილებს ფიცულობდა, ისე დაწვრილებით უყვებოდა დანარჩენებს ლუკას დაბადებას, თითქოს თვითონ ყოფილიყოს ამ ამბავის შემსწრე.

— მაგათი მოდგმა ხომ ნაწილიანია, — ჰყვებოდა ქალი. — ლუკას მამაც ნაწილიანი იყო, ჩემი დედამთილი მიყვებოდა, გუჯია რომ დაიბადა, მე შვეესწარი. მარცხენა მხარზე ნიშანი ჰქონდა, ფრთებგაშლილი არწივი ეხატაო. ლელას დედამთილს იმწუთში შეუხვევია შვილი, რომ სხვებს არ დაენახათ ეს, მაგრამ ჩემ დედამთილს მაინც დაუნახავს. ლუკასაც ახატია ასეთი არწივი და აბა, თუ გინახავთ ერთხელ, როდისმე სახალხოდ გაეხადოს ლელას მისთვის პერანგი. ეგ არაფერი, ღვთის ნაწილია და ღვთისგან არის, ლუკასთან ერთად გველი დაბადებულა, ერთ ძუძუს რომ ბაღლს აწოვებდა, მეორეს გველი სწოვდა. ისე უვლიდა, ისე ჰყავდა მიჩვეული, სამკალზე რომ წავიდოდა და ბაღლს მძინარეს დასტოვებდა აკვანში, ის გველი აკვნის ტარზე იყო დახვეული. თუ გაიღვიძებდა ბაღლი და ტირილს დაიწყებდა, გველი პირში კუდს ჩაუდებდა და აწოვებდა. ერთხელაც ასეთ დროს შესულა გუჯია სახლში რომ გველი ახვევია აკვნის ტარზე და ბაღლს აჩუმებს კუდით. მოუკლავს გუჯიას ის გველი და გარეთ გადმოუგდია. ლელას რომ მოკლული გველი უნახავს, კინაღამ გაგიჟებულა, გუჯიასთვის დაუწყია ჩხუბი, რატომ მოჰკალიო. ამდგარა გუჯია და სანადიროდ წასულა...

ისე ჰყვებოდა ამ ამბავს ქალი და სხვებიც ისე უგდებდნენ ყურს, თითქოს ერთი ტყუილიც კი არ ერია შიგ. ლუკას ჩამომავლობას მართლა ჰქონდა ღვთაებრივი ნიშანი, მართლა ეხატა ლუკას მარცხენა მხარზე ლურჯად მხრებგაშლილი არწივი, რომელიც ხანდახან მკრთალად განათდებოდა, იმ ღამითაც მართლა ჰყეფდა არწივი, რომელიც ლუკა დაიბადა. მაგრამ გველის ამბავი აქაური დედაკაცების ფანტაზიის ნაყოფი იყო.

იმ დღეებში ლელა შეუძლოდ იყო და გუჯია იმიტომაც წავიდა სანადიროდ, რომ ჯიხვის ხორცი მოეტანა. წავიდა და ნისლიან ამინდში გადაიჩეხა ჯიხვების არავეს გადევნებული.

ახლა კიდევ ერთი კაცი ჰყვებოდა სოფელში:

— გავბედე, მონადირეა, მწვერვალზე მიდის ზემოთ. უცაბ ფეხი მოუსხლტა და ქალამნის ჯოხინთ დაეკიდა. რა ვქნა, კაცო, ვუყურებ. შველა მწადია, მაგრამ რას მიეშველები, როგორ ახვალ იქ, ან ის როგორ ავიდა. მიკვირს, ბეწვით ჰკიდია იმის სიცოცხლე კლდეზე. თუ გაწყდა, მოგჭამა ჭირი, წამოვა ძირს. ვუყურებ ესე გაოგნებული და გაწყდა კიდეც, წამოვიდა ჰაერში, მაგრამ აღარც კი დაცემულა კლდეზე, ჰაერშივე იქცა არწივად და აფრინდა.

— ეჰ-ეჰ-ეჰ-ეეე! — გაკვირვებით იძახდნენ დანარჩენები და თითქოს არც იმათ შორის ეპარებოდა ვინმეს ეჭვი, ის კი არა და, გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელიც ჰყვებოდა, როგორ ჩაუვარდა ომის დროს გერმანელებს ტყვედ გუჯიასთან ერთად.

— ჩვენთვის დამღა უნდა დაესვათ ტანზე გერმანელებს. ტანსაცმელი რომ გაგვხადეს და გუჯიას მხარზე გამონათებული ფრთებგაშლილი არწივი დაინახეს, ჰიტლერთან წაიყვანეს, — ჰყვებოდა ის კაცი და თანაც ისე რომ, ვითომ თვითონვე ესწრებოდა ჰიტლერისა და გუჯიას საუბარს.

— ჰიტლერი რომ დარწმუნდა, თანდაყოლილი ჰქონდა გუჯიას მხარზე არწივი, ჰკითხა:

— გამარჯვებას ხომ მიწინასწარმეტყველებ, ხომ გავიმარჯვებ?

— არა, დამარცხდები, — უთხრა გუჯიამ.

— დახვრიტეთ! — ბრძანა ჰიტლერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა და დასახვრეტად გაიყვანეს ეზოში გუჯია.

ის იყო, უნდა ეროლათ გერმანელებს, ითვლიდნენ კიდეც: აინ, ცვაინ... რომ ამ დროს არწივად იქცა, ფრთები აიქნია და ცაში აიჭრა. ისინი ჯერ გაოგნდნენ, მერე არწივს დაუწყეს ჰაერში სროლა, მაგრამ ის უკვე შორს იყო.

— ეჰ-ეჰ-ეჰ-ეეე! — ისე გაკვირვებული იძახდნენ მსმენელები, არც აქ შეჰპარვია ეშვი არავის, არც კი დაფიქრებულან, რომ თითქმის ომის დამთავრებისასაც წაიყვანეს ჯერ კიდევ პირტიტველა გუჯია ომში და როდისღა მოასწრო ან ტყვედ ჩავარდნა, ან ჰიტლერთან კაბინეტში წინასწარმეტყველება. ანდა როგორღა მოიქცა არწივი ისევ ადამიანად.

— ეჰე-ჰეეე!

— აბა-ბააა!

იძახდნენ კაცები გაოცებით.

— მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ აპყავდა ერთ არწივს ჰაერში გველები და იქიდან ახეთქებდა კლდეებზე, ალბათ, ის იყო, — ირწმუნებოდა ერთი ახალგაზრდა მწყემსი.

ჭორი ჭორს მოსდევდა და ლეგენდა ლეგენდაზე იქმნებოდა. ლუკას მომავალზეც ბევრს წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ცალკე იმ ამბავმა, რომ ლუკა ჩვეულებრივი ბიჭი იყო, არაფრით არ გამოირჩეოდა თავის თანატოლებისაგან და ცალკე გუჯიას დაკარგვიდან დროის გასლამაც ნელ-ნელა მიავიწყა ეს ამბები ხალს.

ლელა კი დიდი გაჭირვებით ზრდიდა შვილებს. ლუკას და ლუკაზე ოთხი წლით უფროსი იყო.

— მართლა არწივი ახატია შენ ძმას მარცხენა მხარზე? — ხანდახან რომელიმე თანატოლი გოგო თუ ჰკითხავდა მას და ისიც, ამით დაინტერესებული, ეხვეწებოდა ძმას, ეჩვენებინა მისთვის არწივი და როცა ძმის მხარზე ცისფრად გამონათებულ ფრთებგაშლილ არწივს ნახავდა, ჩუმად უყვებოდა გოგოებს:

— ახატია, კი, ახატია!

— რას აკეთებს? — უკვირდათ იმათ.

— ვინ, არწივი?

— ჰო.

— ყივის და გასაფრენად ემზადება, — იტყუებოდა გოგო.

ეს იყო ადრე, ბავშვობაში. მერე ამის შესახებ დაც აღარაფერს ეკითხებოდა, თვითონ ლუკასაც ფრინველის მხარფორმის ლაქად მიაჩნდა თავის მხარზე გამოხატული არწივი. არაფერი ისეთი საოცარი და მნიშვნელოვანი არ იყო, არაფერს ეს ნიშანი არ ცვლიდა ლუკას ცხოვრებაში.

ერთმა თანასოფლელმა ახლაც დაიპირა, ეკითხა ლუკასთვის ამის შესახებ, მაგრამ ის ვერ მოიფიქრა, როგორ ეკითხა და როცა უთხრა:

— იცი, რა მინდა გკითხო, ლუკა?

— რა?

— ისაა, აი, ცოფი ხალხზედაც გადადის საქონელიდანო, მართალია? — სხვა თემაზე გადაიტანა კაცმა კითხვა.

— არ ვიცი, — უთხრა ლუკამ.

— ამას საიდანღა ეცოდინება, ბალღია ჩვენთან შედარებით, სად უნახია ამისთანები, — თქვა მეორე ცხენოსანმა.

— რა ვიცი, ქალაქში გავლილ-გამოვლილია.

— ქალაქში საქონელი არც არი, — თქვა ისევ იმ ცხენოსანმა.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, კლდეში, გადამალული თოფები გადაიკიდეს ცხენოსნებმა და ისე წავიდნენ სოფლისაკენ. უნდოდა ეკითხა ლუკას, ნადირის თუ გეშინოდათ, თან რატომ არ გქონდათ წამოღებული იარაღი და სოფელში რაშიღა გეჭირდებათო, მაგრამ აღარ ჰკითხა. იარაღს ყველა მალავდა და არც უყვარდათ ამ თემაზე შეკითხვები, აღარც ლუკამ ჰკითხა არაფერი.

ის იყო, უნდა შესულიყვნენ სოფლის ორღობეში, რომ ერთი გაცოფებული ხარი, ბღავილით გამოექანა მათკენ. პირდაპირ მოდიოდა პირზე ქაფმოდებული.

ცხენოსნები შედგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოფები შეაყენეს.

ტყვიასავით მოკროდა ხარი.

— ნუ გეშინია, ლუკავ. — თქვა ერთმა ცხენოსანმა და გამოჰკრა თოფის სასხლეტს.

ხარი ადგილზე დაბრტიალდა.

ახლა მეორე ესროლა.

ხარი დაეცა.

კიდევ ბღაოდა.

კიდევ ესროლეს.

გაჩუმდა.

— შენი ხარიც ასე მოვკალით გუშინ ლუკავ, დედაშენმა ბევრიც იტირა ამაზე, ლუკას გაზრდილი იყო, კიდევ კარგი, იქ შევესწარით და ლელას არა დაუშავა-რა.

— რატომ ხოცავთ? — ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ლუკა.

— გაცოფებულნი არიან და კაცს ეტანებიან, მაგიტომ დავარეკინეთ რაიონში, აღარ ვიცით, რა გვეშველება, საქონელი ჯანდაბას, ხალხსაც არ გადასდოს, სახლებში ვართ ჩაკეტილები და თუ დროზე გავიგეთ, რომ ვინმეს ძროხა უნდა გაცოფდეს, ხო კარგი. მაშინვე ვესვრით, თუ ვერ გავიგეთ და, ავსე დაგვდევენ საჩურგნელად.

ლელამ ძალიან გაიხარა შვილის დანახვა. მარტო იყო, ლუკას დამ ინსტიტუტი რომ დაამთავრა, რაიონის სკოლაში გაანაწილეს მასწავლებლად. ლელამ ტირილით შესჩივლა ბიჭს, შენი ხარი გაგვიცოფდა და თოფით მოგიკალითო.

— ვიცი, დედი, ვიცი, — ამშვიდებდა ლუკა.

იმ საღამოს რამდენიმეჯერ კიდევ გავარდა სოფელში თოფი. რომ ჩამოღამდა, ავად დაიარა ხმამ, შიოქაურიანთ ტეფაიც გაცოფებულა, ძლივს მოასწრეს და ბნელ ოთახში გამოკეტესო.

დილით მდინარეზე გაიყვანა საწყლევლად საქონელი ხალხმა და თან თოფებით ყარაულობდნენ, რომელი ძროხაც წყლის დანახვაზე შეკრთებოდა, იმას მალე ცოფიც გამოაჩნდებოდა. ასეთებს იქვე ესროდნენ. დანარჩენი საქონელი მოკლულს ეხვეოდა ბოლოს სისხლის დანახვაზე ბღაოდნენ.

იმ დღეს ჩამოვიდნენ რაიონის წარმომადგენლები და ეს ამბავი რომ იხილეს, სასწრაფოდ მიიღეს ზომები. იმავე დღეს გაწმინდეს ბულდოზერით გზაზე თოვლი და სოფლის გარშემო სახელდახელო საგუშაგოები დადგეს.

კიდევ ვიღაც ქალი და კაცი გაცოფდა იმ დღეს.

უკვე საშიში იყო, მთელი სოფელი, ერთმანეთის შიშით, სახლიდან გარეთ ვეღარ გამოდიოდნენ.

მესამე დღეს ჯარი შემოერტყა სოფელს, საგუშაგოებში დაბანაკდნენ და ხმის გამაძლიერებლებით გამოუცხადეს სოფელს, რომ მანამ ყველაფერს არ გამოიკვლევდნენ და საგანგებო ბრძანება არ იქნებოდა, არავის გაებედა სოფლიდან გასვლა.

მდინარის ნაპირებთანაც მოაწყვეს რამდენიმე საგუშაგო და აუარძალეს მდინარეზე საქონლის დარწყულება. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, მდინარე ხომ ქვემოთაც მიდიოდა და საშიში იყო, ქვემოთაც არ გავრცელებულიყო ცოფი.

სოფლის გარშემო წრე შეიკრა. ხალხი ერთი პატარა წყაროს ანაბარა დარჩა, აქედან მიჰქონდათ სასმელი წყალიც და ჯანსაღ საქონელსაც აქედან უზიდავდნენ ვედროებით.

ხალხს ხმის გამაძლიერებლებით გამოუცხადეს, საქონელს არ მიჰყარებოდნენ, მაგრამ ისე იყვნენ თავიანთ გაზრდილ ძროხებს მიჩვეულნი, ენანებოდათ იმათი უწყლოდ დატოვება.

კიდევ რამდენიმე კაცი გაცოფდა სოფელში. ვინც ჯერ ჯანსაღად იყო, იმათ ნაბრძანები ჰქონდათ, გამოცხადებულიყვნენ სპეციალურ ჯიხურში, სადაც ცოფის საწინააღმდეგო ნემსებს უკეთებდნენ, მაგრამ ამ ნემსების მიღების მერე უფრო ხშირად ცოფიანობა და ახლა იშვიათად ვინმეღა ემორჩილებოდა ამ ბრძანებას. ზოგიერთებმა წყაროს წყალზეც დაყარეს ეკვი. წყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს ზემოთ საფლავები იყო და ვიღაცამ თქვა: ცოფი იმიტომ გავრცელდა, მგელმა კი არ დაკბინა საქონელი, წყაროს წყალში მკვდრების ნაყური წყალი ერევა და ეს გვაცოფებსო.

ზოგმა დაიჯერა და ახლა თოვლის წყალსღა სვამდნენ, მაგრამ არც ეს იყო მთლად საიმედო, თოვლი აქა-იქ შეღებილი იყო გაცოფებული და თოფებით დახოცილი საქონლის სისხლით, თანაც ზზიანი ამინდები იდგა და დღითიდღე დნებოდა.

ჩაკეტილ წრეში იყო სოფელი მოქცეული. არავის უშვებდნენ ამ წრის გარეთ. ხედავდნენ, როგორ აიყარა ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდან და წავიდნენ, გაერიდნენ აქაურობას. უყურებდნენ სახლის ფანჯრებიდან და არ შეეძლოთ გაქცევა. ბედს იყვნენ მინდობილნი, საკუთარ ჭერქვეშ გადარჩენის იმედი ჰქონდათ და ერიდებოდნენ ტყვიით აიკვლილს. იმის მერე უფრო ვეღარ ბედავდნენ გაპარვას სოფლიდან, რაც შეყვარებულები დახოცეს საზღვარზე.

თეთრუაის ბიჭს შეყვარებული ჰყავდა.

სამი დღის მთვარესავით ლამაზი იყო გოგო.

ბიჭს გიორგი ერქვა, გოგოს — ნინო.

სოფელში ცოფი მძვინვარებდა.

სოფელში არ იყო წყალი.

მეზობლები ვეღარ ენდობოდნენ ერთმანეთს, ყველას ერთურთის ცოფისა ეშინოდა.

სოფელში თანდათან ილეოდა პური.

მკვდარს აღარავინ ასაფლავებდა თავის წესზე.

სოფელში ჩამდგარიყო დიდი შიში.

და

ამ სოფელში:

ცხოვრობდა ბიჭი და გოგო.

იმათ შორის ენთო სიყვარული.

უნდა გადარჩენილიყო ეს სიყვარული.

უნდა აყვავებულიყო.

უნდა გამრავლებულიყო.

გოგოს ბიჭის იმედი ჰქონდა, ბიჭი ძლიერი იყო.

გოგოს თვალში ბიჭს ყველაფერი შეეძლო, უძლეველი იყო.

და სთხოვა გოგომ ბიჭს სიყვარულის გადარჩენა.

ბიჭმა სოფლის გარშემო შემოვლებულ ალყას გახედა:

შეაკრთოლა.

გოგოს არ შეუმჩნევია ეს, გოგოს თვალში ბიჭი უძლეველი იყო.

— რა ვქნათ? — თვალებში უყურებს გოგო ბიჭს.

— გავიქცეთ, — ამბობს ბიჭი, თან საგუშაგოებზე წამომდგარ ჯარისკაცებს გაჰყურებს.

—ახლავე? — თრთოლვით ამბობს გოგო.

— დაბინდებისას, — პასუხობს ბიჭი.

დაბინდებამდე თივაში არიან ერთმანეთს ჩახუტებულნი.

ბინდდება.

სოფლიდან ფეხაკრეფით გადის ბიჭი და გოგო.

თოფების ხმა ისმის.

ღილით, ასევე ფეხაკრეფით მოასვენებდნენ სოფლისაკენ ბიჭსა და გოგოს.

ამის მერე უფრო დაშინდა სოფელი. ახლა თითქმის აღარც კი ფიქრობდნენ გაქცევაზე.

სოფელს თანდათან ერეოდა ცოფი.

თოვლიც თანდათან დნებოდა.

მარტო ჩალხიას უხაროდა ასეთ ჩაკეტილ გარემოცვაში ყოფნა.

რამდენიმე წლის წინ ორი ხევსური მოკლა სოფლის ზემოთ ჩალხიამ თოფით. თვითონ დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ თხუთმეტი წლით თავისუფლებას კი გამოეთხოვა. ხევსურები ცხენებს იპარავდნენ და იმათი სიკვდილი განზრახ მკვლელობაში არ ჩაეთვალა ჩალხიას. მოკლულების ახლობლებს სისხლის აღება ეწადათ, მაგრამ ჩალხია თვითონ გამოეცხადა მართლმსაჯულებას და აღარ გამოსდევნებიან დაზარალებულები სისხლის აღების ძველ წესს, რაკი ეს წესი თითქმის უკვე გადა-

ვარდნილი იყო, იმათაც გულში შემოინახეს მკვლელობის ამბავი და ჩალხიას დაუწყეს ციხიდან ლოდინი. იმის მერე უკვე კარგა ხანი იყო გასული და თითქმის აღარც კი ვინმეს ახსოვდა ეს ამბავი. ჩალხიას, რა თქმა უნდა, ოჯახი მოენატრა ამ ხნის მანძილზე და, არავინ იცის, როგორ მოახერხა ეს, ერთი კვირით გამოუშვეს ციხიდან ცოლ-შვილის სანახავად.

სოფელს თანდათან ცეცხლის ალივით ეკიდებოდა ცოფი, მაგრამ ჩალხიას, რომელიც უკვე შეჰგუებოდა ჩაკეტილ გარემოში ყოფნას, ახლა სოფელში და შინაურებში ტრიალი თავისუფლებად ეჩვენებოდა, სოფელი კი ისე იყო ჩაკეტილი, რომ იტყვიან, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა აქედან.

ერთ ღამეს რამდენიმე თოფი გავარდა სოფელში.

ხალხი ისე იყო თოფის სროლას შეჩვეული, ჩვეულებრივ ამბად მიიჩნიეს, იფიქრეს, ვიღაცას ძროხები გაუცოფდა და თოფით დახოცაო.

გამოხდა ცოტა ხანი და ახლა საგუშაგოებთან ატყდა სროლა.

ღილით ხმის გამაძლიერებლებით გადმოსცეს, დახოცილები წაასვენეთო.

რამდენიმე კაცი წავიდა.

ჯერ არავინ იცოდა, ვინ გაიპარა იმ ღამეს გასაქცევად სოფლიდან.

მივიდნენ.

ნახეს.

ვერ იცნეს.

ჯარისკაცებმა არ დაუჯერეს, რომ ვერ სცნობდნენ და უბრძანეს, წაესვენებინათ მკვდრები სოფელში.

ჩამოასვენეს.

ხალხი თავ-თავიანთ სახლებში იყო გამოკეტილი და ჯერ ვერ გაიგეს, რა ხდებოდა.

მერე სოფელში ხმა გამოვიდა, რომ წუხელ ჩალხია მოეკლათ მოსისხლეებს.

— როგორ?

— საიდან შემოიპარნენ?

უკვირდა ხალხს.

ეტყობა, შემომსვლელებს არ ერჩოდნენ ჯარისკაცები, მათთვის სოფლიდან გამსვლელი იყო საშიში, ამ ცოფი არავის გაჰყოლოდა ან ... [illegible] შემოუშვეს ჩალხიას მოსისხლეები, მაგრამ გავლისას დახოცეს.

უფრო დაფრთხა ხალხი.

უფრო შეიკეტა სახლებში.

ლუკასაც იშვიათადღა უშვებდა დედა გარეთ.

წყლისთვის თუ გაუშვებდა ხანდახან, ისიც დიდი ჩხუბით.

ლუკას ცალკე აქაური ამბავი უკარგავდა მოსვენებას, ცალკე თვედორე ახსენდებოდა და დამნაშავედ გრძნობდა თავს.

ნეტავი რას იფიქრებდა მასზე თვედორე?

ლუკა თავს არ უტყდებოდა, მაგრამ იმ დღიდან, რაც ლეგოს გვერდით მომავალ გოგოს მოჰკრა თვალი, აღარ შორდებოდა მისი სახე და როცა დასაძინებლად წვებოდა, ვერ იძინებდა, ოცნებობდა. სიყვარული მოედო ლუკას, უცებ დაიპყრო მისმა ალმა და მოსვენება დაუკარგა. რაზეც უნდა ეფიქრა, ყველანაირ ფიქრს იმ გოგოსთან მიჰყავდა, აქამდე არასოდეს ჰქონია ეს განცდა და ახლა ისე შეიპყრო სიყვარულმა, ვეღარ ისვენებდა. არ იცნობდა იმ გოგოს და ენატრებოდა კი, ისე ენატრებოდა, ლამის იყო, გამოვარდნილიყო სახლიდან, გაერბინა სოფლის ორღობეები და... ხანდახან ისიც კი აღარ ახსოვდა, რომ ჩაკეტილ წრეში იყო მომწყვდეული.

ლუკამ გომურში გამომწყვდეულ ძროხებს წყალი შეუტანა ვედროთი და როცა დასალევად დაეწყინენ, ერთი ძროხა დაფრთხა წყლის დანახვაზე. ეს ცოფის ნიშანი იყო. ლუკა სხვა დროს, ალბათ, ვერც კი მოიფიქრებდა, რომ შეძლებდა საკუთარი ძროხისათვის ტყვია ესროლა, მაგრამ ახლა იმის წარმოდგენამ, რომ ცოფიან ძროხას ან მისთვის, ან დედამისისთვის შეიძლებოდა ცოფი გადაეღო, ძალაუნებურად წაიყვანა მეზობელთან.

დიდხანს ეძახდა, არავინ იხედებოდა გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—სანდრო, ა სანდრო !— ყვიროდა ლუკა.

— რა იყო? — გამოიხედა როგორც იქნა, სანდრომ გარეთ.

— თოფი მათხოვე.

— რამდენი ტყვია გინდა?

— რა ვიცი, ერთი ან ორი. — თქვა ლუკამ.

სანდრუამ თოფი და ტყვიები გამოუტანა.

ლუკამ რომ ლუკას ხელში თოფი დაინახა, გაუკვირდა.

— რად გინდა, შვილო, თოფი?!

— დედი, ჩვენ ძროხას ცოფის ნიშნები აქვს.

— რომელს?

— მესკვლიას.

— მერე?

— მეტი რა გზაა, უნდა მოვკლათ.

ქალს ცრემლები ჩამოსცვივდა.

ლუკამ ძროხა საბლით გამოიყვანა და ტყვიები ჩადო თოფში.

დაუმიზნა.

დედა შეშფოთებული უყურებდა შვილს.

ძროხაც დაფეთებული თვალებით მიაჩერებოდა.

ლუკას უჭირდა.

უჭირდა სასხლეტისთვის გამოეკრა ხელი.

ვერა, ვერ შეძლო.

ძროხა ეზოდან გაიყვანა და კარი მიუხურა.

დიდხანს ზმუოდა ღობის იქით ძროხა და სახლში შეშვებას ითხოვდა.

— იქნებ არ გაცოფდეს, შვილო, ჰა? ცოდოა, — თქვა ლელამ.

ლუკასაც ენანებოდა, მაგრამ თავი ძალას ატანდა.

თანდათან მოერია ცოფი და ღობეს დაუწყო ჩურგვნა ძროხამ. მერე მთლად გადაირია და სოფლიდან გავარდა საგუშაგოებისაკენ.

საგუშაგოებიდან თოფის ხმა მოისმა.

საექიმო ჯიხურს თითქმის აღარავინ ეკარებოდა, სახლებში იყო ხალხი ჩაკეტილი და ბედს მინდობილნი მოელოდნენ განსაცდელსა თუ შველას.

სოფელს თანდათან ედებოდა ცოფი. ხოლო ლუკას იმ უცნობი გოგოს ყვარული.

ბედი არ უნდა კაცს? მოვიდა სიყვარული, მაგრამ სად. ჩაკეტილ წრეში, სადაც სოფელს ცოფი უკიდია და, კაცმა არ იცის, ვის რა მოელის. ექიმები ცოფს ეძახიან, მაგრამ თვითონვე აქვთ ეშვი. ჯერ კარგადაც არ იციან, რა არის ეს. ცოფია, მაგრამ, ცოფზე უარესია, არც წამალი შველის. არაფერი, ხალხი და საქონელი ერთნაირად იღუპება.

ლუკას გარეთ ეწვევა გული.

დედა ეცოდება მარტო დასატოვებლად. თორემ აქამდე სცდიდა გაპარვას.

რამდენიმეჯერ იმ ადგილას ავიდა, სადაც ადრე ქველი ციხე იდგა. აქედან კარგად ჩანდა სოფლის გარშემო მყოფი საგუშაგოები. ეტყობა, ციხეც იმიტომ აეშენებინათ ადრე აქ. იმის მერე კი, რაც გარსია ჩაიკეტა შიგნით და აფეთქეს, სახელადღა შემორჩა ციხე-გორი.

იჯდა ლუკა და გასასვლელს ეძებდა.

გასასვლელი არ ჩანდა.

სიიმედოდ იყო ჩაკეტილი საგუშაგოებით, ყველა გზა, საიდანაც კი გასვლა შეიძლებოდა.

სიკვდილს ნიშნავდა გაპარვის ცდა.

ლუკას კი სიყვარული მოსდებოდა და ჩაკეტილი წრის მიღმა ეძახდა მისი ხმა.

მარცხენა მხარიც სტკიოდა. ტანსაცმელი გადაიწია. შეხედა: არწივის ნიშანი ფეთქავდა, თითქოს, სიყვარულთან ერთად, არწივი იღვიძებდა ლუკას არსებაში და ახელებდა, ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა.

გაპარვის მცდელობა სიკვდილს უდრიდა.

თან დედა ეცოდებოდა, მარტო დატოვება არ უნდოდა.

თან გამართლებას უძებნიდა თავის სურვილს:

თუ როგორმე გაიპარება და თევდორეს ნახავს (ის გოგოც, ალბათ, იქ იქ-

---

**გოდერძი ჩოხელი**
**მგზელი**

ნება), იქნებ თუვდორემ იცოდეს რაიმე წამალი. თევდორემ ხომ ყველაფერი იცის მგლების შესახებ. ეს ცოფიც ხომ მგელმა გაუჩინა სოფელს. იქნებ ყველაფერი დორაისხევლებისაგან მოდის და იმიტომაც ვერაფერს ხდებიან ექიმები.

გასასვლელი არ ჩანს.

იქნებ აქ უწერია სიკვდილი?

ნუთუ ისე უნდა მოკვდეს, რომ ერთხელ მაინც ვეღარ იხილოს ის გოგო, ნუთუ სახელი მაინც ვერ უნდა გიგოს მისი?

არწივი აფორიაქდა ლუკას სულში.

გარედან სიყვარულის ხმა ეძახდა და პასუხის გაცემა არ შეეძლო.

იგრძნო, ვიღაცა წამოადგა თავზე.

აიხედა.

გარსია იყო.

გარსიას ლანდი.

ისევ ისეთი უხორცო,

მაგრამ ისევ ისეთი სრულყოფილი.

— გაქცევა ხომ არ გინდა, ლუკავ? — ჰკითხა გარსიამ.

— კი, მინდა, მაგრამ გასასვლელი არსაითა ჩანს, ყველგან ისეა ჩაკეტილი, ვერსაიდან გაიპარები.

— იცი, რას გეტყვი? საღამოს მოდი, მე გაგიყვან, თანაც ბინდ-ბუნდში სჯობია, ვერ დაგინახავენ, — უთხრა გარსიამ.

შეთანხმდნენ და ლუკა სახლში წავიდა დედასთან.

შეეცოდა დედა მარტო რომ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ აღარ შეეძლო წასულელობა. გამეფდებით ეძახდა სიყვარულის ხმა.

„ერთი დღით წავალ, ვნახავ იმ გოგოს და ისევ დედასთან მოვბრუნდები. იქიდან, ალბათ, არ გამიჭირდება, იქიდან შემოსულებს ხომ არ ესვრიან“, — თავის გადაწყვეტილებას ასამართლებდა ლუკა.

როგორ უთხრას დედას, რომ გაპარვას აპირებს?

ხომ შიშისაგან დაილევა ქალი.

იქნებ არ უთხრას?

სახლში რომ არ იქნება ღამით და მოიკითხავს დედა, ხომ იფიქრებს ბათ, სადმე გაკოფდაო. რაღა გააჩერებს სახლში, დაუწყებს ძებნას და, ვინ იცის, რას გადაეყრება.

რა ქნას?

როგორ მოიცეს?

ხმა კი ეძახის, სიყვარულის ხმა ეძახის და ერთ ადგილას აღარ აჩერებს. წაუსვლელობა არ იქნება. გარსია ისეთი გულადია, რაღაცას მოიფიქრებს, გარსია სწორედ სულზე გამოეცხადა, ეტყობა, იგრძნო, რომ საჭირო იყო.

საცაა უნდა შებინდდეს.

სადაცაა უნდა წავიდეს.

მაგრამ დედა?

იქნებ უთხრას, რასაც აპირებს. მშვიდად მოუყვება ყველაფერს და დაიმედებს, რომ გარსია უხიფათოდ გაიყვანს.

არწივი აბორგებულა მის არსებაში, მოქმედებას ითხოვს, მაგრამ გველი არსად ჩანს, გველის სიბრძნე აკლია ამ მოქმედებას.

მოიფიქრა: არაფრით არ შეიძლებოდა დედისთვის გაემხილა, რომ გაპარვას აპირებდა, ამით ხომ წინასწარ ჰკლავდა დედის გულს და ჯერ მას უშვებდა ტყვიების წვიმაში. ესროდნენ თუ არა ლუკას, მერე თვითონ მიჰყვებოდა. მოლოდინის ელდას შეიძლება თან გადაჰყოლოდა ქალი. ისევ ტყუილი ამჯობინა:

— დედა, დღეს ღამით სამხედროებმა გამომიძახეს მთავარ შტაბში, როგორც განათლებულს, სოფლის საქმეებზე უნდა მომელაპარაკონ, უჩემოდ არ შეგეშინდეს, ხვალ მოვბრუნდები სახლში.

— მაგდენი რა უნდა გელაპარაკონ, შვილო? — შეკრთა ქალი.

— რა ვიცი, დედი, ალბათ, საქმე აქვთ, უჩემოდ გარეთ არ გამოხვიდე, რაც უნდა მოხდეს, არ გამოხვიდე, ასე გამაფრთხილეს.

— კარგი, არ გამოვალ, — დაუჯერა ქალმა, მაგრამ შიში მაინც დარჩა თვალებში.

ლუკა, მანამ სახლიდან წამოვიდოდა, დედას უყურებდა და გული სწყდებოდა, რომ ატყუებდა.

იქნებ უკანასკნელად უყურებს.

იქნებ ვერ გააღწიოს საზღვარზე.

იქნებ ხვალ დილით მოუსვენონ დედას და რას უტოვებს მარტოხელა ქალს — ტყუილს?

—წადი, შვილო, წადი, მე არაფერი მიშავს, — გამოაფხიზლა დედის ხმამ.

ლუკა სახლიდან გამოვიდა.

ბინდდებოდა.

ციხეგორთან გარსია ელოდებოდა.

— აი, იმ საგუშაგოს ხომ ხედავ? — მიანიშნა გარსიამ.

—ჰო, ვხედავ.

— ჯერ მე წავალ იქითკენ, რომ გავუსწორდები, განგებ აეხმაურები, ისენი მე დამიწყებენ თოფის სროლას და შენ ამ დროს უნდა მოახერხო მარცხენა მხრიდან გაპარვა.

— მერე შენ?

— ჩემზე ნუ ფიქრობ, მე რა უნდა დამაკლოს ტყვიამ, თანაც ღამით ისე ვჩანვარ, როგორც ხორციელი.

გარსია წავიდა.

— მანამ სროლას არ დამიწყებენ, დამალული იყავი, — მოაძახა გზიდან.

დაბინდდა.

ლუკა ნელ-ნელა წავიდა ხოხვით საგუშაგოსაკენ.

აღარ ჩანდა გარსია.

უცებ გაისმა სროლის ხმა.

საგუშაგოდან მარჯვნივ მიანათეს სინათლე.

განათდა ვარსია.

ატეხეს სროლა.

ლუკა მარცხნივ გაიქცა.

გააღწია.

საშშვიდობოს გავიდა.

ჯერ კიდევ ესროდნენ გარსიას, ის ახლა სოფლისკენ გარბოდა და იქით იქცევდა მათ ყურადღებას.

ლუკა გზას დაადგა.

თოვლი უკვე დაედნო გზებზე მზეს და აღარ უჭირდა სიარული.

მთვარეც ამოვიდა.

ეტყობა, თოფის ხმამ დააფრთხო ... მგლები, თევდორეს სახლამდე ... იარა, ერთი დაყმუვლებაც არსად გაუგონია. უკვე თენდებოდა.

ინათა.

სახლთან თევდორეს ძაღლი შემოეგება.

— ძია თევდორე! — დაიძახა კარებზე ლუკამ.

სახლიდან ლეგო გამოვიდა.

— ა�ა, შენა ხარ? შემოდი, — სახლში მიიპატიჟა ლუკა ლეგომ.

ოთახში უკვე შემოჭრილიყო დილის ნათელი.

— ადექი, გოგო სტეფარი მოვიდა, სირცხვილია, — გაღვიძა მძინარე გოგო ლეგომ.

ლუკას საწოლიდან გოგომ წამოიხედა.

ლუკას შეხედა.

კინაღამ გული წაუვიდა ლუკას.

— წამო, შვილო, მანამ ე გოგო ადგება, შიგნით ოთახში შეავიდეთ — თევდორეს ოთახში შეუძღვა ლეგო.

ოთახში თევდორე არ იყო.

— ძროხებთან არის? — იკითხა ლუკამ.

— არა, შვილო, წავიდა, გუშინ მივაბარეთ მიწას.

ლუკა ამას არ მოელოდა, დაბნეულად მიმოიხედა, საწოლი ველარსად დაინახა და ლეგოს ჰკითხა.

— საწოლი?

— მთხოვა, ამ საწოლით დამასაფლავეთო, მამაჩემის ნაქონი იყო და სიმშვიდეს გრძნობდა შიგ. ნათესავები გუშინვე წავიდნენ, მე და ჩემი შვილიშვილიდა დავრჩით აქ, მინამ ორმოცს არ გადავუხდით, იმისი სული ამ სახლში იტრიალებს და არ გვინდა გამოვეტოთ კარი.

ლეგო გაჩუმდა.

დუმილი ჩამოწვა.

— აი, ეს ყვავილი დაგიტოვა, მთხოვა, თუ თვითონ ალარ მობრუნდება, შენ იპოვე და მიეცეო, ამბობდა: ლუკას მგლები ეტანებიან და სასიკეთოდ მოიხმაროსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკამ ის ყვავილი გამოართვა ლეგოს, ხალათის გულისპირზე რომ ეკერა თევდორეს.

როგორც კი ყვავილი დაიჭირა ხელში, შინაგანი ძალა იგრძნო.

წინა ოთახში გამოვიდნენ.

გოგონა უკვე ამდგარიყო და ცეცხლს ანთებდა.

ცეცხლის შუქმა გაანათა კედელზე ჩამოკიდებული სურათები. ეს გოგო საოცრად ჰგავდა სურათში მყოფ პატარა გოგოს ხელში ყვავილების თაიგული რომ ეჭირა და ომში მიმავალ ლეგოს უწვდიდა.

ლეგომ ლუკას მზერა დაიჭირა.

ლუკამ გოგოს შეხედა, იმან თვალი აარიდა.

— გაიცანით, შვილო, ერთმანეთი, — წყნარად უთხრა ლეგომ.

— ანა! — ხელი გამოუწოდა გოგომ.

— ლუკა! — თქვა ლუკამ და კინაღამ გული ამოუვარდა მკერდიდან, როცა გოგოს ხელი ჩამოართვა.

— მე წავალ, სახლში მელოდებიან, — თქვა ლუკამ. უფრო იმიტომ, რომ დაბნეულმა აღარ იცოდა, რა ექნა, ან რა თქვა.

ლეგომ და ანამ წყნარად შეხედეს.

ლუკა გარეთ გამოვიდა.

— თქვენ ხომ ჯერ აქ იქნებით? — იკითხა ლუკამ.

— ხო, ჯერ აქ ვიქნებით, — უთხრა ლეგომ.

— მე წავალ და მოვალ, — ისევ თქვა ლუკამ და წავიდა.

გზიდან რამდენჯერმე მოიხედა.

გოგოც დიდხანს უყურებდა.

მანამ,

მანამ,

მანამ,

მანამ თვალს არ მიეფარა ლუკა.

ძაღლმა გორამდე გამოაცილა.

მარტო რომ დარჩა და გზას დაადგა, დაინახა, რომ სამი მგელი პირდაპირ მისკენ მორბოდა. ცოფიანებს ჰგავდნენ. ისე მორბოდნენ ლუკასაკენ. ეტყობა, ცოფით დახოცილი საქონლის ლეში ჭამეს და გადაირივნენ.

ლუკა შიშმა იტანა.

აღარაფერი აღარ იხსნიდა ახლა თევდორეს დანატოვარი ყვავილის მეტი და ეს ყვავილი დაიჭირა ლუკამ იმ მხარეს. საიდანაც მგლები მორბოდნენ.

ცოფიანი მგლები უცებ შედგნენ ყვავილის დანახვაზე, თუ სუნზე (გამხმარი იყო, მაგრამ მაინც სურნელი ჰქონდა ყვავილს), დაიყმუვლეს, კუდები ამოიძუეს და გაიქცნენ.

სოფელში ყვავილით შევიდა ლუკა. გაცოფებული საქონელი ღრიალით გაცვივდა სოფლიდან. ხალხს, ვისაც უკვე მორეოდა ცოფი, საამქვეყნოდ პირი მიეცათ, შეეხებოდა თუ არა ასეთებს ლუკა ყვავილით, იკურნებოდნენ და უჭირველი რჩებოდნენ. მესამე დღესვე მოხსნეს ჯარისკაცებმა ალყა და წავიდნენ.

სოფელი აავსო ყვავილის სურნელმა.

წამოვიდა ლუკა,

დადიოდა სოფელ-სოფელ,

დადიოდა ქალაქიდან — ქალაქში,

დადიოდა ანას სიყვარულით ანთებული.

ხელში ყვავილი ეჭირა და იმის დანახვაზე გარბოდნენ მგლები,

გარბოდნენ სოფლებიდან,

გარბოდნენ ქალაქებიდან,

მგლებისაგან იცლებოდა ქვეყანა.

ლუკას ხელში თანდათან ღვივდებოდა ეს ყვავილი და მთელ დედამიწას თავის სურნელებით ავსებდა. დორიანსევლებსაც მისწვდენოდათ ეს სურნელება და კანკალებდნენ, თრთოლდნენ, შეშინებულნი დიდ საგონებელში იყვნენ ჩაცვივნულნი.

დადიოდა ლუკა ქვეყანაზე, რომლის ერთ სოფელშიც ანა ელოდებოდა.

დასასრული

## ორეული

დიდიხანია, ქაოსში ცივა და მომაკვდავ მზის ცქერით იღლები. გარდაცვლილ დღეებს ოგონებ ხშირად და გიდნებიან თოვლის ნიღბები. წარსულს ტყუილად ეთამამები, გაწყვეტილია დროის აპირალი. აღარც მზეები აღარც ვარდები და აღარც ვინმე დასატირალი. ფარფატებ, ხმელი ვითარც და დარჩენილი წამები გადის. ეჰ, იქნებ მაინც მოვიდეს ვიღაც და საფეთქელზე შეგეხოს ბაგით. მერე თქვან. იყო შეშლილი ქალი. ღვთაებრივი და მეფურ ეირია. მას ეშინოდა გატეხილ ქნარის და სასთუმალთან ესხდნენ იები...

ზმანება გარდასული —
გაისმის ხმა ნაბიჯის.
და აუზდენელ სურვილს
ჰგავს მოცახცახე ბინდი.
რამ დაგინისლა მზერა.
წასვლის დრო ჯერ არ არი!
ეჰ, აღარ ძალგიძს შველა
წამოჩოქილი ხარის.

საღამოების თოვა
დაგამშვიდობებს თბილისს.
და სასთუმალთან მოვა
უძვირფასესი ჩრდილი.
მერე წაგიღებს წყალი
და საიდანღაც, მალე —
მზე მოვა ნაზამთრალი
და დაგიხუჭავს თვალებს.

ნუ გენანება, რაიც დაკარგე, რაიც გწადდა და ვეღარ შეძელი! სურვილის ალით მაინც აანთე ეგე ლამპარი აღუნთებელი. რად მიატოვე მწუხრის თავანი. რატომ უარყავ წმინდა სიმშვიდე. გახსოვს? მოგდევდა ქარი ამალით და ვარდისფერი იყო ცის კიდე. შენ მოდიოდი. გზა იყო შორი. სიყვარულის მზე ჩანდა პატარა და მისძახოდი: აქა ვარ, მზეო! და გპასუხობდა ექო: „აქა ვარ...“

ცის ისმენენ არიას
ნისლიანი ეორდები.
ახლა მწუხრის ჟამია,
ნეტა თუ გაგონდები?
არის წამთა დარაჯად
მზე, ყვითელი ყაენი.
ქარიშხალი არა ჩანს.
ღამეული პაემნის,
აქ არი და არც არი
შემოდგომა ქარცივი.

და მართალი ზღაპარი
ძველებურად დამცინის.
ო. საათმა დარეკა!
შეხვედრამდე შორს არი.
თუ არ მოხვალ, ახდება
წუხანდელი კოშმარი.
ეჰვი, ჩუმი აქამდე
ახმაურდა დარდებად.
მალე მაინც დაღამდეს!
ვაი, რო არ ღამდება!

მოხვალ და მეტი არცარა მინდა! კვლავ დავბრუნდები მწუხრის თავანზე. განსასვენებელს, სადაც შენ გძინავს. შენდამი ჩემი ლოცვა ფარავდეს! ჯერ კი... არვინ და არარა მოჩანს. ისევ და ისევ ცაი სველია... ნაადრევია, როგორც ჩანს, მოსვლა და დაბრუნებაც ნაადრევია...

...თვალს მიადევნებ, ღრუბლის ქულები ვით გადიქცევა ცისფერ რტოებად. და მაინც იქნებ სკობდეს მოლოდინს მწირის სენაკში განმარტოება. იქნებ გაექცნენ დამცინავ ქართა, შეიმსუბუქო ლოდი კრთებისა; წიგნში შენახულ იას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ნახავ, ნუ ეძთხვევი და ნუ ატირდები. ეჰ, სიყვარულით აღარ სავსეა
და გულობიან წამნი ეკლებად. ნუ იყუოები, ცაში, მარტო, ვერ ატყობ? ტანჯვა
გიორკეცდება. დაგედევნება თეთრი ჯარსკვლავი და მინავლდება
ხართა ვეღრება. დაგიჭყნებიან ვარდნი ანყალით და უცაბედად დაგათენ-
დება! ოოაო მოჩანს სითეთრის გარდა. ხედავ? სხვები ერთურთს წაება. ნუ
მოუნდომენ ნიღაბთა ახდას ჭეშმარიტების უცხო ღვთაებას. ბმა მოუდება დაღ-
ლილ შოროეთებს, რო წვა არა ღირს კაცთა სახსნელად! რო ოასოდეს მოიგონე-
ბენ. როდის უყვარდათ უკანასკნელად. გაჰყვები ამ ხმას. ზვარაკი ვითაოც, ნუ
შეჩერდები, წა, გაეშურე! თუმც... ვინ დაგჭყნებს შუაღამისას? ვინ ეფერება
შენს ნაფეხურებს? ქარი ყოფილ! მინავლდა ვეება... თუმცა სიმშვიდის სად
არს საკვანე? და სიზმარეულ ბაღებში ჭკნება შემოღამების ისამანი.

მერე რა, რო შეგაშინებს
ვარდისფერი საზღვარი.
ნუ მისძახი ძველ აჩრდილებს,
ნუ გაშფოთებს, რაც არი!
მერე რა, რომ დედამიწის
ხმით გული ვერ იჯერე..
ნუ იხსენებ ჩუმი შიშით
დავიწყებულ სიმღერებს!

მერე რა, რო ძროლის სურო
შთენილ წუთებს აგრეკვს.
ნუ მისტირი, მარტოსულო,
შემოძარცულ ყვავილებს!
მერე რა, რო ულამბნონი
ვერ აქცევ ყორდებად.
ო, დამშვიდდი, დაბრუნება
აღარ განმეორდება!

გღლის უპასუხო კითხვათა ბოღმა — თმაზე რო შეგრჩა ვერცხლის შხე-
ფებად. ეამთა მეუფემ მოასწრო ოდნავ ჭეშმარიტების ჩრდილთან შეხება. ბო-
ლოს და ბოლოს, როგორმე გაძლებ სიმშვიდისა და სითბოს გარეშე. ოღონდ
იპოვო, რაიც დაკარგე და დაუბრუნდე, რასაც გაექეცა...

ძალე ციური ქნარი
ღრუბელთა ფარას ამშლის
მეკარიშხლობენ სათ
შაკფაფრიანი რაშნი?
ბინდი დაშფოთავს ახლო
და იბოღმება მუხა.

ჩიბარ, ბებერო, მარტო
და ფანტელები წუხან.
მოსაგონებლად არც — რა.
მოსასვლელია არც — ვინ...
და აგატირებს დაცლა
უკანასკნელი ვაზნის.

იცოდი, არსად რო არ გელიან! სიცივე როა იქაც და აქაც. და ვარსკვლა-
ვები ნაპერწკლებია, სულთა ხანძარმა რო მიმოფანტა. ამ ხანძრის დიდი სინათ-
ლე იყო, დედამიწა რო დაამწყალობა. ეხმიანება საწუთოროს ხმაურს მარადისო-
ბის ჩუმი გალობა. მაშ წადი, წადი, წადი ისევე, როგორც მოხვედი ქართა ქირ-
ქილში! ნუ სწუხარ, მაინც არვინ გიხსენებს და ნუ გრცხვენია შენი სიშიშვლის.
ჩავლილი წლები აწყვია ისე, როგორც დედანის მჭრეალი ასლები, ერთს მოი-
ხედავ წარსულისაკენ და მხსნელ ბილიკზე წალასლასდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი კაპანაძე

## უშბა

*გიორგი ზუმბაძის ხსოვნას*

ეს გაზაფხული მდორედ მოდგა,
ხნულებს ოსებს:
სხივი, ყვავები, ყვავილები,
მწვანე პირველი,
ზამთრის სიზმრიდან უშბა დარჩა,
ცეკვავს ქაოსზე,
ვითარცა შიკა, შეწირული და
შემწირველი.

* * *

მაშინ, როდესაც,
მე ვიქნები საზღვართა მიღმა,
მაშინ, როდესაც,
არ იქნება მაშინ და ოდეს...
ცხადი მეგონა:
ვუყურებდი ფიფქების ღიმღამს,
ქარი სუდარად მიკერავდა
ნამქერის ბლონდებს.

ჩემი წყურვილი შემომექცა
ნუთუ სასჯელად?
და ამ წყურვილით იავარად ვიქმენ
ქცეული?

მთის სილურჯიდან
ეშვებიან ყორნები ბნელად,
შენი მადლია მათ ყრანტალში,
მზის ბოლეული.

* * *

ზევით ცა გადგას,
ასე მშვიდი და ულმობელი,
გელანდებოდა, გეძახოდნენ?
არცვინ გეძახის.
აწვდილი ხელი დაგჭნობია,
ჭლოკველის ხელი,
მიოლოცავს სული,
უსასრულო უსახო სახით.

ცბოკრებად მექცა
მე წამება წარსულ-მომავლით
და თავს შევეახი: გაუძელი,
ხომ გაგიძლია?
ჩემი ტანჯვაა ეს ზამთარი,
ფიფქების ნავლი,
გვირილებად რომ წაჰფენია
ქარების ღრიალს.

* * *

ხსოვნა — სიკვდილით,
მტერნი — ნისლით გადალეკილი...
ჩნდება და ქრება
უბადრუკი ქარის ნიღაბი,
სერებს ეფარვის მოგონების
ბალახი გრილი,
მიხვალ და ჰკვნესი ღამეებით:
„მე არ ვიყავი".

მიგასიკვდილებს გაზაფხული
ტრფობის გამხელით,
(ლურჯი ნათელით
დაგტანჯავენ იასამნები),
აქ მოვიპოვე მე სიმშვიდე
ქაოსის, ღელვის
და ყაყაჩოთა დამაფინეს
სისხლის ალმები.

* * *

არის უსაზღვრო საყვედური
მინანქართ ლელვის,
წასვლა და მოსვლა,
ამაოთა ბნელში მროკველის.
ჰა, სოფელი უუფლებო
ყოელის უფლებით
დამფარავს, მფარავს
გარიერაჟის შამბით და ლელით.

წამომდგომია გაზაფხული
ელვის, მზეების,
ლურჯი გოდება მესმა მთების,
წყალობა ჰყავი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსაზღვროებას ეძახიან ცათა შრეები,
ეფათქუნება მწვანე მუხას,
საწყალი ყვავი.

* * *

დღეგ შეგმოსავს
და სინათლით ღამე გაგძარცვავს,
ბნელს მოეფარე,
მივიწყებულ მწირის ძონძებით,
წადი მიჰყევი,
(მიჰყვებოდი ქარების წანწალს)
აწ, აწღა შენს თავს თუ ეძებდი,
ველარ მოძებნი.

მხოლოდ ის მყოფობს,
რასაც შიში ვერ ჰყოფს იავარ,
სისხლი მოგერნავს:
ზამბახების, ხრიზანტემების
(გწყურია წყალობა)?
თვით იკივლებ, იკივლებ: წვიმალ,
გამოიხედავ,
დავიწყებულ მტვერზე შედგები.

* * *

გავიწყდებოდა,
სიყვარულით შეგქმნა რომელმან...
(ჰფანტავდა ხოლმე
სიზმრებიდან აპრილი პეპლებს),
ჯოჯოხეთთანაც ძნელი არის
გამოთხოვება,
ფირუზის დარით გახსენება;
რომ დაიფერფლე.

თუ მადლი არის სიყვარული
მარადი წყევლის,
უნდა ინატრო .სამუდამო მოუსავლეთი,
(სტკივა სინათლე მაშინ აპრილს,
აწამებს, ელმის)
და გენატრება დავიწყება, ტალღები
ლეთის.

* * *

ო. გზანი შენკენ მომავალი
შორიც და მოკლეც...
(მეფარებოდა ანგელოზი
საფირონ ფრთებით).
სიკვდილის სიბრძნე:
ყოველივე მოელის მომკელს.

ვის შეუცვნია მარადისი,
აქ ყოფნის თმენით?

შენთვის და შენგან დაფერფლილა
ფენიქსის ცვლები,
(მარადიული წარმავალით რომ
მიწყალობე)
იმზირებოდი უსასრულო
სიბნელის ქვევით,
შენს სიხარულში:
სიგლახაკით მიხილე რომელ.

* * *

ცოდვა სინათლით დადაღულა:
ტანჯვაც ეს არის,
დუმილი სიტყვის, დუმილი კლდის,
დუმილი ზეცის,
ხრიოკ სერებზე გამოსული უძლური
მთვარე,
მოგონებებში დაკარგული ფერმკვდარი
ვერცხლით.

შენი სახეა
ვარსკვლავებით დამიწებული,
და ჭეშმარიტი ის იყო, რომ
ამაოდ დავშვრი,
(დაგიძახებდა, მოგყვებოდა ის ორეული)
ხსოვნა რომ ჰქონდა
შენი პოვნის დაკარგულ სხვაში.

* * *

ისეა: თითქოს
არაფერი არა ხდებოდეს
(მამლები რატომ მაღვიძებენ
მკვდარი სოფელით?),
ყოფნა-არყოფნის უგრძნობელი
შეგიცან ოდეს
და თავისთავში შემწყვდეული
წამით მყოფელი.

ფარშეევანგვით გაფოფრილა
დარით ლაქვარდი,
(ვინც უკვდავია, იგი სიკვდილს
თითქოს დაეძებს).
ესაა სიბრძნე სიგიჟისა: მიჯნურის,
ვარდის,
რომ ვარსკვლავებად იცოცხონ
საკუთარ ძვლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არაფრის ცოდნით შეგიქმნია,
ოჯაბ რამ ქმნილა,
შენით ირწევა ეს ნათელი, ბნელი
თაღების,
ჩემს თავს ვუყურო სიკვდილიდან
და ვიქცე ძილად,
მოხდა რაიმე,
თუ რამ მოხდა, ჩემივე ნებით?

თავზე მადგახარ ასე ცხადი
და სულ შიშველი,
მაინც ვერ გხედავ,
თვალები რომ დამივსე ბომლით,
ელვით ჩამქრალი ღრუბლებია,
წარსული მკვლელი,
და გაზაფხული გუგულების,
ყვავილის თოვლით.

* * *

თუ ათას კითხვით გაწამებულ
სახეს დამალავ,
მაშინ თუ მაშინ
აღარაფერს გავიხსენებდი!
(ვით გამიხსენებ ყვავილებად,
ვარსკვლავთა გალად)
გამომინათებ უვიცობით და
სიბნელეთი.

დაუსრულებელ შენს
დუმილში
ვრჩები განრთხმული,
თავი შევიცან წარმავალით
და გარდუვალით
და ყოველივე უბადრუკი, ყველა
წარსული
მხოლოდ სინათლის საბურველი
არის ვუალი.

* * *

რადგან სამყაროს რამედ სთვლიდი,
თუ სთვლიდი რამედ?...
(აღოდებოდი შენ ტანჯვიდან
ნაგვემ-ნალახი),
ეით შეგიყვარო ულმობელად
დათვლილი წამით?
მზით მაღვიძებდი და მფარავდი
მზეებია თალხით.
გამოიზამთრა,
ხმა ჩაუწყდათ ცოფიან ღვარებს...
(შიში უთვლელად მოსვლისა და
აქ მობრუნების)...
მოდი, ჩამოდი, ენძელებად ამოიპარე,
ვადაფარე ლაჟვარდების, ქარის მინები.

* * *

უშორესია მიჯნურობა,
თავისთვის ბნდების,
არა სიტყვებით უმეცრება
სიტყვის ლაყბობით.
გადაილეკა ხსოვნა ჩემი, წარსულის
თრევით,
ასე ვიწამე, საიდუმლო უაზრო ომის.

ვინაა იგი,
ჯოჯოხეთიც რომ შეიფერა?
მზეს მოელოდი, მზე გმარხავდა
ნათლის ლუსკუმით,
მთვარის კუბოში იფერფლები,
ყვავილობ, ელავ,
დამჭკნარი ქარით და სიკვდილით
ისუდრავ დუმილს.

* * *

გაცრეცილია შენი სახე მონანიებით,
(თუ დაიძლევა სიბოროტე
ხორცდაშთენილის)?
გამომიტირებს: გაზაფხულის
ლაჟვარდი ცრემლი,
დამჭკნარი ვარდი ანგელოზით
გადაფრენილი.

(ჯოჯოხეთიდან დაკარგული
იწყებდი ციმციმს),
გამწარდა ფიქრი,
არა ვიცი წასულ-მოსულის...
მოხველ უვიცი
და წახველი ისევ უვიცი.
(საქმეოდან იხედები სინათლით
კრული).

* * *

წამით მოვედი
და კვიცლმა სამყარო ზაფრა.
ვინ გრძნობს წყალობას?
(წყურვილია მარად ხეტების),

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაირწევა იმერეთის საღამო აფრად
და შეწუხდება ღამეების ვერცხლის
სვეტები.

ყამი ყოვლისა წარმავალის
გამოსალმებლის,..
(მარტი აგდია, გაცრეცილი გველის
პერანგით),
დამჭკნარა, ჭკნება
სულწასული ყვავილი ტყემლის,
ყველა სურვილი
იმედებით არის ვერაგი.

* * *

მაინც რა უნდა დამენახა
ჩემი სიბრმავით?
(შემოხვიდოდი, დაიკრეფდი მაგ საწყალ
ხელებს),
გაუმაძღარი მნათობების,
ღამეა სვავი,
დგება ცისკარი, გარიყრაჟის წამის
სიბნელედ.

შენ მიმატოვე, მომიშორე,
როს არ ვიყავი,
ლურჯი გალობით მოგიგონეს დღეს
ყვავილებმა,
(ყაყაჩო ჩემი წარსულია სისხლიან
ჯამით).

გამოვიღვიძე
და სიცოცხლის ღამე ილეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სურვილი

ვეტრფი ყველაფერს: ნაღდსა და
ნამდვილს,
დედის ცრემლივით სუფთას და
წმინდას.
შენ, შეიძლება, არა ხარ ხატი,
მაგრამ მე შენი ხატობა მინდა.
სილამაზეს და სიწმინდეს ვეტრფი,
ფარვანასავით ვევლები სტრიქონს.
შენ, შეიძლება, არა ხარ ღმერთი,
მაგრამ მე მინდა. რომ ღმერთი იყო.

## აქ და იქ

გალუმპულა მინდვრად ყანა,
დაღვრემილან ჭადრები.
აქ თუ არვინ შემიყვარა,
იქ ვის შევუყვარდები.
რა განგებამ ამიშენა
მარტოობის კედლები?
აქ თუ არვინ გამიხსენა,
იქ ვის გაეახსენდები.

ვაი, დედა! მგონი, ვკვდები,
ეშვებიან ფარდები,
აქ თუ არვის დავაკლდები,
იქ ვის შევემატები.
წყლით გაღღენთილ ღრუბლის ტოტებს
ქარი ბერტყავს გოდებით.
აქ თუ არვინ შემიცოდებს,
იქ კის შევეცოდები.

## ორი სურათი

საღღაც მტრედი ღუღუნებდა,
ჩვენ კუსმენდით მტრედს.
ბავშვი ცაში უყურებდა
ცას კი არა, ღმერთს.

საღღაც ღელე გუგუნებდა,
მისი შურდა ჭას.
კაცი ცაში უყურებდა
ღმერთს კი არა, ცას.

## ხვედრი

მე ბილიკ-ბილიკ
ვტოვებ იმედებს,
კაცი, რომელიც სიცივისთვის
გამომიმეტეს.

ვიღაც უსაზღვროდ უწყინარი,
ძალზე კეთილი
ხომ უნდა იყოს განწირული
და მოკვეთილი.

## ამ წუთას

ამ წუთას საღღაც თოვლია,
საღღაც ქარი და ნისლი.
გულს კვეთ, ვერ მიპოვნია
საკუთარი თუ სხვისი.

ასე მძლავრსა და ღონიერს
თვალში ჩავსცქერი სიკვდილს
და ისე კვკვდები — მგონია,
დაბადების დღეს ვიხდი.

●

ქარი დასტირის მინდორში ნამჯას,
მომაცილებენ ველები ქართლის.
მე მხოლოდ შენი ტკივილი მტანჯავს,
საკუთარ ტკივილს ტკივილად არ ვთვლი.

ისევ ვიბრუნებ დაკარგულ რწმენას,
კვლავ თავთავდება ლეკსად კვირადღე.
მე მხოლოდ შენი ცრემლების მჯერა,
ცრემლებში ვპოვე შენი სიმართლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ქურდოვანიძე

# ...მწედ ჩემდა ხარ

## რომანი

1.

მთაში აკითხა ორმა მეგობარმა სანადირიოდ წასულ ოთარს. მართალია, ლუარსაბმა უთხრა, ავარიაში მოპყვა და დაშავდაო, მაგრამ მიხვდა, ალარ იყო ლევანი.

...დასაფლავების წინა ღამეს შვილის მეგობრები, ღამეს რომ ეთენეოდნენ ლევანს, შინ გაუშვა და მარტო დარჩა.

უუურებდა მოლაციცე სანთელს კუბოს თავთან და გული უსაფუძვლოდ უმწეობის გამო იმის წინაშე, რასაც სიკვდილი ერქვა. თუმცა ასეთი შეგრძნება ადრე უკვე ჰქონდა, მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ ამ სიმძიმეს ქვეუნად ვერაფერი შეედრეკოდა. იქნებ იმიტომ, რომ შვილისთვის არ შეეძლო შველა. შეიძლება იმის გამო, რომ დედის სიკვდილის მწუხარება დროს გეიფრთხკროალებინა.

„მორჩა... დამთავრდა ჩვენი ერთად ყოფნა... სამუდამოდ დაგკარგე... — ელაპარაკებოდა ლევანს. — რაღა ვქნა უშენოდ?..“

ტირდა.

ოთხი დღე ელდისაგან გაბეგვებულს სული ყელში ჰქონდა მიბჯენილი, ერიკვეშეკრული უმბრალ იდგა ან უსაგნად მიმდიოდა თავშეკრილი შორის, ახლა კი მარტოდ დარჩენილმა არ იცოდა, როგორ შესრულიყო სიკვდილს. საკმეზე ჩამოკდა. მკერდზე დაადო თავი შვილს. „რა გეგმებს ვაწყობდით... რა ... მოელოდნი გვქონდა, ბიჭო...“ — უთხრა ჩურჩულით.

დადუმდა.

ლევანთან დაკავშირებული ამბები ახსენებდა თავს — ხან ერთი, ხან მეორე. თითქოს შვილს ცოცხალს ხედავდა, მაგრამ ამავე დროს არც იმის შეგრძნება სტოვებდა, რომ ყოველივე უკვე წარსული იყო, მკვდარი, მომავალთან კავშირგაწყვეტილი წარსული, რომელსაც თუ არა მეხსიერება, ვეღარაფერი გააცოცხლებდა.

ეს შემაძრწუნებელი სინამდვილე იყო, მაგრამ ახლა არ შეეძლო, არ უნდოდა მისგან გაქცევა. ხვალ ვეღარც ასეთს დაინახავდა შვილს და ამაღამ, მხოლოდ ამაღამ უნდა მოესწრო მასთან ყოფნა, ხანმოკლე, მაგრამ, თურმე, ბედნიერი ცხოვრების ხელახლა გაგლა.

...ათი წლის იყო ლევანი, როცა დამეგობრდნენ. დაბადების დღისთვის ბიჭმა უარი თქვა ველოსიპედის ყიდვაზე. ცხენი მესიზმრებაო, — უთხრა მორიდებით.

გაუკვირდა. თვითონ არასოდეს ელაპარაკა შვილთან თავის სიყვარულ ცხოველზე. სოფელ თვალში მუშაობისაგან ზურგგადალეტილი სამოიდე ჯალაგი დაუფიოდათ მხოლოდ. მათი შემზეურე ცხენს ვერანაგნის შეიუვარებდა კაცი, ემაწვინის კი თურმე, ოცნებად გადაჩქცეოდა!

იმ დღეს შვილის პირით თავისი ოცნება მოისმინა და ამან გაიხარა. გაახსენდა ნიავივით ლალი, ხალეტიანები „ავაზა“. იმის შემდეგ ცხენი ალარ ბოლია. ბისი ცხოვრება ისე ეშენო, ცხენისთვის ვერ მოიცალა. თუმცა გულში მაინც ატარებდა ვიბუკობისდროიდელ სიყვარულს. და აი, ლევანმა თავისივე გაუმბელელი ოცნება გაანდო.

მაშინ დაიწეო ცხენსაშენის გახსნაზე ფიქრი. იმედი მისცეს, თეშური ჯიშის ცხენის მოძრავლებაზე ეარს არ ბეტეკვიანო.

„...რამდენი რამ გეკითხეთ ერთად, ლევან... ეკეკაცივით დამუკებოდი სოფელ-სოფელ ცხენების შესაგროვებლად... რა გეკითხებით ვიშოვეთ ბუთი ფაშაები და ორი ულაუი... ბბა, ბავშვი როგორ მიხვდებოდი, რომ ჩემი თავი, ჩემი საქმე მაპოვნინე... მე კი ერთხელაც არ მითქვამს შენთვის ამაზე... იქნებ უნდა მეთქვა, იქნებ გკიოდებოდა და მე ვერ მივხვდი? დამიჯერე, გულში ძალიან მადლიერი ვიყავი...“ — ისე უთხრა, თითქოს შეცდომის გამოსწორება უნდათ.

ელაპარაკებოდა შვილს და მხოლოდ იმას იხსენებდა, რაც ლევანის ან ორივეს სიხარულთან იყო დაკავშირებული.

„როგორ გიიხარე, ხსაბალწლიად სოფელში ჩამოსულს ეაბარდოული ულაუი რომ დაგაბეედრე. რით ვერ გავიდა თერმიენები თვეო, ჯავრობდი მერე. ვეღარ ითმენდი, ერთი სული გკონდა, თვითონ დარწმუნებულიავი, რომ ნაჯვარი ეკიცი დედასაც სკოობდა და მამასაც... დედაშენი მიშლიდა დეპეშის გამოგზავნას, ლექციებს მოსცდებიო. მე მაინც შეგატეკოინე — შენი სიხარული ყველაფერს ვარჩიე...

მაშინ უკვე სპორტულ ცხენებს ელოლიავებოდი, გაუთავებლად მელაპარაკებოდი მათ სიხარაფუსა და ნატიფ ალნაგობაზე. ლამის ინსტიტუტი დაგავიწყდა, იმდენს ვარჯიშობდი. ჩამოვიდოდი თბილისში და მეც, შენი ამბანაგებივით, სახლის მაგივრად, იპოდრომზე გადოლობდი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი გაბაცება შეგეძლო, ლევან...

კიდევ კარგი, რომ არ ვიცით, რას გვიმზადებს ბედი ხვალ!

კიდევ კარგი, რომ შენი სიცოცხლე ოცნებაში და იმედში გაატარე...

თუ კიდევ შევძელ რამე..."

2.

გავიდა სამი თვე.

ერთ დილით ოთარმა ფანჯრიდან დაინახა, როგორ გავარდა ეზოდან ორლობეში მისი ექვსი წლის შვილიშვილი გიო. ხელში შოთი პურის წვერი ეჭირა, ჭამდა და თან ჭეკენ-ეკით იყურებოდა. უცვებ ბადელიდან მოსწყდა — თავისი ამხანაგები, ტუუში ძმები დაინახა, მაგრამ დედის დაძახებამ შეაჩერა. წაუყურა. ნანას ხმა მეორედ უფრო მკაცრად გაისმა და გიოც ზლაზნვით შემოვიდა ეიზქარში.

— დაგიცარა? — გადმოსძახა შვილიშვილს მეორე სართულის აივნიდან და გიოსკენ გაემართა. მოღუშული გიო პაპის დანახვაზე გაიბადრა, გაიქცა და მკერდზე შეახტა. ოთარმა აკოცა. ბიჭი ჯერ განზე გაიწია, წერებმა დაუშუშხა სახე, მერე ჩამოხტა და პაპა-შვილიშვილი ერთად შევიდნენ პირველი სართულის დერეფანში.

მაღალი, გამხდარი, მოგრძო პირისახის ოთარი, რომლის გამომეტყველებას განსაკუთრებულობას ძღენდა შორაშორს ჩამსხდარი თვალები და წვერი, სასადილო ოთახში მაგიდის თავში დაჯდა თავის სკამზე და მაშინვე დაიწყო ჭამა.

ოთარის პირდაპირ აიას ადგილი იყო, მაგრამ აია ჯერ არ აპირებდა დაჯდომას. თხელი, ლარივით სწორი აია, რომლის შავ კაბას ისევ სიაბლის ელფერი დაჰკრავდა, ოდნავ შენელებული მოძრაობით მიმოდიოდა სასადილო და სამზარეულო ოთახებს შორის. მხოლოდ მისი სიარული ამყოლებებდა თავსდამტკდარი უბედურების სიმწვალეს, თორემ ქალი არც ოხრავდა და არც ვინმესადმი საკეთდური ისმოდა მის ხმაში, სახეს კი, გამტკნარსა და ჩაშავებულს, მიეჩვევნენ და ველარ თუ ადარ ამჩნევდნენ ოჯახის წევრები.

— ბაბო, მაკამე, — ვერ ისვენებდა გიო სკამზე.

— ახლავე, — თქვა აიამ და დერეფანში გავიდა. — ნანა, გელოდებით. — გასძახა რძალს.

უკან მობრუნებული აია გიოს მიუჯდა და საკმეული გადაიღო.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ნანა, რომელის სახის სიფერმკრთალეს უფრო მეტად გამოკვეთდა სილურჯეში გადასული გრძელი შავი თმა და თალხი ტანსაცმელი. ნანამ ჯერ თავის პირდაპირ მდგარ, მაგიდიდან ოდნავ გაწეულ სკამს შეხედა, მერე სკამის წინ დაწყობილ ჯურკელს უყურა — ჭიკაზე ჩაი ესხა, სუფთა თეფშზე პურის ნაჭერი იდო, თეფშის გვერდით დანა-ჩანგალი ეწყო — ბარლის დედამთილს გადახედა, ჩაი დაისხა და დაჯდა.

აიამ იგრძნო რძლის გამომწვევი მზერა, მაგრამ ანგარიშის გაწევის ღირსად არ ჩათვალა, უხმოდ იჯდა, აკმეკედა გიოს და შიგადაშიგ თავის პირდაპირ, კედელზე დაკიდებულ სურათთა ახედვდა ხოლმე.

ეს ლევანის უკანასკნელი სურათი იყო. არაჩვეულებრივი შინაგანი სხივით გაენათებინა ღიმილს ახალგაზრდა კაცის სახე. აიას ეს სურათი გამორჩეულად უყვარდა, როგორც ოცდასამ ბედნიერ წელთა ნათელი. ამ მძიმე დღეებშიც ძველებურად ეხალბუნებოდა დედის გულს ეს კეთილი ღიმილი და ისიც მადლობელი იყო განგებისა იმ სახნაულისათვის, რაც ლევანის შვილობით მიუძღვნა. ბზე იყო აიასთვის ლევანი. მისი თვალის გახელით ცოცხლდებოდა ჭკეკანა, მისსავე გარშემო ტრიალებდა ყველა სულდგმული. აიას უყვარდა ოთარიც, მაგრამ ლევანმა ყველაფერი შთანთქა. არა, ლევანმა კი არა, ის შიშმა, რომელიც არ ეხსენებოდა, მუდამ თვალებში ებალნდებოდა და და აიას გაძალიანება რომ არა, მზად იყო მოენუსხა, გოინი წაერთვა ქალისათვის. აიამ კარგად იცოდა არ იცოდა, საიდან, როგორ გაუშინაურდა ეს ყველასაგან მოძოებული გრძნობა, რად ჩაეკა შიში შვილის სიყვარულით სავსე გულში, რად ეკადნებოდა იმის მოტაცებას, ვისი სადარიც დედამიწაზე არავინ ეგულებოდა.

...მაშინ ლევანი თხუთმეტი წლის იყო. ახლად ამოეწვერა ღინღლი საულვაშეზე და, როგორც ამ ასაკში იცოან ხოლმე, ყოელორნინოდა. იმ გაზაფხულზე ტანიც უცემ აეკარა, გამომეტყველებაც შეეცვალა და სიარულიც სხვაგვარად დაიწყო. იდგა სარკესთან და გაუთავებლად ივარცხნიდა ხშირ, წაბლისფერ თმას, თვალისჩინჩინვით უფრთხილდებოდა საულვაშე ღინღლს, ლოყებს კი ყოველკვირა იფხეკდა, თუმცა ალაგ-ალაგ ამოეტეინი ბეწვების მეტი არაფერი უჩანდა. აიას ბედნიერებით ავსებდა შვილის ყურება, უყვარდა მისი განიერი მხრების თამაშის აკერი, როცა ლევანი, სუფთად ჩაცმული, სკოლისაკენ მიდიოდა.

ერთ დღეს აია მეზობელი სოფლისაკენ მიმავალ ურემს გადაეყარა, რომელზედაც ორი თეძვსმეტიოდე წლის ბიჭი ესვენა. ახლოს ვერ მივიდა, ისე იყო შერძარწუნებული უცნობი ბიჭების უბედურებით. იმას კი მოჰკრა ყური, დენს მოუკლავსო. შინისაკენ ვაიქცა, ავადმყოფი ლევანი მარტო ჰყავდა დატოვებული. სიცხისაგან აჭარხლებულ ბიჭს ეძინა. აია შვილის სახთუმლათან ჩამოჯდა და თვითონაც ვერ შეენშნა, როგორ აერია გონება, როგორ შეიპყრო რაღაც, მანამდე მისთვის უცნობმა, მაგრამ ნათლად შესაგრძნობმა, გამთანგველმა განცდამ — შიშმა. აია ფეხზე წამოვარდა და უმწეოდ დაიწყო წრიალი ოთახში. ვერც გადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა, არ შეეძლო ლევანის დატოვება, ველარც მის ახლოს რჩებოდა, უნდოდა ბავშვისაგან შორს ყოფილ ეს სამნეული ფიქრი.. თავში განუწყვეტლივ ურტყამდნენ ჩაქუჩებს, თვალთა წინ კი მაჯლაჯუნასავით ებლანდებოდა რაღაც თეირი და უხორცო. უსულო, მაგრამ მოძრავი.

ანა სასოწარკვეთილი მივარდა შვილს და ჩაეკრა. გამოოცდებულ ლევანს გაუკვირდა დედის ასეთი ალერსი — რაც წამოიზარდა, დედას ერთხელაც არ ეკოცნა მისთვის.

სძულდა ეს დღე ანას. განსაკუთრებით მაშინ გრძნობდა ამ სიძულვილს, რაც ისე და ისეც ეეხიბრებოდა ხოლმე თავლწინ ის უხორცო, უსულო, მაგრამ მოძრავი მაჯლაჯუნა, გაფფრიგული ებრძოდა შიშს, ებრძოდა მთელი რვა წელიწადი, ვიდრე...

თვითონ გაალვა შვილი უკანასკნელი გზაზე, ლევანთან გაფშრენებამ დაადინო, გამოფიტა, თვალის სინათლეც წაართვა, მაგრამ არ მოალო უკვირდა ანას, როგორ დარჩა ცოცხალი, რაჰ გაალლებინა? როცა ამაზე ფიქრობდა, მუდამ გიოსთან წუდებოდა მისი აზრი. ამ დროს. სიამით ეფსებოდა ხოლმე გული, მაგრამ იმასაც გრძნობდა, მარტო ეს არ იყო მისი ცოცხლად დარჩენის მიზეზი. როცა ამ აზრს მიადგებოდა, შესხეულდებოდა ხოლმე თავიდა და ის ძალიკ. რაც სიცოცხლისაკენ იზმიბის ადამიანს, თუნდაც ერთადერთი შვილისთვის საკუთარი ხელით მიწის მიყრის შემდეგ. რა ძალა იყო ეს? რატომ არ მისდევდა ის ქვეყანაში ადამიანი იმას, ვინც თავს ერჩიენა? რაღა აკვიდნდა მზის ხაკურებლად?

დარჩა ანა დარდითა და ფიქრით ხავსე. არსებობდა და ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე, რაც იყო და იქნებოდა, იმაზეც, რაზედაც არაოდეს მოუცლია საფიქრებლად.

ახლა, ამ დიღას, სახადილო ოთახში მძიმედ ჩამოწოლილიყო მდუმარება. შორიშორს მსხდარნი არც ლაპარაკობდნენ ,არც ერთმანეთი აინტერესებდათ .ეუოურებდა ანა ოთარის მადიან ჭამას და უკვირდა, რომ ამ კაცში ისეე ასე ძლიერი იყო სიცოცხლის სიყვარული...აკი მამას ძალზე უუკვრდა შვილი, მაგრ რატომ არ დაკარგა ჭამის მადა, ყოველ დღით სუფთა ეპრანგის ჩაცმის ხალისი, ისეე ძველებურად რატომ შეეხარიდა მზეს? ანა თავის თავს კიცხავდა ამ ფარული საკვედურისათვის, ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, ვაზვიადემ, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახს ვერ ივიწყებდა და ოთარში დაეკვეხასაც ის ახლელდამელებდა. ხანამ ლევანს დასახელავებდნენ, ანა კიდეკვ უძალანდებოდა თავს, ეკრიმელოდ და უსიტყვოდ იყდა ცხეფართან შემლილივით, მერე კი დავარდა და ფეხზე ადგომა ვეღარ მოახერხა. იდო უძრავად და სიცოცხლის ნიშანწყალს იმჩინ ატუობდნენ, თვალები ჰქონდა გახელილი, ერთ დიღას, ცოცა რომ მოიხედა, ღია კარიდან ფანჯრის მინაში დაანაცდა მეორე ოთახში სარეცხთან მდგარი ქმარი. ოთარი თმასა და წვერს ივარცხნდა და ანას მოეჩვენა, რომ კოტკობოდა. ისწორებდა ეპრანგის ხაკელის. მერე ისეე თმას და წვერს უბურნენდებოდა... შეაშფოთა დანაბუმბა. შეაშფოთა კი ანა. გაოოგნა. წამოიწია სარეცხში, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ კარს უკან მოჩვენება არ იდგა. ხანამ წამოჯდებოდა, ოთარს უკვე დაედო ხავარცხელი, უუურებდა თავის თავს ბელ სარკეში და... იღიმეოდა!

ამის შემდეგ ზშირად ფიქრობდა იმაზე, რაც ნახა. მან ძმვენივრად იცოდა, ყველა ადამიანს, თავისებურად ავლენენ თავს ლხინსა და კიბეში, მაგრამ რა იყო ეს? ოთარის მოკმედებას გამართლებას ეძებნიდა, ბევრს ცდილობდა, არ დარეკმეოდა ამ საკიკელს საკუთარი თავის უზომო სიყვარული, მაგრამ სხვა ხახელს ვერ მიაგნო, ვერაფრით გაამართლა ქმარი.

ლევანის სიკვდილმა ეველფერი სხვაგვარად გამოაჩინა. .საფიქრელად, ტკივილად აქცია ისიც, რაც ხანდაზშეულობის გამო, როგორღაც მიძინებულიყო, თითქოს ალარც არსებობდა. რადგან არავის აწუხებდა.

ისე ზვეიდა ლევანი ანისაგან, იმ შიშზე ქმრისათვის არაფერი უთქვამს. ეს არც გულჩათხრობილობის გამო მოხდა და არც იმ მიზეზით, თითქოს ოთარი ვერ გაუგებდა. არა, ანას სკეროდა, გულში უნდა დიეშობა თავისი შიში სხვას, ყველაზე ახლობელსაც კი არ უნდა ცცოდნოდა მასზე. ტაბუ დაადო თავის შიშს, კარი შეუკარა, სოფელში რომ იკოდნენ ნადირის კარის შეკვრა. ისე, ამ შიშმა უფრო დაადასტურა ოთარს. არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ მის გვერდზე ყოფნა, ქმრის მხნე ხასიათი უადვილებდა მაჯლაჯუნასთან გაუთავებელ ომს. სკეროდა, ის, ოთარი და ლევანი ერთსულმოქცენი იუნენ და ამ სამეულთან ვერავინ ვერფფერს გაბედებოდა. ანას არასოდეს შეშპარვია ამაში ეჭვი, მაგრამ ლევანის დაკარგვის შემდეგ გონს რომ მოეგო, ოდენნი, რალაცამ აგრძნობინა, რომ ძველებურად ერთად ყოფნის მიუხედავად, ოთარსა და მას შორის უფსკერული გაჩენილიყო. ისინი ხხვადახვა ნაპირზე იდგნენ, ანას ფეხქვეშ ქვა-ღორღი ეყარა, ოთარის მხარეს ეკავილები ისეე ყვაოდა. ეფსკერული ისეთი ღრმა და შეშზარავი მოეჩვენა, რომ მიხვდა, ხელს ვეღარფრით მიუწვდენდნენ ერთმანეთს.

ასეთი ფიქრები ეხვია ანას, მაგრამ იმასაც გრძნობდა, ეს, შეიძლება, მხოლოდ მისი გადაღლილი გონების კრიტერ ყოფილიყო, როგორც ყოველთვის, შიშნარევი და დაფრთხალი, კურდღელივით ყურებაკვეკვეტილი, ცოტა გაზვიადებული და შეფერადებული. რადგან ხელჩასაბიდი ჯერ არაფერი მომხდარიყო. ოთარი არც უკმაუოფილების მიზეზს აძლევდა, არც არაფერს ამბობდა ან აკეთებდა ისეთს, შეშფოთების ხაფუძველი მისცემოდა. ეს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიამოვნო სიცივეს აეტანა და, გუშანით ხვედრიდან, რაღაცა უნდა მომხდარიყო. და. მარათელია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ უყვარდა ოცნება, ახლა ჭეკა-ჭეკნილის მოგლეფნივე მერცხალივით დაბლა, მიწისკენ ეშვებოდა, მკერდ საბურველში ეხვეოდა. თუმცა მაინც-დამაინც ალარ ეშინოდა ჭეკა-ჭეკნილისა, რადგან სულ ცოტა ხნის წინ სეტყვაში მოხვედრილიც კი გადარჩა.

დღესაც, ამ დილის საუზმის რიტუალშიც, თითქმის არაფერი შეცვლილიყო გარეგნულად, ეია კი ყოველივეს ისე ცხადად გრძნობდა, კივილი უნდოდა. მაგრამ უბრალ იყდა და თვალს ვერ აკილებდა საუვარულ ქმარს.

...ოთარმა ჩაის უკანასკნელი ყლუპი მოსვა, გოის თავზე ხელი მოუთათუნა, ღიმილით უპასუხა შვილიშვილის ღიმილს და ოთახიდან გავიდა.

3.

— ალა, გზა მომეცით! — დერეფნიდანვე დაიბუზუნა მხარეგეკიანმა ალეკსის, ზედმეტსახელად „არწივს" რომ ეძახდნენ. სკელი, გადამშული წარბებისა და ბეროზი გამოხედვის გამო, მოსწი-მოსწია თანამშრომლები და შეალაჯა ოთარის კაბინეტში. იქ მყოფნი მაშინ აკაკანდნენ. როცა „არწივმა" კარი მიიხურა ზურგს უკან.

ამ ორშაბათ დღეს ოთართან ზოგს რა საქმე გამოსჩენოდა და ზოგს რა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ზოგი გალიმებული, ზოგი მოღრუბლული. ყველა ცდილობდა თავისი საოქმელი მნიშვნელოვნად მოეჩვენებინა უფროსისთვის, აუცილებლად მიეღო თავისი. ოთარი უსმენდა მათ, მაგრამ გრძნობდა, ოთახში სუნქავა ეკვროდა, მოძრაობა, რაღაცის კეთება უნდოდა და როგორც კი დერეფანი დაცარიელდა, ეზოში გავიდა.

გადაწყვეტა საჭინიბოები და საძოვრები დაეთვალიერებინა. რიყის ქვით ნაშენი ძველი კედლის ნანგრევებს ჩაუარა და საჭინიბოს კართან შეჩერდა. ჩია მოხუცმა, სანაბეგოროდ ჩაბნელებულ საჭინიბოში ბაგას რომ ასუფთავებდა, მისალმებაზე თავის დაკვრით უპასუხა.

— ძია თედო, ამ სიბნელეში რას ხედავ?

— ღმერთმა რო არ იცის ჩემი გაიოზას თავი, რაზე არ მაიყოლე, რო იმის თანდასწრებით მეჩივლა?

— რა გაგჯერებია, შვილს რომ უჩივი?

— ალარაფერს მიჯერებს, თავის ნებაზე გადი-გამოდის. აგე, იმ მეორე კარების კლიტეს ვეღარ ვაღებ. შინ თუ აჭა ვეხვეწები, ახალი მიიტანე-მეთქი და არ მაჯერს.

— საწყობში მისულიყავი და აგელო.

— შენ რა ჩემი შვილივით მელაპარკები?! მე რაი მივიდე, კაცო, ის რა, ჩემ მაგივრად ხვეტავს აქაურობას? შინ და გარეთ ყველაფერ თავისი საქმე უნდა აკეთოს...

— ტყავს გავაძარცო მაგ შენ გაიოზას!

— შენ იცი და შენმა კაცობამ... ემანდ საბუშაოდან კი არ გაავდო, ბიჭო, სამი შვილი ჰყავ შიშიასავით პირდაღებული. — ბოლიმა მოხუცმა და საჭინიბოდან გასულ ოთარს დაედევნა. — ოთარ, შვილო, რაკი ჩემ მხარეს ხარ, იქნება ჩვენ მილიციონერს უთხრა, ჩამაპართოს ის საიხრე მატაცილეტი გაიოზას, თორე იმის წერა გახდება. შვილო, ოოოლა ცხენივით დაგეკენებს ალმა-დალმა...

ოთარმა გაიცინა და წავიდა. უსმენდა მოხუცს, თავადაც ფეიფეხებოდა ან ესაუხებოდა, მაგრამ გულამდე ვერ მიჰპენდა მოხმენილი. ეჩქარებოდა მოხუცთან განშორება, მარტო უნდოდა დარჩენა. გაეკეთა საჭინიბოს და ბზინსგან დახეთქილ ბილიკს გაუყვა საძოვრებისაკენ. სულ წინ და წინ მიდიოდა, ეძალებოდა ფიქრები, მაგრამ ვერ აწუობდა მათ ერთ მწკრივში, რომ აზრი გამოეტანა, რომელიმეზე შეჩერებულიყო. მიხვდა, ოვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. გრძნობდა, რაღაც უმდერევდა სისხლს, არ აყენებდა ერთ ადგილზე. მაგრამ ვერ მოეკადო ხელში ის რაღაც, რომ ან ანგარიში გაესწორებინა, ან თავის სურვილში მაინც გარკვეულიყო. ადრე თითქს მუდამ იცოდა, რა ეწადა, საით მიდიოდა, რატომ. ყოველ შემთხვევაში, ეგონა, რომ იცოდა. ახლა კი ბანგნასვამივით იყო და იმის მიხვედრა ალარ შეეძლო, რა უნდოდა.

ვერც კი შენიშნა, როგორ ავიდა გორაკზე. არც დაღლილობა, არც მცხუნვარე მზის მხურვალება უგრძნია. გორაკიდან ხელისგულივით მოჩანდა გაშლილი, ათასფრად აკვანებული ველი. მზით სავსე ველის სილამაზემ მიახვედრა ოთარი. ისე ჰაბუკურად უძგერდა გული. უცებ უფრო მეტი სიცივის ნიღვა მოუნდა, ვიდრე გორაკიდან ჩანდა. მზეს ზურგით დაუდგა და ცას ახედა. ცაზე სწრაფად მიმავალმა ღრუბლებმა მოსტაცა თვალი. შეშფოთებულის ქროლვა უკიდეგანო ცაზე, შეეხარბა მისი ანაკრძალი და სილაღე, თავდაუზოგავობა... სახლს, მაღალ სახლს მიაშტაგუნა ღრუბელი და გაიფიქრა, ასეთი ლამაზი სახლი სიხარულით უნდა იყოსო სავსე, მაგრამ ფეხი აუდგამს და მიდის, ალბათ, კაცივით უფრო მეტისკენ ეწევაო გული... უცებ შენიშნა, სახლის ერუ კედლიდან როგორ გამოიქრა და ერასამეტრიულად გასლავდა ფანჯრები და კარი, როგორ შეეცვალა ფორმა და ფერი ლამაზ სახლს. ამ ფერთა შორის მოწითალო-ოქროსფერი ჭაობიდან და ოთარს გულში უსიამოვნოდ გაჰკენწლა, მაგრამ ფიქრი ალარ დასცალდა, რადგან ღრუბლის სახლი შემხვედრმა ქარმა ზემოთ ატეხრცნა, დაატრიალა, ფორმა წაუშალა და გაფუტა. იმავე წამს ისევ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად შეაგროვა ღრუბლის ის ქუღები წრიულად მოძრაგება ქარმა, მაგრამ ძველი სახლიდან მზოლოდ მისი ნაწილებიის ცნობაღა შეიძლებოდა. გული დასწყვეტა ლამაზი, ქერაფაღალი სახლის დანგრეგამ, ალარც კი უნდოდა ცისკენ ყურება, მაგრამ ქარი არ ისეეწებდა ცაზე და მახაც ალარ შეეძლო ეკვე ნაცნობი ღრუბლების უყურადღებოდ დატოვება. მოეჩვენა, რომ „ნანგრეგები" უფრო მკვრივად შეეკრა ქარმა, მაგრამ აი, ქარის ახალი ნაკადი ეტეგა ღრუბელს, შეერკინა, გახლიჩა, ერთი დიდი ქუღა თან წაიოლა და თვალის დახამხამებაში გაიკამეგური. ქარისაგან თავდაკრა დაეენებული, გადარჩენილი ქუღები საცოდავად აფარფაადნენ ზღვა სივრცეში და დაიკარგნენ სხვა ღრუბლებთან მიეელნებულნი.

ამ ჭიდილმა გუნება გაუფუჭა, მწუხარე ეჩვენა ეს სინამდვილე, მაგრამ თავს ჯობა და ალარ უფიქრია მასზე. დღეს უსიამოვნო ფიქრებს გაურბოდა.

ისევ ამწვანებულ ველს დაუბრუნდა, დიდხანს უყურა კიდით კიდემდე და ისევ იგრძენო, ახარებდა: რაღაც, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სიხარულის მიზეზი არ ეძიებეთა. როგორღაც აფორიაქებული ჰგრძნობა გრძნობა. შიგნით, სხეულის შიგნით გრძნობდა, სავსე იყო. შეიძლება ის ახარებდა, რომ ორმოცდაათს მიბანებულელ ისევ ეამწვანელაცად გრძნობდა თავს. შეიძლება ის, რომ ახეთი სივრცე და სიფაგაზე იყო გარშემო. ეკიროდი მოუნდა, ერთი ხმამაღალ დაიეკრა კიდეეკ. რომ თავისი ხმისთვის მოეცმინა, მაგრამ ვიდრე ეს ძლიერი ხმა მიწყვდებოდა. ლევანი დაუდგა თვალწინ და შერცხვა თავისი სიხარულისა.

4.

— თავით დაუწყე, გიო, — უთხრა აიამ შვილიშვილს და უკან გაუწოდა მინდვრის ყვავილები, რომლებიც გიოს იქვე, სასოფლოს მახლობლად დაკრეფა და ბებიას კალთაზე ჩაუყარა.

გიომ გამოარჩია ყვავილები, შემოუარა ამო ბურაკულ მიწას, ხიბგინ გამოთლილი ჯვრის სიახლოვეს დაეწყო სათითაოდ და ამაყად გაიღიმა, აჭაო და, დავალება კარგად შეეასრულეო.

ეროადერთი, რაც აპრილის ბოლოს დატრიალებული უბედურების შემდეგ კიდევ ჰგვრიდა აიას ცოტაოდენ შვებას, შვილის სასულავზე მისვლა, იმ მიწისთვის ხელის შეხება იყო. რომელიც დედის მაგვრობას უწევდა ლევანს.

მუხლებზე დაჩოქილი იდგა ჯერ კიდევ შემორაგვეგა სასფლოსთან, თითქმის ფიზიკური ტკივილისაგან გრძნობდენო დაბეტრებოდა აკალი მიწის ბორკვს და გონებაში იმეორებდა შვილის სახელს, თითქოს უნდათ, ცოტა ხნით მაინც შეაჩეროს, მოახერხოს [illegible] „რა უცეტ, რა თვალის დახამხამებაში გაკრი, შვილო?... — ელაპარაკებოდა ფიქრში ლევანს. — თუ უნდა გამცლოდი, შენი მოვლით მაინც მომეხერხებინა გული..."

ყელში მოეჭიანა ხული და ვეღარ განაგრძო შვილთან ლაპარაკი. ასე იყო ერთხანს, ვიდრე ისევ არ აეტარლიალო ფიქრი. გაუძალიანდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ფიქრი თავად მისწვდა მისსავე ოჯახს, ის გამოუდებულ ყოფას, რამაც ლევანის სიკვდილის შემდეგ დაიბუდა იქ.

წამოდგა. სხვა რამეზე კიდევ შეეძლო შვილთან ლაპარაკი, მაგრამ ამ ფიქრს ვერ გაუმბელდა, სჭობდა. არაფერი სცოდნოდა თავის ოჯახში დატრიალებული ამბებისა.

ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და დაღმართს დაუყვა.

გიო უკან დაედევნა.

5.

— „ახ, ტურფავ. ტურფავ..." — მღერიოდნენ ცხენსაშენის ეზოში შერჩენებული ქალები და გოგონები ტკბილად და შეწყობილიდან.

ოთარის გამოჩენაზე სიმღერა შეწყვიტეს.

— რად გაჩუმდით, გოგოებო? — გახძახეს ოერთხანთანან ქალებს ბალაზე ჩრდილში წამოგორებულმა ბიკებმა, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდნენ, ოთარი დაინახეს, რომელიც კედელ ლიან ცალად მჯდარი მოხუცისაკენ მიდიოდა.

ფერხორიკანმა ახალგაზრდა ქალმა გზა გადაუჭრა ლირეკტორს.

— ოთარ, თქვენი ხელმოწერა მჭირდება, — უთხრა, გრძელი ქერა თმა უკან გადაიყარა და ქაღალდები გაუწოდა.

ოთარმა ქაღალდების დასტას შეხედა, მაგრამ ქალმა შეაყოვნა მათი გადაცემა და როცა ხელგაწვდილმა ოთარმა ქალს ახედა, იგრძნო, მისი თვალებიდან გამოჭერთალმა ძლიერმა სხივმა როგორ გაუკვეთა გუგები, როგორ ჩაინთქა ეს სხივი მასში.

— ამდენი რად დაკაგრავეთ, დალი? — ჰკითხა და ქაღალდები აიფრილა.

— არ გეცალთან, ბატონო ოთარ!

ოთარმა ქაღალდები გადათვალიერა და, როცა ისევ შეხედა ქალის გასხივოსნებეულ სახესა და ნუშის ფორმის რკალში ჩამსხდარ მწვანე თვალებს, გაკვირვება მათმა სილამაზემ და მომშუხსველმა ძალამ. მოეჩვენა, თითქოს ეს თვალები რაღაცას ეუბნებოდნენ, რაღაცას ჩაკარნებდნენ. მაგრამ რას?

ქალმა, გეგონება, კითხვას მიუხვდაო, თავი დაბარა.

— არა, — ხმამაღლა თქვა ოთარმა, თავის ფიქრს გასცა პასუხი.

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა ქალი.

— ახლა არ მცალია. მაგიდაზე დამიტოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაეცალ: მოზუცთან მივიდა, დაელაპარაკა.

მოზუცი წამოდგა, ოთართან ერთად შეუდგა შენობაში.

6.

გიო წამოეწია ბებიას, კაბა მოქაჩა.

— აიკო ბაბო, პაპასთან წავიდეთ, რა?

— რა გინდა იქ? — მკითხა ბებიამ.

— ჩემთვის კვიცი მყავს პაპასა...

— სხვა დროს, გიო.

— არა, ახლა მინდა!

გიო, რაკი უარი მიიღო, იქვე გაჩერდა, საფიქ ოდვა. წინ წასულმა აიამ მოხედა შვილი-შვილს და ალერსით გასძახა:

— დამეწიე, გიო!

გიო გაიქცა ბებიასკენ, მიუახლოვდა და ნიშნის მოგებით უთხრა:

— ცუდი... დედა წამიეკვანს!

აიას ბანაში ფიქრად შვილიშვილის სიტყვა, მაგრამ მაშინვე ამატია პატარა სულელს. მიდიოდა თავკვეზე და ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ ადვილად სწყინდა ყველაფერი, რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა სხვათა ლაპარაკს კილოს და შემოხედვას, გაცინებას, ჯიქი მოსდიოდა თავის თავზე ამ გადამეტებული მგრძნობიარობის გამო, უნდოდა ცოტა გულგრილი გამხდარიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა ახლაც კი, როცა არაფერი არაფრად აღარ უღირდა.

აიას ნანა დაუდგა თვალწინ, „დედაშენს შენთვის არ სცალია..." — გუნებაში უპასუხა გიოს და ის საბედისწერო ხალამი გაახსენდა.

...ნანა პირველი სართულის დერეფანში იყდა, ნერვიულად ისვამდა ქლიბს ლაქესმელ ფრჩხილებზე და წამდაუწუთ საათს დასცქეროდა.

გიომ ლამაზ კაბაში გამოწყობილი დედა რომ დაინახა, მიხვდა, სადღაც მიდიოდა და გუნება გაუფუჭდა, მაინცდამაინც ახლა მოეხატა დედის აუთრალება. ეთმენინა ეწრინალი მის გარშემო, მაგრამ ნანას არ შეუხედავს შვილისთვის, მთელი გულისყური გზისკენ ჰქონდა მიპყრობილი. გიომ ოთახიდან წიგნი გამოარბენინა, დედასთან მივიდა და კალთაში ჩაჯდომა სცადა.

ნანამ მოიშორა კი.

— წამიკითხე — ბრძანების კილოთი უთხრა გიომ და მიეტმასნა დედას.

— თავი დამანებე! — დაუუკვირა ნანამ და ისევ ჩაკრა ხელი.

— წამიკითხე, რა, — შეეევდრა სატირლად გამზადებული გიო დედას და ისევ მიუახლოვდა.

— მომშორდი! — დაუუკვირა ნანამ, წიგნი გამოსტაცა, შორს მოისროლა და ისე ჩკრა ხელი შვილს, რომ წაიკვნა.

გიო აღირდა, მაგრამ რაკი ნანამ ზედ არ შეხედა, სულყუნით წამოდგა, მივიდა დედასთან, ქეერდზე მოადო თავი. ნანამ ისევ უბიძგა ბავშვს, მაგრამ რაკი ვერ მოიშორა თავიდან, ადგა დაუწყო.

აიამ ძლივს გამოაცალა ხელიდან დედას შვილი.

— რა მოგდის, ნანა? — შეეკითხა მშვიდად.

— მე მეკითხები? სად არის შენი ნანაკეტი შვილი, სად? — დაუუკვირა ნანამ. — ხომ იცოდა, როგორ მინდოდა წასვლა?!

— ალბათ, სამუშაოდან ვერ გათავისუფლდა.

— ისევ მშვიდად უთხრა აიამ.

— არ მოვიდეს ცოცხალი! ღმერთო, ნუ მოიყვან ცოცხალს!

— ნანა! — დაიყვირა აიამ.

აია გოგონებისგან მანქანის საყვირის გაბმულმა ხმამ გამოიყვანა.

— მამაა! — დაიძახა გიომ და ორლობეში გავარდა.

„ეტყუობა, ნასვამია", — გაიფიქრა აიამ და სწრაფად დაედევნა შვილიშვილს.

დედის დანახვაზე ლევანმა გვერდზე გადახვა გიო, ყოჩაღად გადმოვიდა მანქანიდან, დედას მოეტხეა. კოცა.

— ცოტა დავლიე, დედა....

— შეგარგოს ღმერთმა, გენაცვალოს დედა...

— ნანა მზად არის?

— ...არა, — იცოუა აიამ. — რაკი დაგაგვიანდა, გადაიფიქრა წასვლა...

— ეგ ნანას არა ჰგავს! — სიცილით თქვა ლევანმა.

— შინ შემოდი, ლევან! — ვედრებით უთხრა აიამ.

გიო მამას გულზე ანატა. აიამ ლევანს თავი დაანება, სწრაფად გაირბინა ეზო, ნანასთან მივიდა, სთხოვა:

— ნანა, შვილო, ნასვამია ლევანი... უარი უთხარი წასვლაზე...

— მე დავკდები საკუნესთან, — უპასუხა ნანამ.

— ნუ წახვალთ, ნანა, გენაცვალე... —ისევ სცადა ხელი აიამ, მაგრამ ნანამ პირში შესცინა. ხელჩანთა აიღო და ეზოში გავიდა.

აია აღარ გაჰკვეს უკან რძალს.

ლევანმა მოტორი ააგუგუნა.

7.

— ჰაიდი, მიტო ძია? — ხუმრობით ჰკითხა ფერმის შენობიდან ცელებით გამოსულ მიტოს უწვერულმა ყმაწვილმა.

— შენია! — მიტომ უმაწვილს ცელი გადაუგდო.

— მადლობელი ვარ, რათა სწუხდებოდი? — უკან მიუბრუნა ცელი ყმაწვილმა.

— სათიბად მივდიეართ. — თქვა მოხუცმა და ცელები ჩამოურიგა ჩრდილში ნებივრად დაკრული ახალგაზრდებს.

თეიმურაზ ჯუანდოვანიძე
...მწედ ჩემდა ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე აქ არა ვყოფილვარ! — თქვა ერთმა, წამოხტა და ღობეს გადაეფლო.

— ცელი რომ მეხალილიბოდეს, ბალახს კი არ შეეჯმეგინებდი სახდ-კარსა! — თქვა მსხვილ-ულისრიანმა და ჩაზტაფ იცვალა გვერდი.

— ჩვენა აქა მთიბელებადა ვართ ბაფორმე-ბული? — თავი წამოიო ქროღოთვალებამ.

— ოთარს, ეტყობა, საქმე შამაელია და ადარ იცის, რა მიგიგონოს, — იხუმრა უწვერულმა ყმაწვილმა.

— ნამდვილად ეგრეა! — კვერი დაუკრა მსხვილულისრიანმა.

— მაგასა... — დაიწყო ქროღოთვალებამ და გაჩუმდა, მთელ მომავალი ოთარი დაინახა.

— ბიჭებო! — შორიდან დაიძახა ოთარმა. — თქვენზე მოიხტრეს, ცელს კარგად ხმარობენო, მართალია?

ახალგაზრდებმა დუმილი არჩიეს. ოთარი მი-ხვდა, სხვა ტონი უნდა მოეტანა.

— ბალახი გვეღუპება, ბიჭებო. მთიბელები რომ დაეელოდო, ზამთარში შიმშილით დაგვე-ბიცება ცხენები... უნდა მოგვეხმაროთ.

არც ამ ლაპარაკს უმოქმედია ახალგაზრდებზე, რომლებიც ფეხზე კი წამომდგარიყვნენ, მაგრამ ზეზეურად ეძინათ მოთენთილებსა და უსალა-სოებს. ოთარმა ერთი კი გაიფიქრა, ჩვენ სხვა-გვარენი ვიყავითო, მაგრამ ახლა შედარებების დრო არ იყო, ბალახს მოიიბვა სჭირდებოდა და ოთარს — ცელის ხელში ჭერის მცოდნე ბიჭები.

— მიტო ძია, მივიცეთ ამ ახალგაზრდებს პრე-ნია? — ჰკითხა ოთარმა ცელზე დაყრდნობილ მოხუცს იხე რომ ბიჭებისათვის არ შეუხედავს.

— ოწყენო, რო? — გაიცინა მიტომ და ახალ-გაზრდებს მიუბრუნდა:

— აიღეთ ხელში ცელები, თქვე... კიაკაცის შვილებო, ხო ხედავთ, პრემიაც დაგიდგრესთ!

— მაგახაცა ვნახამთ... — თქვა მსხვილულის-რიანმა, გვერდზე მდგარ ქროღოთვალებას ხელი ჰკრა და ოთარს გაჰყვა უკან.

— წყალი მაინც მოგვაწოდეთ, გოგიჩო! — გასძახა გოგიჩებს უწვერულმა ყმაწვილმა.

გოგიჩებმა გაიცინეს.

— მოგვიტანენ! — გოგიჩების გასაგონად თქვა ოთარმა.

8.

— გამარჯობა, აია, — ღიმილით უთხრა ორ-ღობეში მიმავალ აიას თავის ეზოდან გამოსუ-ლმა შეეხანს გადაცილებულმა ქალმა და გიოს თავზე გადაუსვა ხელი. — რა სიმაღლეში წა-ხულა, ქა, შენი შვილიშვილი?!

— იზრდება, — თქვა აიამ.

— შენთან მინდოდა გადმოსვლა და აქ არა ვნახე... ძრიალ მერიდება, მაგრამ სათხოვარი ადარ მაყენებს.

— ბოძანეთ, ნუცა ძალო.

— ორი კვირა ჩემმა რძალმა შოლტივით ბიჭი მოგვიყვანა, მაგრამა, თვითონ არის შაუ-ლოთ. მეცი პატივი, მინახე რძალი, შამოგეცეს...

— მე წამლობა არ ვიცი, — უთხრა აიამ.

— ჩვენი სამეოფი გეცოდინება, შამოგეკ-ლოს ნუცა.

აიამ ალარ გაიმეორა უარი.

— განა რამდენი წელიწადია, რაც ჩვენებიანეთ-თინა მაალოგნე, ქალო? — უკვე მკვახედ ჰკი-თხა ნუცამ.

— არ მახსოვს... ექიმი მოიყვანეთ.

— იყო ჩემი ბიჭი. იმ სიშორეზე ჩაკეფილა. არ გამომპყოლიყო, ძრიალ ბევრი საქმე მაქვ.

— კიდევ წავიდეს. კეთილად ბრძანდები-ოდეთ!

— მადლობთ... მეტი რა დაგვრჩენია, — ისევ მკვახედ თქვა ნუცამ და გასცილდა აიას.

აიამ და გიომ გზა განაგრძეს, მაგრამ მაშინვე დაედგენათ ნუცას ძახილი. მიბრუნდნენ და დაინ-ახეს, ნუცა აკეცილი წინსაფრიდან ატრეფს იღებდა და თან გიოს ელაპარაკებოდა.

— ბიჭო, ლაპარაკში ხელ დამავიწყდა. აიღე, აიღე, ზაგერგოს, შამოგეკლოს ნუცა ბაბო.

— მადლობთ, — უთხრა ხელეგახსენებულმა გიომ ღიმილით და ბებიისენ გაიქცა.

აიას გამოწვევად მოეჩვენა ნუცას გამასაინ-ძლება, მაგრამ ფიქრს არ ამყვა. რადგან ახლა მისთვის სულ ერთი იყო, რას ფიქრობდა ნუცა. ღმერთი ჰყავდა მოწმედ, ან მდგომარეობაში მყოფს მართლა არ შეეძლო მელოგანის ნახვა და, რაც მთავარია, დარწმუნებული იყო, ვერაფერს გაუკეთებდა.

9.

— წყალი მოაქვეთ! — დაიძახა ქროღოთვალე-ბა ახალგაზრდამ.

უცებ ავსო ერიამულმა მიდამო, ხადიც აჯამ-დე მზოლოდ ცელის რატტული ზმიკელი ისმო-და, მზე უკვე დასავლეთისაკენ იყო გადაწვერი-ლი, როცა კოკებით მომავალი ფალი და ლელა გამოჩნდნენ. წყლის ამოტანას უთუოდ შეხვე-ნება მოაყვებოდა, რაზეღაც. უკვე კარგა ხანია, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ახალგაზრდები, მაგრამ ოთარი არ ისვენებდა და ერთ რიგში ჩამ-დგრებს რეცხვენოდათ დალაზე რაიმე ეთქვათ.

ახლა კი დაყარეს ცელები ბიჭებმა და იქვე ჩასხდნენ.

— კარგად გვიმუშავია, — თქვა ოთარმა, რო-ცა თვალი გადავლო გაოიბულ გორაკს. ქაბარში გარეშოხილი პერანგი ამოაძრო და ჩაიცვა.

ბიჭები უკვე ბემრობნდენ წყლის მოლოდი-ნში. ოთარი კი ცელს დაყრდნობილი გაპაურეს-და მომავალებს. დალის დანახვამ ცოტა არ იოლის გაოკვირვა. ვერ მიხვდა, რატომ უნდა შეეწუ-ხებინა თავი აქ ამოსვლით ამ ქალს, როცა ელ-ლას ტოლებიც ბევრნი იყვნენ? გაიფიქრა, გა-რთობა მონაცრებიაო და იგრძნო, თვითონაც არ იყო უარზე, გასთამაშებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუნდა, დალი პირველად მასთან მისულიყო, მისთვის მიეტანა წყალი მაცოცხლებელი. გუშტერა კიდევ მზარა ქალს, უნდოდა ჩიეგნებია მისთვის ეს სურვილი. „ჩემთან მოხვალ.. პირველად ჩემთან მოხვალ...“ — იმეორებდა დაეინებით და თან თვალს არ აცილებდა. დალიმ თავი ასწია და ოთარის თვალებს წააწყდა. შორი იყო, მაგრამ მაინც გაარჩია კაცის თვალებში გამომჭვრალი სურვილის სხივი. მიხვდა, მის ჩანაგვიანის საძირკველი უკვე ჩაერილი ჰქონდა. შედგა, სანამ გადაწყვეტდა, როგორ მოაქცეულიყო. აქ ქალურმა ალღომ უკარნახა, ამ თამაშში წარმატების მასაღწევად არ უნდა შეეშინია ოთარი. გრძელი, ოქროსფერი თმით დაიფარა გულმკერდი და ისე განაგრძო გზა. ის იყო, ოთარიც ნაბიჯიც რჩებოდა ოთარამდე, რომ შეტრიალდა და მეორე მხარეს წავიდა.

ოთარმა ღიმილით დამალა თავისი გაწბილება. უკვე რამდენიმე თვე იყო, დალი მათთან მუშაობდა — ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა განაწესებლად. იგი სამსახურში ოთარის გარეშე მიელო, მიეთნებაში იყო თვითონ წასული და როცა ჩამოვიდა, მთავარმა ზოოტექნიკოსმა, დავითმა უამბო, როგორ გაიწვალა ამ ქალკეთილმა ქალმა, სანამ საფოსრებლად ისეთ ოთახს მოუნახავდენენ, როგორიც თვითონ მოსწონდა. ამით დაამახსოვრდა ოთარს დალი, სხვა არაფერი იცოდა მასზე, თუმცა, არა, დავითმა მაშინ უთხრა: იმდენი ბინა დაიწუნა, იძულებული გავხდი, მეთვეა, ცოლთან მოვალ, რომ საშუშაოთი ვერ გაკმაყოფილებ და უკან გაბრუნდიო, მაგრამ დალის კატეგორიული უარი ეთქვა. გაახსენდა ოთარს, სწორედ მაშინ იკითხა ზედმეტად ცნობისმოყვარე დავითმა: „ნეტავ რა უკეთესმარითობამ გადმოგდო ქალაქიდან ამ მიურეულშო ეს მშვენიერი ქალი?“ ოთარს ახლა ისიც გაახსენდა, რამდენჯერმე შემოხვევით რომ დაინახა, როგორ ჭამდნენ თვალებით დალი-ოთარ ახალგაზრდები. არც მაშინ და არც მერე ოთარს ამისათვის არ გაუწევია ანგარიში, იცოდა, წესად იყო ქალეული, უცოლო თუ ცოლიანი ახალგაზრდები უყურადღებოდ არ სტოვებდნენ სოფელში უცხო ჩიტად შემოფრენილ ქალს. დალი კი თავად ადორიაქებდა მათ, რადგან მარტო გარეგნობით, ჩაცმითა და თავის მოვლით კი არ განსხვავდებოდა აქაური ქალებისაგან, ქალაქიდან ჩამოსული მარტოსული იყო, ბაზგასმულად თავდაჭერილად იქცეოდა და სოფლელები ვერ გარკვეულიყვნენ, რა იარაღია მიერთო მისთვის. იარლიყი კი საჭირო და აუცილებელი იყო, მით უმეტეს, სოფელში, სადაც ყველა ერთმანეთს ცნობდა, ყველაფერი იცოდნენ ერთმანეთზე და, შეიძლება, ამითაც საზრდოობდნენ. დალი, ეტყობოდა, თავად არაფერს უყვებოდა თანაშრომლებს, არც ვინმესთან დაახლოვების სურვილს ამჟღავნებდა და რაკი ვერაფერი გაეგოთ, მით უფრო არ ახვევნებდათ ცნობისწადილი.

ოთარს მაშინ უურადღება არ მიუქცევია დალისადმი. ვითის ნათქვამისათვის დალის სოფელში გადმოსახლებაზე. მან არ იცოდა, არც ეცადეთ ბოდ: ვ ვერც დაინტერესდებოდა ამ ახალმოსულის ბედით, მაგრამ ახლა უკვე თვითონ სურდა გაეგო, რა ქარმა გადმოაგდო დალი აქ? მარტო იმაზე, რომ ტექნიკუმმა გაანაწილა და იძულებული იყო ემუშავა? საერთოდ, რა უნდოდა ამასთანა ქალს, სულითა და ხორცით ქალაქელს, იმ ტექნიკუმში ან სოფელში და მითუმეტეს ცხენსაშენში? არავინ იცოდა და, ოთარი ახლა იმაზე ფიქრობდა, რა შეუცნობელი იყო განგების მიერ ადამიანებისთვის დანაწილებული გზები, რა ნნელითა და ქაოსით იყო მოცული ყოველი კაცის სული და ცხოვრება, რა რთული ამოსაცნობი იყო ადამიანის ნამდვილი ბუნება. დალი ფილმებში ნანახ კინოში ქალებს უფრო ჰგავდა. ვიდრე ამ გადაკარგულში გადასაგებად გასაწმეტებელს. არ შეიძლებოდა, კაცი არ დაინტერესებულიყო მისი აქ ცხოვრებით, წარსულით, ამ მიყრეულ ადგილებში ბასახლის მიზეზით.

ახლა დალის უყურადღებობით გაწბილებულ ოთარს ჯავრი მოსდიოდა თავის თავზე, რომ იმდენს ფიქრობდა იმაზე, ვისაც არ იცნობდა, არასაოდეს სცნობია და არც გაცნობის სურვილი ჰქონია. მაგ, რა ეთქმოდა ამ ფიქრს? თავის შეკავეა? არა, გრძნობდა, ისე მოსწონდა ეს ქალი, რომ მართლა უნდოდა, რაიმე სცოდნოდა მის შესახებ.

მაგრამ ახლა ხომ პირველად არ ნახა, აკი ოთხი თვეა იცნობდა? აკამდე ხელრიანად რატომ არ შეხედა, რატომ არ შეამჩნია? ისე იყო აუოლილი ყოველდღიურობას, იმდენი საუბარი ჰქონდა, არ ეცალა. შეიძლება არც ახლა შეემჩნია, თავად ქალს რომ არ ეცადა ბედი და თან...

დალისთანა ქალზე კაცი ამა როგორ იტყოდა უარს, მაგრამ ქერთთანაი ბედს მარტო გარეოთისათვის რომ არა სცდიდა, ოთარი ამას გუნანით ხვდებოდა. მოსწონდა ქალი, მაგრამ მისი ეს გამოზნული კეკლუცობა აღიზიანებდა. რატომღაც ტანია გაახსენდა, თავისი სამხედრო ნაწილის მაიორის ცოლი. ათას რამეებს ყვებოდნენ ამ ქალის უგრძნობელობაზე ბიჭები, „ადმრრჩვალ თევზს“ ეძახდნენ, მაგრამ თან ნერწუვს ყლაპავდნენ ხორცეული, თეძოგანიერი ტანიას დანახვაზე. ის კი ზედ არავის უყურებდა, გარდა ზაპოროჟეელი იგორისა, რომელიც არავინ იცოდა ამოიჩემებინა, მოსწონდა თუ უყვარდა იგორს სიცოცხლე ჰქონდა ტანიისგან მოგებულები, სულ ამის ცდაში იყო, როგორ მოხვედრილიყო მაუტკბეტაზე, მაგრამ კაპიტანმა მშვენიერად იცოდა მისი ადგილი და, [illegible]ც მთავარია, როგორ აწუეწინებდა თავისი მაიორის ცოლს? სძულდა ტანია იგორს. მომეტებული აქტიურობა უფუქებდა საკმეს მაიორის ცოლს ბაგრამ, ეტყობა, ეგეთი იყო დაბადებული.

„უყვარს, ნეტავ, ვინმეს ინიციატივიანი ქალი?“ — ფიქრობდა ოთარი და იხსენებდა, რომ თავად ქალის გაცნობა-დამორჩილების პროცესი უფრო იტაცებდა. იცოდა, კაცისთვის განსაკუთრებით ის მომენტი იყო ფასეული, როცა სუსტი არსება აავსებდა მის პატივმოყვარეობას, აგრძნობინებდა, რომ ძლიერი და ლამის ყოვლისშემძლე იყო. ქალების უმრავლესობას არ უჭირდა ამის გათამაშება, თუკი, რა თქმა უნდა, სჭირდებოდათ, კაცები კი, ყველაზე ადვილად იჯერებენ იმ ტყუილს, რომელიც მათ ძლიერებას შეეხება.

ფიქრობდა დალიზე და ყველაზე მეტად ის უნდოდა სცოდნოდა, რა ედო გულში. რაღაც არაბუნებრივს ამჩნევდა ამ ქალში. მაღალ ქუსლებზე იდგა და ძალზე მოკლე ნაბიჯს ადგამდა. ოთარს კი ეჩვეულებოდა, რომ მის გრძელ ფეხებს არ ჰეფოფნიდა ეს სიარული. რატომ ეერჩია სიარული ასეთი მანერა? რატომ არ იშოროებდა სახიდან გულუბრყვილო გამომეტყველებასა და ღიმილს? რატომ ჭკნება კარგად გაწყობილი არტისტივით აწონილ-გაზომილი მიხვრა-მოხვრა? რას მალავდა? იქნებ არც არაფერს. ქალასახ რას გაიგებ, რისი მოგონება არ შეუძლია ურჩადღების მისაპყრობად..

თავი დაანება დალიზე ფიქრს, სალესავი ამოიღო და ცელს პირი გაუფხვავა. „თვალები!“ — თქვა ხმამაღლა და გაეღიმა, რადგან, როგორც იქნა, მიაგნო დალის არაბუნებრივობის მიზეზს. „ის ლამაზი, დაღლილი თვალები სხვა ქალისაა, მაგრამ პატრონი კი სხვად ცდილობს თავის მოჩვენებასა“. — გაიფიქრა, მერე კი თავად თავზე მოუვიდა ჯავრი. „მე რად გადამრია, რად ვფიქრობ ამდენს?“

ისე ღონივრად იქნევდა ცელს, თითქოს თავისი გაურკვეველობის გამო ბალახზე იერიშო ჯავრს.

ლევანი გაახსენდა. შვილის სიკვდილმა მიწაშეურყია ფეხქვეშ ანა-ღონით სავსე კაცს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამამაღარი სიცოცხლით, ბევრი სიკეთის მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ გადაეკეტა გზა ამ სიკეთისაკენ, მოლოდინი მწუხარე სიცარიელით დაუმთავრდა.

კარგად იცოდა ოთარმა, ახლა, შვილის გლოვის ძმიმე დღეებში, რაღაცა მანკანებით ამბიანებული გულის დაყურება ეკადებოდა, მით უმეტეს, უკვე ორმოცდაათის იყო მიღწეული. მაგრამ გული არ ეუფლებოდა და რაც უფრო მწარე იყო ულეკანოდ ცხოვრებისაგან მიღებული ტკივილი, მით უფრო ნეტარი ხდებოდა ოცნება სიტკბოზე.

მის ოჯახში კი შეურყეველად იდგა მდგომარეობა, ცივი ჭარი ჭრიდა ყოველი კუთხიდან. კაცის ენერგია ბობოქრობდა და გამოსავალს ეძებდა, დაუუფრებელი ტკივილისაგან გათავისუფლებას ითხოვდა.

ოთარი მიხვდა, ამ ქალის შეშჩნევაც ამ ფიქრიც და მის მოძალებაზე თვალის დაბუჟვაც ამ იღებდა სათავეს. ეს ქერთმიანი ქალი ეძაბა სიცოცხლისაკენ. ეძაბდა იხეკ იმ ფერრუფლზ, ჩასაბმელად, რომელიცაა ლევანის სიკვდილმა ამოაგდო. დალი თავისკენ ეწეოდა და ჰპირდებოდა, ჰპირდებოდა იმას, რაც ჯერ არავის ენახა, არავის განეცადა.

გაუფრთხილდა ოთარს გონება-გრძნობის ჭიდილში რომელიმეესთვის მიმბრძანა. გონება ამრეზდა, გრძნობა კი ეწეოდა. ეწეოდა ღონივრად. ოთარი ეწინააღმდეგებოდა გრძნობას, თუმცა გონება ისევ ეხვეოდა, ამნიანი სიამოვნებისაკენ მიხეწრაფების ხაზა სიცოცხლეზე ადრე რომ თეთვდებოდა ადამიანს. აკი იცნობდა კიდეც ისეთებს, ვინც ხარბად ცდილობდა. მოესწრო ყველაფრის მოლება, სანამ ამ სურვილს აღსასრული დაუდგებოდა, მაგრამ თვითონ არ იყო ჩვეული ამას და ახლა, ულეკანოდ ყოფნის ხანს, ცდილობდა დაეორგანა თავისში ეს უცად თავწამოყოფილი უმაწვილკაცური ენერგია.

ამიტომ იყო, ალარ იცოდა, რა საკმე გამოეგონა, რით შეემოკლებინა ულიმლამო დღეების სიგრძე. ოთარი ბვდებოდა, მის ცხოვრებაში ვინმეს შეშოსვლა ხანა იქნებოდა, მეორე, ეერთფეროვან დღეებს რადაცით განაპაუებდა, ირეკბობას ცხოვრებით შეუცვლიდა ცოტა ხნით მაინც, მაგრამ ეს მოსალოდნელი ცვლილება უფრო აკრთობდა. გრძნობდა, შეეძლო უარი ეთქვა იმაზე, რაც მხოლოდ სიამოვნება არ იქნებოდა მის უმეტეს. რომ მარტო არ იყო, ცდილობდა დალიზე ფიქრის თავიდან მოშორებას, კიდევაც ეშინოდა ცხოვრების უკვე დამკვიდრებული ნირის შეცვლისა, გონებით უნდოდა დარჩენილიყო ისევ ინსოთანა კაცად, როგორიც აკამდე იყო, უნდოდა აუღელვებლად დალოდებოდა იმ დღეს, როცა, ათი, შუიმეტები, თხუთმეტი წლის შემდეგ მოაკითხავდნენ და თან წასაყვანად გაამზადებდნენ, მაგრამ ამ სურვილს მეორე, უფრო ძლიერი ედგა ეროვნაში.

შეიძლება ამას ეერქვა სიცოცხლის სიყვარული?

იქნებ ეს პირადი ცხოვრების დამთავრების წინაალმდეგ ამბობი იყო?

ოთარი გრძნობდა, შეუოვნება იმ მდგომარეობაში, რომელშიც ლევანთან გაერის შემდეგ აღმოჩნდა, სიკვდილს უახლოვებდა. გული ეუბნებოდა, რომ უნდა გაკეკეულიყო. უკან მოუხედავად უნდა გასცლოდა ამ მდგომარეობას, რათა გადარჩენის შანსი დარჩენოდა. აკი ალრეკე ცდილობდა ამას. მაშინ არც დალიზე ფიქრობდა და არც რაიმე მიზანი ამოძრავებდა. გული უტირონ და, მაგრამ, ეტყობა, თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა, არ მოშვებულიყო, არ დანებებოდა დარხს, სუფთად ჩაკეშულ-დაბურულს ეკლო და საკმეც ძველებურად მონდომებით ეკეთებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.

— საჩზუბრად მოვდიოდი, მაგრამ დაგინახე და ვიცინი, — უთხრა აიას გაიანემ და გადაკოცნა. — მიუკვირხარ, რა ვიცი, რისთვის?

აია დერეფანში შეუძღვა გაიანეს, ოთახში. შეიპატიჟა, მაგრამ გაიანე არ დათანხმდა, სკამზე ჩამოჯდა, ხელჩანთიდან მოაცალა ქაღალდი ამოიღო, აიას გაუწოდა და მკაცრად უთხრა:

— უარი გეთქვა!

— მე ალარ შემძლია მუშაობა, — მტკიცედ უთხრა აიამ მცირე ხნის შემდეგ.

— ვის უბედავ მაგის თქმას? — გაბრაზდა გაიანე.

— თავი ანებე, ჩემს ნაოჭებს შეხედე, იქნებ შეგრცხვეს, — ისევ მკაცრად განაგრძო გაიანემ.

— არც თქვენ ვეხმიან?..

— არც მინდა, რომ მესმოდეს! სადაც არის, საუუნეს გავთავეს, მე ვუძღვები საქმეს და შენ რა შეგეყარა ისეთი?

— თქვენ სხვა ხართ, ქალბატონო გაიანე...

— რა ვარ, ერთი საცოდავი დედაბერი... — თქვა გაიანემ და ბუმრობით განაგრძო: — არა, სულ ასეთი საფრთხობელა არა ვყოფილვარ...

— როგორ გეკადრებათ?

— ბინჯით დავიბადე, აი, ამ ჯოხთან ერთად, — სვედა გაერია ხმაში. — იცი, ეს რას ნიშნავდა? უსიყვარულოდ, უშვილებად გადაგებას, — ისევ დადუმდა გაიანე.

— ტკეილად ფიქრობთ თავის შეცოდებას...

— რომ იცოდე, რამდენი მტერია, ჩემი აია, რამდენჯერ მინატანია სიცდილი... მშორდა, ეველასი მშორდა, ვიხაც ლამაზი ტან-ფეში ჰქონდა, ვინც ბიჭებს მოსწონდათ და უყვარდათ... მე იმას ვეძებდი, რაც მაკლდა და შერით დაბრმავებული ვერ ვამჩნევდი, რომ ჩემს ლამაზ ამხანაგებს ჭკუა-გონებით დიდად ვჯარბებდი, მასწავლებელი გვყავდა ერთი, ალოლინი ერქვა. გაიანეს ფრჩხილად არ ღირხართო! — იტყოდა ხოლმე კლასში, ბმაბალ, ეველას გახაგონად. იმ სულგანათლებულმა შემინინა რწმენა, დამარწმუნა, რომ მეც მჭონდა უფლება ჩემს წილ ბედნიერებაზე... მერე ისიც შევიგენ, რომ თურმე ბედნიერებასაც მოპოვება, საკუთარი ხელებით შექმნა სდომებია, — სიცილით თქვა გაიანემ. — გაკვირვებული მიყურებ, ჩემი ხნის ქალს კი დაეკერეთა, აია. ასე ყოფილა ცხოვრება.

— მე არ მინდა...

— ეველას გვინდა, ეველას გვჯირდება. თავისით არ მოდის ის დალოცვილი...

— რატომ მელაპარაკებით მაგაზე? — ეკვით ჰკითხა აიამ.

გაიანე შეცბა, მაგრამ მაშინვე უპასუხა:

— ჩემს თავგადახვაკს გიყვები... ბუნებისაგან დაჩაგრულმა ბედისწერასთან შებმა გადაეყოლიტე და ვჯობე, გაიგე, ვჯობე!

— უნდა მოგბაძოთ? — გაღიზიანდა აია.

— აუცილებლად!..

— არ შემიძლია!

— შეგაშინა ცხოვრებამ? უკან იხევ? ამ სახლეში ჩაკეტე და გგონია, ეველაფერი შეშოალწევს შენამდე...

— მეტმა რამ უნდა შემოალწიოს?

— ღმერთმა დაგიფაროთ... ისე კი, ეერავინ გაჰკვეთა მოსახელელს, ვერც შენ დაემალები, დამიჯერე.

აია წამოდგა.

— დაჯექი. ჯერ არ დამიმთავრებია, თუ დაგლალე უკვე?

— მაპატიეთ, ქალბატონო გაიანე.

— მე მაშინ მეგონა, რომ კალს ეველაზე მეტად სიყვარული და ბავშვები სჭირდებოდა და მეც მიყვარდა, მიყვარდა არაერთხელ... — ეშმაკურად გაიცინა გაიანემ და დასტურად ხელ ჯოხი დაარტყა ცემენტის იატაკზე. — ის კაცი ბოლოს ვინც მიყვარდა, ომში დაიღუპა. ჯერ კიდევ ომი იყო მაშინ და მე იმ ჩემი სიყვარულის სახელით ორი ბიჭი წამოვიყვანე სახავშვო სახლიდან, ვიშვილე და ორივეთვის, შენც იცი, დედაზე უსაყვარლესი ვარ... რა მეკნა, ნათოვარი ფერ-უმარილით გავლამაზე ცხოვრება.

აიამ გაღელიმა სტუმარს.

— ეგრე, ჩემო კარგო, უნდა გაიცინო, როცა გეტყრება, სწორედ მაშინ უნდა გაიცინო.

— შესაფერი ხასიათი გაკვეთ, — თქვა აიამ.

— რაცა ვარ, ესა ვარ. თავს რომ ვყოლოდი, უარესად ვიქნებოდი... შენ, აია, სკოლა გელოდება. ვის გინდა შეაჩერო შენი გადარეული გოგო-ბიჭები?

— ეველარ მოვალ სკოლაში, — ხმადაბლა თქვა აიამ.

— მხდალი და ეგოისტი მეგონები!

— ეგ არაფერ შუაშია. უსიყვარულოდ ვერ ვიქნები...

— დარწმუნებული ხარ, რომ ალარ გიყვარს? ბავშვები?

— ალარავინ მიყვარს...

— მაგის დროც დაგიდგება, როცა აი, იმ ალმართს შეგიეენებენ, — თქვა მოთმინებადაკარგულმა გაიანემ, ჯოხი გაკენა, მაგრამ უეცრ მოეგო გონს. — მაპატიე. ისეთი ჯოტები ხარ, ალარ ვიცი, როგორ გელაპარაკო.

— მადლობელი ვარ თქვენი — უთხრა დუმილის შემდეგ აიამ. — ეველაფერი მესმის, ნაგრამ, დამიჯერეთ, ალარ შემიძლია...

— შეძლებ! — გაიწუეტინა გაიანემ.

— ხომ იცით, ბავშვებთან ყოფნა ჩემთვის მოვალეობის მოხდა არ იყო...

— ეგ რომ არ ვიცოდე, აქაც არ მოვიდოდი.

— ალარ შემიძლია ძველებურად მუშაობა.

— არ მინდა მაგ სიხულელის მოსმენა! — წამოდგა გაიანე. — გელოდები, — თქვა და ჭიშკრისაკენ გაემართა.

— ქალბატონო გაიანე, — გამოეძახა აია, — ვერც გაგიმასპინძლდით.

გაიანე შეჩერდა.

— რომელ თვეში ხარ დაბადებული? — მკითხა.

— ნოემბერში.

— რიცხვი?

— თორმეტი.

„ბორიელისაა", — გაიფიქრა გაიანემ და აიას რომ არაფერი ეკითხა, აკოცა.

გულნატკენი წავიდა გაიანე. თავს უწყრებოდა, რომ ვერ მოახერხა აიას დარწმუნება, მინი ნების გატეხა. „მართალი ყოფილა ოთარი, — ფიქრობდა გაიანე. — სხვის ნებაზე ამ ქალს ვერ ავტანს... არ იყო ღირსი ასეთი ხვედრისა... მორიელმა, მორიელმა გაიფიძა... ხაკუთარი თავი უნდა გესლოს, ვიდრე არ ამოიჭამს. ღმერთო, ასეთი მართალი და პატიოსანი მაინც არ იყოს, მწუხარებაშიც კი პატიოსანი და მართალი? მოკლა ლევანმა..." გაიანემ თავისდა-უნებურად დაუწყო ძებნა ნაცნობთა შორის შვილმკვლარ დედებს, მიადგა ერთს, მეორეს, მეხუთეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მიუყენა გვერდით აიას. იგი კარგად იცნობდა ადამიანთა ეგოიზმს, ისიც იცოდა, მეტ-ნაკლები დოზით უნაწილებდა ღმერთი ამ გრძნობას თავის გაჩენილთ, მაგრამ თითქმის არ შეხვედრიდა ადამიანს, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა ეს კაცობრიობის შემნახველი გრძნობა. ახლა ირწმუნა გაიანემ, აია ცოცხალი დაარჩინა ფიზიკურმა სიძლიერემ, ჯანმრთელმა ორგანიზმმა, რომელიც არავინ იცოდა, როდემდე შეაყვანოდა დარდდაჭეცულს. თავის ხახლს მიაფლეფბული გაიანე ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ არ უნდა დახმხოდა აია.

აია ალფრიანკა გაიანეს მოსწლამ. გრძნობდა, ნამდვილად ადარ შეეძლო ქალღმერთი სიყვარულით მოჰკიდებოდა თავის ხაკმეს. ისიც ესმოდა, გაიანეს უუვარდა, ხკეროდა მისი, თორემ ისეთი ქალი იყო, ასე არ ჩააცივდებოდა. „რატომ მოუუვა თავისი ამბები, ტუუილი და მართალი? რისთვის დასჯირდა თავისი წარსულის გადაქეცვა? რაზე მიანიშნა ამით? რატომ უნდოდა მისი, ხახლიდან გაუვანა, მარტო იმიტომ, რომ ხკოლას სჯირდებოდა? იქნება სხვა რამ ამოძრავებდა გაიანეს? მაგრამ, რა?" — ეკითხებოდა აია თავს. პასუხს ვერ პოულობდა. „ალბჯიანებდა თავისი ეშვებად ქცეული თავი, ყველაფერში რადაც დაფარულის ძებნა. თან უკვირდა, რატომ გიხდა ასეთი, ადრე რად არ ეძებდა, რად არ აინტერესებდა ის, რაც სხვებისთვის ლამის ცხოვრების საგნად იყო ქცეული? მიხვდა, არ ეცალა, მხოლოდ ლევანსა და ოთარს ჰყავდათ შეპყრობილი ადამიანთა ბუნებაზე ბმული ოთარ ბოლოდ ... მათი ხუნთაკვის სმენით ოთარ ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ბრუნდებოდა თავის ცხრაკლიტულში, სადაც ლაპარაკობდნენ, სადილობდნენ, ზოგჯერ იცინოდნენ კიდეც. მაგრამ მაინც მდუმარება ბატონობდა. აქ, ამ დაცარიელებულ, სიკვდილგამოცლილ სახლში, აღარაფერი აამებდა ობის გულსა და თვალს. ლეკვნმა სიყვარული გაიყოლა თან, წამოიკცია ცოლ-ქმარს, შორის კავშირის დედაბოძი. მის ადგილზე დარჩენილმა სიცარიელემ უმალ დაალო პირი, ატება ყველრილი. მაგრამ მშვიერები შორს იყო და ვეღარ მოვიდოდა ალაბა და ოთარის გულების გასათბობად. იმ სიყვარულის ალსადგენად, რომელიც თურმე დიდი ხანია დაკოჭლებულიყო, მაგრამ მხოლოდ ახლა გამოჩნდა მისი ნაკლობა.

დალიზე ფიქრს გაუბრიდა, თუმცა მაინც სულ ის ედგა თვალწინ. ისევ არაფერი იცოდა მასზე. ვერც ვერავის ჭკეთხავდა რამეს ამისთანა საკმეებში ის მორიდებულობის გამო, რომელიც მთელი ცხოვრება ვერ მოეშორებინა. ამავე მიზეზით ვერ ეძახდა თავისთან, როგორც უფროსი, ვერც თვითონ შედიოდა ბუღალტერიაში. დალი კი, დალი, ეტყობა, გაგებულ ერიდებოდა, თითქოს უკვე მოეგო თავისი სანაძლეო, საზღაურიც მიეღო მისი ფიქრის სახით და ბნელში მიუუფლიაო, რომ ოთარს ვერ დაენახა. ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დალიმ წყალი ოუანა მთიბავებს და ბზოლოდ ორჯერ მოჭარა თვალი შორიდან. დალი ორივეჯერ დავითთან ერთად ნახა და ვერ იტყოდა, რომ ესაამოვნა. პირველად შესვენების დროს დაინახა. შენობიდან გადიოდნენ ერთად. გუშინ კი, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ისევ ერთად იდგნენ ეზოში, დავთო რაღაცას უყვებოდა ჭალს. ოთარს შორიდან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა მათი გამომეტყველებისა და პოზის გამო, რომ დავითი ელალბუცებოდა. ისიც შენიშნა, დალი თითქოს წასცილებაც ლამობდა, მაგრამ დავითი არ უშვებდა. იქნებ თვითონ არ მიდიოდა? ხედავდა, თვალებით უბეში უძვრებოდა დავითი ქალს და ცოტა ახლოს რომ მიეშვა დალის, შეიძლება სულს წაეძლია დ ხელიც მიეფაფაურებინა. არ ეთმა მათი ასეთი შინაურული დგომა, მოშორდა ფანჯრას, მაგრდას მოუჯდა, ქაღალდებს დაუწყო თვალიერება, მაგრამ აზრი ვერაფერს მიაკვნა. როცა ისევ მიბრუნდა ფანჯრასთან, ეზოში უკვე აღარავინ იყო. დერეფანში გავიდა და უკვე გზაზე დაინახა სიცილით მიმავალი დავითი და დალი.

ნიშნავდა რამეს თანაშრომლების სამუშაოდან ერთად წასვლა და ეს გამამარჯვებელი ლაპარაკი ეზოში? რა თქმა უნდა, არაფერს, ფიქრობდა ოთარი, მაგრამ მოესვენრად კი იყო.

დავითი ათი წლით მაინც იქნებოდა ოთარზე უმცროსი, შესახედაობითაც არ იყო ურიგო, მაგრამ მაინც იმით იცნობდნენ, მოჭარგული ლაპარაკი იცოდა, ისე გაიკრიფებოდა ხოლმე ენად, იმდენ სასიამოვნოს ეტყოდა, თვალებიც პირველად გაცნობილს, რომ ადამიანურ ურთიერთობებში სიკეთის მოპარტაცებულებს თავბრუს ახვევდა. ეს განსაკუთრებით სამსახურში ჩანდა. ერთი საკმით დაკავებული სხვადასხვა ჯერის ხალხი, გასაოცარი რომ არაფერი ჰქონდეთ, ფარულად თუ აშკარად მაინც კინკლაობდა, ერთმანეთში რაღაც გამაღიზიანებელს პოულობდა, ამ ხალხის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება და საზოგადო საკმის სამსახური, გამხელილი თუ გაუბედელი ქიშპობა ასუხტებდა მათ შორის ოდესღაც არსებულ კავშირს. თანდათან ილღვნებდნენ ადამიანები ერთმანეთით და დიდი ხნის შემდეგ ხვდებოდნენ, არც შურსა და სიძულვილს მოჭარნდა კმაყოფილება, ამიტომ ცალ-ცალკე ოცნებობენდნენ ხათრიანებზე. რომლის სახელი ჯერ კიდევ ანსოვდათ, არსი კი დავიწყებიოდათ ყოველდღიურობასთან ჭიდილში დაკარგულიყვნენ. ყოველი მთავარი, ვერ იტყოფდა ოთარი, მაგრამ დიდი ნაწილი გრძნობდა სიკეთისა და სითბოს საჭიროებას, რომელთა დაბრუნება არ იყო ისე ადვილი, როგორც დაკარგვა.

აი, აქ იშლებოდა დავითის ანაბარეზი. ეს უაღრესად ``ყალბი კაცი იმდენ კეთილმოსურნეობას აფრქვევდა გარშემო, გაგიკვირდებოდათ კიდეც, რა ანლევდა ამის ძალას. ზოგი ამბობდა, დავითს მაზინვე აივწყდებათ თავისი ნაოქვამი, მაგრამ ამის მიუხედავად, მასთან ურთიერთობა მაინც სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანებს. შერიგების დიდი ოსტატი იყო ეს, მართალია, უმრავლესობა ხვდებოდა, დავითს ერიკი ენაღვლებოდა და არც მეორენი, მაინც ცმაყოფილნი რჩებოდნენ. ზოგიერთები შენაკრფდნენ კიდეც ამ მედან კარგ ხასიათზე მყოფ კაცს, ზოგს მისი მიბაძვის სურვილიც უჩნდებოდა. უმეტესობა სიამოვნებით ისმენდა მის თანაგრძნობას, ამ ფარისევლურ თანადგომას, რომელიც სინამდვილეს ისე ალამაზებდა, როგორც ბეკა-ქუთლი გადავლილ ცას ცისარტყელა.

,,რაში გგირდებათ მაგისი ფუტურო სიტყვები?'' — კითხულობენდნენ ურწმენონი.

,,გულიანით სავსე ხარო?'' — ეკითხებოდნენ მათ დავითით კმაყოფილები.

,,მაინც არ გვინდაო!'' — პასუხობდნენ პირველნი.

,,წყალწაღებული ხავსსაც ეკიდება, თუმცა ნანდვილად იცის, ვერ დაიკერსო''. — თავს იმარილებდნენ მეორენი.

,,ცრემლს რომ შეგიშრობს და თავისი ღიმილით გაგამხნევებს, იმისი მადლიერი ვარო, ოორეგ სახლიკაცად შეურსა არც ის გვიპირებს და არც ჩვენ გვინდაო!'' — დასძენდნენ სხვები.

დავითი გრძნობდა, შეუცდომლად თამაშობდა თავის როლს და არას დასდევდა სკეპტიკოსებს, თუ შეამჩნევდა, ვინმე თვალს არიდებდა, მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისაც პოულობდა კეთილ სიტყვებს და მადლობის თქმას აღარ უცდიდა, ისე განაგრძობდა თავის გზას. ამ როლის თამაშმა ისე გაიტაცა დავითი, რომ ბოლოს მოთბოგვილებაც გადაექცა თავისი საქმიანობა და ვერ წარმოედგინა სხვაგვარად ცხოვრება, მით უმეტეს, იცოდა, ყველა რომელიღაც როლს თამაშობდა ამ ქვეყანაზე და სხვან კიდევ ეს ეჩინა.

ოთარი ვერ ეგუებოდა დავითის ამ თვისებას, ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ სიტყვაძუნწი იყო, უფრო მეტს გრძნობდა, ვიდრე გამოთქმა შეეძლო. გუშინაც, დალისთან ლაპარაკის დროს, შეიძლება, დავითს რაიმე გამოსაძალი კი არ ჰქონდა ქალისაგან, თავის როლს ასრულებდა, უნდოდა ენუგეშებინა მარტოხელა ლამაზმანი.

ცუდად ენიშნა დავითის გაშინაურება დალისთან. ამიტომ, როცა ფოსტალიონმა წერილი მოიტანა დედაქალაქიდან, რომელშიც იუწყებოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელი უნდა გამოგზავნოთო, დაუყოვნებლივ გამოიძახა დავითი და ახალ საზოგადოებაში გადასახალისებლად უკრა თავი ოთხი თვით.

... ბინდამდე აშენა ურუშას ბუნაგი ოთარმა, საძირკველს ერთი ადლით აიკეთა აგურის კედლები ოთხივე მხრიდან და ორმაგად კმაყოფილი დარჩა: საკმეში გართულმა დღე შეუნჩნეველად დაალამა და თავის საყვარელ ,,ურუშასაც მიუზღო ერთგულებისათვის. მერე დაიბანა, ივაზშმა, გიოსთან ერთად მოიტანა წყალი წყაროდან და როცა სოფელი მიწუნარდა, დაწვა დასაძინებლად.

უკვე, კარგა ხანია, იწვნენ აია და ოთარი, აჩეს ერთს კი არ ეძინა. უბრად, გაუძღერეთად იწვნენ. თავ-თავის ფიქრს აღრღნეკვნებდნენ გულს. ეს საბრალისებური სიჩუმე, მტანჯველ ფიქრთა გაუშხელელობა უფრო აშორებდა ცოლ-ქმარს და ისეთი შეგრძნება ეუფლებოდათ, თითქოს ოთახის ცალ-ცალკე კუთხეში წვანანო.

,,აღარ ვვარდები... აღარ ენატრება ჩემი სიფიცხი...'' — ფიქრობდა აია.

ძილ-ბურანში მყოფი ოთარი თავის გულის ძგერას უგდებდა ყურს. გულის ძგერა ხანდახან მიეუჩდებოდა ხოლმე და ამ დროს ჩაესმოდა ურუ ძახილი. ეს ხმა, ჯერ კიდევ გამოუცნობელი, მაგრამ რაღაც იდუმალების მჭონე, თავისკენ იხმობდა. ისიც მზად იყო, გამყოლოდა ამ ხმას, მაგრამ სწორედ ამ დროს უფსკრულში ჩაეხეთქა ეს ყრუ ძახილი და, იმ ხაფმის ნაცვლად ისევ საკუთარი გულის ძალუმ ძგერას შეეგრძნობდა იგი.

,,სიყვარულო... ღმერთო, რამდენი ხანია აღარ გიგრძნია ეს სიტყვა... ყოველდღიურობა ამ მშეელი სიტყვასაც ისე გამოშიგნავს, როგორც ადამიანს...'' — ფიქრობდა აია.

ხანეტარო ურე ბაბილი გამოუცნობელნაგვენ ისევ უხმობდა ოთარს.

,,ალბათ, ეუფაგარვარ... შეჩვეული ნივთივით, ოცდაოთხი წელია, თან რომ ატარებს, ათბობს შეცივებულს, აპურებს, უფრთხილობს მარტოობას...

— ფიქრობდა აია.

ოთარს ისევ ჩაესმა იდუმალი ძახილი, ახლა უფრო მკვეთრად, უფრო გარკვევით. ,,მოვდივარ... მოვდივარ!'' — ფიქრში გაეკმაცა კიდევ და ბალიშიდან თავიც წამოსწია, მაგრამ აია გაიღვიძა და...

— ათ კვინავს? — ჰკითხა ცოლს.

— არა, — ჩუმად თქვა აიამ.

მცირე დაყოვნების შემდეგ ცოლისკენ მიბრუნდა, ხელი მოხვია წელზე, მიიზიდა. დაჰყვა ქალის სხეული ღონიერ მკლავებს, შეეხო მის სხეულს, მაგრამ ოთარმა ვერაფერი იგრძნო.

აია კისერსა და ყურთან გრძნობდა ქმრის ძლიერ, ფშვინვის მაგვარ სუნთქვას, მხურვალე ტუჩების შეხებას, თავმრუ დაესხა, თვალები მილულა.

ოთარი კოცნიდა აიას, მაგრამ ისევ თვლემდა მისი ფიზიკური შეგრძნებები, ნდომა.

აიამ უცაბ ბაანხელი თვალები, რადგან მთელ სხეულში ჩაეღვარა რაღაც ალმზე სახიანონვნ, მწველი. ბოლო დროს თვითგვეშან მიჩვეულმა ქალმა ვერ ამაკცია თავს ამ სიამოვნების განცდა, მაშინვე ჯაიცცხა თავი, ,,ლეკანი მიწაში წვეს... — გაიფიქრა და

— არა, ოთარ! — მტკიცედ თქვა, ქმრის მკლავებიდან თავიც დაძრომა სცადა.

— აია! — ოთქოს ვედრებით თქვა ოთარმა და არ გაუშვა ცოლი, რადგან ახლა თავისი თავის გამოცდა უფრო უნდოდა, ვიდრე ცოლის სხეულის დაუფლება, მით უმეტეს, რომ მისი გონება საფლაც დაირწყოდა და შეგრძნებები ისევ თვლემდა.

— არა, არა, — გაბალიანდა აია. — არ შეიძლება... — უკვე მუდარით თქვა და წამოვარდა ლოგინიდან.

გაეცალა ცოლი და ოთარმა თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს ძმიმე ტვირთი ნოიხსნაო მხრებიდან.

ახალი ფიქრი აეშალა. რად ეჩვენებოდა აიას ნაცნობი და ოდესღაც საყვარელი სხეული სიბერისაგან დაკოერილი, უწესლობით გაბმარბ ხედ? რატომ ვეღარ გრძნობდა მისი შეხებისას ერუანტელს, რატომ აღარ უჩქეფდა სისხლი ძარღვებში? რად აღარ ესმოდა მის სხეულს აიას ხმელანის, რომ დაარღვია ეს მტაცეკ კავშირი? დრომ? დრომ თუ გონებამ? იქნება ორივემ ერთად? იქნებ ხანი გონების გარეშე უძლიერი გამოწდგარიყო ამ კავშირთან ბრძოლაში? ფიქრობდა ამაზე და მიბეგდა, მთავარი მიზეზი მისივე გონება იყო, რომელმაც მარტო ეს, ერთი შეხედვით, გარეგნული კავშირი კი არ მოშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, უფრო შორს წავიდა, თავი დაიყრუა, დაიხ. ში შინაგანი ხმა, რომ აიაძდე არაფე და არაფე არ მიეღწია.

იცოდა ეს ოთარმა? ესმოდა, მაგრამ არ უნ. დოდა სცოდნოდა, მით უმეტეს ახლა.

**მარტო დარჩა თუ არა,** ისევ მოესმა **შორეული, მაგრამ სანაკრელი** ხმა, სმენად იქცა. ხმაც სულ უფრო მოუახლოვდა, აიოლინა, თან წაიყვანა.

... აია პირველ სართულზე ჩავიდა. უკმაყოფილო იყო თავისი თავისა. გრძნობდა, თვითონ იყო ამ სირთულეთა ბუკონი, თავადაც არ მოსწონდა, არც უნდოდა ეს, მაგრამ იმ მწუხარების შემდეგ თავისი გრძნობებისა და ემოციების მართვა ალარ შეეძლო. დარდთან და საკუთარ თავთან ბრძოლამ დაღალა. ხანდახან აიძულებდა თავს, შეჰგუებოდა ბედს, მაგრამ ამ სურვილს მრავალჯერ აღემატებოდა წინააღმდეგობის ძალა, რომელიც ვერა და ვერ დათმგუნა. ამიტომ ველარ საზღვრავდა ხოლმე, როგორ მოქცეულიყო. ზშირად მდუმარეს ამჯობინებდა, რომ თავი არ მოებეზრებინა გარშემო მყოფთათვის. სულ მალე ისე შეეჩვია თავის ფიქრთა გაფუმფლელობას და გულში ჩაკვლას, რომ ვერ მიხვედა, როგორ დაკარგა ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი და ნიჭი. ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ოთარს, ამ კეკეცანაზე ყველაზე საყვარელ და ახლობელ ადამიანს, ფეღლებურად ვერ უშლიდა გულს, ვერ ეუბნებოდა იმას, რასაც ფიქრობდა და გრძნობდა.

**რატომ?**

თუ აკამდე არაფერი ჰკონდათ დაფარული, ახლა რამ დაუკარგა სიტყვის თქმის უნარი? აია ერიდებოდა იმაზე ფიქრს, რომ ქმართან მის გაუცყლობას თთარმა შეუწყო ხელი. ჩვეულებად არ ჰკონდა თავის გამართლების მიზნით სხვათა დანაშაულის გაზვიადება და უმალ საკუთარ თავში ეძებდა ხოლმე მიზეზს. თუმცა რაღაცას გრძნობდა, ჯერ არ იცოდა, რაზე მიანიშნებენდა ეს შეგრძნება, მაგრამ სჯეროდა თავისი გუმანისა და უფრო მეტად იბორკებოდა. „განა ამიარება იყო ახლა ჩემი გამოკეცვა?.. არ შემიძლია სიამოვნებაზე ფიქრი. მაგრამ გვაგებინე ნამდვილი მიზეზი ოთარს?.. რა სხვა დასხვაგვარად არიან აწუობილნი ქალები და კაცები... გონების ხმაც. შეგრძნებებიც რა განსხვავებული ჯვაქვს..." ფიქრობდა აია, გულში ბღმოდა ამ ცხელეულ ენს, რომელიც შეეჩვიებოდა ეფამაც ისევე ცოცხლობდა კაცებზე, როგორც დალხენებისას. მაგრამ ისიც არ ავიწყდებოდა, რომ კაცთა მოდგმა ამ უნარით განგებას დაეჯილდოებინა და მას მოსწონდა თუ არა, ეტყოთა, ასე იყო საჭირო, საჭიროება თავისთავად ამართლებდა კაცსაც და თიხის ბზელაბსაც, რომელიც. აია ფიქრით, თავის თავზე ზრუნავდა, როცა კაცის ტკინსა და სხეულის ახეთ ულიბში აწუობდა, რითაც დედამიწაზე თავის მსგავსთა გამრავლებას ცდილობდა, რომ თავის გაოგზე ეს ყეკვეგეული ჭეეეანა არარაობასავით ცარიელი გახდებოდა.

ამ ფქრმა აია თავის თავთან, თავის ხასიათთან დააბრუნა, რომელიც ისე იყო გამოცლილი, თავადაც ძლიგსლა სცნობდა. სად გამქრალიყო მისი ხასიათის სირბილე და უშეალობა, გადამდები სიცილ-კოსკოსის უნარი? ნეტავ ამ დროს, როცა ერთმანეეთისთვის თითის ჩვენებაზეც კი ისეთ კოსკოს ახტეხნენ ხოლმე ეოგაოები, მთელი ხხეული უცინოდათ, სახე უნათდებოდათ, თითქოს მზეს ჩაიხედათ თვალებში, იცინოდნენ ბედნიერი სიცილით, მიჭეზითა და უმიზეზოდ... ნუთუ ყველაფერში დრო იყო დამნაშავე? ნუთუ ცხოვრებისაგან ჭარეული ნაოჭების მომატებას აუცილებლად უნდა წაეერთვა ადამიანისათვის ბედნიერი სიცილის უნარი? — ფიქრობდა და ეხსენებდა იმ დროს, როცა ერთი ჩითის კაბის ამარა იყო, არც დედ-მამა ადგა თავზე და არც მისი დიდედას სახლ-კარი შორდა ეინმეს, მაგრამ მაინც უხაროდა სიცოცხლე. მთელ დღეს ძმიმე მუშაობით დაღლილს სიცილისა და ბართობის სურვილიც დაუკეკეული ჰქონდა და იმედიც გამოულეველი.

აიას მეხსიერებაში ხან რომელი ამბავი გაცოცხლდა, ხან რომელი. ყოველივეს სიეკვრელი ახსენებდა, ეოგელივე განეუზომელ ზვეახს ჰგვრიდა. სიამოვნებდა ხტეანი წარსული, რომელიც ახლანდელთან შედარებით ისეთი მშვიდი და ვარდისფერი ჩანდა, უანელდებოდა მასთან გაყრა.

აიას ყველაზე დიდი ოცნება ექიმობა, დიდე დასაგან ნასწავლი ბებიაქალობის ხელობის გინეკოლოგობით შეეცვალა იყო. უნდოდა, მკურნალობაც სცოდნოდა, რომ რაიმე მოულოდნელი ბართულების დროს დიდედასავით არ დაკკარგეოდა ფეი, არ შეჰკერიდეს კრიჭა. გრძნობდა, თავის დიდედაზე უკეთ ეხერხებოდა ზშობიარესთან დახლოება, მოვლა, სიკედლის შიშის გაკრობა და გულში ამაყობდა ამით თავად უშიშარი და ხერაფი. როგორღაც სხვად იქცეოდა ხოლმე, ასეთ დროს, ღონე ემატებოდა მის სხეულიფანა ხხეულსა და ხელებს, აკეტდნენ და ეს უფრო ასხამდა ფრთებს. ოცნებობდა ათასი, ათიათასი ბავშვის დაბადებაში მიხმარებოდა დედებს, ხმამაღლა, ისე ბობიანად დაეეკვნე ბინა ჩვილები, რომ მთელი ქვეენისთვის მიეწვდინა მათი ხმა... გამოფმენით ოცნებობდა იმ სიკეთეზე, რომელთან მიხვლამდეკ, დარწმუნებული იყო, სულ ცოტა მანძილი აშორებ და, მაგრამ, თუმრე, ახლოსაც ვერ ნახვ გაეკვლო.

... ოთახში მდუმარება მეფობდა. ბალიშში თავჩარგული ოთარი ის იმედით იყო, აკნეს ისევ მოვიხმო ის იდუმალი ხმა, ის ერთად-

ერთი ნუგეში, რომელიც კიდევ აძლევდა იმ ედს უკეთესი ხვედრისას. ამ მოლოდინში იგი შეუცქინდლად მიადგა თავის მამისეულ სახლს და გაცოცხლდა ის ულიმლამი ხანა, რომლის გახსენებას მუდამ გაურბოდა. მრავალჯერ სცადა დიმბარეს სახუფაროდ, მაგრამ დავიწყებაც კი ვერ მოახერხა იმისა, რაც თავად გაიარა ნაბიჯ-ნაბიჯ, რაც ცხოვრება იყო, რასაც, ალბათ, ვერასოდეს გაიკურნებდა, როგორც უნდა მოეხდომებინა. თავისი ყმაწვილობისა და ჭაბუკობის ხანის დავიწყების სურვილი მამის სიძულვილთან იყო გადაჯაჭვული. ის კაცი, რომელის სისხლიც უზვად ჩქეფდა ოთარის ძარღვებში და არც ისე იშვიათად ახსენებდა თავს, მოკიდავეესავით მხარბეკაინი, ღონერი და ლამაზი კაცი იყო. მის ზეხედვას, როგორც ბევრერ მოუსმენია სოფელში თავისი ყურით, არაფერი ხჭობდა, მაგრამ კამჩეს მარტო მისლამაზ პირისახეზეზე და ტანზე ეზრუნა და შინაგანი ბუნება დავიწყებულიყო თუ განგებ ისე დაემახინჯებინა, რომ მის ჭვერზე ადამიანი დიდხანს ვერ იმოგინებდა. საკუთარი თავის გარდა არც არავინ უუვარდა და, რა თქმა უნდა, არც ახსოვდა. იმდენად უხახაოთი იყო, არც ერთი ნათესავი, თავისი და-ძმებიც კი არ ელპარაკებოდნენ და ძალი რომ ძალი იყო, ჯიშკართან ადგილშეუცვლელად დგამდელი, ისიც არასოდეს გაგიგონია ფეხებში მოსაალერსებლად. ოჯახის დაჯახებული წევრები — ოთარი და დედამისი — კედელზე ჰყავდა აკრული, გაუთავებლად ბუზლეწებდა, ემიზეზოდ ყვირიდა, ლუკას უთვლიდა, სცემდა და თან აიძულებდა, ხმა არ ამოეღოთ, რომ ოთარის კედლებს არ გასცდენოდა მათი ტირილის ხმა. გარეთ ღიმილიან სალამს ეერავინ ახერებდა ლუკას. ვინც არ ესიამოვნებდა, ან ვისი შიშიც ჭკნნდა, იმათთან ყველაზე კარგად იყო, ოჯახის მოკითხვა და ტკბილი სიტყვა არ დაავიწყდებოდა. ამით, თავის ჭკუაში, ანაბუსებდა ადამიანებს, მეთდამი თავის სიძულვილს ან შიშს მალავდა. თვითონ ქვეტებლი ეშმაკი არ ტუუვდებოდა, იცოდა, არანაკლებ გაეშმაკებულებთან ჭკნნდა საჭმე, რომლებიც ერთ სიტყვასაც არ უჯერებდნენ, მაგრამ მაინც არ იშლიდა ტკბილ სალამსა და ღიმილს, რადგან, დარწმუნებული იყო, ასე უკეთესად გაჭკნდა ცხოვრების ლელო.

მისი ტოლი ბიჭები რომ დასხდებოდნენ და აღფრთოვანებული ეკეთხოენენ ტუუილსა და მართალს თავიანთი მამების ვაჟკაცობასა და მოხერხებულობაზე, ოთარი ენაჩავარდნილივით იჯდა, ან ჩუმად გიპარებოდა ხოლმე იქიდან, რადგან ტუუილის მოგონება ესირცხვილებოდა ნამდვილად საჭიროსო კი არაფერი ჭკნნდა. ბრმა, ბავშვური ალტაკების მაგიერად მამისადმი სიძულვილი დამუდებულიყო მის გულში. ამ ასაკში მასაც თავისი თანატოლებივით ეოფნოდა მამის სიყვარული, მამით სიამაყე, მის ძლიერ მხრებზე ჯდომა, დაბაღების დღის ხსოვნა. მაგრამ პანლუტების მეტი არაფერი ახსოვდა, არ კი იცოდა, რა იყო ამის მიზეზი. ოორმეტი წლისა იყო ოთარი, როცა პირველად შეეწყრა შინ დიდი ბატონისა და მბრძანებლის „ეკაკაცობასს". სოფელში ვენახების მორწყვაზე ჭერი იყო დაწყებული. იმ დღეს ადრიანად ადგენ მამამ, წყალი შეაგდებინა ვენახში, თვითონ იქვე დარჩა და ცოლთან ერთად ურეებდა წყალს, ნახეკანი საათიც არ გასულიყო. რომ წყალი დაწყდა. წამიერადო თოხი მხარზე ლუკამ და სათავისაკენ გაიქცა წყლის წაჭრიმეევის ადგილთან. ოთარიც იდევნა იმის იმედით, რომ ნახავდა, როგორ დატრიალებდნადა ღონერი ლუკა, როგორ ანანებდა თავბეღობას იმას, ვისაც სოფლის მიერ დადგენილი ჭერი ფეხებზე დეეყოლებინა, მაგრამ იმედი გაუცრუდა. ლუკამ ვერც თოხი მოეულია და ვერც შეეგინა წყლის უკანონოდ წაჭრთმეევ ფრიფიანენთ გოორგას, უფრო მეტიც, ვერც ბიოორგასგან ასანურამორტემულ ზეილს გამოექომბაკა, როცა მამის ლაჩრობით გაწბილებულმა ოთარმა გიორგის ქვები დაუშინა. ამ დღეს დაღრეილმა უმწეობის ცრემლებმა ჩამორეცხეს მამისადმი შინში. მანამდე ამ შიშს სიძულველიც ბლომად ერია და ახლა მხოლოდ სიძულველიღა დარჩა, მწარე სიძულველი. ამას ისიც დაემატა, რომ თხუთმეტი წლისას, ბიძამ, მამის ძმამ, უთხრა, ლუკას არ უნდოდი და სამი დღისა გაგასაგზავნა. მაგრამ დედაშენმა თავი გადაიკლა და უკან მოგაბრუნეს. ოთარმა ამაზე არაფერი იცოდა. ბიძამისი ყიაფარანი კაცი იყო და ისე ეკავრებოდა ლუკა, ოთარმა იფიქრა, იგონებსო. დედასაც ვერ გიგებდა კითხვა, ლუკას ხახიათი რომ იცოდა, შეიძლებოდა მართალი გამომგვარიყო ბიძის ნათქვამი და არ უნდოდა ისედაც სულის ამოსვლამდე მამდგარი დედის გაწყრომა. ეგეც არ ყოფილიყო, ლუკა მისთვის თითქმის არ არსებობდა და უკვე სულ ერთი იყო, ოდესმე გიესხვისებინა თუ არა.

ოთარს მთელი თავისი სიყვარული დედაზე ჭკნნდა გადაბანილი. უუვარდა და ეცოდებოდა დედა. და, რაც უფრო მეტად სძულდებოდა მამა, მით უფრო ეეედებოდა დედას. უკვე მოზარდილი ბიჭი ხშირად დასდგომია თავზე ცხარე ცრემლით უზმოდ მტირალ, ნაცემ დედას, ბევრჯერ თავადაც უტირია გიმფრანს კუთხეში მიუუფლის, რაკი არ შეეძლო აწუეტილი ბედისავით გაგიეეებული მამისთვის სამაგიეროს მიზღვა. როცა გაიზარდა, როცა ასუფნის გაცემის ძალა მიეცა. შეაწუვეტინა ოჯახში თარეში ლუკას, მაგრამ ამით დედას ვერ უშველა. მართალია, ლუკა ოთარის შიშით ველარ სცემდა ულონო ქალს, მაგრამ ახლა ცოლის წამების სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა გამონახა: ორმოცდაორი წლის კაცმა მძიმე ავადმყოფობა მოიგო და მთელი წელიწადი არ ამდგარ საწოლიდან.

ისე იყო ჩამომმპარი ტანჯვისა და უთქმელობისაგან ახალგაზრდა ქალი, ოთარი თვალს ვერ უსწორებდა. მამაზე ფიქრობდა, ნეტავი, მოკვდესო, მაგრამ თან დედისა ერიდებოდა. არ შეიქნო ისეთიც გამწარებული ცხოვრება მოეზღახა თავისი სათნო დედისთვის, რომელსაც ფანატიკურად უყვარდა ლუკა, მზად იყო მგლად დახდებოდა, მისი გულისთვის ლომს ჩავარდნოდა ხახაში. მაშინ ჯერ კიდევ ემაწვილ ოთარს მხოლოდ აკვირვებდა დედის საქციელი, ვერ ხვდებოდა, რად ემონებოდა ამ კაცს, მაგრამ როცა დავაქვაცდა, შეუყვარდა. ქმარიც გახდა. ცოლ-ქმრის თანაცხოვრების ყველა წვრილმანში გაერკვა, ვერც მაშინ ჩასწვდა მის სიმართლეს. მთ შორის მხოლოდ ერთი თათბა იდგა და ოთარს ეს ოცითად წელიწადი არ მიიჩნია ისეთ დიდ ვადად, რომელიც ადამიანთა ფსიქოლოგიასა და ცხოვრებაზე წარმოდგენებს ისე ცვლიდა, რომ შეუძლებელი ადამიანნილიყო წინაპირობა მოკმედების ახსნა ან გრძნობების შეცნობა. მით უმეტეს, მაშინაც და მერეც ბლომად იცნობდა ისეთ წყვილებს, რომლებიც თანაცხოვრებას ერთმანეთის უკმაყოფილებით ან სიძულვილით ავეზო. ისინი ადვილად ღალატობდნენ ერთმანეთს, არაფერს და არავის ერიდებოდნენ იმისთვის, რომ გათავისუფლებულიყვნენ თავიანთი უღლისაგან, ოჯახებსაც ანგრევდნენ და ერთმანეთსაც თვალდაუზამბამებლად სვრიდნენ ლაფში. დედამისი კი ითმენდა ყველაფერს, მაგრამ რისთვის, რა დანაშაულის გამოსასყიდად? ეს ვერ გიგეო ოთარს, ვერც შემდეგ ამოიცნო. ჯარისკაცობის დროს, განსაკუთრებით პირველ ხანებში, დიდ ხანს ქეჩავდა ხოლმე თავისი მშობლების ცხოვრებას, ზვრილმანებსაც კი იხსენებდა, ახამრთალებდა ორივეს, მაგრამ, გარდა მონური მორჩილებისა, სხვა დანაშაულს ვერ უძებნიდა დედას.

დედა ბრმად, ბოლოდან ინსტინქტურად არ ჰყვარებია. იგი ყოველდღე ხვდებოდა თავის თანატოლთა დედებს, რამდენადაც შეეძლო ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭს, იცნობდა მათ ხასიათს, ბუნებას და ყველა დედებს შორის თავისი გამორჩეულად მიაჩნდა. ახლაც და წინათაც ბევრჯერ უფიქრია, შეიძლება სუბიექტური ვიყავიო. მაგრამ ვერ ახსენებდა რომელიმე ჭალს, იმდენი სათნოება და სიკეთე რომ ეჭიროდა, რამდენიც დედამისისთვის მიეცა გაბრნეს.

ო, რა სანუკვარი იყო ეს სიყვარული. მაშინ, ყრმობის ეამს, შეიძლება, ვერც ჩასწვდომოდა დედაშვილური სიყვარულის არსს, მაგრამ მომიჯნავედ ერთ ოჯახს რომ არ ეცხოვრა, ისინი შემოხიზნულები იყვნენ სოფელში, ერთი ოთახი ედგათ მიწის პირზე. როზა სასადილოში მუშაობდა, გვიან ბრუნდებოდა სახლში და თან მოპაყავდა ხოლმე ღვინისა თუ მისი ტრფიალითი შეგვინებული კაცი. ასეთი კაცები ხშირად იცვლებოდნენ და სანამ ზურიკო (ასე ერქვა როზას შვილს) ცხრა წლისა არ გახდა, მხოლოდ მეზობლებმა იცოდნენ ამის შესახებ, მაგრამ ერთ ღამეს უბანი დედაშვილის ხმამაღლმა ჩხუბმა გაალვიძა. თურმე ზურიკოსაც გაეგო ეს ამბავი და დედისა და მეზობლების შეუმჩნეველად დაკაცებულმა ბიჭმა იმ ღამეს სახლიდან გაიაფო დედამისის მოპატიებებული სტუმარი. კაცი წინააღმდეგობას უწევდა ლაწირაკ ბავშვს, ურტყამდა. როზა და ზურიკო თან ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, თან იგერიებდნენ შეზარხოშებულ არშიყს.

მეზობლებს ესმოდათ, როგორ იგინებოდა კაცი, როგორ სთხოვდა ორ აეცხლს შუა მდგარი როზა შვილს კარის გაღებას. გვიან მშვიდდებოდა უბანი. მარტოდ დარჩენილ დედას ეკარს უდებდა ბიჭი და მხოლოდ შეაღაღებასსულს იძინებდა ერთმანეთზე გამწარული, ერთმანეთის მოძულე დედა-შვილი.

ერთხანს ახსოვდა ხოლმე როზას ეს აყალმაყალი, მაგრამ მერე ისე გამორჩენებოდა ვინმა შეგვინებული და ისე იწყებოდა ჩხუბი — ზურიკო შინ არ უშვებდა თავისი კაცური ღირსების შემარცხვენელს. ასეთი ჩხუბის მეორე დილას ოთარი აუცილებლად მიდიოდა ხოლმე ლობესთან, რომ დაენახა, რა სიყვარულით ელაპარაკებოდა წინა ღამეს დანასისხლად წაკიდებული დედა-შვილი ერთმანეთს, როგორი ალერსი ისმოდა მათ ხმაში, მათ გამოხედვაში, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო წინა ღამეს და არც არასოდეს გამეორდებოდა მათი სიყვარულის მოცული ერთი ღამის სტუმრის გამოჩენა. ოთარს უყვარდა თავისი მეზობელი დედა-შვილის ცქერა ბეჭაჭუნილანი ღამის შემდეგ, რადგან იმ დილას განსაკუთრებული ელვარებით ვლინდებოდა მათი დედაშვილური სიყვარული. უყვარდა ზურიკოც, რომელიც ადრე დაეკაცებინა უმამობას და, რომელსაც უსაზღვროდ, განუყოფლად უყვარდა თავისი დედა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ერთ ფესვზე ვართ ამოსული

ღმერთო! დუმილს დაუმეხავს
კონსტანტინე ბიძია.
მადლი სოფელს, გარდასულთა
გახსენება იციან.
მაგიდასთან თაფლდებოდა,
ბაგეს გაიმარწყვებდა.
ჩვეულად ქონდა სადღეგრძელოს
ამ სიტყვებით დაწყება:
— ჰეო! ყური შომაპყარით,
დაიხსომეთ ნათქვამი:
ერთ ფესვზე ვართ ამოსული,
ერთად მოგვაქვს საფქვავი.
ერთ გულზე ვართ გამობმული,
ერთ ფიქრს უნდა მივყვდეთ,
ერთმანეთი გავამაგროთ,
ერთმანეთი გვიყვარდეს!...

ახლა დუმილს დაუმეხავს
კონსტანტინე ბიძია.
მადლი სოფელს, გარდასულთა
გახსენება იციან!

●

ჩვენ რომ მოვედით,
ირგვლივ ყველაფერი განათდა.
აკვნიდან ჩიტის ხმაზე ავფრინდით,
ფეხი ავიდგით თანდათან,
თანდათან.
თეთრი პერანგი გადავიცვით,
ვაშლის ყვავილივით თეთრი
და ანგელოზებსაც შეშურდათ ჩვენი,
ჯერ პეპლებს გამოვედევნეთ,
მერე ირმებს მიგვიწვდა ხელი.
დავაყურადეთ,
დავაყურადეთ,
ჩამოვითაფლეთ ჩიორას ხმები.
მერე, როგორც ყინვის ლოლუა,
ჩამოდნა წლები,
ჩამოდნა დარდით...
მაინც მოვდივართ მწვანე ოცნებით,
უკან ვერასდროს მივბრუნდებით,
აკვანს თუ სადმე წავადგებით,
სულში ვიბუდნებით,
გულში ვღუღუნდებით.

## რა შემიძლია, შემოგწირო

ჩემო ღმერთო და ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო ცამდე აღმართულო სალოცავო,
შენს იქეთ თუ ვარ, ასე მგონია,
ხე ვარ და უღვთოდ მცვივა ფოთლები!
როცა შენთან ვარ,
ცაში მზესთან ვარ,
ტახტზე მაცია მწკანე პერანგი,
შუქში მივცურავ ანგელოზივით,
ნათლის მდინარე მწვდება ყელამდე.
როცა გულიდან ამომფენს დარდი,
ქარის ღიმილი გადამდის სულზე.
რა შემიძლია, შემოგწირო?
ჩემს საუფლოში ისეთს რას უმზერ?.
ერთი ნიკორა მოზვერი მყავს —
ღამეზე მშვიდი,
თოვლზე თეთრი —
მას შემოგწირავ, მაგრამ მეშინია,
მოწყენილობა დატანჯავს მინდვრებს.
მე არ დავუთმობ პირუტყვს ჩემს
სურვილს,
თვითონ ვიქნები შენი ზვარაკი.
ეს ცა სულიერს გადამფინე და
შენი უცოდველი მსხვერპლი დამარქვი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოცნების ქალაქი

I

ჩვენ, ქალაქების გვიყვარდა ხატვა
და, როდესაც წამოვიზარდეთ,
დახატული ნამდვილს არ ჰგავდა
ამ ბობოქარ დედამიწაზე.
ხან დახატული ვამჯობინეთ,
ხან კირ-დუღაბით ჩაფესვილი.
დღეებს არ მივდევთ იმ გაოცებით,
ცხატავთ ცოტას და უფრო ბევრს
ვაგებთ
და ვაფერადებთ მერე ოცნებით.

II

მხარ-მკლავს როდესაც გაშლის სახლები
და ქუჩებზე შეჰკრავენ სივრცეს,
თავს შევიყრით მაგიდის ირგვლივ,
თამადის ბაგით იღვრება სიბრძნე,
ყველა გამოვთქვამთ ჩვენა გულის
ნადებს,
ვადიდებთ მამულს სავსეს ბარაქით.
ჩემი სურვილი მუდამ ერთია,
ნუზეუმად დარჩეს ქალაქი,
რომლის კარიბჭეს დღითა და ღამით
ღარაჯობს რკინა-ბეტონის ლომი,
რომლის ხახაში საუკუნეთა
მიძინებული გრიგალი თრთოლავს და,
წვიმს თუ მზე არის,
იარაღის ისმის ელრიალი...

III

ერთხელ ოცნებაში
ენახე მზის ქალაქი,
სადაც ყველას ძმობის
მოუწოდებს ზარი.
არავინ არ იცის
ნეიტრონის ბომბი,
ეაზია და სიყვარული
უპირველესი ჰობი.

IV

ორ ნაბიჯზე ვართ ახლა ატომის
საპტიკი ცეცხლის ამონთებიდან.
ნეტავი, ძმაო, ისეთ ქალაქში
ერთი ღამე გაგვათევინა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიძინა მინდაძე

### როგორ გავზარდოთ ზვილები

(რეცეპტი)

ყოგო უნდა ისე ზარდო,
რომ იხაროს სამომავლოდ.
გაუღიმო,
გაუცინო,
ვარდის წყალში ამოავლო.

ბიჭი უნდა ისე ზარდო,
რომ იხაროს სამომავლოდ.
გაუღიმო,
გაუცინო,
ვერცხლის წყალში ამოავლო.

### დუელი

მითხრეს, სვენებ-სვენებით
დღენი ჩემნი გავლიო,
მე კი ღამის თენებით
კეფასა ვხდი ალიონს.

ღამე — ჩემი გრძელი დღე,
მთვარის ერთი ნაბიჯი.
გული — ფარი სამიზნე,
ღვიძლი — ძერას ნაჯიჯგნი...

მე კი დავიარები,
აღუებლები მღერიან,
ყველა ნაირევი,
ვითომ არაფერია.

ოღონდ, ვერ ვძლებ ჭშენოდ,
ოღონდ ნუ ჩამიჭრები,
ლექსო, ცრემლით ნაშენო,
რთველო სასვენ ნიშნების.

ვინ თქვა, გალიაში ზის
რითმა გვირგვინოსანი,

●

გაყოფილია რიკოთით
ამერ-იმერის კალო,
ვით ვერე მდინარეკითი
ვაკე და საბურთალო.

ერთი პატარა ღელე და —
რეკავს გაყოფის ზარი.

ღღე და ღამე — დეფიზი,
მძიმე — კრიალოსანი.

სევდა — მძივად ასხმული
ტრედაშლილი მეტივის,
გაზაფხული, ზაფხული,
ზამთრის მრავალწერტილი...

თოვლში კითხვის ნიშანს ჰგავს
ხე — მოხრილი მსახური.
ანდერძივით სიტყვა მაქვს
შენთვის გადანახული.

ვით ბაბილის ნიშანი,
დილა ისე თენდება,
ყორნებს ხეხენ ქვიშანი,
ლექსები არ თეთრდება.

ვიცი, ვინც მელოდება,
არ მჭირდება ნუგეში.
...მზემ ბრძანა, რომ მომყვება
სეკუნდანტად დუელში.

გაღმელებს, გამოღმელებსა
შუა ჩაგვიდის მტკვარი.

ტკივილითა თუ სიმღერით
გაყოფილი ვართ ყველა.
დააწყდა ჩონგურს სიმები —
ოდელა, ,ოელა, ,ოელა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დამშვიდობება 87 წლის ზამთართან

ტივდაშლილი მეტივის
ელდა შემომეყარა,
ღვთის კალთადაბერტყილი
მეგონა ეს ქვეყანა...

საქართველო — ედემი,
ბედის ნებიერი...
პოეზია — მეწყერი,
ლექსი მშვენიერი,

ხოლო ზვავი სადავე —
აწყვეტილი ულაყი...
— შვილო ხურაბ, სადამდე?
— ეჰი, დედა, ულამდის!

განა წვიმდა, სიო და
ერთი ლრუბლის სეტყვა...
ჩვენზე კავკასიონმა
ფრთები დაიბერტყა.

ჭირსა შიგან — გაძლება.
მთა უწყალო ჯიქია.
გულში რაც მჭირს — არ დნება,
ჯერაც ვერ აღმიქვია.

...საქართველო — ედემი,
იადონი გალობს...
...საქართველო — მეწყერი,
ზვავთა საბურთალი.

განა წვიმა, სიო და
ერთი ლრუბლის სეტყვა...
ჩვენზე კავკასიონმა
ფრთები დაიბერტყა.

---

# სულიკო დიასამიძე

## შენი ზეცის სილურჯე

შენი ზეცის სილურჯე,
შენი მიწის სიმწვანე,
ჩემი ლექსის სათავედ
და სიცოცხლედ ვიწამე.

შენი ტაძრის ჩუქურთმა
სულში ამოვიკვეთე,
გულს მიხარებს, მე შენი
სიუხვე და სიკეთე.

შენი ეშხით ვენთები,
გიმღერი და გიგალობ,
ამაგდარო,
მებრძოლო,
მტერთან შეურიგალო.

ნუშის თვალით მზირალო,
ჩემო თეთრო აპრილო,
ამოთავთავებულო,
ალალ ოფლად დაღვრილო.

ქარვის მტევნებიანო
მამა-პაპის ვენახო,
მუდამ ასე ლაღი და
მხარგაშლილი მენახო.

## ილია და წიწამური

რაც ქეთდება,
ისევ შენით,
ისევ შენი მზის ალმურით,
გულში შხამად ჩაგვეწვეთა
ილია და წიწამური.

ნატყვიარი შუბლი ტკივა
ყველა ქველს და
ყველა ქართველს,
საქართველოს სიყვარული,
როგორც წინათ,
ახლაც გვმართებს.

ვით ის სცემდა,
თაყვანი ვცეთ,
გაუხუნარ დედის მანდილს,
ამ ჩვენს დედასაქართველოს
სიყვარულს და
ძმების ქადილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზერა რომანაძე

## პატარა გოგო ტირილით მომდევს

უფერულდება უკვე ცისკარი,
გაზაფხულს დაჭკრავს იელის ფერი,
სადღაც მივდივარ,
სადღაც ვიჩქარი,
თან შემოდგომის სიმღერებს ვმღერი.

თან ვეფერები ალუბლის ტოტებს,
ჭირხლდაკრულ ბალახს ვეალერსებენ.

პატარა გოგო ტირილით მომდევს,
ლამენათევი მოაქვს ლექსები.

და მე უმწეოდ ვბორგავ, ვწრიალებ,
სადღაც მიფრინავს გუნდი მერცლების:
ჰოი, ბავშვობის ტკბილო იარავ,
ნუ გამეცლები!
ნუ გამეცლები!

## ტირის სიყვარული

ტირის სიყვარული
გაშიშვლებული,
განძარცვული,
სამზეოზე გამოტანილი.
დიდო უფალო,
დაიფარე ასეთი სიყვარული,
შეიბრალე ასეთი სიყვარული
და მითხარ, რომ იგი
ამ გოგო-ბიჭების გულებში შეიმოსება
სამერმისოდ ლამაზი კაბით.
თქვენ კი, ბავშვებო,
ჯერჯერობით აქეთ გამოდით!
მანდ სიყვარული ტირის
განძარცვული,
გაშიშვლებული,
სამზეოზე გამოტანილი.

●

ნუ მესათუთები, მთაო,
ნუ მესათუთები!
ამომალევინე ეს აღმართები,
რომ გამოვადო შენი ლურჯი სარკმელი
და იმ მზერასევდიან კაცს გადავახო,
უმეგზუროს და უმოძახუროს:
აქა ვარ-მეთქი მგზავრი,
შენი სევდის ქვა და მდინარე.
აქა ვარ მგზავრი!...

აქ, ამ მთის წვერზე, ამოვზიდე შენი ფიქრები
უძილო თვალებით.
აქ, ამ მთის წვერზე,
ხვალ იმედების ლამაზ ყვავილებს
აღმოგიცენებ!

ნუ მესათუთები, მთაო,
მომეცი ხელი!

## ყინულის სახლი

ადრე თბებოდი მზესთან ყოფნით,
დრო იყო მაშინ...
გამოგიტყუეს, მოგიყვანეს
ამ უცხო სახლში,
სად ქარია და ნაღვლიანი
მოთქმა არესი.
სად ყოფნა ახლა მწარეა და
უუმწარესი.
აქ მზე ცალკეა, ცა ცალკე და
კაცი ცალკეა
და ყოფნა ახლა ამ ქაოსში
ღღარ გარგია.

მაგრამ ეს მიწა, ეს ჭრილობა,
ეს ტკივილები —
შენ თითქოს გათბობს, თუმც კვლავ
გცივა,
კვლავ იყინები,
რადგან კიდია ლოლუებად
ამ უცხო სახლში:
კაცი,
მარტო ცა,
მარტო მზე და
უმწეო ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარისა კერესელიძე

## საუბარი დედასთან

მე მომენატრა ჩემი კერია
და სინანული გამომერია...
გადაიკარა ცამ ბინდისფერი,
დგას შინდისფერი ვარდების თოვა,
ცისფერ ბილიკზე ვიღაცა მღერის,
ვის ველოდები, აქ ვიღა მოვა?
შენს საოცებო მყუდრო საავნეს
მზე მიმოაფენს იასამნებს.
ნუთუ, უფალო, მისთვის გტოვებდი,
რომ მომეფინე ვარდის რტოებით?
მზეს აუშვია ოცნების აფრა,
შენს სამოსახლოს შრიალებს დაფნა...
მე მომენატრა ჩემი კერია
და ჩაფერფლილი ცისფერი ალი,
ახლა, ოვირფასო, ჩემი ჯერია,
აწ ჩემეული იქროლებს ქარი...
ალუბლისფერი ჩამოწვა ბინდი,
ვიღაცა მოდის, ვიღაცა მიდის...
უმშვენიერეს ფიქრების გროვად
კვლავ გაზაფხული მრავალჯერ მოვა.
მოვა ცისფერი მზე და ფერია,
მე კი ჯერ შენთვის არ მიმღერია.
არ დაუჯერო ვარდების მოთვარს,
რომ სიყვარული ხელახლა მოვა,
მოვა უნაზეს აპრილის თოვა.
და სიყვარულის ნაცნობი გლოვა,
ოდეს უცნობი არსთაგანმრიგე,
ჩამოარიგებს უცხო განრიგებს...
მაშინ მიმქრალი ყვავილის ბედით,
ასე პატარა, ნათელი სეტი,
წავა ნაცნობი ცისფერ ბილიკით,
ცისფერ ბილიკით... ყვავილთა თოვა...
და იმ ბილიკით, უცხო ბილიკით,
სულ სხვა, უცნობი ყვავილი მოვა.

●

დაუფასებელს ვინ აფასებს
ახლა მოისარს,
უდაბნოებში ბინდი რად დგას
უდაბნოისა?
ზეფირის ზეთი გადმოქონავს
როსმე იიდან?
საკურთხეველზე ნუ, გენუკვი,
სულს ნუ ბიიტან.
რად ვამჯობინებთ, მაცხოვარო, დუმილს
მპარავნი?
ცით აღმომხდარა,
მზეი მოდის უცხო კარავით...
ხმაი,
გუგუნა ხმაი ისმის უცხო დროისა,
დაუფასებელს ვინ აფასებს კვლავაც
მოისარს?

## ამორძალი

ამორძალი ვარ, მწყურია,
სისხლი და არცა მიკვირს,
ცხოვრება სასწაულია,
რასაც თეს, მას არ იმკი.
ყველა თავისი ხმით რეკავს,
თავის საზომით გზომავს,
ახლა ვაჟაის მთის დეკა
ანდა ფოთოლთა კვდომა
ვის ედარდება, მინდისთვის,
გაწვდილ ხელების ტყეში,
ნასასოვარი სინდისი,
უშნოდ გაჩრიათ ყელში.
ამბობს უტიფრად და ურცხვად
„არ მაქვს იმედი ხვალის“
და გაიძულებს, დაუსხა
თავის წისქვილზე წყალი.
სჯობს, გასაღები გაიღო,
სჯობს, გაუსწორდე უბირს,
გაიძულებენ, აიღო
ხელში ხმალი და შუბი.
ამორძალი ვარ, ყორნებმა
ამომიხაპეს სისხლი,
გოდრებით მიაქვს ცხოვრებას,
უკან გიბრუნებს მისხლით,
ბრუნავს, ვით მრუმე მორევი
შენ კი მკირე რამ გიკვირს,
საოცარია ცხოვრება,
რასაც თეს, მას არ იმკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# „დრო და გმირი"

თამაზ ჭილაძის შემოქმედების გაცნობისას ვეკვეთ, ვინმეს მოუვიდეს თავში აზრად, რომ ეს ულაზეფერი ცხოვრებისეული სიმართლის ღალატი იყოს. მართალია, აქ მხატვრულად გაჯაჭვიდებულია, აქცენტირებულია, გამაკაფრებულია ადამიანთა გაორების თუ სულიერი სიუხვეში გამოვლენის შემოსეგვები, მაგრამ ავტორი სიმართლეს გვეუბნება და მისი წაკითხვის შემდეგ, სადაც ახე საინტერესოდ, ღრმად, შემაძრწუნებლად არის გახსნილი ჩვენში ჯერ კიდევ არსებული თუ გვრცელებული მანკი, ალბათ, სინდისის ქენჯნის ვიგრძნობთ და უფრო სხვა. თბილი, მეგობრული თვალით შეგხედავთ ჩვენს გვერდით მყოფ ადამიანებს, რომ მარტოსულებად არ იგრძნონ თავი. აი, ასეთი ოქტიური ზემოქმედების ძალაშია თამაზ ჭილაძის შემოქმედების მაღალი ჰუმანისტური დანიშნულება.

სულიერი სიმარტოვის გრძნობა თავიდანვე შეიძლება ადედეანს, ბავშვობიდანვე (ეს უფრო ღრმა ჭრილობას ამჩნევს მას), მერე კი მთელი თავისი ცხოვრების გზაზე სტანჯავდეს. „პარასკევაში", „პოსეიდონის სახალხეში" და „მდგმურებში" მწერალი სწორედ ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთებზე გვიჩვენებს ამ ძმიმე სულიერ მდგომარეობას და მის შედეგსაც.

მარტოსული „უბრალო გმირის" მხატვრულად ძლიერი, შთამბეჭდავი სახეა ითნა „მდგმურებიდან", ვინც ჩვენში ღრმა და ტკივილიან თანაგრძნობას აღძრავს. არავის უცდია ითნას სულში ჩახედვა, არც ცოლს, არც შვილს, არც მეზობლებს თუ ნაცნობებს.

„ამ ჭვეკანაზე ულელს თავისიანი უყვარს, კაცსაც, ჩიტსაც და, თუ გინდა, ლოკოკინასაც. ამ პატარ-პატარა სიყვარულითაა ეს ჭვეკანა ბუდესავით მოჭსოფილი. მერე კი ამ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივითა ვარ და ვკუსლოპინებ, ჩემთვის", — ეი ეს აწუხებს და სტანჯავს ითნას, თუმცა ამის გამო მისი გული ნაალებ არა თრთის მოკეკასისადმი თანაგრძნობით. ითნა ხავსეა სხვებისადმი სიუვარულით, მაგრამ თავად იგი არავის უყვარს. ითნა ულელგან სიკეთეს თესავს, თუმცა თავად ვერ იმკის, ითნა ყოველსმიმტკეცებელია, მას კი არავინ არაფერი მოუტეევ.

ქეთილი და საწყალი კაცის ამ ხაზინელ ტრაგედიას თამაზ ჭილაძე ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებით გვიხსნის და რაკი ეს მოთხრობა მარტო ადამიანური თანაგრძნობით კი არა, ჭეშმარიტი მხატვრული მიგნებებითაც არის სავსე, დიდხანს რჩება ჩვენს მეხსიერებაში და გვალელვებს. სულის შემძრავი მოთხრობის ფინალი, სადაც ითნა საბოლოოდ გრძნობს, რომ მისი სიმარტოვის წამალი ვიპატანი, ვისაც შესწორა მთელი თავისი სიცოცხლე, ვისთვისაც ადრე დაიბერა თავი და ასკეტურ ცხოვრებას ეწია, უცხო ადამიანად დარჩა მისთვის და ამით ერთადერთი, უკანასკნელი იმედიც გადაეწერა.

სხვა ვრცელი მოთხრობა „წეროც" ორგანულად ერწყმის თამაზ ჭილაძის შემოქმედების ამ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემატიკას. მარტო ითნა არა, რომ მშრომელი კაცი, მოხუცი მებადური ამო თუ ღვთის მსახურებაში ხელმეცარეული მღვდელი ბამალელა ემლურიან ბედს სიმარტოვის გამო, არც თუნდაც ამით, რომ აშკარად ჩანს, მოთხრობის გმირები, ცირა და ეუბა, როგორ იტანჯებიან სულიერი ობლობით. მთავარი აქ ისაა, რომ მშვენივრადაა გახსნილი ადამიანის შინაგანი დაფუკებელი სწრაფვა ლაღი და იმედიანი სავსე ცხოვრებისაკენ.

მარტოობის სულისშემხუთველი ატმოსფერო ბუნებრივად ბადებს მისი გაძლეევის სურვილს. ეს სურვილი ზოგში უფრო სუსტად იჩენს თავს, ზოგში კი — ძლიერად. ითნა („მდგმურებიდან") ულელზე პასიური და ამდენად დაჩაგრული კაცია.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 4, 5, 6, 7, 8, 9, 11.

გიგას („პოხეიდონის სახახლიდან“) მოიძალება ხოლმე ზოგჯერ ხერეული გაარდვეოს საკუთარი ხელით აშენებული სულიერი საკურთხევლის კედლები, იგი შერთო გასცკერის საკუთარი ბინის ფანჯრებიდან მშფოთვარე ცხოვრების, იქ კუჭაში რომ დუღს და გადადუღს. ერთი-ორჯერ კიდეც გიოქცევა და უგზო-უკვლოდ დაეხეტება. მაგრამ იგი შინაგანად მაინც ისე შეგუებია და შეთვისებია თავის კიბეორტაბელურ საკურთხელეს, რომ ხოლოს მორჩილად თვითონვე უბრუნდება მას. გიგაზე ბევრად თამამი და ძლიერია პატარა მიხა („პარასკევა“), რომელიც პრიტეტის ნიშნად ტოვებს სულისშეშფოთველ გარეშეოს, თუმცა წასახვლელი კი არსად აქვს. მაგრამ მაინც ეს დაუოკებელი სურვილი თავის დაღწევისა, რაც ამ პატარა ბავშვში იგრძნობა, იმედით გვავსებს, რომ მიხა თავის გზას იპოვნის ცხოვრებაში.

დაბოლოს, ადამიანის ამ სულიერი სიმარტოვის, იზოლაციის დაძლევის ფანტაზიური სწორაფვის ერთგვარი სიმბოლური გამოხატულებაა მოთხრობა „წერო“ და მისი გმირი ქალი ცირა ეს უცნაური ახალგაზრდა ქალი, ვინც ახე გამორჩეულა ბაზრობაზე მოფუსფუსე ხალხში თავისი ნოთელი ქოლგით, თეთრი ხანდლებითა და კაბით, რაც მთავარია, გამოორჩეულა თავები ნიშგანი სიმშვიდით და მეოცნებე თვალებით, ვინც ახეთი სეეფითა და ღიმილით ავსებს უჩას მიყრუებულ სახლს, იდუმალად ულიმის თავის ფიქრებს, ნაზად ეალერსება ბუნებას, მერე კი ჩუმად მიიპარება ხოლმე და ანთებული თვალებით გასცქერის პროვინციული ირონდრმის ცხოვრებას, ცაში ფარფატით აფრენილ თვითმფრინავებს. ეს, ახეთი ცირა ირგვლივ მყოფ ადამიანებზე „შერეკილის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. არავინ იცის, თუ რა ოცნების ცეცხლი გიზგიზებს მის გულში, რა შორეული და უცნობი ჭზებისაკენ ეზიდება შინაგანი ლტოლვა. მხოლოდ უჩა ივრძნობს, რომ ცირას ეს სწრაფვა, რაღაც დიდი საიდუმლოა, რომლის ამოცნობა წარმოუდგენელია. მწერალმა კი კარგად იცის, თუ სულიერი სიმარტოვის და გარეშო ზღუდეების დაძლევის ენობი რა ეშეშმარიტი ადამიანური განცდებია შეფარული. ამიტომაც უცნაददეს ახეთ თანაგრძნობას თამაზ ჭილაძე თავის გმირს, ამიტომაც გვიხატავს ახეთი სიყვარულით ამ მშვენერი, სხვებისათვის უცნაური, მაგრამ მკოხველისათვის მოსმენილი ჭალის სახეს.

თამაზ ჭილაძის მოელი შემოქმედება, შეიძლება ითქვას, ვარიაციებია მარტოობის თემაზე. ზემოთ განხილული ერეცელი მოთხრობების გარდა, ეს მოტივი თუ თემა ყოველ მის ნაწარმოებში, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, მეტნაკლები სიძლიერით, მაგრამ მუდამ მნიშვნელოვნად ეღერს. „და თითქოს ხადღაც უცნო ხადგურზე ჩამოვედი და ხულ მარტო ოგურჩა“ — ეს სტრიქონები თამაზ ჭილაძის ერთი ადრინდელი უსათაურო ლექსიდანაა („ფიფუქებმა ქალაქსა [illegible] აუცხეს....“) და ეს განწყობილება მოჰყვება [illegible] ლექსს თუ მოთხრობას, პიესას თუ რომანს.

ეშმეტებსწილად თამაზ ჭილაძის გმირები თუ პერსონაჟები თითქოს ჩვეულებრივი ბიოგრაფიის, მაგრამ ამასთანავე დამსხვრეული. ყოველ შემთხვევაში. აწეწილი, ეიღლეო ბედის ადამიანები არიან. ისინი. ეკეთუს შემთხვევაში. ეძებენ გამოსავალს მდგომარეობიდან. აწუხებთ ის ყოფა, რომელშიც უხდებათ ცხოვრება. ის სიცივე, რაც მათ ირგვლივ დასდგურებულა. ზზრად კი უბრალოდ ჩაუქნეთათ ყველაფერზე ხელი და ისე მიხდევენ დროთა მსვლელობას, როგორც წყალუხვ და მდორე მდინარეს კუნაი თუ მორი.

ამგვარი უმოქმედობა, ხელისჩაკნეკვა, ბედს შერიგება ლიტერატურაში ცხოვრებიდან აირეკლა. სამწუხაროდ, ამგვარი განწყობილებები დამახასიათებელი გახდა. როგორც იტყვიან, ახალგაზრდობის ერთი ნაწილისათვის. თუ გულახდილები ვიქნებით, ეს ერთი ნაწილი, ხაკმაოდ დიდი ნაწილია ახალგაზრდობისა.

სერგო კლდიაშვილმა სწორედ იმ ორიენტაციათა ცვლისა და ღირებულებათა გადაფასების დროს გადაწყვეტა. მიბრუნებოდა ერელ რომანს „პროვინციის მთვარეს“ და მის საფუძველზე ახალი რომანი „მეუღლო ხავანე“ შეექმნა. იგი მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები გამოდგა, მაგრამ აქ ერთ რამეთათან დაკავშირებით გამახსენდა: ავტორმა „მეუღლო ხავანი“ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ წყენარი და უშფოთველი ცხოვრების ძიებაში სახარბიელო არაფერია.

მეჩიჩუნ გარიყულ კაცს, ვეტვეთ, ვინმე შენატრიდეს, თუნდაც პატიოსნებისა და ხათნოების განსახიერება იყოს იგი. მით უმეტეს, რომ ეს სწრაფვა ხელოვნური აზოლაციისაკენ ბეგრწილად უნაკოფოა და ცხოვრების მდინარეს, ერთ-ერთი ზზრი წყალდიდობის დროს უთუოდ თან წარიტაცებს სიმშვიდის მაძიებელს. წარიტაცებს და ცხოვრების შუაგულ მორევში ჩაინთქვეს. აქ კი სიმართლისა და ხათნოების მხოლოდ კაჟაგებით, უმოქმედოდ და უბრძოლველად, კაცი ფოსს ვერ გადა. თუბარელების ოჯახს, სერგო კლდიაშვილის რომანში, სწორედ რევოლუციის ქარაშხალი დაუნგრეს „მეუღლო ხავანის“ ილუზიებს. მაგრამ მხოლოდ რევოლუციის მშფოთვარე ეპოქა როდი მოითხოვს ადამიანებისგან ენერგიის სრულ დაძაბვასა და მოკმედებას, ბრძოლასა და თავგანწირვას.

ისიც უბრალო, მაგრამ ბრძნული ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანები თვითონვე ხვედენ თავიანთ ბედს. ამიტომაც კაცს ცხოვრებაში მუდამეთ სჭირდება სულიერი ბზნობა, სიმტკიცე, ენერგია, მას მოკმედების, შენების, შემოქმედების წყურვილი სულიერი მოდუნების, დაძაბუნების საშუალებას არ უნდა აძლევდეს. სწორედ-ამ მოკმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების დაუცხრომელი წყურვილით გვიტაცებენ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების გმირები. ისინი სწორედაც თანამედროვენი არიან და მათაც დიდი, რთული ცხოვრება აქვს ნამოგვწეულ, სამოქმედოდ, გნებავთ, საბრძოლველადაც. და როგორც, თუნდაც, ზემოთნახსენები რომანიდან თუ მოთხრობებიდანაც ჩანს, ცხოვრებაში ვგშინაც და დღესაც ბევრი რამ ყოფილა მოსაწესრიგებელი, მოსაგვარებელი. ან კი, საერთოდ, მოსაწესრიგებელსა და მოსაგვარებელს ცხოვრებაში რა დაღლეს! ყოველ ეპოქას აქვს თავისი საზრუნავი და საფიქრალი, თავისი სასიცოცხლო თუ საჭირბოროტო საკმეველი. სწორედ დიდი სულიერი ძმნებობისა და საკუთარი საქმის სამართლიანობის რწმენის გამოა, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების გმირები თვით უმძიმეს წუთებშიც კი არ კარგავენ ეიაკაცური იუმორის გრძნობას და სჯერთო, რომ „სიკეთდილი ცოტას მოიცდის“.

მაგრამ იმ დროის ქართული მწერლობა განა ბევრს დაითვლის მსგავს მოთხრობებს, სადაც ასეთი მძნე, შემართველი, შრომისა და ბრძოლის წყურვილით ანთებული გმირები წარმოგვიდგებიან?

უფროსი თაობის მწერლების რომანებისა თუ მოთხრობების და მათი გმირების გაცნენება აქ, სადაც ლაპარაკი ძირითადად ახალგაზრდულ პროზაზე გვკონდა და გვეკენება, ნუთუ მოეჩვენება ზედმეტად. რა დასაბალია და ზოგ უმწიფარ მწერალს ის ხანაში დასაჩქმდა ეროვნული ქედმაღლური დამოკიდებულება ყოველივე იმ საუკეთესოსადმი, რაც ქართულ საბჭოთა მწერლობას ათეული წლების მანძილზე შეუქმნია. სწორედ დამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლობის გამოცდილება და მემკვიდრეობა შეიძლება გამოდგეს იმ უტყუარ კამერტონად, რომელზედაც უნდა აიწყოს ახალი და ახალგაზრდული პროზა. ნურავინ იფიქრებს, რომ ასეთი კამერტონი მხოლოდ ძველი, გადამღერებული ბანგებისათვის თუღა გამოდგებამ. ახალი, ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა სულაც არ გულისხმობს ლიტერატურული ტრადიციების უგულვ�eლყოფას. პირიქით, სწორედ ამ მყარ საფუძველზე უნდა აღმოცენდეს ახალი ლიტერატურა. ახე ყოფილა ოდითგან და, ალბათ, ასევე იქნება შემდგომაც.

60-იანი წლების მანძილზე ქართველი მკითხველი შედარებით ოშვიათად წაიწყდებოდა თანამედროვეობის თემებზე დაწერილ მღელვარე მოთხრობებს, ოშვიათად ეცნობოდა ძლიერი ბუნების, ენერგიული, შრომისა და მოქმედების ხალისით ავსებე გმირებს, გმირებს, რომლებმაც კარგად იციან, რისთვის ცხოვრობენ, რისთვის იბრძვიან.

ხალიტერატურო კრიტიკაში „დეგენერიოზაციის“ ტერმინით ცნობილი პროცესი ქართულ მწერლობაშიც საკმაოდ თვალსაჩინოდ შესამჩნევი იყო. მკითხველისათვის კარგად ცნობილი პროცესი გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, ეროვნულმიერი მოვლენა იყო. მაგრამ ბევრ თანადროულ ერთი რამ ცხადი გახდა: ამ პროცესს, სხვა ცალმხრივობა გამოიწვია ლიტერატურაში და, მოგეხსენებათ, ყოველგვარი ცალმხრივობა, თუნდაც თავისთავად საინტერესო, უსვე-ხულ ცოტა, დამფიქრებელი ხდება. „მოგონებანი“ და „გაბერილი“ გმირების შიშით ქართულ პროზაში, რომანებსა თუ მოთხრობებში, საგძარნალად უყურადღებოდ დარჩა აქტიური ბუნების, რომანტიკულად განწყობილი, დიდი საერთო საქმეებით შთაგონებული გმირი.

ეჭ კი უმაღლ უნდა გეგვახსენდეს გურამ რჩეულიშვილი. მან, შეიძლება ოქვას, თვალისმომგრეხელ მეტეორივით გაიკრაფა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. თუმცა ეს შედარება სულ ზუსტი არ იქნება, რადგან ამ ახალგაზრდა კაცმა: შეძლო, ღრმა და წარუშლელი კვალი დაეტოვა ქართულ მწერლობაში. როდესაც გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების კრებულს ვკითხულობთ, ერთი მხრივ, გეკვირვის, თუ სულ ბოთიეულნი წლის მანძილზე რამდენი რამის გაკეთება, უფრო სწორად, შეეძინა შეძლო მან. ბოლო, მეორე მხრივ, ისიც გვაკვირვებს, რომ ამ თავისი მოთხრობებით, რომელებმაც ერთი ორცოლ მომსხო კრებული შეიდგინეს მხოლოდ. ამ სულ ბაბუკაცა კაცმა ანა მარტო დაიკვიდრა ხახელი ქართულ მწერლობაში, არამედ თავისი ხაგრძნობი ბა გვალენაც მოახდინა ახალგაზრდულ პროზაზე: გურამ რჩეულიშვილის საუკეთესო მოთხრობები — „თვრთრფოვილ“, „ხალამრა“, „ხიკდალი მოგაშა“, „ეზანკი ამბები და სიცოცხლე“, „ალაგერდნა“, „ბალარეკა ჯიბარაული“ — თავისი და შემდგომი დროის ქართული მწერლობის საუკეთესოთა რიგის ნაწარმოებებია.

გურამ რჩეულიშვილი ოკ ამაკი და ძლიერი პიროვნება, ვის გაგებულნაგა ვერ შეძლებდა ცხოვრება. პირიქით, სწორედ ცხოვრების გაგებულნში ხედავდ: იგი, საერთოდ, ადამიანის ფანაშნელებას. მისი ეს: გაბუნაზლერული სურნელი ცხოვრების და მოქმედების თავისუფლებისა შესანიშნავად გამოიხატა მისსავ მოთხრობებში. ამ მოთხრობების გმირების სულისკვეთებაში ხოლო შეუზღუდველობა, თვისუფლება ისეთივეა სჭირდებოდათ მწერალსაც და მის გმირებსაც. ეს გურამ რჩეულიშვილმა პირდაპირ და ნათლად გვითხრა თავისი გმირებისადმი მოთხრობით „ალაგერდნა“, რომელშიც ავტორის ცხოვრების ფილოსოფია ჩადგენილი.

„ალაგერდობაზე ჩასული ახალგაზრდა კაცი, გურამი (გმირისა და ავტორის სახელების დამთხვევა შემთხვევითი არაფრით არ შეიძლება იყოს) შეჩაურეს მოზღვავებული მოდღესასწაულე ხალხის გაუთავებელ ღრეობას, უაზროდ ატრაკმანებულ, აეცკვეულ ბრბოს და ამ როკვაში სრულ ინერტულობას ხედავ. „უმაზ.

ნო, დაფიქრებული ფუნა სუფევს გარშემო... უყურებს მათ ჩვენი მოთხრობის გმირი და რაღაც ცრემლებივით იქნევინებს ყელში. ნუთუ ამ უთავბოლო ადამიანებისა და ლაბირინთის საფურცელად მოვიდა ჩვ...“ გურამი ერთი წუთით შეიძლება მოალვირდებოდეს ამ დამაჩნენებელი ბუნებიდან გამოეკვანძა, როდესაც თუშის ცხენს მოიტაცებს და გიფური ჭინეკით დაადევნებს მოკეთილებს. მაგრამ მალე ისევ დაკარგავენ მისდაგი ინტერეს და ტაძრის გუმბათის თავგვიდაზზე გადმოდგარი გურამი ფიქრს მისცემენ... „სადან მოდის ეს სიცოცხლისუნარიანობა... ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია. მაგრამ აქ ზოგიერთნი დაბნეულან და ვეღარ გრძნობენ შემოქმედის ნამდვილ სიამოვნებას, სიამოვნებას შრომისა, რადგან ენების სიმძიმერე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

ვინ იცის, გურამ რჩეულნაშვილი ჯერ კიდევ ყულ ჯაბეტი ტრაგიკოსად რომ არ დალუსულიყო, ეგეთ სწორედ მას ეტყვიოთ ეს დიდი და საპირო სიტყვა, თავისი მოზღვავებული ენერგიითა და შენების ნუფრილითა ეგეთ მას ბეიკვალრმად გზა იმ მწერლობისათვის, რომლის ნაკლებობაც 60-ინა წლების დამლევისათვის უკვე ცხადად იყო საგრძნობი. მაგრამ მან მაინც მოასწრო და „ალეკერდობით“ საკუთარი გულისკენ ანდერძად დაუფიცა თანატოლ ფალ, საერთოდ, ყოველი თაობის ახალგაზრდა მწერლებს ის მინი მოთხრობების მკითხველებს. „ჭინეკის სიმძიფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“ — მოთხრობის გმირის ბიჭი ეაბიატანილი ეს ამცოფ მანადენი უცნაური ფასეულნი მკითხველს ღრმად ჩაეტანებინა, რადგან მწერალმა, მართლაც, ისტორიულად დაგვიბატა ფ გიგვიშვილი ამ ფიქრებიდან დაცვლილი მასა ალეკერდის დღესასწაულზე.

როდესაც ალეკერდის მწერლების შემოქმედებაში მოთალეურ-ეთიკური პრობლემატიკა მოიმძლავრდა და „ბარის“ შინაგანი ბუნების რეაგვას მიეცა განსაკუთრებული ყურადღება, ამან თავისი სიამღეიც მოიტანა მწერლობაში და ისის იმედიც აღძრა, რომ ფფონ სრულად, ღრმად, მრავალმხრივ გაიხსნებოდა ლიტერატურაში თანაგიდროვე ადამიანების მოკმედება, მიზნები, განცდები. „უბრალო გმირებისადმი“ მწერლობის ბამბვალეულები ინტერესი თითქოს ისის საწინდარი იყო, რომ უკეთ გაუგებდნენ და ნაზმოსახვეფნენ ის სურიდეაც არაუბრალო, ეკეშმარტი შემოქმედებითი ხალისი ხავსე ხალხს, ვინც ალალად, გულმამოლად ცხოვრობს და ზრომობს. მაგრამ ამ სწორმა ტენდენციამ მალე თავიანი ნალექიც გაიჩინა (ხაშწუხაროდ, უფრო დიდი დოზით, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო). ამიტომ, გმირის შინაგანი ბუნების ანალიზი თუ თვითანალიზი, ზშირად თვითმიზნური გახდა და გმირის ბაგრემოსაგან ეზოლირებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე მისი ადგილის განსაზღვრას ამ ცხოვრებაში. „უბრალო გმირი“ კი, რომელიც ზოგიერთი ზოგიერებას მოკლებული მწერლის „გაბერილ“ გმირებს უნდა დაპირისპირებოდა და სიბეჭოთა ადამიანების მხაგზურად მართალი ნასაბიერება უნდა ეოფილიყო, არც თუ ეშვიათ შემთხვევაში თავის პროტოტიპზე, მართლაც. ბევრად უბრალო, ანუ ღარბი, ცალმხრივი, ინერტული ადამიანდა. ყოველივე ამის გამო, „გმირი“ იმდენად კომპრომეტირებული იქნა, რომ ზოგიერთი მან შემდეგ დღემდე ცდლობენ საერთოდ არ იხმარონ უბრალოული ლიტერატურული ტერმინი.

თვით ავტორებს ალბათ სჯერიდათ, რომ მათი გმირები სხვებთან შედარებით უფრო „დახვეწილნი“, „ინდელექტუალურნი“ არიან და ამიტომაც, ჩაიკეტნენ თავიანთ თავში. მაგრამ დიდეტანებების პოზიორულ ფრაზებს ამოფარებულ ამ ნაადგილად დადინჯებულ, დაბერებულ გმირებსა და ჩვენს თანამედროვე მართლაც განათლებულ, ნამდვილად ინტელექტუალურ, ცხოვრების სხისლისთა ხავსე ახალგაზრდობას საერთო მხოლოდ ასაკი თუ აქვთ.

სამწუხაროდ, ამ ტენდენციამ ზოგ შემთხვევაში ნიჭიერი პროზაიკოსების შემოქმედებაშიც იჩინა თავი. თამაზ ჭილაძის ადრინდელ ვრცელ მოთხრობებში შეიმჩნევა ავტორისეული ტენდენცია, რომ რაც შეიძლება უბრალო, ყოფიერ მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანური ბუნება. ახეა დანაბული და გახსნილი მისი მოთხრობის „შუადღის“ გმირი, ტაქსის მძღოლი გიგა, როგორც ზემოთაც ვთქვეთ, ამ ეტიილსინდროსიერ ახალგაზრდა კაცს თანდათან უჩნდება ინსი რწმენა, რომ პატიოსნად ცხოვრება აუცილებელია. მაგრამ საკმარისი არაა. საკრძოა, იბრძოლო კიდეც იმ მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის, რომელთაც შენ თვითონვე ბიხდევ. სწორედ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მოთხრობაში, მოსალოდნელი იყო, რომ მწერლის რომანის „ამა. მიიწერა ზამთარი“ გმირები კიდევ უფრო ღრმად იწამებდნენ თავიანთ მოკალეკობრივ მოვლეობას და უფრო ენერგიულად იბრძოლებდნენ მაღალი ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრებისათვის. მაგრამ პირველი ეი მოხდა, ზაზაკე, ნინიკოც, ადამიც და სხვა დადებითი გმირებიც ამ რომანისა, თითქოს ენერგიისაგან დაცლილ ადამიანებად წარმოგვადგენიან, რომლებმაც არ იციან, რა უნდა აკეთონ ამ ცხოვრებაში. ისინი ვერ ეგუებიან თორნიკეს, ამ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებულ კარიერისტს, ვერ ეგუებიან გიორგი უფრეზელიძეს, ნინერ და მზნე კაცს, თეატრის დირეტორს, რომელსაც ყველა საპატიო წოდება აქვს, თუმცა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სხვა არაფერი უკეთებია, გარდა იმისა, რომ ხელს უშლიდა თეატრის კოლექტივს, ვერ ეგუებიან პროვინციელ საკმარისს, ანდრონ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ თვითონ რითი უპირისპირდებიან მათ. რა სურთ. საით ისწრაფვიან, რა მიზნები აქვთ. ამ ბუნებრივ კითხვებზე პასუხს ნაკლებად მივიღებთ რომანში.

ამგვარივე საკვლევი იმ დროის კიდევ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლისათვის შეგვეძლო წაგვეკითხა (მოდას აფილერების აღარაფერს ვამბობ, ისინი ხომ ყოველთვის უთამრავნი არიან) და ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ შეცდომის მიზეზები გვეძია. ძალაუნებურად იბადება აზრი, რომ ეს მათი მცდარი აზროვნის, გმირის ხელოვნურად გაღარიბების ტენდენციის შედეგი უნდა იყოს. ალბათ, ეს იმის გამოხატულებაც იყო, რომ წინა ათწლეულებში შექმნილი „იდეალური გმირის" უსიცოცხლო სქემებით დაშინებული მწერლობა თავს არიდებდა მაღალი იდეალებით შთაგონებული და ამ იდეალებისათვის მებრძოლი გმირების სახეების შექმნას. მაგრამ ეს ხომ უკვე მეორე უკიდურესობაა, რასაც მხოლოდ ზნინის მოტანა შეეძლო ლიტერატურისათვის. გმირების „გაადამიანურების" პროცესი მათი ხელოვნურად დამდაბლების, სულიერი გაღარიბების, ზნინაგან გამოფიტვის პროცესად არ უნდა ქცეულიყო საბჭოთა ხელისუფლებისა. საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ასე კი მოხდა.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის და ექვსიანი წლების ზნინშვნელობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის, მართლაც, მეტად დიდია. იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი — განახლებადი ზნინაგანი ლტოლვა, თვითკრიტიკული ანალიზის მოთხოვნილება, საკუთარი კონსერვატიზმის დაძლევის წადილი — თვისობრივად ახალი განვითარების საწინდარი გახდა. ეს სიახლე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს დაეტყო, მოყოლებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივიდან ეკონომიკურ — ყოფითამდე.

ცხადია, განახლების ტალღამ ლიტერატურასა და ხელოვნებასაც შეაცვლევინა გეზი, ახალი ორიენტაცია დაუსახა მას, ახალი მიმართულება მისცა მის დინებას, ახალი ძალიან ავადო იგი. ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ ამან რა მშვენიერი ნაყოფი გამოიღო საბჭოთა მწერლობაში, კერძოდ, ქართულშიც.

მაშინ განახლებისათვის ბრძოლის მთავარ ასპარეზად ლიტერატურული გმირის წარმოსახვასთან დაკავშირებული პოზიციები იქცა. რევოლუციური რომანტიკით მოსილ გმირებს 20-იანი და ნაწილობრივ 30-იანი წლების ლიტერატურაში დამსახურებულად დაეთმო პიროვნულა, რადგან უშუალად ცხოვრებიდან ყოფნენ გადმოსულნი მხატვრულ ნაწარმოებებში და რეკონსტრუქციისათვის თავგანწირულ თუ ახალი საზოგადოების შთაგონებით მშენებელ ადამიანებს განასახიერებდნენ. როგორც ეს ხშირად ხდება, ამ ჯანსაღი ტენდენციის ერთ-ერთ ნაირად გაზვიადებად და გაუადეკვატად „გმირმანიანის" საშიშროება შექმნა, რაც უკვე იმავე 30-იან წლებში შეიმჩნეოდა და რამაც განსაკუთრებული მახინჯი ფორმები ოთხსაუკუნეს ლიტერატურაში მიიღო. სწორედ ამ დროს დამკვიდრდა „ძალიერი გმირის" ანუ ყოლიაზეშემძლე გმირის კულტი, როცა მწერლები რეალურ გარემოში კი არ ეძებდნენ თავიანთი ნაწარმოებების პერსონაჟების პროტოტიპებს, არამედ მხოლოდ, ან მეტწილად საკუთარი ფანტაზიით თხზავდნენ გმირებს და ნაკლებ უწევდნენ ან გარაშს იმას, რასაც ცხოვრების სინამდვილე ჰქვია. ამან გამოიწვია ყოველმხრივ შემკული, თუმცა ნანეკენური სილამაზით აღბეჭდილი, ფუუე და უსიცოცხლო გმირების მომრავლება საბჭოთა ლიტერატურაში, რომლებიც ავტორების ნება-სურვილით იოლად აღწევდნენ ყველაფერს, გარდა ერთისა და მთავარისა — მკითხველების გულებისა.

ამ ტენდენციის უარყოფისა და დაპირისპირების გზით წარიმართა 60-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურა და ეს სავსებით ლოგიკური, აუცილებელი რეაქცია იყო, რითაც მწერლობას თავი უნდა დაეღწია მომაკვდინებელი სენისაგან — სიყალბისაგან. იმ ახალ ლიტერატურას „ანტიგმირის" ლიტერატურას უწოდებდა ზოგიერთი. მაგრამ ეს არ არის ზუსტი და მართებული განსაზღვრა. არსებობდა „ანტიგმირი" სწორედ ის ფსევდორომანტიკით დაღდასმული გმირი იყო, რომელიც საზოგადოებას, მასებს საკუთარი ზნინაგანი სიძლიერით და სიმშვენიერით კი არ უსწრებდა წინ, რომ გზა გაეკვალა მათთვის, არამედ მხოლოდ ავტორის მიერ იყო მათზე წინ დაყენებული, როგორც ამას ტუვინისაგან ჩამოსსმული ქონდრისკაცებით თამაშის დროს აკეთებენ ხოლმე ილუდი. ახალი წმერლობის გმირს კი „ანტიგმირი" მხოლოდ დიდი პირობითობით ეთქმის, ან სულაც არ ეთქმის, რადგან იგი სწორედ რეალური ადამიანების მხატვრულად განზოგადებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც ცხოვრების სიმარილით ირის სავსე და უტუფარად გამოხატავს თანამედროვეთა აზრსა და გრძნობას, წადილსა და ყოფას.

იმ ფუუე და მანეკენურმა გმირებმა სავსებით კანონზომიერად გამოიწვია მწერლობის უარეყოფაა. მათი უსიცოცხლო და ყალბი გამომეტყველებანი არა მარტო შეწუხებულნა, არამედ შეშინებულნა მწერლობამ მთელი თავისი ყურადღება ცოცხალ ადამიანს მიაპყრო, რომელიც გარეგნულად არაფრით არ იყო გამორჩეული. სწორედ ამან მოიანთვლინა ზოგიერთებს იგი „ანტიგმირის" ლიტერატურად. მაგრამ, აბა, გადავალოთ თვალი ამ ლიტერატურას, რა ხალასი მშვენიერებით, დიდი და ადამიანური სიკეთით სათნოებით სავსე გმირები გაიელვებენ ჩვენ წინ. 60-იანი წლების ლიტერატურამ სწორედ მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვეობით შესანიშნავ მხატვრულ სამყაროს საოცარი ზნეობრივი სისუფთავე, სისპეტაკე, რომელიც თავად ხალხს ცხოვრებიდან იყო გადმოსული და მერე ისევ ხალხსავე უბრუნდებოდა, როგორც მხატვრული ნიმუში ქეშმარიტი ჰუმანურობისა, ადამიანის კეთილი ბუნებისა, მისი ცხოვრების აზრისა და მოწოდებისა. გავიხსენოთ ამგვარი გმირების პირველი მერცხლები ქართულ მწერლობაში — ედიშერ ყიფიანის ბობოიზე დამკვრელი, თამაზ ჭილაძის ცხოვრების შუადღეს მიღწეული მძღოლი, არჩილ სულკალიერის მეთევზე, ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი ოთხეული, რევაზ ინანიშვილის სოფლელები, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რკინიგზის ,, ბადგურზე ატუზული გოგონა ცაბუნია და ბევრი სხვა: ამავე თუ სხვა მწერლების შემოქმედებაში და ნათელი გახდება, რომ უამთოდ ქართული ლიტერატურა არა მარტო ღარიბი იქნებოდა, არამედ საერთოდაც ვერ გაამართლებდა თავის არსებობას იმ ეტაპზე.

ამიტომ ვამბობთ თამამად, რომ 60-იანი წლების ლიტერატურამ დიდი როლი ითამაშა, საერთოდ, მხატვრული აზროვნების განვითარებაში და კერძოდ კი მხატვრული სამყაროს საოცრად სინტეტიკური გმირებით დასახლებაში. თუმცა ზემომინიშნეულთა უკურეკეკის გამო ისიც მოხდა, რომ მწერლობას ერთგვარად ცალმხრივობის ნიშნებიც დაეტყო. მისი გმირები ხალხის წიაღიდან იყვნენ გამოსულები, უფრო სწორად, გამოყვანილნი ავტორების მიერ და ჩვენც საშუალება მოგვეცა დაგვენახა მათი დიდი გული და წარუფასი ადამიანური ღირსებები. მაგრამ ამავ ხალხში არიან ისინიც, ვინც არა მარტო განასახიერებენ ადამიანურ სიკეთეს და მშვენიერებას, არამედ მათი დამკვიდრებისათვის, ბოროტებასა და სიმახინჯეზე გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლებიც არიან, ამგვარი გმირების ხვედრითი წილი მწერლობაში ძალზე შემცირდა. შემცირდა იმის გამოც, რომ დიდი საქმეებისათვის მოწოდებული გმირების სახეები ადრე შეილახნენ ეგრეთწოდებულ ,,შემოძმაბუნველ'' მწერალთა შემოქმედებაში და ამისი შიში ინერციით ჯერ კიდევ არსებობდა. და კიდევ იმის გამოც შემცირდა, რომ მომრავლდნენ ეპიგონები.

ქართულ მწერლობას იმ სიახლეებით აღბეჭდილ დროშიც შემოეპარა ზოგან საფრთხილო სენი, ეგრეთწოდებული ,,ლიტერატურშჩინა'', რომელიც მით უფრო საშიში, რაც უფრო კარგადაა შენიღბული. ამგვარ მწერლობაში შთაგონების წყარო თავად ცხოვრება და რეალობა კი არ არის, არამედ — უკვე შექმნილი და არსებული ლიტერატურული სამყარო. კითხულობთ ამგვარ ნაწარმოებებს და მარტო ის აზრი კი არ გიჩნდებათ, რომ ყველაფერი ეს ერთხელ (თუ შეტად არა) უკვე წაკითხული გაქვთ ადრე და, ამდენად, ნაცნობია თქვენთვის, არამედ ის უსიამო გრძნობაც გეუფლებათ, რომ აქ თითქმის ყველაფერი თავის ადგილზეა, თითქოს ცოცხალი ცხოვრებიდანაა. მაგრამ მაინც გაუკუფებენ, რადგან იმიტატორებია, ხელოვნურია, მოწყვლებულად მიმსგავსებენია. უსიცოცხლოა და. მაშასადამე, უინტერესოა.

აქედანვე იღებს სათავეს ის ნაკლიც, რაც მწერლობაში ყოფითთან არის დაკავშირებული. თითქოს ეს მაინც უშუალოდ ცხოვრებიდან უნდა იყოს გადმოსული, მაგრამ აქაც თურმე დიდი განსხვავებაა ნამდვილსა და ხელოვნურს შორის. საკმე ამაში გაბლავთ, რომ ულარესი ყოფითობა მიმსგავსებულ ნაწარმოებებში უმიზნო ყოფითობაში იზრდება, რადგან აქ ალარ არის დაკერილი ის ცხოვრებისეული ძარღვი, რომელიც ამ არაფრით გამორჩეულ სიტუაციას თუ ხასიათს ერთი შეხედვით შეეშჩნეველი, მაგრამ სინამდვილეში დიდი ადამიანური საკმეელითა და ვნებით აავსებს. ამიტომ იმიტატორს, თუნდაც დახელოვნებულს, თავადაი ეცლება ხელიდან ეს რჩება უმიზნო ყოფითობა, რომლის აზრსაც და მნიშვნელობასაც, მიუხედავად მოწადინებისა, მაინც ვერ ვხედავთ.

ამგვარი პრობა მაცდურია, ეუფლებოდას იქცეს თავისი კოლორიტით, პორტრეტებით, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ ამ დახელოვნებული ოსტატებით შესრულებულ ,,ეს'' ,,ეს'' ,,ეს''

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩვენი თანამედროვე ცხოვრების არაერთ, მეტიც. ბევრ მნიშვნელოვან უბანს, მოვლენას, პრობლემას ან სულ ვერა სწვდება, ან ნაკლებ სწვდება.

ჩვეულებისამებრ 60-იანი წლების ახალ და ჭანსაღ ტენდენციას ბევრი ამყვა და სიცოცხლით სავსე მხატვრულ ნაწარმოებებსაც ბევრი ახლი გაუჩნდა. განუკითხობის გამო ნელ-ნელა ერთმანეთში აირია ნამდვილად ძვირფასი და უბრალოდ, ბრჭყვიალა ოვლები. ეპიგონთა წყალობით უსაშველოდ მომრავლდა, ერთი შეხედვით თითქოს ცხოვრებიდან მოსული, მაგრამ სინამდვილეში აშკარად ლიტერატურული წარმოშობის უსიცოცხლო გმირები. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ერთობაშიდ ძნელი ამოსაცნობი ხდება ახალი, იმდენად ისტატურად არის იგი შეხრეულებული. პირდაპარ წალეკილია ლიტერატურული ფურნალების ფურცლები მოთხრობებით და რომანებით, განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებაზე რომაა დაწერილი, სადაც უამრავი ბაბუები და ბებიები არიან, დაკოერილი ხელებითა და დათიფფული ენებით, საკმარისად კოლორიტულნი იერითა და მეტყველებით. საკმარისზე მეტად მოფუსფუსენი და მოლაქლაკენი, თითქოს უშუალოები და ცოცხლები, მაგრამ სინამდვილეში ძხოლიდ ინტერესულნი და ამიტომ მაინც ფიტფლებივით უსიცოცხლნი.

ჯერ ისედაც შესაძრნეკი გახდა აკტიური, დიდი საკმეველი შთაგონებული, მებრძოლი და მოკვდები გმირის ნაკლებობა ეგრეთწოდებული უბრალო გმირებით გატაკებულ თანამედროვე მწერლობაში, ამ ზღვად მომსკდარი ეპიგონების ნაკადით კი, რომელსაც. სამწუხაროდ, ვერ აკავებენ ჩვენი ლიტერატურული ეფრნალები, ხომ პირდაპარ საგანგაშოდ შეიქნა საკმე. ეს მარტო ჩვენი კი არა, საერთო საწუხარი გახდა. ამიტომაც გიისშან ახე ხშირად საკავშირო პრესის ფურცლებზე ენერგიულ გმირს მონატკენული ბმები.

შემთხვევითი არ არის, რომ ისეთ ნაწარმოებებს, სადაც თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი შემართებით, საზოგადო საქმისათვის თავდადებით, დიდი შთაგონებით ჩანს, მხოლოდ ელე გამოძახილი ჭკონდა ალკს არა მარტო კრიტიკოსთა მხრივ, არამედ მკითხველებშიც. თუნდაც მხატვრულად არცთუ დიდ ღირსებები გაანჩდეს მათ. ლიტერატურის უსრულელნი დანიშნულება ძაინც ახალი ტიპის ადამიანის დანახვა და გამოხატვაა, რომელსაც თვით ცხოვრება ჭმნის. დღეგანდელი ჩვენი თანამედროვე ვინც არ უნდა იყოს იგი, ინტელიგენტი, მუშა თუ გლეხი, — ყველაფრით, თავისი ცხოვრების წესითაც, სამუშაო პირობებითაც, იერითაც, აზროვნებითაც, ემოციებითაც კი, თავისი პრობლემებითაც და საერთოდ ყველაფრით დიდად განსხვავდება თუნდაც 20 წლის წინანდელი ადამიანისაგან. ცხოვრებასთან ერთად, რომელიც საოცარი ტემპით მიდის წინ, იზრდება და იცვლება ადამიანიც და ახალი ლიტერატურის გმირიც სწორედ ეს ახალი ადამიანი უნდა იყოს.

ჩვენი დრო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქადაა მონათლული. ეს რომ ხელოვნურად მოგონილი ტერმინი არ არის, ამაში არავინ ეპარება ეჭვი, რადგან თავად ვართ მონმსწრენი და მონაწილენი ამ დროისა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მარტო მეცნიერებაში და ტექნიკაში მომხდარ ძვრებს არ გულისხმობს, იგი მთელი ჩვენი ცხოვრების წესის განმსაზღვრელია, იგი ახალი ადამიანის ტიპის შემქმნელი და ჩამოყალიბებელია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სული მეტნაკლებად ყველა სფეროში ტრიალებს, მოყოლებული კოსმოსის ათვისებიდან საყოფაცხოვრებო ნივთების საკიროების გაგანაგრნებამდე. ეს სული ყველა ადამიანს სწვდება — რაკეტების შემქმნელ მეცნიერსაც და ვენაბის მომვლელ გლეხსაც. სამწუხაროდ, ეს სული ნაკლებ, სუსტად შეიმჩნევა ქართულ მწერლობაში.

სიახლეები, რა თქმა უნდა, შეიძლება ახასიათებდეს და ახასიათებს კიდეც სტილურ ოვალსებურებებსაც და მხატვრულ ხერხებსაც, კომპოზიციურ ავგებულებასაც და უამრავ სხვა რამესაც, რასაც ჩვენ ფორმისეულ სფეროს ვაკუთვნებთ, მაგრამ მთავარი, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, ყველაზე აშკარად შესაგრძნობი და თვალშესაცემი სიახლე, რომელიც ყოველ მომდევნო ლიტერატურას მისი წინამორბედადან გამოარჩევს, ეს არის დროის მიერ მოტანილი სიახლე, სიახლე მწერლის თვალთახედვისა, მისი მსოფლმხედველობისა, მისი მსოფლშეგრძნებისა.

მწერლის თანამედროვე პრობლემები, მისი ხალხის, ქვეყნის, საერთოდ, კეკუნერების ტკივილები და სიხარული, ფიქრი და განცდა, რეალური ეოფა და მისწრაფება — აი, რა განსაზღვრავს, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის სიახლეს, ამის მერე კი სხვა დანარჩენიც — ფრაზისა თუ, საერთოდ, რომანის აგების პრინციპი, მეტაფორის თავისებურება, ბევრთაგან ასე აღიარებული და მოწონებული „ასოციაციური მხატვრული აზროვნება“ თუ სხვა ამგვარები.

70-იანი წლების ქართული პროზა 60-იანის უშუალო გაგრძელებაცაა და ბევრწილად ამაში თვალთახედვის და გამოცდილების მიგებაც და გამეფაენებაც. ეს ყველაზე მეტად და მკაფიოდ არსებითი ხასიათის სიახლეში ჩანს და ისევ გმირის პრობლემას უკავშირდება. ცხადია, შემთხვევითი ხულაც არ არის, რომ სწორედ 70-იანი წლებში გამოჩნდნენ ქართულ მწერლობაში და, საერთოდ, ხელოვნებაში ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირები, როგორებიც არიან ნოდარ დუმბაძის ბაჩანა რამაზშვილი, რეზო ჩხეიძის გიორგი თოლელი, კოსტანტინე ლორთქიფანიძის რაიკომის მდივანი და სხვები. სწორედაც რომ 70-მის მდივანი და სხვები. სწორედაც რომ 70-იანი წლების ჩვენი ცხოვრებით არიან ისინი შთაგონებულნი, სწორედ ამ მოროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ფანკოძეს ღრმადა სწამს, რომ მეტალურგობა ერთი ყველაზე ვეტაკური პროფესია და გულით უუვარს ის ადამიანები, ვინც ამ საპატიო, თუმცა ძნიშვ კაპანს ერთგულად ეწევა. მწერლის ეს რჩევნაცა და სიუკარულიც აშკარად ჩანს რომანში. ეს კი უშუალობას, და მაჯერებლობას, მკითხველზე ზემოქმედების ძალას მატებს ნაწარმოებს. მწერალი ცოცხლად, ინტერესით, სიყვარულით გვიბიკავს მეტალურგიული ქარხნის, მეტიზოდან მარტენის საამქროს ცხოვრებასა და იქ მომუშავე გმირების სახეებს.

ამ რომანის ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ მეტალურგია დაბადული ცხოვრების მთელ სიმძიმეებთან ერთად მის სოციარ რომანტიკასაც გვაგრძნობინებს და გვგრძნობა, ახალ სამეაროს გვიშლის თვალწინ, ახალი ელვარებით გვიბიკავს ჩვენთვის ამ თითქოს ჯაბდეცე ნაცნობ გარემოს. ახლად, ახალი ძალით გვაკვირვებს ამ ვეტაკეცური პროფესიის ადამიანებს.

მეტალურგიიული ქარხნის ცხოვრება „მეშვიდე ცაში" მკოლნე კაცის ისეთი დაკვირვებული თვალთაა დანახული, ამ თემაზე საუბრის გაგრძელება დიდსანს შეიძლება, მაგრამ რომანის მთავარ ღირსებას მისი გმირი ლევან ბიდაშელი წარმოადგენს. ავტორის უუოადეცა ძირითადად ამ გმირისაკენ არის მიმართული და მკითხველსაც ყველაზე მეტად იგი აფიქრებს. რომანის მთავარი სათქმელი, მისი მიზანდასახულობა სწორედ ლევან ბიდაშელის ცხოვრებამ და ხასიათმა უნდა მიგვაბეგვროს. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ლევან ბიდაშელისადმი, ერთი რამ ცხადი, იგი ავტორის ყველაზე თვალნათლივ გამარჯვებაა.

ვინ არის ლევან ბიდაშელი? ეს კითხვა უთუოდ დაგვებადება, როცა გურამ ფანკოძის „მეშვიდე ცას" წაიკითხავთ. ლევან ბიდაშელის ხასიათი, ცხოვრება და ბედი რომანის ჩამთავრების შემდეგაც კიდევ დიდხანს გვაფიქრებს და გვაწუხებს. რადგან მასში გარკვეცა ცოცა ძნელი რამაა. ეს საკმე ისე მარტივად არა წყდება, როგორც ზოგსა მგონია — უარყოფითია. მორჩ. ფ. ფ. გათავდა. არადა, ეფიც დადებინ გმირად მივიჩნევთ მას. ახე ერთბაშად ვერაფინ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ლევან ბიდაშელის სახით უალრესად თავისებურ, ცოცხალ, ქართული ლიტერატურისათვის და. საერთოდ, საბჭოთა ლიტერატურისთვისაც ბევრწელად ახალ, რთული ბიბაკანი სამეაროს მკონე გმირს გვიკეცანით, აქ ხასიათის გამოვლენის ის „სიხოლეც" არ ეგულისხმება, რაც ესოდენ მომძლავრდა პროზაში, ხან საინტერესოდ, უფრო კი ფუჭი პრეტენზიულობით. არა, სუფაც არა. ფორმა ამ ხასიათის გახსნისა სწორედ უბრალოა და მარტივი. მთავარი ის არის, რომ ოვით ხასიათია რთული, ჩამაფიქრებელი. მაინც ვინ არის ლევან ბიდაშელი. ჩვენი თანამედროვე, ინეინერ-მეტალურგი: ბოროტი თუ კეთილი ნების ადამიანი? კარიერისტი თუ შრომის სიხალისითია და მონდომებით სავსე ახალგაზრდა სპეციალისტი? რისი წუუვრელი სტაჯავს: პატიოვნიუვარეობისა თუ ჭარმაგებისა? როგელ გზას ირჩევს ცხოვრებაში: გათელილსა და იოლს, თუ საკუთარსა და ძნელს? რა დამოკიდებულებაშია ის საზოგადოებასთან, საკმაოდ ჯოელთან, რომელთანაც უხდება ურთიერთობა? კომპრომისებით ცხოვრობს, თუ თავის პრინციპებს მისდევს მეკიცედ? ერთი სიტყვით, უამრავი კითხვა გვებადება ამ გმირთან დაკავშირებით და მხოლოდ მათი გარკვევის შემდეგ შეიძლება ვუპასუხოთ კითხვას: ვინ არის ლევან ბიდაშელი?

ლევან ბიდაშელი თავისი ხასიათის ერთი მხრით სწორედ იმ ძალერ პიროვნებათა მხატვრულ სახეებს უკავშირდება, გურამ რჩეულიშვილმა რომ შემოიუვანა ქართულ ახალგაზრდულ პროზაში, მერე კი გურამ ფანკოძის მოთხრობებშიც გამოჩნდნენ. ოღონდ ერთი არსებითი განსხვავებაა მათ შორის: ლევან ბიდაშელი მხოლოდ ხასიათის სიმტკიცით დაემსგავსა მათ, ვეტკაცური გულით კი — ვერა. ისინი მოლიანი პიროვნებები იყვნენ, ლევან ბიდაშელი კი გაორებული და წინააღმდეგობებით სავსე. ლევან ბიდაშელის ადრეული, ერთგვარი ესკიზური ჩანახატი ისევ გურამ ფანკოძე

ლევან ხიდაშელის რთული ხასიათის გახსნისათვის მიეძღვნა. იგი, ალბათ, ღრმად იყო დარწმუნებული (და სავსებით მართებულადაც), რომ „ნეშვეიე ცის“ გამარჯვება თუ მარცხი მთლიანად თუ არა, ბევრწილად მაინც, სწორედ ლევან ხიდაშელზე იყო დამოკიდებული და ამიტომ მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა.

ასეც მოხდა, რომანმა გაიმარჯვა, მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა და ეს ყველაფერი მხოლოდ ლევან ხიდაშელის დამსახურებაა. რომანი კი მოეწონათ, მაგრამ ატეხდა დავა მისი თავისი ბრალი გარშემო. ამაში თავად გმირსაც მიუღია ხელი (რაკილა იგი რთული ბუნებისა და ხასიათის პატრონია) და ავტორსაც, ვინც, ჩემი აზრით, ცოტა აჩქარდა, აქციენტები მთელი რომანის მანძილზე სწორად არ განაწილა, მამხილებელი პათოსით უფრო სწორხაზოვნად, შიშველად და მოგვიანებით გაამდაფვნა.

ლევან ხიდაშელის თავის პრინციპები აქვს, რომელთაც მტკიცედ მისდევს ცხოვრებაში. ის სამყარო, რომელსაც ავტორი საკმაოდ მკვეთრი ფერებითა და დამახასიათებელი შტრიხებით აგვიწერს სარკასტულად, რომელიც საეკვო ფუფუნებებია ჩაფლული, ვისი კეთილდღეობაცა და ბედნიერებაც საკუთარი შრომით არ არის გამიკეთილი, ლევანისათვის ახსოლუტურად მიუღებელია. ლევანი არამცთუ ასეთი საეკვო კეთილდღეობის ხალხს არ სწყალობს, იმათაც დახცინის, ვინც „თითქოს იმიტომ არიან გაჩენილნი, რომ თვითონ არაფერი გააკეთონ და მხოლოდ სხვისი გაკეთებულითონ, სხვისი შექმნილით დასტკბნენ“. ლევანის ამ სიტყვებში, ამ მრწამსში უკვე აშკარად ჩანს, რომ იგი გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ გმირის მცნებას მისდევს. იმ პრინციპებით ცხოვრობს, რომელიც „ალავერდობის“ გმირმა ზამთაუენა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შემოკრებებში.

აი, ასეთად გვეხატება ჩვენ ლევან ხიდაშელი ნთელი რომანის მანძილზე, ვიდრე მისთვის ხაბედნიწერო მოვლენები განვითარდებოდნ. თუმცა, უნდა ითქვას, ავტორი ადრეც მიგვანიშნებდა, ლევან ხიდაშელის ეს თავგამოდებული შრომა და დაუფალავი მოღვაწეობა სულ უანგარო არ უნდა იყოსო. ჩვენ ადრეც ვიტავით მოწამენი ლევან ხიდაშელის ხასიათის ცუდი თვისებების გამოვლინებისა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ საწუენად შეიძლებოდა დაგვრჩენოდა და არა გმირის უარსაყოფად. მწერალი მხოლოდ რომანის ბოლო გვერდებზე ცდილობს, შეგვიქმნას ამდაგვარი განწყობილება. რიცა ქარხანაში მიმხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით ნიღაბს ჩამოგლეჯს თავის გმირს და მის კარიერისტულ, ეგოისტურ ბუნებას გაგვიშიშვლებს.

ლევანი თავიდანვე გამოირჩევა რომანში თავისი გარეგნობითაც და სულიერი წყობითაც. იგი ნიჭიერიც არის, მზრომელიც და წესიერიც, ყოველ შემთხვევაში, იმათთან შედარებით, ვინც თანაც უხდება ურთიერთობა. მწერალი ისეთი ადამიანების ფონზე ვვიკვეთავს თავისი გმირის სახეს, რომ უფრო თვალნათლივ ჩანს მისი ღირსებები.

ერთი კია, ლევან ხიდაშელი ზოგჯერ გვაფიქრებს თავისი სულიერი სიცივით, ყველახა და ყველაფრისადმი მოდგამ ფხიზელი დამოკიდებულებით. უსიყვარულო გულით. იგი ადამიანებთან ურთიერთობაში მეტწილად სამართლიანია, მაგრამ მკაცრი და გულცივი, მხოლოდ ნათიასთან ურთიერთობაში გამოჩნდება, რომ მახაც შესძლებია წრფელი სიყვარული. აქაც ნათლად ჩანს ლევანის კეთილშობილება და ზნეობრივი სიხატკაე. მას მხოლოდ ნათია შეუძლია შეუყვარდეს, რადგან იგი სულიერადაც ფაქიზი და ლამაზია, თორემ შესახედაობით მარინე მინდაე არაფრით ჩამოუვარდება ნათიას.

აი, ასეთია ლევან ხიდაშელი, ვიდრე რომანის ფინალში მწერალი ერთბაშად ხმა კუთხით არ დაგვანახვებს თავის გმირს. როგორც ბოლოს ირკვევა, წწერლის ჩანაფიქრით, ლევან ხიდაშელის მამოძრავებელი სტიმული, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ძლიერი სტიმული, მის პატივმოყვარეობასა და კარიერისტულ სწრაფვაშიც უნდა ვეძიოთ, ამიტომაც დაატეხა თავს რამდენიმე მძიმე განსაცდელი, რომ გმირის ეს ქვეს გრძნობები ჩვენთვის სანინო გიეხადა. მაგრამ, ჩემი აზრით, ავაც ცოტა აჩქარდა, მწერალი მაშინაც ჩქარობდა, როცა ლევან ხიდაშელის ალზეშეგვიგზავნა და სულ მცირე დროში მას თავბრუდამხვევი კარიერა გაკეთებინა. მაგრამ იქ მაინც უფრო დამაჯერებელი იყო ავტორი, რადგან ბუღმოგანდენდ გვიხსნიდა ლევანის პიროვნებას და ასეთი მიზანდასახულობის თუ თვისებების ჩქარე ძლიერი ახალგაზრდისათვის, მართლაც, თითქოს შეუძლებელი არაფერი უნდა იყოს. ფინალში კი ეს მამხილებელი პათოსი ისე დამაჯერებლად ალარ ეფერის, რადგან მწერალი ჩქარობს, ნიღაბი ჩამოხადოს თავის გმირს და მალე დაგვანახოს, თუ ამ მოძალებულმა ეგოისტურმა გრძნობამ და დიდი ხნის წინ დაბუდებულმა კარიერისტულმა სწრაფვამ რა სულიერ სიმდაბლეამდე და მერე კი სრულ კრახამდე მიიყვანა იგი. ამიტომაც მგონია, რომ რომანის ფინალს ისე გულმოდგინედ ალარ მოეკიდა ავტორი.

ლევანი წარმატებისაკენ მანიაკალურად ისწრაფვიდა. ამან დააკარგვინა ადამიანების სიყვარული და ეგოცენტრიკი გახადა. მაგრამ არც ოფის უარყოფა შეიძლება, რომ ლევანს მხოლოდ დამსახურებული, შრომითა და გარჯით მოპოვებული წარმატება უნდა და ამაში ისეთი მკრეხელური არაფერია, რომ უკანასკნელმა მეგობრობაც მიატოვოს.

სულ მარტოდ დარჩენილი ლევანი კიდევ ერთ განსაცდელს გადაეყრება. უზომოდ მთვრალ

ლევანს მინდაძეების ასული ერთი ღამით ჩაიგდებს ხელში და დაუნგრევს იმ ერთადერთ, დიდ სიყვარულს, ნათიასადმი რომ აქვს. მორალურად გასაგებულია ლევანს ერთი ხიფათიღა ელის და მწერალმა არც იგი დაიკლო. ნათიას სიყვარულით აფორიაქებული, წერას ალბანელი ლევანი მაწკანით ელექტრონის ბოძს შეიახლდება.

გურამ ფანჯიკიძე რომანის წინათქმაში წერს: „ეკაი ვერასოდეს ბედნიერად ვერ იგრძნობის თავს, თუ მისი ცხოვრება და საქმიანობა ადამიანების სიყვარულით არ არის გაფდენილი".

ამაში უთუოდ უნდა დავთანხმოთ ავტორს. ლევან ხიდაშელის მთელი უბედურებაც სწორედ აქედან მოდის. მას დიდი და წრფელი სიყვარული უყვარს ნათია, მაგრამ სხვებთან აკლია ეს ადამიანური გრძნობა. იგი მხლოდ გონებით ცხოვრობს და გულს არასოდეს არაფერს ეკითხება. აი, ესაა მისი ყველაზე მთავარი ნაკლი და მინდა ვირწმუნო, რომ ნიფფოს გადარჩენილი ლევანი ამასაც მიხვდება (თუ არ მიხვდა უკვე, მას ხომ აგონიაში მყოფს ნათია და მეგობრები დაუდგებიან თავლწინ) და მაშინ იგი ყველა განსაცდელს დასძლევს.

●

ახალი გმირის თვალსაზრისით, და, საერთოდაც, ქართული მწერლობის ფრიად საინტერესო და ინიშვნელოვანი ნაწარმოებია ლადო მრელაშვილის რომანი „ყაბახი". რომანიცა და მისი ემორეცხიკა უფრო იქნებ ტრადიციულნი და სიახლეს მოკლებულნი მოგვეჩვენონ, მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებათ შეიძლება მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, აქ ახალი, სხვა ყველაფრის გარდა, იმასაც მიგვანშნებს, რითაც დაუპირისპირეთ ერთმანეთს 60-იანი და 70-იანი წლების მწერლობა.

„მეშვიდე ცისა" არ იყოს, „ყაბახიც", ასე ვთქვათ, გარდამავალი ნაწარმოებია, თავისი სულისკვეთებით და ფაქტურით 70-იან წლებს უფრო ეკუთვნის. თუმცა რომანის 1 წიგნი ჯერ კიდევ 60-იან წლებში გამოქვეყნდა, იგი სრული სახით უფრო გვიან მიიღო მკითხველმა.

ლადო მრელაშვილი არ იყო 60-იანი წლების „მღელვარე" ცხოვრების მონაწილეი. მას საკუთარი, შედარებით მშვიდი გზა ჰქონდა და აქვს ქართულ მწერლობაში. იგი „მაცდუნებელნ" სიახლეებს არ აძუვი და საბჭოთა მწერლობაში თავიდანვე კარგად გამოკვეთილ ტენდენციას მიჰყვება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოციალური რომანის ერთგული დარჩა. ამ ეპარის უამრავი მიმდევარი ჰყავს. ბევრმა შეეცადა მას პრეტენზია, როცა სოციალური პრობლემების აქტუალობის ფარით მხატვრული უსუსურობის ნაღუფები შემოგვთავაზა. ბევრი ვერც აქტუალურ პრობლემებს აგნებდნენ და მხლოდ ეპარის მნიშვნელოვანებით ცდილობდნენ ფიქსირებულ ...ლას. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ეკუშარიტად დიდი მნიშვნელობის, მასშტაბური, შეიძლება ითქვას, კლასიკური ნაწარმოებები დაიწერა სოციალური რომანების სახით, — მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს.

„ყაბახი" ვრცელი ეპიკური ტილოა, სადაც ქართული სოფლის ცხოვრება მთელი სისავსით, სიმძაფრით, ცოცხლად და მსუქე ფერებითაა დახატული. რომანში უამრავი პრობლემაა წამოჭრილი, რაც კი ჩვენს კლეტიანის ახარებს თავ აუწუხებს, და იმდენად ფართო პანორამა იშლება. მკითხველის თვალწინ, შეიძლება ითქვას, იგი ერთი მართალი მხატვრული მატიანეა 30-60-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრებისა.

ნათელია, რომ დღეს, როცა ქართველი საზოგადოებრივია ასე გულწრფელად და ხმამაღლა ლაპარაკობს უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე დანერგილ სიმახინჯეებზე, ლადო მრელაშვილის „ყაბახის" მამხილებელ პათოსს ნაკლებად ვიხსენებთ. რომანში აწერილ ის წლებია გაცოცხლებული, როცა თავი ჩანაც ყველა იმ ინფექციურობა სენმა, ასეთი ნაბიჯი გავრცელება რომ ბოცა შემდგომ და დღეს ჩვენი შეშფოთების. წუხილის, ბრძოლის საგნად იქცა. საზოგადოებრივი ხაკმისადმი გულგრილობა, მომხვეჭელობა, კარიერიზმი, მეკრეთებლობა, თვითნებობა, უკანონობა და ბევრი სხვა უბედურება, რაც ჩვენში ხდებოდა იმ წლებში ჯაიდა ფესვები და ეკიე აწარადად ალეკო ტანი, ლადო მრელაშვილმა მოკლეკეთრივი გამბედაობით წარმოაჩინა და ამხილა.

უნდა აღინიშნოს, რომ საინგილო, რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ არც თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოხვდა და არც ირანის. იგი ამ დროს ფაქტიურად რჩებოდა ისეთივე თავისუფალი თემების შემაცველ კვეყანად, როგორადაც ის მე-17-18 საუკუნეებში იყო ცნობილი. აქ ისევ არსებობდა შემდეგი მსხვილი „უბატონო თემები": ჯინიხის, ბელაქნის, კატეხის, თალას, შუხახის. ჭარის და ერთი ელისუს სასულთნო. ეს ორი უკანასკნელი, დანარჩენ თემებთან შედარებით, უფრო ძლიერ პოლიტიკურ ერთიულად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ამ სამოსახლო პუნქტებს ქართული სახელები ერქვა, მაგრამ მე-17-18 საუკუნეებში აქ ჩასახლებულმა დაღესტანის ლეკებმა სოფლებს ქართული სახელები ლეკური ტოპონიმიკით შეუცვალეს.

საინგილოს ზემოჩამოთვლილი თემების მიმართ ჩვენი სიტყვა „უბატონოს" პირობითად ვხმარობთ.

მე-17-18 საუკუნეებში საინგილოში ჩამოყალიბებულ „თავისუფალ უბატონო" თემებში ბატონებიც იყვნენ და უმა-ბელეხებიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეში ბატონებად (ფეოდალებად) არ ისხდნენ ადგილობრივი მკვიდრი ქართველი-ინგილოები. ბატონებად აქ იყვნენ დაღესტნიდან ჩამოსახლებული შამთაბარე ლეკები (ავარიელები. წახურელები), რომლებიც მე-15 საუკუნეში ქართველ შენლებულ ელეხებს დაკირავებულ მუშებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგებოდნენ, შემდეგ მოიჯარადრეებად და, ბოლოს, მე-17 საუკუნეში, როცა ლეკთა პერმანენტული თავდასხმების შედეგად კახეთის სამეფო დასუსტდა, გამდიდრებულმა ლეკებმა ქართველთა მიწები ჩაიგდეს და ქართველი მოსახლეობაც, ინგილოები, ყმებად აქციეს. ეს ძალადობრივი სოციალური აქციები მალე (მე-18 საუკუნის 20-ან წლებში), კანონიერად ცნო ოსმალეთის (თურქეთის) სულთანმა და ფირმანებით დაუმტკიცა ლეკ ბატონებს ინგილოებისგან მიტაცებული მიწები. ახეთივე ფირმანები (სიგელები) მოსდიოდათ ლეკ ფეოდალებს ირანის შაჰებისგან.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ საინგილოს გგბატონებული კლასის წარმომადგენლები: ლეკი სულთნები (ფეოდალები), ბეგ-ალა-ლარები, მოლები, ხოჯები და სხვა მტრულად განეწყვნენ რუსეთის ხელისუფლების მიმართ. მათ იცოდნენ, რომ საინგილოს რუსეთთან შეერთების შემთხვევაში დაკარგავდნენ დამოუკიდებელი მმართველობის უფლებებს, ასეთი ჩანაფიქრი, რა თქმა უნდა, რეალობას მოკლებული არ იყო.

ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ საინგილო რუსეთისათვის გახდა კავკასიის ერთ-ერთ მოუთვინიერებელ მხარედ. იქ თავშესაფარს პოულობდნენ რუსეთის ხელმწიფისგან განაწყენებული ბაგრატიონების შთამომავლები და ანტირუსული მიმართულების ქართველი თავადები. საინგილოში გაჩენილ ამ ანტირუსულ განწყობილებას კი ადვილად იყენებდნენ რუსეთის ტრადიციული მტრები: თურქეთი და ირანი — აჯანყებდნენ ხალხს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს ისტორიული პროვინცია „საინგილოო“ — ასეთი სახელწოდებით არ იხსენიება არც აღმოსავლურ, არც რუსულ წყაროებში. XIX საუკუნის რუსი ხელისუფალნი კახეთის ამ ძველთაძველ მხარეს უწოდებდნენ ქარ-ბელაქნის ოლქს. ეს იმიტომ, რომ ამ ორ ძლიერ თემს ჰქონდა დამორჩილებული საინგილოში არსებული ყველა ექვსი თემი. ამათგან ყველაზე ძლიერი თემი ქარი იყო. დროდადრო ქარის მორჩილებაში იმყოფებოდა ელისუს სასულთნოც. მე-18 საუკუნეში ქარელები ისე გაძლიერდნენ, რომ მთელი კავკასია შეძრეს: ქართლ-კახეთის სოფლების გარდა, ქარელები თავს ეხმაოდნენ და ძარცვავდნენ ჩაჩრიბაიანის სახანოსაც. იყო შემთხვევები, როცა ქარელთა თვითნებობის ასალაგმავად ქართლისა და კახეთის მეფეებს ირანის შაჰებიც ეხმარებოდნენ ჯარებით. მათ არაერთხელ სასტიკად აუოხრებიათ ქარელები. მაგრამ კახეთისა და ირანის ჯარების წასვლისას ტყიან მიწებში ოჯახებიანად შეხიზნული ქარელი ლეკები ისევ უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფლებს. ხშირად რუსეთის წყაროები საინგილოს ქარის პროვინციის სახელწოდებითაც იხსენიებს.

საინგილოში, ანუ ქარ-ბელაქნის თემებში, მართვა-გამგეობა 1830 წლამდე (რუსეთთან შეერთებამდე) სოფლის მამასახლისების ხელში იყო. მამასახლისები იკავებენ ტარდაცალად დადგენილი სახეობრივ საგვარეული არისტოკრატიის წარმომადგენლებნი!

„ქარ-ბელაქნის თემებში — წერდა 1826 წელს საინგილოში ნამყოფი რუსი მოხელე, — მამასახლისობა შერჩეული გვარების სასაკიო მოკალეთობად ითვლებოდა და მემკვიდრეობით გადადიოდა. ასეთი გვარი ქარ-ბელაქნის სამფლობელოში იყო თორმეტი“ (იქვე).

მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსული წყაროები ქარ-ბელაქნის ძირძველ მოსახლეობას ინგილოებს უწოდებს. „ეხლნი შედგებენ ქარის სამფლობელოების მოსახლეობის ერთ მესამედს და ბასაოლიად შრომისმოყვარენი არიან. ინგილოები, ადგილობრივი მოლების შიშით, ჩუმად აღიარებენ თავიანთ მამამაპურ სარწმუნოებას — ქრისტიანობას. მიუხედავად იმისა, რომ გგბატონებული ლეკების მიერ ინგილოების სოფლებში დაყენებული მოლები მკაცრად ადევნებენ თვალყურს ინგილოთა მიერ მამამდანაური რელიგიის წესჩვეულებების შესრულებას, ინგილოების ნახევარზე მეტი მაინც ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს მალულად“ (იქვე).

საინგილოს „უბანკონო თემები“ ცხოვრობდნენ კახეთიდან დადესტანში გამავალ გზებზე. ხოლო დადესტანი 1801 წ. რუსეთს ჯერ კიდევ არ დაეპყრო. ამის გამო ქართლ-კახეთში ახლად შემოსული რუსეთის ჯარები ადვილად მოწყდებოდა იმპერიასთან დამაკავშირებელ სამხედრო ცენტრებს, თუ რუსეთს მტრად აეშლებოდა მის ზურგში, საინგილოში (ქარ-ბელაქანში) ჩასახლებული ლეკთა გგბატონებული კლასი. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრე პირველმა გენერალ ავალ ციციანოვს (ციციშვილი), 1803 წელს კავკასიის მთავარმართებლად რომ დანიშნა, ქარ-ბელაქნის ლეკების საბოლოოდ დამორჩილება დაავალა

ციციანოვმა გამართა მიწერ-მოწერა ქარ-ბელაქნის (საინგილოს) თემების მამამდანაან მამასახლისებთან. ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ ციციანოვი იცნობდა საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის წარსულს.

გენერალმა ციციანოვმა მრისხანე წერილები გაუგზავნა ქარ-ბელაქნის მამასახლისებს, სადაც ის უბრძოლველად დანებებას ბრძანებდა. გენერალი ქარ-ბელაქნის მამასახლისებს აგებინებდა, 1801 წლიდან ქართლ-კახეთი რუსეთის ფფლობელობაშია და ქარ-ბელაქანიც, როგორც ქართლ-კახეთის უოფილი პროვინცია, უნდა დაუბრუნდეს ქართლ-კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთ, რომელიც ძალით მიიტაცეს თქვენმა წინაპარმა ლეკებმა გასულ საუკუნეშია.

ციციანოვი საინგილოდან !საშშვიდობო დეპუტაციას ელოდა, მაგრამ დეპუტაცია არ ჩანდა.

განრისხებულმა გენერალმა საინგილოს ცოლების ზარბაზნებით დანგრევა და მოთხოა ბრძანა. 1803 წლის 27 მარტს ციციანოვმა ზარბაზნების გრიალით საინგილოს ერთ-ერთი მთავარი ციხე ბელაქანი აიღო. ჭარ-ბელაქანს უველაზე ძლიერი თემის — ჭარის მამასახლისებმა 12 აპრილს ციციანოვს თბილისში გამოუგზავნეს დეპუტაცია უბრძოლველად დანებების შესახებ. ჭარის თემის დანებების შემდეგ დანარჩენი 5 თემის მამასახლისმაც მალე გამოგზავნა დეპუტაცია მორჩილებაზე. მორჩილებაზე დეპუტაცია გამოგზავნა, აგრეთვე, ელისუს სულთანმაც.

ციციანოვმა ჭარ-ბელაქნის ახე ადვილად დაპყრობის მომენტი გამოიყენა იმისათვის, რომ ამ მხარის მამასახლისებთან ჭკვიერდომობითი ხასიათის ხელშეკრულება გაეფორმებინა. ეს სულ რამდენიმე დღეში მოხერხდა. 1803 წლის 17 აპრილს, ციციანოვმა რუსეთის ხელმწიფის სახელით საინგილოს მამასახლისებთან და ბეგ-ალაღლარებთან ჭკუშვერდომობითი ხელშეკრულება გააფორმა. ეს ხელშეკრულება რუსეთ წყარიოებში ტრაქტატის სახელწოდებით იხსენება.

ამ ჭკუშვერდომების პირობით რუსეთის ხელმწიფე გვეუფლინება ჭარ-ბელაქნის მამასახლისების უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლად. ჭკუშვერდომობის პირობა 11 შუბლისაგან შედგება.

ციციანოვმა სცადა ინგილოების ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მისწრაფება. ამ მხარეში რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის გამოეყენებინა. ამიტომაც, ჭკუშვერდომობის ერთ-ერთ პირობაში (შუბლი 9) ნათქვამი, იყო, რომ ჭარ-ბელაქნის მამასახლისები ვალდებულებას კისრულობენ, არ დაუშალონ ქართულ მოსახლეობას (ინგილოებს), აღიარონ ქრისტიანობა (იქვე, ტ. 11, გვ. 886). ამით რუსეთის მთავრობამ აგრძნობინა ინგილოებს, რომ ძლიერი რუსეთის ხელმწიფე მფარველი იქნებოდა ჭარ-ბელაქანში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისა, თუ ისინი დაიცავდნენ ქრისტეს სარწმუნოებას. რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ მაჰმადიანი დაღესტნის კარიბეკესთან მდებარე ჭარ-ბელაქნის სამოლოდ დამორჩილებას ჯერ კიდევ ბევრი გართულება მოუვლენდა, ამიტომ იგი ინგილოების სახით მოკავშირეს ეძებდა ამ მხარეში გაბატონებულთან მაჰმადიანი ლეკ-ალაღლარების წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში.

მეფის მთავრობა, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანობის, მაღიარებელი სახელმწიფო, ხალისით ეკიდებოდა ჭარ-ბელაქნის ქართულ მოსახლეობაში (ინგილოებში) მაჰმადიანობიდან ქრისტიანულ (მართლმადიდებელ) სარწმუნოებაზე დაბრუნების საკითხს.

მეფის მთავრობას აქტიურად ამოუდგა მხარეში ქართული ეკლესია. ეს დასტურდება საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის დოკუმენტებით.

როგორც ამ კანცელარიის დოკუმენტებიდან ჩანს, საქართველოს საეგზარქოსოს საინგილოში მცხოვრები ხალხების სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესწავლა კახეთის სასულიერო პირებისაგან ჰქონდა დავალებული.

1817 წლის ერთ-ერთი დოკუმენტი მოიცავს სიონელიანა და ქაზიფის მიტროპოლიტის მოხსენებას, რომელიც საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტე რუსანოვს წარდგენია. მიტროპოლიტს, როგორც ჩანს, გულდასმით შეუსწავლია საინგილოს სარწმუნოებრივი მდგომარეობა. იგი ეგზარქოსს აუწყებს ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენი ეკლესია არიან ინგილოებზე, ვის ემორჩილებიან ისინი და როგორ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ინგილო ეკლესები ჭარის და ელისუს ლეკ-ბეგებთან, საინგილოს რომელი ნაწილი ემორჩილება ჭარის ბეგებს და რომელი ნაწილი ელისუს ბეგებს.

მიტროპოლიტის მოხსენებიდან ჩანს, რომ 1817 წელს მთელ საინგილოს სამი პოლიტიკური ერთეულისაგან შედგებოდა. ესენია: ენისელის (ახლანდელი ალიანთა), ელისუს და კოკის უბნები. პირველი შედგიდა ჭარის ბეგების მფლობელობაში, ხოლო ორი უკანასკნელი ელისუს სულთნის (საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 188, ანაწერი №1, საქმე №1188, ფურც. 3).

მიტროპოლიტი ურჩევს ეგზარქოსს, რომ თავდაპირველად საჭიროა ჩვენი მხრიდან (ი. ი. საქართველოს საეგზარქოსოდან) მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელება ელისუს და კოკის უბნების სოფლებში. იკარი სულთანი უნდა დავარწმუნოთ, რომ მის მფლობელებისა შემაკალ სოფლებში ქრისტიანობის გავრცელება სახარებელი იქნება მისთვის. მე მგონია, — დასძენს მიტროპოლიტი, — რომ ელისუსა და კოკის უბნების მფლობელი სულთანი ვერ გაბედავს წინააღმდეგობის გაწევას ქრისტიანობის გავრცელების შემთხვევაში, რადგანაც სულთანი არ არის მაჰმადიანეც ძლიერი მფლობელი ამ მხარეში (საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 188, ანაწერი №1, საქმე №1184, ფურც. 2). სიღნაღისა და ქიზიკის მიტროპოლიტს ეურჩევდა, ქრისტიანობის გავრცელებაში წინააღმდეგობა საინგილოს ენისელის უბნის სოფლებშია მოსალოდნელი, რადგანაც ეს სოფლები იმეოფებიან ჭარის ძლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი ბეგების მფლობელობაში და შეიძლება მათი შიშით ინგილო გლეხებმა თავი შეიკავონ გაკრისტიანებაზე. გაკრისტიანების დროს მიტროპოლიტი იოვანე ჯარების გამოყენებასაც ურჩევდა საქართველოს ეგზარქოსს (ხაქ. ცსია, ფონდი 488, ანაწერი № 1, საქმე № 133, ფურც. 3).

იოვანე მიტროპოლიტი მიერ საეგზარქოსში 1817 წელს ამ მოხსენების წარდგენის შემდეგ მალულად დაიწყო ქრისტიანი მქადაგებლების გაგზავნა საინგილოში.

საქართველოს საეგზარქოსოს პროპაგანდის შედეგი, რომ ხუთი წლის შემდეგ, 1822 წელს, სოფელ კაკიდან თბილისში ჩამოვიდა ინგილოების დეპუტაცია გაკრისტიანების საკითხზე, რასაც აქტიურად გამოეხმაურნენ ოროგრაც კაკალისის მაშინდელი უმაღლესი ხელისუფლება, ისე საქართველოს ეკლესიის უმაღლეს მესვეურთა წარმომადგენლები. ანნა-ზნუელ წელს, ეგზარქოს ვასილეესკის სიონის ტაძარში მოუნათლავს საინგილოს სოფელ კაკიდან (კახიდან) ჩამოსული დეპუტაცია (6 კაცი). ეგზარქოსს იმავე წელს (1822) სოფელ კაკში გაუგზავნია მღვდელი მიხეილ ნაცვლიშვილი ინგილოების მოსახლეობად. ამ მღვდელს, კაკში ჩასვლის იმავე ღამეს 17 კაცი მოუნათლავს.

მაგრამ მეფის მთავრობის მიერ საინგილოს ქართველი მოსახლეობის მიმართ დაწყებულ ამ ქრისტიანულ პროპაგანდას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. იგივე სპუტნიკი გვაუწყებს, რომ სოფელ კაკში მღვდელ მიხეილ ნაცვლიშვილის ჩასვლის დღეს გამოცხადებულა კაკის სულთნის შვილი ალბაზი და ინგილოებისათვის სასტიკად აუკრძალავს მონათვლა.

საინგილოში, ანუ ჭარ-ბელაქანში, XIX საუკუნის 20-იან წლებში მეფის მთავრობის საეკლესიო პროპაგანდის წარუმატებლობა შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას. ჯერ ერთი, ჭარ-ბელაქანის „უბაბონო" თემებში მცხოვრები ქართველობა (ინგილოები) დამორჩილებული ყოფილან მაჰმადიან ლეკ მებატონეებს, რომლებიც მოლების საშოელებით სასტიკად უკრძალავდნენ ინგილოებს გაკრისტიანებას, რადგან მაჰმადიანის მიერ ქრისტიანის დაბეგვრა აკრძალული იყო რუსული ქრისტიანული საეკლესიო დებულებით. მაშასადამე, მაჰმადიანი ლეკი მებატონე ვეღარ იყოლიებდა „ეშორ" დამოკიდებულებაში ინგილო გლეხს.

მეფის მთავრობის საეკლესიო პროპაგანდის წარუმატებლობის მეორე მიზეზი საგარეო ფაქტორი უნდა აიხსნას: XIX საუკუნის 20-იან წლებში ჭარბელაქანი (საინგილო) ჯერ არ ითვლებოდა მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ ერთეულად. საინგილო ამ დროს მეფის რუსეთის მიმართ საქვეშევრდომო დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რაც მეფის მთავრობას უნებლიეთ აიძულებდა, თავი შეეკავებინა ჭარ-ბელაქანის შინაურ საქმეებში აქტიური ჩარევისაგან. 1808 წლის ქვეშევრდომობის ერთ-ერთი მუხლის პირობით რუსეთს უნდა დაეცვა ჭარ-ბელაქანის შინაგანი მმართველობის დამოუკიდებლობა. ამავე კეშევრდომობის მე-9 მუხლი. მართალია, ლაპარაკობს ინგილოების სარწმუნოების თავისუფლებაზე, მაგრამ ეს მუხლი მეფის მთავრობას იმის უფლებას არ აძლევდა, რომ საინგილოში მღვდლები ჩაეყვანა და ორგანიზებული წესით გაეკრისტიანებინა მოსახლეობა.

ასე, რომ XIX საუკუნის 20-იან წლებში მეფის მთავრობის მიერ ჭარ-ბელაქანში წაწყებულმა საეკლესიო პროპაგანდამ საკმე ჩაიშალა. 1822 წელს კაკალისის მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი იყო. მას გაუფრთხილებია საქართველოს ეგზარქოსი იოანე ვასილეევსკი, რომ ალარ გაეგზავნა ჭარ-ბელაქანში მღვდელი ინგილოების მოსახლეობად. ერმოლოვს ეგზარქოსისათვის განუცხადებია: „სანამ ეგ მხარე (ჭარ-ბელაქანი, ანუ საინგილო) არ არის შემოერთებული ჩვენს იმპერიასთან, მანამდე ინგილოების გაკრისტიანების საქმეში ყოველთვის მარცხი მოგველის" (იქვე).

1801 წლიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა აღმოსავლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა, ინგილოებს ისლამის ირანმბებისაგან დახსნის იმედი აღეძრათ. 1803 წელს როცა კაკალისის მთავარმართებელი გენერალი ციციანოვი რუსთა და ქართველთა პოლკებით საინგილოში მცხოვრები ლეკი ფეოდალების მთავარი საბუდრის ბარის ციხის ასაღებად გაეგზავნა, ჭარელები უბრძოლველად დანებდნენ ციციანოვს, გენერალმა ბრძოლის შეწყვეტა ბრძანა, მაგრამ გამძვინვარებულ ქართველთა პოლკს ლეკებთან ბრძოლაში ჩაბმის დიდი სურვილი ჰქონდა. ქართველების უნდოდათ, ხმლებით აეკუწათ მოძმე ინგილოების მჩაგვრელი ლეკი ბატონები.

ინგილოების მიმართ რუს-ქართველთა მხედრების ამ მხურვალე მხარდაჭერას ინგილოებიც შეეხლებისდაგვარად აფასებდნენ. ისინი ხალხით იმდიდნენ გადასახადს: აბრეშუმს, ხორბალს, ქერს, ქვეშევრდომობის პირობით რომ იყო დაწესებული.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მეფის რუსეთმა თურქეთი და ირანი დაამარცხა კავკასიის ფრონტებზე და ამით თითქმის დაამთავრა ამიერკავკასიის პროვინციების შემოერთება; 1828 წელს ირანთან დადებული თურქმანჩაის ხელ და 1829 წელს თურქეთთან დადებული ადრიანაპოლის ზავით, ამ ხახელმწიფოებმა თით ქმის მთელი ამიერკავკასია იერიდიოლად ცნეს რუსეთის საკუთრებად. ამის შემდეგ მეფის რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთ საშუალება მიეცა ეზრუნა ხაინგილოს შემოერთებაზე.

1827 წელს ერმოლოვი გაიწვიეს კავკასიიდან. მის მაგიერ კავკასიის მთავარმართებლად და კავკასიის ჯარების სარდლად ნიკოლოზ I-მა გენერალი პასკევიჩი დანიშნა.

1880 წელს 24 თებერვალს პასკევიჩმა რუსთა ჯარით გადალახა ალაზანი და დასპარკად სოფელ შუალნოში. 25 თებერვალს კ მასთან გამოცხადდნენ ჯარბელაქნის ლეკთა ყველა „თავისუფალი თემებიდან“ მამასახლისები, რომელთაც პასკევიჩმა თოფლი რიგი ბრალდებები წაუყენა. მათ შორის ისიც, რომ ისინი ავიწროებდნენ დამორჩილებულ და დაბეგრილ ქართველ გლეხებს (ინგილოებს), ხელს უშლიდნენ მათ ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებაში და სხვა; მაგრამ ახლა დადგა დრო — მუქარის ტონით აუწყებდა პასკევიჩი ჯარელებს, რომ ბოლო მოეღოს ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ ბორკმოქმედებას. ჯარ-ბელაქნის მხარის ერთადერთი ხსნა ამგვარად მდგომარეობს იმაში, რომ მათ უსიტყვოდ მორჩილება განაცხადონ და შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. (ესაკ. ტ. VII, გვ. 489-448).

პასკევიჩის ამ დეკლარაციაში ჩანს ერთი მხრივ, მუქარა ჯარ-ბელაქნის გაბატონებული კლასის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარ, ჯარ-ბელაქნაში მცხოვრებ ინგილოთა მფარველობა. ეგენერალმა ამით ისიც შეიძლო, რომ სამტროდ გადაეკიდებინა ჯარ-ბელაქნის ლეკები და ინგილოები ერთმანეთისათვის და ამ გზით გაეადვილებინა კავკასიის ამ მეტად სტრატეგიული მხარის ხანლოო დამორჩილების საქმე.

ჯარ-ბელაქნის ეკვნისე „თავისუფალმა თემმა“, რომელიც ხაინგილოს ტერიტორიაზე ალმოცენდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, 1880 წელს თავისი არსებობა შეწყვეტა.

რუსეთის მეფის მთავრობამ ჯარ-ბელაქნის „თავისუფალი თემების“ და ელისუს სასულთანოს ტერიტორიისაგან შექმნა ახალი ოლქი, რომელსაც ეწოდა ჯარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი: აქ, კავკასიის სხვა შემოერთებული სამთავროების მსგავსად, რუსული მმართველობა დამყარდა.

მეფის მთავრობა ჯარ-ბელაქნისათვის შექმნილი ახალი მმართველობის ერთ-ერთ მუხლად აღნიშნავს, იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ინგილოების ლეკ-ალაზარებისაგან შეიყენოებას და კანონს ძალით მოითხოვს, რომ ამ მდგომარეობას ბოლო მოეღოს. ეს ეჭრი სათანადო მუხლით ასეა ფიქსირებული: „1808 წ. ჯარელებთან დადებული ხანშეიდწლიანი ტრაქტატის მე-8 მუხლის მიხედვით მათ (ჯარ-ბელაქნის და ელისუს სასულთანოს ლეკ-ბეგ-ალაზარებმა — ვ. ტ.) სხვათა შორის იკისრეს ხელი არ შეეშალათ ქართული სოფლებისათვის (ინგილოებისათვის) ქრისტიანული რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლად აღიარებაში. მაგრამ ამისდა საწინააღმდეგოდ, ჯარელებმა ინგილოებს აუკრძალეს ეკლესიების შენება და ქრისტიან მქადაგებელთა მიღებაც. ამგვარი შეკიწროვების შედეგად ინგილოები, იაკენენ რა წინათ ქრისტიანები, თანდათან გადაგვარდნენ მაჰმადიანებად. უნდა დაწესდეს მათ შორის ქრისტიანული რელიგიის რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფალი დაცვა და ამ საკმეზე ახლავე გამოძახებულ იქნენ თბილისში საკართველოს ეგზარქოსთან მსურველები მართლმადიდებლურად მონათლილათვის. ამ საკმეს ალმოჩენის მთავრობის მხრიდან ყოველგვარი საშუალება და მფარველობა“ (მუხლი 6), (ესაკ. ტ. VII, № 880 — იხილეთ: „წესდება ჯარ-ბელაქნის ოლქის მმართველობისათვის“).

მეფის კანონმდებლობამ სათანადო მუხლით დაადგინა, თუ ვინ არიან ჯარ-ბელაქნის გაბატონებული და დამორჩილებული კლასები, განსაზღვრა მათი უფლება-მოვალეობანი. ამ გზით მეფის კანონმდებლობა ცდილობდა ერთგვარი წესრიგი დიმუარეზინა მუდამ მელეგარე და მოუთვინერებელი ჯარ-ბელაქნის მხარეში. ეს ლონისძიება სათანადო მუხლით ასეა ფიქსირებული: „ჯარის პროვინციაა ახლანდელი მდგომარეობისდა მიხედვით განაყოფება 2 კლასად გაბატონებული ლეკებისაგან, რომელნიც ჩვენს (რუსეთის) მიმართ ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილნი და ამ მიერ ოდესღაც დამორჩილებული ქართველებისაგან, რომლებიც ლეკებმა — სხვადასხვა შემავიწროებელ ღონისძიებათა გზით გამამაძღარიან და რომლებიც მხოლოდ სარწმუნოების მიზეზის გამო ჩვენი მომხრენი უნდა იყვნენ. ამიტომ თავრობის მიზანი უნდა იყოს: ამ უკანასკნელი კლასის წარმომადგენელთა (ინგილოების — ვ. ტ.) მომხრეობის შენარჩუნება მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით და ამით მტრული ლეკების ბატონობის შესუსტება. ამ პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, დაუფუძნებლივ გარეკეულ ჯარის, და სხვა თემების უფროსთა და წარჩინებულთა უფლებანი ამ მხარის ქართული სოფლების მმართველლებში, რომ ამ სოფლების მცხოვრებლებმა — ინგილოებმა უსაფრთ თავიანთ ლეკ ბატონებს კომლობრივი გადასახადი ისე, რომ არ დაიბეგრონ ლეკი მეპატონეების მიერ თვითნებური გადასახადები. ეს გადასახადები უნდა შეგროვდეს სოფლის უფროსობასთან, რომელიც გასცემს შესაფერის ქვითრებს. არადროული გადახდის შემთხვევაში პირადად ისინი (მეპატონენი, — ვ. ტ.) ვერავითარ იფულებით ღონისძიებას ვერ მიმართავენ (მუხლი 7) (ესაკ. ტ. VII, № 880, იქვე).

როგორც ვითარებიდან ჩანს, რუსეთის მეფის მთავრობამ ხაინგილოს ოკუპაციის გამარტივე ბისათვის ოსტალურად გამოიყენა თავიანი ნაცადი ხალელსიო, ანუ რელიგიური პოლიტიკა.

# შალვა დავითაშვილი

## მისი სიცოცხლის არსი

ზვიადი მთებითა და მწვანე ტყეებით გარშემორტყმული ქალაქი ონი, ოდითგანვე დიდი კულტურული და ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქია.

ონი — მზეს ნიშნავს და მართლაც მზე უხვად დადგრილა ირგვლივ. არავინ უწყის ვინ იყო მისი პირველი მესაძირკველე და აღმაშენებელი. ძველად აქაც გადოდა ჩრდილო ოსეთთან და რუსეთთან დამაკავშირებელი გზები. ვინ იცის მუუდრო ყურეს მოსატრებულ რამდენ ებრაელსა და სომეხს დაუდევს აქ ბინა. სამშობლოს განმადიდებელ, რომელ საქმეში არ ბრწყინავს მის შვილთა ღვაწლი. რამდენი სახელოვანი მოღვაწე გაზრდილა მის წიაღში. რამდენი ერთი რაკეელი ჩამოვთვალოთ: ა. ჯაფარიძე, უ. ჯაფარიძე, რ. ჯაფარიძე, მ. ლებანიძე, ზ. შერაზადაშვილი, ა. ონელი, ვ. მეტრეველი, ა. გამყრელიძე, კ. ბაკრაძე. ბრწყინვალე მსახიობთა მთელი ელიტა: მ. ჯაფარიძე, ალ. ომიაძე, კ. დაუშვილი, ო. კობრიძე, ზ. ჯაფანიძე...

ონს ახსოვს დიდი მგზნსნის აკაკის სტუმრობა და მის შესახვედრად გამოსული რაკეელთა ზღვიში. ახსოვს შოვს მომავალ გალაკტიონის აღტაცებული ნატვრა „ნეტავ ჰაქაც მომცა ბინაო". ონში მოღვაწეობს რამდენიმე პროფესიონალი მხატვარი, მუსიკოსი, ხელოვნებათმცოდნე და პოეტი.

ვინ არ იცნობს ონის სახალხო თეატრს. სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს, ქალაქს აღმშენებს შვიდსართულიანი სასტუმრო, სპორტული დარბაზი, სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი, ბეგობრობის ხეივნი და სპორტული კომპლექსი. ექსპონატებით მდიდარი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თეატრალური მუზეუმი, მუსიკალური სკოლა, კულტურის სახლთან (დირეტორი — იზო ნიდარიშვილი, ცნობილი მხატვარი) მუშაობს პოეზიის, მუსიკის, სახვითი ხელოვნებისა და კინომოყვარულთა წრეები.

ხშირია ადგილობრივ მხატვართა ნაბეჭდრების გამოფენები. სალამოები და სულიერი ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა უამრავი ღონისძიება. ქალაქს გარს აკრავს კურორტები: ზოვი, უწერა, კეთილმოწყობილი ტურბაზებით. ირგვლივ უამრავი წყარო და მეავე წყლებია....

აკაკური შალვა ჯაფარიძე, შესანიშნავი პიროვნება და ხელოვანი.

ჯაფარიძეების ოჯახი, სადაც შალვა დაიბადა, სამაგალითოა მთელს რაკეაში. შალვას მამა ონში გამართულ ყოველნაირ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა უცვლელი ინიციატორი და მონაწილე იყო. დედა ქეთევანი, დიახსალისი, კარგი ლიტერატორი, მოლექსე და ქარგვის დიდოსტატი. უფროსი ძმა გიგა, სახელგანოქმული რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, დრამატურგი — მოკავკასიონი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. და შეკერა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჩინებული ლიტერატორი და მოუვარული მსახიობი. ოჯახურმა გარემომ კეთილი გავლენა მოახდინა შალვას ჩამოყალიბებაზე. საშუალო სკოლაში სწავლის დროს მომდერალთა გუნდში ბღერობდა. რომელსაც ვ. ბასილაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ, ონის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მიიწვიეს. იმღერიასთვის გუნდს ხელმძღვანელობდა ვ. კერეხელიძე. მერე სწავლა კუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. ლოგბარ კ. ბუხაიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა თვითმოქმედებას. პარალელურად კუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ასწავლიდა სტვირის დაკვრის ხელოვნებას და ამავე სასწავლებელში საგუნდო კლასში თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა. ინსტიტუტში სწავლის დროს, სისტემატიურად მონაწილეობდა საკალაკო და რესპუბლიკურ დათვალიერებებსა და ოლიმპიადებში. კუთაისის ახალგაზრდულ ანსამბლთან ერთად გასტროლებზე იმყოფებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უნგრეთსა და პოლონეთში. ამ დროისათვის მან რამდენიმეჯერ დაიმსახურა რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულის მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები.

1965 წელს, სახალხო დეპუტატთა, ონის რაისაბჭოს, აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეად დანიშნეს და პარალელურად ხათაოვნი რაუდგა სიმღერისა და ცეკვის, ახალგაზრდულ ანსამბლს. შემდეგ რაბოიკალისა ონის სამკერვალო ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

1970 წლიდან, ონის სახალხო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ხელმძღვანელობს. რესპუბლიკა მოლიანად გადაახალისა და შეავსო რაკეული ხალხური სიმღერებით, თამამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებით.

მონდომებული შრომის შედეგად ანსამბლმა შესძლო შეეხროლებინა 6. სულთანიშვილის „ზეფხვირული" და „სამშობლო ხეგსერისა", ა. ყარაშვილის „სამშობლო", ზ. ფალიაშვილის „ცინგალას კუპლეტები", „მაოსა და მალბაზის დუეტ", „ახესლოსნისა და ზოერმანის დუეტი" და სხვა. გუნდი წარმატებით გამოდიოდა რაიონულ და რესპუბლიკურ დათვალიერებებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე. ბევრჯერ დაკილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომებითა და ლაურეატის სპატიო წოდებით, მიენიჭა „სახალხო თვითმოქმედი კოლექტივის" წოდება. ხოლო ანსამბლის ხელმძღვანელს ზმალვა ჯაფარიძეს „სახალხო მუსიკალური კოლექტივის ლოტბარის პირველი კატეგორია". მისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება, მოლიანად, რაკული ხალხური, მუსიკალური ფოლკლორის უცნობი მარგალიტების აღმოჩენას, შესწავლასა და მის პოპულარიზაციას მიეძღვნა. მრავალი წლის დაუღალავი შრომის შედეგად, აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა 80-ზე მეტი რაკული ხალხური სიმღერა, რომლებიც საქართველოს რადიოსა და ტელევიზიაში, აგრეთვე ფირმა „მელოდიაში" იქნა ჩაწერილი.

-- მომდერალთა სახალხო გუნდს ხშირად იწვევენ დღესასწაულებზე და კონცერტებზე. საქართველოს ტელევიზიების სტუდიამ, ზალვა ჯაფარიძის სცენარის მიხედვით, დაიწყო ფილმის გადაღება, ონის სახალხო მომღერალთა გუნდზე — რომლის პირობითი სახელწოდებაა — „ბალკა მთას მოდგა".

მისი შემოქმედება მრავალჯერ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებითა და საკავშირო ფესტივალების ლაურეატობის მედლებით. მიღებული აქვს მრავალი სიგელი და დიპლომი, ხოლო 1985 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით მიენიჭა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის" სპატაკი წოდება.

დაუფიქარია ქუთაისის პედინსტიტუტში სწავლის წლები. აქ შედგა პირველად მისი, ოთარიკ რეეისორ-მსახიობის დებიუტი. მისი პირველი რეეისორული განაცხადი [illegible] „ელლოდ ცოლი" იყო. დადგა აგრეთვე ვ. გუნიას „დაბ-ძმა", სადაც ითამაშა გაიოზ ფაღავას როლი. მასვე ეკუთვნოდა მხატვრობა და მუსიკა. „დაბ-ძმას" მოჰყვა ა. წერეთლის „კინტო", სადაც განასახიერა გიფუა. წარმოადგინა აგრეთვე ა. ებრალიძის „საკმრეთის არჩევანი", და რ. ლეზნაშვილის „მომავლისათვის" და სხვ.

იგი წლების მანძილზე თავისი სახელოვანი ძმის, რეპუბლიკის სახალხო არტისტის გიგა ჯაფარიძის ბევრი ბრწყინვალე დადგმის მზვინება და სიამაყეა. ასრულებდა დადგინსა და ეარაჩოელ დავთოს მ. ბრეკლიშვილის „ბარათაშვილში", აგნოსტოს „ეზოიკეში", კრეოს სოფოკლეს „ოიდიპოსში", გალილეო-გალილეის „დიდ კათაკეფილში". სიაათონოვს და ცისინოვს „ეშეფ ერეკლეში". ეს სპექტაკლი დიდი აშფილ სიაათონოვს დამადების 100 წლისთავის სიაუბილეო დღეებში დადგა და პრესა ფართოდ გამოეხმაურა მის მიერ ჩინებულად შესრულებულ როლს („ კომუნისტი". „თეატრალური თბილისი", ეურნალი „სიბჭოთა ხელოვნება").

ონის რაიონის სინამდვილეში, დიდი მოვლენა იყო გიგა ჯაფარიძის მიერ. შეესაბრის „ბაბეტის" დადგმა. შალვამ ელავდიუსი განასახიერა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა.... „კომუნისტში" გამოკვეყნდა რეკა ჯაფარიძის, ბესო ეღენტისა და დიმიტრი ჯინელიძის ერთობლივი წერილი...

აღიარება მოუტანა მას სპრინდონის როლის განსახიერებამ, რეკა ჯაფარიძის „ეარაჩაკეის ქვრივში". ეს სახე სახალხო თეატრში მიჩნეული იქნა სეზონის საუკეთესო როლად. ძალზე შთამბეჭდავი და ელლოროტული იყო მეხეკვარე ლუკა გ. ჯაფარიძის „ლატკე მილიონერში". ეს სპექტაკლი რამდენჯერმე წარმოადგინეს დედაქალაქში.

თვით შალვამ, მრავალი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი დადგმა განახორციელა. კერძოდ: ფილორავას „სიგზერები", რომელიც ასახავს ახალგაზრდა მედიკოსთა ცხოვრებას პროფესიაში. ასევე კარგად მიიღო მაყურებელმა ნ. დუმბადის „თეთრი ბაირაღები" და ონის მეორე საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ძალებით დადგმული მისი სპექტაკლები... იაკობ გოგებაშვილის „იავნანამრა ბჭმნა", ი. ბორჩიხოვას „თეთრა" და ჭ. ჭილაშვილის „ეკიპაჟი კისკისა". ეს უკანასკნელი რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ლაურეატის მედლით დაჯილდოვდა.

შალვას სადღესასწაულოდ მრავალჯერ განუხორციელებია დიდი მასშტაბის მასობრივ-თეატრალურ სანახაობათა დადგმა. ამ მხრივ დაუფიქარი იყო 1967 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით წარმოდგენილი სანახაობა. ალიოშა ჯაფარიძის ხსოვნის დღეებში გამართული სახალხო დღესასწაულები სოფელ ზარდიმეთსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კ. ონში. გამარკვევის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი: — „ბორიოსა სმლია კეთილ-მა". იგი მართავს მუსიკის კვირეულებს, ფოლკლორის სადამრთო, ჩამოიყალიბა ეთნოლოგიურული ყოფილითანები. მისი ინიციატივით შეიქმნა რაიონის ეთნოგრაფიული მოსახლეობის რეპუბლიკაში უკანასკნელ ხანს დამკვიდრებულ სახელო დღესასწაულებში: „თბილისობა", „ცქეროობა", „ცაგერობა", „დედოფლობა", არ დაუზარებია ასევე მეცხოველეებთან, ბამბასინის ეფექტებზე. ხიბამთის სათიბ-საძოვრებზე. სტვირი დაუკრავს. უმღერია მათთვის, ანსამბლი აუყვანია. იგი თავკაცობს საზეიმო მეზობლის კაბალის სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში. ოფიციალურ კოლექტივების დათვალიერებას, ორგანიზაციას, კონკურსების და ოლიმპიადების ჩატარებას. ეს ყველფერი ბომ რაიონის ხალხური ხელოვნების შემდგომ განგეთარებას ეწესახურება. ეულტურის სახ. უნიკერსიტეტის რექტორია და საზოგადოება „ცოდნის" ლექტორია ჯაფფის წევრი ხალხური ხელოვნების აღმავლობაზე ზრუნვით ნაკარნახევია ის, რომ ლოტბარმა ჩამოიყალიბა ბიკუნების მომღერლთა ჯგუფი „ბუბა", რომელიც ხახალო გუნდის სამეფო ცალი იქნება. სტეირზე დაკრის ხელოვნებას ეზიარა რამდენიმე ახალგაზრდა. სანიმუშოა მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც. არის საკარიოელოთ კ ონის რაიკომის წევრი. ხახალი კონტროლის რაიონული კომიტეტის წევრი. რაიონული ხაბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატი. ეულტურულ-სპორტული კომპლექსის საკორიფეიკიო ხაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

დიდი ამაგი დასდო შ. ჯაფარიძემ რაკეული ხალხური საკრავის გუდასტვირის შესწავლასა და პოპულარიზაციას. სტეირზე დაკვრის ხელოვნება ძნიხვან — გიგასგან ისწავლა. იგი გამოდიოდა ხაზეიმო კონცერტებზე და ამოგზაურა ხტეირით უნგრეთსა და ოლონეთში.

მისი მეზობლის ეერიოდში რაიონის ეულტაგანმნათლებელი ესელიე გაფართოდა. ეგიმსნა ახალი ელუბები და ბიბლიოთეკები. ხამბალტერო სკო�ა. ჩამოყალიბდა ბევრი ახალი თვითნოყმეფი კოლექტივი, განმორაეიეულდა ხაბიბლიოთეკო დაწესებულებების ცენტრალიზაცია. აზეზნდა და კაპიტალურად შეკეთდა ეულტურის ბევრი ეერა. გაუმჯობესდა ეკონომიკიური კადრების ქსელის დაკომპლექტებაც. ტრადიციული გახდა მხატვრული თვითმოყმეფების რაიონული დათვალიერებები და ხახალხო დღესასწაულებები, გაეფმრობდა მოსახლეობის თავისეულ ალი დროის შემოკეფდებითად ეკმაყეფების მდგომარეობა. ფართო ეგზა მიეცა ნიჭიერ ახალგაზრდების. სისტემატურად ეწყობა ხაზეიმო ეა გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები. პიეზიხა და მუხეიის ხაღამოება, განხილვები და დისპუტები. შეიქმნა ეთნოგრაფიული მუზეეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ეიის ქვეეშ და თეატრალური მუზეეუმიც. ყველეფე ეს დიდად უწეობს ხელს ჩაეეს ახალგაზრდობის სოფლისა და კალაქის ახალგაზრდობის ადგილზე დამაგრებას, გამამტკიცებს მათში თავის კეთილს, ერისა და ხელოვნების სიყვარულს. ხელოვნების მრავალმა მოყვარულმა, მიიღო რა თბილისში უმაღლესი თუ სპეციალური განათლება, ხალისით მიაშურა მშობლიურ რაიონს.

შალვა. როგორც მომღეერალი და ლოტბარი შეამბეჭდავდა. იშვიათი სმენა, რიგმის გრძნობა, ხასიმღერო მასალის ყოველმხრივი ცოდნა. ხელების შესაფერი ქალაქეკა, არტისტიზმი. იგი თავისი გუნდის მშვენება და პირველი სოლისტია. ხავერდოვანი ხმა, შესრულების უზადო ტექნიკა მეტად მომბიბლავს ხდის მის სიმღერას. ხამაშეფლო და მსოფლიო მუსიკალური კლასიკის შესაფერი ცოდნა. შესრულებისას ანრის სიღრმე და ლამაზი დიქცია, მყარი ლოგიკა და ნათელი ინტელექტი, თანაბრად ხიბლავს ყველას. ახალხედებს მასთან მიაქვთ პირველი ლექსი თუ ნახატი, ენდობიან, როგორც ჩინებულ ეაშაგარს. ისიც ყველას თანაბრად უნაწილებს თავის ხედიგარ ცოდნა-გამოცდილებას, დიდ სითბოს, ირწმენებს ირჩევანის სისწორეს თუ ბეცდარობაში.

სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაცია მწვავე პრობლემაა, რომელიც ბევრი რამითაა განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზი კეთილურის კერაო სიმეიერე და სუფერ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობაა. აქაც პირველი სიტყვა კეთილურის მესვეურთ და ხელოვნების მუშაკებს ეკუთვნით, რათა ყველფერი იღონონ სოფლად კეთილ-ბასობრივი მუშაობის გასაწეელად. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა ჩვენთან. დღეს, რაიონის უმრავლეს სოფლებში მეუზობლ თვითმოყმეფდ წრეები, ანსამბლი ამიტომაეა, რომ ეუკანასკნელ ხანს არავრეი საზეიოო სკოლადამთავრებული ქალეშეელი თუ ვაბეკი რჩება სოფელად და ხალისით შრომობს კოლმეურნეობაში. მეცხოველეობის ფერმებსა და ზორეულ ხაძოკურებზე. შალვას პირად არქივზე მრავალი წერილი ინახება, რომელთა ავტორება სოფლის უბრალო ადამიანები, პატივისეეცმასა და მადლიერებას გამოთქვამენ მისადმი და ალუთქვამენ, რომ კეთილს, სადაც ასეთი ფეთიანი ლუდუნა სტვენი და ამდენი ზარმაცი, დარბასლური სიმღერა აშეა, სადაც კალეკ ფასობს შრომის ეაირი, და კაცური პატრიოტზეა, არასოდეს მიატოვებენ...

შალვა ჯაფარიძის — ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა, მთლიანად პასუხობს პარტიის XXVII — ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან, ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოწოდებას იდეოლოგიური დარგის მუშაკებისადმი:

„ეერთი სიტყვით, ამხანაგებო, იდეოლოგიური მუშაობის რა დარგიც არ უნდა ავიღოთ ყველაფერში ცხოვრებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღუნება პირდაპირ შეუწყნარებელია ისეთ ცოცხალ დინამიკურ მრავალმხრივ საქმეში, როგორიც არის ინფორმაცია, პროპაგანდა, მხატვრული შემოქმედება და მხატვრული თვითმოქმედება".

გვახსენდება გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილი შალვა ჯაფარიძის ოჯახისადმი მიძღვნილი წერილი: „ხელოვანთა ოჯახი", სადაც ვკითხულობთ: — „ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ რამაზი, თამთა და მალხაზ ჯაფარიძეები.

დათვალიერებაში გამარჯვებულნი ქეთევან ჯაფარიძის შვილიშვილები არიან, რომლის ოჯახი საქართველოს მაღალმთიან რაიონულ ცენტრში, ონში ცხოვრობს. თვით ქეთევანი თვითმოქმედ მხატვართა და მჭარგველთა გამოფენების უცვლელი მონაწილეა. შვილი გიგა — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, ონის სახალხო თეატრს ხელმძღვანელობს, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა და რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალების ლაურეატი გახდა, მეორე ვაჟი — შალვა ონის სარაიონო კულტურის სახლის მომღერალთა სახალხო გუნდს თავკაცობს, რომელმაც საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მოიპოვა. სახალხო გუნდის ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლის წევრია ქეთევანის შვილიშვილი გია, ხელოვნების სიყვარული სხვა შვილებსაც შთამომავლობით გადაეცათ, ქეთევანის ქალიშვილი შუქურა ონის I-ლი ხაშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მოსწავლეთა აქტიური შემოქმედებითი წრთობისათვის იგი დაჯილდოვდა „ხალხური განათლების წარჩინებულის" საპატიო ხაკერდი ნიშნით"...

ამ წერილის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

შალვა, ერთგული მეუღლე და მზრუნველი მამაა, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული ვეკაცია სამ შვილს უზრდის ქვეყანას. მეუღლე ლალი მასწავლებელია ონის II ხაშ. სკოლაში. უფროსი ვაჟი — ბაკური მამის კვალს მიჰყვეს და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, კულტ-საგანმანათლებლო ფაკულტატზე სწავლობს. ირემა სკოლის დამთავრების შემდეგ, კომკავშირული საგზურით სამკერვალო ფაბრიკაში გაგზავნეს. პატარა თეონა კი ფრიადოსანი მოსწავლეა. ყველა მათგანი რაიონის კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს და იღვწის.

ამჟამად შალვა ონის საკალაჯო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა.

...მისი დიდი ძმის გიგას დამსახურებაა უძველესი და უტკბესი რაკული გუდასტვირის გადარჩენა. როცა რაკაში სტვირზე დაკვრის „უკანასკნელი მოჰკანი" — ზაკარია ერაძე დარჩენილ დღეებს ითვლიდა, გიგა ეახლა მას და სთხოვა თან არ წაეღო სტვირზე დაკვრის საიდუმლო, რათა თაობებს არ მოჰკლებოდათ ამ ღუღუნა საკრავის კეთილხმოვანება და მესტვირის ტკბილი შაირი. ზაკარიამ აზიარა გიგა სტვირის ავკარგს, გადასცა თავისი საკრავი და გზა დაუღოცა მრავალჟირნაბულ გუდასტვირს. გიგასაგან შალვამ მიიღო ეს ხელოვნება, შალვასაგან მისმა ვაუმა ბაკურმა და სტვირის ახალ სიცოცხლეს ზეცა გაეხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაზ ბაძაღუა

მარტო იმიტომ არა, რომ ასე ახალგაზრდა წავიდა ჩვენგან.

უდროოდ წასული ყველა დაგვწუვეტდა გულს.

ჩვენ მარტო გული არ გვტკივა თამაზ ბაძაღუას მოულოდნელი დაღუპვის გამო. სიკვდილი ისეთი მოვლენაა, წამში რომ გადაგახედებს ადამიანის მიერ გამოვლილ გზაზე და მთელი სიცხადით დაგანახებს მის ავ-კარგს და, აი, როდესაც ამ მძიმე დღეებში, ვინ იცის, მერამდენჯერ გავაანალიზეთ თამაზ ბაძაღუას ცხოვრების მოკლე გზა, შეგვაშფოთა მწარე სინამდვილემ.

რა თვისებების ახალგაზრდა კაცი დაგვეღუბა!

დიახ, იგი თავისი პროვინული თვისებებით იშვიათი მოვლენა გახლდათ.

თითქოს ეკრძალვოდა ამ ცას და ქვეყანას, ადამიანებს, დიდ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს მწერალთა კავშირის გამორჩეულ შენობას, როგორც უწმინდეს ტაძარს.

თავდადრეკილი იდგა ყველას წინაშე.

ეკრძალვოდა არა იმიტომ, რომ ნიჭი არ ეიმედებოდა თავისი, ან ცოდნა ან სულიერი ენერგია! თამამად შეეძლო თვალი გაესწორებინა ღირსეული თანატოლებისათვის, საუკეთესო ჩანდა პერსპექტივაც!

რამდენჯერ მიფიქრია, ყველა რომ ასე ეკრძალვოდეს ლიტერატურას, რა ნანატრი ჰარმონია დამყარდებოდა სიტყვის სამყაროში-მეთქი, როგორ ადვილად იპოვნიდნენ საგნები თავ-თავიანთ ადგილს.

რიდი მისი სულის პოზიცია იყო. ამ რიდში იხსნებოდა მისი ფიქრი, ოცნება, ადამიანებთან ურთიერთობის იშვიათ კულტურას ის რიდი მართავდა.

რედაქციაში მისი გამოჩენა დღემდე აუხსნელ ფარულ სიხარულს გვგვრიდა ყველას, რაღაც ძალზე მძიმე ტვირთი მსუბუქდებოდა, საქმე იოლდებოდა, დაძაბულობა იფანტებოდა.

ნიმუში იყო იმისა, თუ როგორი თავმდაბლობით უნდა შემოდიოდეს ახალგაზრდა მწერალი ლიტერატურაში. გაიარა, დასტოვა ნათელი კვალი

თვალსა და ხელს შუა გაგვიჭრა ძვირფასი თვისებების კაცი.

როგორ დაიკლდა თამაზ, შენი უჩვეულოდ ლამაზი სულის გამოხედვა ყველა ჩვენთაგანს, შენს „ცისკარს", ქართულ მწერლობას!

უდავო ნიჭიერებით აღბეჭდილი შენი ლექსები, თარგმანები, პიესები გააგრძელებენ შენს სიცოცხლეს!

ჯანსუღ ღვინჯილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ...კეთილისა არც მკვდარია უნუგეშოდ

საშინელება... არა, ეს სიტყვა ვერ გადმოსცემს იმ უბედურების მთელ სიმძიმეს, ოცდარვა წლის პოეტის, მშობლების საამაყო შვილის, ერთგული მეგობრისა და ღირსეული მოქალაქის თამაზ ბაძაღლას ტრაგიკულმა სიკვდილმა რომ დაგვატეხა თავს მის ოჯახს, მის ახლობლებსა და მეგობრებს. ჩვენი მხედველობის არედან ერთდროულად გაქრა ოთხი სრულიად ახალგაზრდა ადამიანი. დაიკარგა ჭეშმარიტი ბედნიერებისა და სიხარულის ოთხი იმედი და არაფერი შეგვიძლია ვიღონოთ, არავის ძალგვიძს თუნდაც ერთი მისხალით შევამსუბუქოთ, თუნდაც ერთი მისხალით შევამციროთ თამაზის, ნატალას, ნათელას და, ბოლოს, ღმერთო, შენ გვიშველე, ხუთი წლის ოქროსფერთმიანი, „ცისფერ-ფრთებიანი“ თუთას დაღუპვით გამოწვეული საშინელების უსაზღვროება.

მწარე ფაქტია და თითქოს ბოლოდან მაინც დაუჯერებელია, რომ ველარასოდეს ვიხილავთ თამაზის მეტყველსა და ადამიანების სიყვარულით გამთბარ თვალებს, რომ ის თავის ლექსებში, თარგმანებსა და პიესებში ველარასოდეს გაგვიმხელს მისთვის ჩვეული დუმილის აზრს. ველარასოდეს გაიხარებს თამაზის წარმატებებითა და თუთას კარგი ქალლბით ახალგაზრდა დედის სამუდამოდ გაჩერებული გული.

ველარასოდეს გაახარებს ბათუს, როგორც თვითონ გვითხრა, თავისი „სანთელივით ცოლი“, — შვილი გვეყოლებაო, რასაც ახე დიდხანს ელოდნენ და რაც აუსრულდათ კიდეც...

რამდენი ადამიანის გული დაისერა ღრმა მწუხარებით. ერთი წესიერებითა და ნიჭიერებით სავსე ოჯახი კი სრულიად აღიგავა პირისაგან მიწისა. აღარ არის ოჯახი, რომელსაც სიყვარულისა და კეთილშობილების სადიდებლად უნდა ეცხოვრა და რომელიც ქართულ ცას, ქართულ მზესა და მიწას სიტყვითა და საქმით ფიცულობდა.

გოცებას იწვევს, რამდენი მოუსწრია ოცდარვა წლის კაცს, არა მარტო, როგორც შემოქმედს, არამედ როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს, რამდენი მეგობარი შეუძენია, რამდენ გულში დაუთესავს სიყვარული და პატივისცემა.

ცოცხალმა კარგი მწერლისა და კარგი კაცის ცხოვრებით იცხოვრა. მოკვდა და თავისი სიკვდილით კიდევ ერთხელ ღრმად და მწარედ დაგვაფიქრა ჩვენივე ცხოვრების წესზე. თამაზის გამო ცრემლმა და ტკივილმა, თითქოს ერთმანეთის სულში ჩაგვახედა და მისი უდრო სიკვდილით დამწუხრებულთა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ მეტი სითბო და ყურადღება გვმართებს, რომ თუ დღეს ხელიდან გავუშვებთ ურთიერთპატივისცემისა და თანადგომის ჩვენდა სასიკეთოდ მოცემულ შესაძლებლობას, ხვალ შეიძლება ძალიან გვიან იყოს, ისე გვიან, რომ აღარ დაგვინდოს ჩვენივე სინდისმა.

თამაზ! მსუბუქი იყოს შენთვის მიწა, ოჯახისა და მეგობრების ცრემლით დამბალი რომ დაგაყარეთ გულზე... მაგრამ პირიშო კეთილისა არც სიკვდილში რჩება უნუგეშოდ: ქრისტიანული მრწამსით, ადამიანები ბოლოს მკვდრეთით აღსდგებიან, ხოლო ბოროტთან ბრძოლაში გამარჯვებულნი უკვდავების ეზიარებიან. ჩვენც მათ შევთხოვთ, ღმერთს შეავედრონ შენი სახელი.

თეიდო ბეჟიშვილი, ვახტანგ ხარჩილავა, ვაჟა ხორნაული, გალაფერ არაბული, ეთერ თავარაძე, ბიბი ალხაზიშვილი, ზურაბ ნარმანია, დავთო მაღლაძე, ზაური კალნდია, ელზა მეტრეველი, ლენა ღონღაძე, ზიული სირაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქრონიკა

## უელსის ეროვნული თეატრი.

უელსს ხშირად სიმღერების ქვეყანას უწოდებენ. და არც არის გასაკვირი, რომ უელსის ეროვნული ოპერა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, გაზეთ „გარდიანის" მუსიკალური კრიტიკოსი ფრენკ გრენველ ბაიერი მოგვითხრობს ამ კოლექტივის მიღწევებზე.

გასული წელს უელსის ეროვნულმა ოპერამ ლონდონის სამეფო ოპერის სცენაზე წარმოადგინა ვაგნერის ტეტრალოგია „ნიბელუნგების ბეჭედი". რამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა უელსის ეროვნული თეატრის დიდი წარმატება. ამ კოლექტივის დებიუტი 40 წლის წინათ შედგა. მას შემდეგ იგი დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ წამყვან საოპერო დასს წარმოადგენს.

1940 წელს ენთუზიასტების ჯგუფმა კარდიფში, უელსის ადმინისტრაციულ ცენტრში საოპერო თეატრის დაარსება გადაწყვიტა. საბელმწიფო, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქმიანი წრეების ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა უელსის ეროვნული ოპერა.

უელსის ინიციატივა არც არის გასაკვირი, აქ, ხომ ოდითგანვე უყვარდათ საგანგო სიმღერები. აქ დაიარწა ბევრი ისეთი ეოკალისტის აკვანი, როგორებიც არიან: ვალიი ჯეირენტ ევანსი, გვინეტ ჯოუნსი და მარგარეტ პრაისი. მათ დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვთ და გამოდიან ევროპისა და აშშ-ს საუკეთესო ოპერების სცენებზე.

გუნდში თავიდან ირაციონალისტები მღეროდნენ. გუნდის რეპერტუარში იყო ვერდის ადრეული პერიოდის ოპერები. დაარსებიდან 10 წლის თავზე უელსის ეროვნულმა თეატრმა ლონდონში მაყურებელს უჩვენა ვერდის ოპერები: „ნაბუკო" და „ლომბარდიელები ჯერუსალიმელ ლაშქრობაში". ამ დადგმებში გუნდი რაკაკვირველია, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

უელსის ეროვნულ თეატრში მღეროდნენ: ჯოზეფინ ბარსტოუ (სოპრანო, 1956 წელს მან შეასრულა ტოსკანა და ლედი მაკბეტის პარტიები მოსკოვში, თბილისსა და რიგაში გასტროლებზე ყოფნისას) და ტომას ელანი (ბარიტონი).

ამ თეატრმა თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი განმიმტკიცა ისეთი ოპერებით, როგორიცაა: მოცარტის „ფიგაროს ქორწინება", ვერდის „ბალ-მასკარადი", პუჩინის „ბოჰემა".

თეატრი ხშირად იწვევს სხვადასხვა ქვეყნების სახელმოწოდებულ რეჟისორებს, კარდიფში მუშაობდნენ ანდრეი შერბანი და ლუჩიანო პინტალი.

1956 წელს ვერდის „ოტელო" დადგა დასავლეთბერლინელმა რეჟისორმა პიტერ სტეინმა.

სულ ახლახანს დასის მუსიკალურ ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმოწოდებული რეჟისორი — ჩარლზ მაკერასი.

უელსის ეროვნული თეატრის ყველაზე დიდ შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს ვაგნერის ოპერების ნოვაციორული დადგმები. თეატრმა წარმოადგინა „პარსიფალი" (დირიჟორი — რეჯინალდ გუდალი, მთავარ პარტიას ასრულებდა ამერიკელი ტენორი უორენ ელსუორტი) და „ნიბელუნგების ბეჭდის" მთელი ციკლი (რეჟისორი — რიჩარდ არმსტრონგი).

1966 წელს დასმა თავისი სპექტაკლები საამეფო თეატრში წარმოადგინა.

უელსის ეროვნულ თეატრს გადაწყვეტილი აქვს 1987 წლის ხეზონი გახსნას ბერლიოზის ოპერით „ტროელები" (დირიჟორი: ჩარლზ მაკერასი, კასანდრას პარტიას შეასრულებს ენ ევანსი, დიდოს — დელა ჯოუნსი).

უელსის ეროვნულმა თეატრმა დასაბამი მისცა ლონდონს გარეთა საოპერო ხელოვნების განვითარებას. მან არსებობა დაიწყო, როგორც ენერგიულმა პროვინციულმა დასმა, რომელმაც ბოლოს საერთაშორისო აღიარება მოიხვეჭა.

**შრ. ერიკა ლუკე** მეტად საინტერესო და თავისთავადი შემოქმედია. მის შემოქმედებაში ღირსეულადაა წარმოდგენილი ლათინური ამერიკის „ახალი" ისტორიოლი რომანი, რომელიც ბეითხველის წინაშე კონტინენტის დრამატული ისტორიის ახალ-ახალ გვერდებს შლის.

ერიკა ლუკე ძალზე თავისებური მწერალია. წარსულში საკმაოდ ნიჭიერი ფსიქიატრი, ახლა კი პროფესიონალი ისტორიული შესანიშნავად იცნობს როგორც ისტორიულ მასალას (რომლის გადმოცემის სიზუსტე უეჭველია), ასევე თავისი რეალურად არსებული ვმრიქნის ფსიქიკას. ყოველივე ეს სრულად გამოვლინდა ნოველაში — „ფუფუტის მთვარე", რომელიც მე-17 საუკუნის ცნობილი ბერმბინელი კონკისტადორის ფილიპ ფონ გუტენის ცხოვრებას ეძღვნება. იგი მიზიფრა ელდორადოს ალმოჩნენის იდეით იყო შეპყრობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, იმპერატორმა კარლ V ახალი მიწების ასათვისებელი საჭირო თანხებისათვის გერმანელ ბანკირებს ველზერებს იჯარით გადასცა თანამედროვე ვენესუელისა და კოლუმბიის რაიონში არსებული მიწები. ამ რეგიონის გერმანელმა კონკისტამ წინ წამოსწია სამი პიროვნება: უ. ფონ ფსაირერი, ნ. ფედერმანი და ფილიპ ფონ გუტენი. სამივე მათგანი პერსონიფიცირებულია რომანისა, რომლის საფუძველს ფონ გუტენის ბიოგრაფია შეადგენს. ავტორი ერთ კვანძად ჰკრავს სამი ქვეყნის ისტორიას: გერმანიის, სადაც გმირის ახალგაზრდობაა აღწერილი, ესპანეთს, სიიდანიე ოკეანის გაღმა მიემგზავრებიან კონკისტადორები და ამერიკის, სადაც ძირითადი მოქმედება იშლება.

წინასწარმეტყველება ჯერ კიდევ შედგენილი გერმანიაში პოროსკოპის მიხედვით ცნობილ წინასწარმეტყველს, ჯადოქარსა და მჩხიბავს იოჰან ფაუსტს ეკუთვნის. ფონ გუტენი ჯადოთის ხელით უნდა მომკვდარიყო. ახლა მოხდა. (წინასწარმეტყველება და მოვლენებიც ისტორიული, დოკუმენტური ფაქტებია). ფაუსტის წინასწარმეტყველება მოდგამ თან სდევდა ფონ გუტენს, რომლის ისტორია რომანში წარმოდგენილია, როგორც პიროვნების ბრძოლა ბედისწერასთან. ავტორი აღწერს ეპოქას როდესაც მაგიჯადოქრობა, მითები ადამიანის შეგნების რეალური ფაქტორები იყვნენ. ერერა ლუკე ადამიანთა ტიპებსა და მათ მოქმედებას თითქოსდა ორმაგ რაკურსში განიხილავს: მაგიურსა და ერთდროულად რეალისტურში.

ფონ გუტენის ბიოგრაფია ფაუსტის წინასწარმეტყველების დადასტურებაა, ამასთანავე, ავტორი ხსნის გმირის ხასიათს, ფსიქიკას, ანალიზებს მის მოქმედებებსა და შეცდომებს.

რომანის იდეური პლანი ნათლად გვიჩვენებს განსხვავებას გერმანულ და ესპანურ კონკისტას შორის: გერმანელები ახალ მიწებზე მხოლოდ ძარცვისა და გამდიდრებისათვის ჩამოდიან, ესპანელები კი ახალი მიწების დასაკურობად, რომლებიც შემდეგ ესპანეთ-ამერიკული ცივილიზაციის არენად იქცა. ამგვარად არაჩვეულებრივად ხატოვანი და საინტერესო მასალა თანამედროვე „ახალი" ლათინურ-ამერიკული რომანის ერთგვარი იდეოლოგიური ბაზა გახდა.

ლათინური ამერიკის თანამედროვე, ცნობილ ისტორიულ რომანებს შორის ერერა ლუკეს რომანი თავისი ღირსებით მხოლოდ მ. ოტერო სილვას რომან „ლიპე დე აგირე, თავისუფლების თავადს" თუ შეედრება, სადაც მოქმედება იმავე პერიოდში მიმდინარეობს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32. პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35 პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9. 09. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 11. 87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმთა რაოდენობა 10. პირობითი ფორმთა რაოდენობა 11. სააღრ.-საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2158. უე 14093 ტირაჟი 70,000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ